ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

7

თბილისი
1948

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

[illegible]

წელიწადი ოცდამეხუთე

7

19 ივლისი 48
სახელგამი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

	გვ.
ლეო ქიაჩელი — ჯოტოს მამა, რომანი, დასასრული	3
ზაქარია შერეზადაშვილი — ორი ლექსი	36
დავით ბაქრაძე — გმირთა სისხლით, ნარკვევი	38
ვარლამ ჟურული — ოთხი ლექსი	68
შალვა ფოჩრჩხიძე — გაზაფხულის დილა, ლექსი	72
სოლომონ თავაძე — მაისის განთიადი, რომანი	73
ანდრია სინაური — ლექსები	93
ოდდე დგებუაძე — ამერიკული ნოველა	99
—	
ლევან ასათიანი — პატარა ამბები დიდ პოეტზე	103
—	
ვ. მაჭავარიანი — ომის გამჩაღებლები ისტორიის სამსჯავროს წინაშე, წერილი	116
პანტელეიმონ ბერაძე — ჰეგზამეტრის გენეზისისათვის, წერილი	140
—	
ს. მ. — „არჩილ ჩაჩიბაია — „მოთხრობები", ბიბლიოგრაფია	149
ბ. მეგუაძე — „დემნა შენგელაია — „მოთხრობები", ბიბლიოგრაფია	151

პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრე აბაშელი, ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), იოსებ გრიშაშვილი, პავლე ინგოროყვა, სერგო კლდიაშვილი, ალიო მირცხულავა (მაშაშვილი), ბესარიონ ჟღენტი, გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, დემნა შენგელაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/VII-48 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 9½ ფ. უე 02744. შეკვ. № 943. ტირაჟი 6.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქ. № 13. ტელეფ. № 3-04-64.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეო ქიაჩელი

ჯოჯოს მამა

რომანი *

★

თავი ოცდამეთერთმეტე.

საბჭოთა თვითმფრინავებმა ალყა-შემორტყმული მტრის მანქანა მალე შორეულ ღრუბლებს იქით გაიტაცეს და თვალმიუწვდომელ ცის სიღრმეში მასთან ერთად გაუჩინარდნენ. მათ კვალს ერთ ხანს მუშხუნებივით ანთებული ცეცხლის დიდი და პატარა ბურთები აღნიშნავდნენ, რომლებიც ერთი მეორის მიყოლებით ტკრციალით სკდებოდნენ და ჰქრებოდნენ.

თანდათან შესწყდა ქვემეხების გრიალი. მინელდა სხვა იარაღების ბათქი და ზუზუნი.

არ გამქრალიყვნენ მხოლოდ პროჟექტორების ყვითელი ენები, რომლებიც ახლა ამაყური სიმშვიდით განაგრძობდნენ ცის თაღის ზვერვას.

მცირე ხანი კიდევ და ქალაქში ისევ სიჩუმე ჩამოწვა.

გადაიქუხა თუ არა, მთის კაციც ადგილიდან დაიძრა. ძლივს გადადგა პირველი ორი ნაბიჯი: დგომისაგან მუხლები გახევებოდნენ, ფეხები ქვასავით დამძიმებოდნენ. თვითონაც მხოლოდ ახლა იგრძნო დაღლა.

როგორც იყო, იულონ გარსიას ეზოს ჭიშკარს მიატანა.

აქაც სიჩუმე იყო გამეფებული. პროჟექტორების სინათლის ანარეკლი მკრთალად ეფინებოდა ნაცნობ კარმიდამოს. ეზოს გარშემო ჩარიგებული მაღალი კვიპაროსები ჯერ კიდევ ცახცახებდნენ განვლილი შიშისაგან. სული გაენაბათ ტოტებ-ჩამოშვებული ნარინჯის ბუჩქებს, მიწის ზანზარის განმეორების მოლოდინში.

მთის კაცმა კარი ფრთხილად შეაღო.

მანდარინის ბაღის ჩაბნელებული კუთხიდან ანაზდეულად სუსტი ძახილი მოესმა:

— ვინ ხარო, — ეკითხებოდა გაუბედავად ვიღაცა უჩინარი, რომელიც ხმაზე ქალად შეიცნო. ეუცხოვა, რომ ლიას ხმას არ ჰგავდა, გაკვირვებული შესდგა.

ვინ უნდა ყოფილიყო სხვა? არ მობრუნებულა, ისე კარს ხელი ჰკრა და მიხურა. უცნობმა ხმა აიმაღლა და კითხვა გაიმეორა. ჩანდა, რომ იგი მთის კაცს უახლოვდებოდა.

სანამ პასუხს გასცემდა, მთის კაცი ხმისკენ გაეშურა.

მანდარინის ხეებს შორის ქალი იდგა, მისკენ მომზირალი. პირველადვე თვალში ეცა, რომ ღამეზე უშავესი ძონძებით იყო შემოსილი და ისე უძრავად, გაქვავებულივით იდგა, რომ ცოცხალს არ ჰგავდა. ის-იყო უნდა

* დასასრული. „მნათობი" № 5.

ეკითხნა, ვინ ბრძანდებიო, რომ ქალმა დაასწრო და ხმამაღლა შეჰკივლა:

— მთის კაცი! — და თითქოს სული ჩაედგაო, ხელების სავსავით მისკენ წამოვიდა. მერე თითები ხოკით ღაწვებზე ჩამოისვა და მეგრულ-აფხაზური მოთქმის მაღალ კილოზე მწარე გოდებით დაიწყო:

— ვაჰაჰაია, უბედურო ჩემო ძმაო იულონ! აჰა, გეწვია შენი სიყრმის მეგობარი და ძველი მოყვარე მთის კაცი, მუდამ სანატრელი შენი სტუმარი... შეუტყვია შენი უბედურება. გარჯილა. ბზიფის მაღალი მთები გადმოულაცავს... გხლებია. მიეგებე, ძმაო, გაიხარე მისი მოსვლით, როგორც ყოველთვის... ვაჰაჰაია, ძმაო, როგორ ვუთხრა მე უბედურმა შენი ამბავი? რა გულმა უნდა გამიძლოს, რა ძალა მეყოს ამისათვის... ან რა პირით უნდა ვეჩვენო, რომ საყვარელი ძმა, იმედი და ნუგეში, დღეს მიწაში ჩაგფლე, თავად აქ შენს ბაღში, შენთვის მოწყობილ თავშესაფარს მოვაშორე სიცოცხლის გადასარჩენად... ვაჰაჰაია, ძმაო, სირცხვილს სად დაემალოს შენი დაია მაიკო, რომ უღირსი და სულმოკლე იგი შენს სიკვდილს ასე შერიგებია! ვაიმე, უბედურო იულონ, ჩემო ტკბილო ძმაო... ვაიმე, ჩემო თავო!

თავზარდაცემული მთის კაცი ერთ ხანს გონს ვერ მოსულიყო. ეცნო კი იულონის და მაიკო, მისი მოთქმის აზრიც გაეგო, მაგრამ როგორ დაეჯერებინა იულონის სიკვდილის ამბავი?

ამასობაში ბაღის ბნელ კუთხეში, საიდანაც მაიკოს ძახილი ესმა პირველად, უცბად კივილ-წივილი ატყდა.

— ეს რა გავიგონე? ჯოტოს მამა ჩამოსულაო! ნუ თუ ეს მართალია? ვაიმე, ვაიმე!...

ეს კი ლიას ხმა იყო. მთის კაცს უნდოდა მაიკოსთვის გვერდი აევლო და ლიას შეგებებოდა, მაგრამ ამ დროს თვითონ ლია გამოჩნდა, თავით ფეხებამდე შავებით მოსილი. შეხედა თუ არა მთის კაცს, ერთხელ კიდევ შეჰკივლა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვაიმე, ჯოტოს მამა! — და დადგა, თითქოს ახლოს მისვლა ვერ გაბედაო. პირისახეზე ხელები აიფარა და გულამოსკვნილი ტირილი მორთო.

— დავიღუპე, ჯოტოს მამავ!... მამაჩემი აღარ არის!... — ძლივს გამოტეხა სლუკ-სლუკში.

ლიას ხმამ გული აუჩუყა მთის კაცს. ხარივით აზმუილებული, იგი მაშინვე მივარდა თავის სათაყვანებელ მეგობარს.

— ლია, ჩემო სულის სიამევ, შვილზე უფრო მახლობელო! — უთხრა და მკლავები მოხვია, გულში ჩაიკრა.

— ვაიმე, ვაიმე! — ამბობდა მთის კაცის ალერსისაგან გრძნობა-მორეული ლია და საყვარელ მოხუცს ეხუტებოდა, პატარა ბავშვივით ატირებული.

— ლია შემოგევლე... გეყოფა, ნუ სტირი... შვილი რჩება, მამა კვდება... ასეთია სიკვდილ — სიცოცხლის წესი. უბედურება ის არის, როცა პირიქით ხდება! შენ და თემურს შეგემატოთ საბრალო იულონის ხანი და ყოველივე სიკეთე, რაც მას ამ ცხოვრებაში დააკლდა... იყუჩე, შვილო, ჯავრს და გლოვას თავს ნუ მოაკვლევინებ!

თემურის ხსენებაზე აწრიალდა მაიკო. ფრჩხილებით სახე დაიკაწრა. გულშემზარავი კივილი გააბა.

— დედაია, დედაია! მამის იმედი თემური, ჩემი სალოცავი ხატი თემური... არ გამაგონოთ მისი ავი, არ ახსენოთ მისი სახელი სიკვდილთან ერთად!

მამიდის სიტყვებმა თითქოს გონს მოიყვანეს ლია. სწრაფად მოშორდა იგი მთის კაცს, მამიდას შემოეხვია.

— სუ... გაჩუმდი, მამიდა... შენი ჭირიმე! წამოდი, სახლში შევიდეთ... აქ ნუ... ნუ, ჩემო მამიდა.

მერე ისევ მთის კაცს მიუბრუნდა.

— წამობრძანდი, ჯოტოს მამავ... ჩემი უბედური ძამა იტირე... — უთხრა და მაშინვე წინ გაუძღვა. — განგაში აღარ არის... ძაძის ოთახში მობრძანდი.

მიჰყვა მაიკოც ნელი მოთქმითა და ქვითინით.

გაიარეს ბნელი შუშაბანდი, მერე ოთახიც. იულონის სამყოფელში შევიდნენ. ლიამ მყისვე მაგრად მიხურა კარი. ელექტრონი აანთო.

კედელთან თავის მუდმივ ადგილას იულონის ლოგინი იდგა გაწყობილი. სასთუმალს ზემოდ კედელზე მიცვალებულის გადიდებული სურათი ეკიდა, შავ ჩარჩოში ჩასმული. ძირს ბალიშის გვერდით ლოგინის კუთხეში იულონის ყავარჯენი იყო მიყუდებული და იქვე ქვეშ იატაკზე ძველი ფოსტლები ელაგა, ტყავ-გაცვეთილი.

განათდა თუ არა ოთახი, ლია ლოგინთან პირველი მიიჭრა და შეჰკივლა:

— ჯოტოს მამაა, მამა, ჯოტოს მამა!

მუხლები მოიყარა. თავით ბალიშში ჩაემხო.

თავჩაქინდრული, აცრემლებული მთის კაცი ხან სურათს შეხედავდა, ხან კი ლოგინს დასცქეროდა, თითქოს თავის ძველ მეგობარს ხან ერთგან, ხან მეორეგან ეძებსო. ეჩვენებოდა, რომ ლოგინზე უფრო ეცხადებოდა იულონი, ვინემ მის ადრინდელ სურათზე. მწუხარებასთან ერთად უაღრესი გაკვირვება გამოხატოდა სახეზე. ხედავდა, რომ ლოგინი ცარიელი იყო, მაგრამ მის სიცალიერეში მიცვალებულის სახე იყო გამოკვეთილი. როგორც ყოველთვის, თითქოს ახლაც ლოგინზე ცოცხალი იულონი იწვა, ზურგით მაღალ ბალიშს მიყრდნობილი. ცალი თვალი გადმოეკარკლა, დამბლისაგან მოქცეულ ტუჩებზე მწარე, დამცინავი ღიმილი დაკვდომოდა. იწვა ვითომ და მთის კაცს ჩვეულებრივი თავისი დანჯღრეული ხმით შეჰქირქილებდა:

— ეცადე, თვალმა არ მოგატყუოს, მოყვარეო. ტყვილა ნუ მეძებ, ვყოფილი და აღარ ვარ.

ქალები ისევ ვაი-ვიშით მოსთქვამდნენ. ლოგინს გარს ევლებოდნენ. ძთის კაციც მასთან ერთად სტიროდა, როგორც წესი მოითხოვდა: თავისი დაბალი ზარისებური ვაიმე ქალების მოთქმისთვის შეეწყო და თავში ხელს იცემდა ვაი-უითა და ოხვრით.

კარგა ხნის შემდეგ შესწყდა ტირილი. თითქოს თავიანთი აუცილებელი მოვალეობა შეასრულესო, მოტირალებმა თვალებზე ცრემლი შეიშვრეს, ოთახის კუთხეში მიდგნენ. ლიამ მთის კაცს სკამი მიაწოდა. დასვა. თავად გვერდით დაუდგა. მალე ჩვეულებრივი საუბარი დაიწყო.

— მითხარი, ლია, — მიმართა მთის კაცმა, როდის და როგორ მოხდა უბედურება?

— მანუჩა, რომ აქ უკანასკნელად იყო, იმის მეორე დღეს, ჯოტოს მამავ... მამა დღეს დავასაფლავეთ... — უპასუხა ლიამ. — მინდოდა მეცნობებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე, სოუში მიმავალი ვერავინ ვიპოვნე... როგორ შეიტყვე?

— აქ მაიკოსგან გავიგე, როცა მომატირა, მანამდე არაფერი ვიცოდი. — უპასუხა მთის კაცმა. ხელი დაუჭირა მის გვერდით მდგარ ლიას და ახედა. მერე განაგრძო: — შემთხვევით მომიხვდა ჩამოსვლა... გამოძახებული ვარ, ლია... — უთხრა და უბიდან დაბარების ქაღალდი ამოიღო. გაუწოდა. — ამისი არაფერი გაგიგია?

ლიამ ჩამოართვა ქაღალდი. გაშალა და წაიკითხა.

— იქნება გაგებული გაქვს, შემოგევლე, რატომ მეძახიან? — კვლავ ჰკითხა, როცა შეატყო, რომ ლიამ კითხვა დაასრულა.

— არაფერი ვიცი... ჯოტოს მამავ... არაფერი გამიგია. — უპასუხა სწრა-

ფად ლიამ. — მაგრამ ის თუ იცი, ჯოტოს მამავ, რომ გამოცხადების ვადაც არის აქ დანიშნული?

— ვიცი... მგონია, — რომ ჯერ კიდევ არ არის დაგვიანებული...

ლიამ ხელის საათს დახედა.

— საცაა თორმეტი შესრულდება... მაინც მოასწრებ... აქედან ახლოა... დაიცა, ტელეფონით მევატყობინებ, რომ ჩამოსული ხარ:

— როგორ დაგსაქმო მგლოვიარე, ჩემო ლია... წავალ, როგორმე, მივაგნებ.

— კი, მაგრამ ქალაქში ახლა არ გაგატარებენ, ჯოტოს მამავ, თუ საშვი არ გაქვს...

— ეს ქაღალდი არ გამოდგება?

— არ ვიცი. სჯობს მოიცადო... ახლავე გავიგებ ყველაფერს. — სთქვა ლიამ და ოთახიდან სწრაფად გავიდა.

ერთ ხანს სდუმდნენ მთის კაცი და მაიკო. მერე მთის კაცმა ჰკითხა:

— როგორ მოხდა მაინც, მაიკო?... ლიას ვკითხე, მაგრამ არ მიპასუხა... ასე უეცრად რა მოუვიდა საბრალო იულონს?

— შვილის ჯავრს გადაჰყვა, გენაცვალოს მაიკო.

მცირე ხნით გაჩუმდა მთის კაცი.

— ჰმ... მესმის... — სთქვა მძიმე ამოოხვრით.

— ჰეე, რა ჩემი თქმა გინდა, შენი ჭირიმე... — განაგრძო მაიკომ. — რამდენია იმის მაგალითი, რომ მოიწერეს, ჩვენს თვალწინ დაიღუპაო... მერე ის, ვისზედაც მოიწერეს, შინ უვნებელი დაბრუნდა. აი, ჩვენს მეზობელს ცნობა მოუვიდა, შენი შვილი დაიღუპაო... იტირეს, იგლოვეს... ერთი გააჩნდათ მხოლოდ... არ გასულა თვეც, რომ შვილი ცოცხალი დაუბრუნდათ... ეს ნამდვილად ვიცი, შენი ჭირიმე: ტირილზე ვიყავი, მერე ლხინზედაც... ასე იყო, შემოგევლოს მაიკო! მაგრამ ჩემმა უბედურმა ძმამ იულონმა ეს ვერ მოიფიქრა...

— როგორ, ცნობა რამე ხომ არ მოსულა?...

— იმ დღეს... დილით ფოსტალიონს წერილი მოუტანია... ლიას ჩამოურთმევია... თემურის უცნობი ამხანაგი იტყობინებოდა, ვითომ... დაიღუპაო მტერი და უბადო.

— რაო, რას ამბობ, მაიკო? — ელდანაკრავივით წამოიჭრა სკამიდან მთის კაცი.

— მაგრამ რა დასაჯერებელი იყო, შენი ჭირიმე?... აკი გითხარი რამდენი შემთხვევაა, წერილი მოდის ამნაირი და არ მართლდება... ლიასაც არ დაუჯერებია... და კომისარიატში გაქცეულა ამხანაგებთან ნამდვილი ამბის გასაგებად... ეს წერილი კი მაგიდაზე დარჩენია თავის ოთახში... ამ დროს წამომდგარა იულონი, ყავარჯენი მოუმარჯვნია და... ლიას ოთახში შესულა... ეჭვი თუ დაუბადა უბედურს ფოსტალიონის მოსვლამ და ლიას ფიცხელმა წასვლამ სახლიდან... ჰოდა, ოთახში შესულა. ის წერილი დაუნახავს, აუღია და წაუკითხავს. ასე ირკვევა, დაგენაცვლოს მაიკო, რადგანაც, როცა ლია დავიწყებული წერილის წასაღებად შინ დაბრუნებულა, თავის მაგიდის წინ იატაკზე უძრავად გაშხლართული მამა დაუნახავს... უსულო... ერთ ხელში ყავარჯენი შერჩენია თურმე, მეორეში — წერილი! ვაჰაჰაიმე ჩემს მოსწრებას, ძმაო იულონ, რატომ ვარ ცოცხალი, ამას რომ ვამბობ!... კომისარიატში კი ლიასთვის უთქვამთ: ჩვენ არაფერი გაგვიგია და კერძოდ მიღებულ ცნობას შემოწმებამდე ნუ დაუჯერებთო!.. ვამე, ვაიმე, რატომ დაუბნელე შენს თემურს დაბრუნების ბედნიერი დღე? რა ვუთხრათ, თავი როგორ ვიმართლოთ, რომ საყვარელი მამა ცოცხალი არ დაუხვდები!

მაიკო იულონის სასთუმალთან დაბალ სკამზე იჯდა, ცალი იდაყვით

ლოგინს დაყრდნობილი. მოსთქვამდა და ისე მოუთხრობდა მთის კაცს საშინელ ამბავს.

მთის კაცი კი ფეხზე იდგა გაშეშებული. გულზე დაეკრიფა ხელები და ზედ თავი დაეხარა. ხმა გაეკმინდა...

მაიკომ თავის მოთხრობასთან ერთად მოთქმაც დაამთავრა. ხანდახან გვიან-გვიან თუ გაისმებოდა სიჩუმით მოცულ ოთახში მისი მინელებული კვნესა და ოხვრა.

მთის კაცი კი სდუმდა. თუმცა როგორც ყელს შემოჭერილი სასიკვდილო მარყუჟი, ისე ახრჩობდა მას ეს დუმილი. მისი დარღვევა მაინც ვერ გაებედნა. უნდოდა ეკითხნა მაიკოსათვის: ლიას სხვა ცნობაც ხომ არ მიუღია ამდაგვარი ჯოტოს შესახებო, მაგრამ ამისთვის საჭირო ძალა არ აღმოაჩნდა. ამის მაგიერ ყრუ, მაგრამ ათრთოლებული ხმით წარმოსთქვა, რომ დუმილის მარყუჟი ოდნავ მაინც მოეშვა:

— ჰოო, უნდა გვწამდეს მაიკო, რომ გმირები არ იღუპებიან!

და უმალვე ისევ დადუმდა.

მაიკოს ხმა არ ამოუღია: გაუგებარი იყო მისთვის მთის კაცის სიტყვები.

მთის კაცი ისევ ფეხზე იდგა გულზე ხელებდაკრეფილი, მდუმარე და თავჩაქინდრული, როცა ლია დაბრუნდა. ლიას ყურადღება ოთახში გამეფებულმა სიჩუმემ მიიპყრო. გულმა უგრძნო:

— მამიდას უთქვამს ყოველივე, რაც მამას თავს გადაწყდაო.

დაიბნა. არ იცოდა, ახლა როგორ მოქცეულიყო? რა უნდა ეთქვა? ტელეფონით დალაპარაკების შემდეგ მთის კაცისთვის სათქმელი სიტყვა პირში შერჩენოდა. დაბნეული და შეშინებული მაინც მიუახლოვდა მთის კაცს. წინ დაუდგა და გაინაბა იმის მოლოდინში, თუ რას ეტყოდა თვითონ მთის კაცი, რათა ამისდა მიხედვით მოქცეულიყო.

მაგრამ მთის კაცი ისევ დუმილს განაგრძობდა, თითქოს ლიას ვერც კი ამჩნევსო.

ბოლოს ისევ ლიამ გაბედა სიჩუმის დარღვევა.

— ჯოტოს მამავ, — მიმართა მან მთის კაცს დაბალი ხმით, — როცა შენი აქ ყოფნა გაიგეს კომისარიატში, მითხრეს არსად არ წავიდეს, ახლავე კაცს გამოვგზავნითო.

ამის გაგონებაზე მთის კაცმა თავი აიღო, თითქოს მხოლოდ ახლა გამოერკვაო. თვალები შეავლო ლიას, მერე უხმოდ ხელზე მოჰკიდა ხელი. ჩაბღუჯა. მერე მაღლა აიტაცა და გულზე მოფერებით მიიკრა.

— ლია, სათნოებავ ჩემო! რამდენი რა თავს გადაგწყვეტია, და მე არ ვიცოდი... მაგრამ გწამდეს: ცოცხლები არიან ჩვენი გმირები... — ამის თქმა ღა შესძლო, ცრემლი მოერია და გულზე მიხუტებულ ხელს მთრთოლვარე ტუჩებით დასწვდა.

თავი ოცდამეთორმეტე

ჩაბნელებული ქალაქის უკაცური ქუჩებით მიაქროლებდა მთის კაცს უშუქო ავტომობილი. უშიშროების კომისრის მიერ მის წასაყვანად გამოგზავნილი მხლებელი წინ შოფერთან იჯდა, უკანა საჯდომზე მოთავსებული მთის კაცისკენ ცალი გვერდით მობრუნებული. ხელში ავტომატი ეჭირა, ლულით თავს ზევით აშვერილი. თუმცა მანქანაში უფრო ბნელოდა, ვინემ ქუჩაში, მაგრამ მთის კაცს მაინც ეჩვენებოდა, რომ მისკენ მობრუნებული მხლებელი მას თვალს არ აშორებდა. ისედაც ერთმანეთის მოწინააღმდეგე ფიქრებით აფორიაქებულ მთის კაცს ეს გარემოება გარკვეულ ეჭვს უღძრავდა.

მთის კაცისთვის ცხადი იყო, რომ ყოველივე, რაც დღეს მის გარშემო

მოხდა და ახლაც ხდებოდა, ეჭვმიუტანელ სინამდვილეს წარმოადგენდა. მაგრამ მაინც ფიქრობდა, რომ იგი უფრო სიზმარს ჰგავდა, ვინემ სინამდვილეს. მით უფრო ვერ ართმევდა თავს მოზღვავებულ ფიქრებს. მისი გაკვირვებული გონება უარს აცხადებდა განსაკუთრებულად იმის გააზრების ცდაზედაც კი, რაც იულონ გარსიას მოულოდნელ და საშინელ სიკვდილს შეეხებოდა, მისი ვაჟის თემურის შესახებ მოსული ცნობით გამოწვეულს. ამაზე ფიქრი მის ძალ-ღონეს აღემატებოდა.

ახლა იმის გამორკვევას ცდილობდა უფრო, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მისი მხლებელი? მისი შეიარაღებული ყარაული, როგორც პატიმრის, თუ მეგზური, მისდა საპატივცემოდ მასთან მოვლინებული?

რომ აკვირდებოდა, ხან ყარაულად ეჩვენებოდა, ხან კი მეგზურად. ყარაულად მაშინ წარმოიდგენდა, როცა კირილე გორაკოვის ვარაუდი მოაგონდებოდა, მისი გამოძახების მიზეზის ამხსნელი. ხოლო — მეგზურად, როცა მაცი ზურუბაიას აზრი გაახსენდებოდა იმავე მიზეზის შესახებ. მხლებელი თითქოს ერთსაც ამართლებდა და მეორესაც.

ის გარემოება, რომ იგი მისკენ ცალი გვერდით მობრუნებული იჯდა, ავტომატ-მომარჯვებული და თვალს არ აშორებდა, ისე ენიშნებოდა, თითქოს მხლებელი მას ყარაულობდა, როგორც პატიმარს. მაგრამ ამავე დროს მისი მეტად ზრდილობიანი თავმდაბალი მოქცევაც აგონდებოდა გარსიას სახლში, როცა პირველად გაიცნო, მხლებელი მაშინ დიდი თავაზით მიესალმა მას ისე მოიკითხა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობი ყოფილიყო და მისი პატივისმცემელი...პატიმარი რომ ყოფილიყო მთის კაცი, ასე როგორ მოექცეოდა?

მაგრამ რადგანაც ერჩივნა, რომ კირილე გორაკოვის აზრი გამართლებულიყო, ვინემ მაცი ზურუბაიასი, მხლებელის ზრდილობიან მოპყრობას თავისებურად ხსნიდა: ეტყობა ბოლშევიკებს ასეთ შემთხვევაშიც ახალი წესები აქვთ შემოღებულიო და პატიმრებისადმი ასეთი მოქცევა სჩვევიათო.

— ღმერთმა ქნას, — ამბობდა გულში, — რომ პატიმარი ვიყო და დასაკითხავად მივყავდეთ, ვინემ...

ასეთ ფიქრებში რომ იყო გართული, უცებ გამაფრთხილებელი სტვენა გაისმა ქუჩაში. სტვენას მედგარი ძახილიც მოჰყვა, და მანქანა მაშინვე დადგა.

მხლებელმა უმალვე გააღო კაბინის კარი, თავი გარედ გაჰყო და დაიძახა:

— მთის კაცი!

და ავტომობილმაც უმალვე განაგრძო გზა.

თუმცა მთის კაცმა გარკვეულად გაიგონა თავისი სახელი, მაგრამ არ დაიჯერა კი. შეუძლებლად ეჩვენა: რა შუაში იყო აქ მისი სახელი? უთუოდ სმენამ მოატყუა.

მთის კაცი ისევ თავის შეწყვეტილ ფიქრებს დაუბრუნდა.

ცოტა გაიარეს თუ არა, სტვენა განმეორდა და კვლავ დადგა მანქანა. მხლებელმა ამ შემთხვევაშიც მანქანის კარი გამოაღო, თავი გაჰყო და დაიძახა:

— მთის კაცი!

ახლა ზედმეტი იყო იმაზე ფიქრი, რომ სმენა ატყუებდა.

და მთის კაციც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ დაპატიმრებული იყო. თითქოს გულზე მოეშვა.

— ჰოო, ნამდვილად მოდალატე ვგონივართ... აჰა, შევიპყარით ის ქვეყნის დამქცევი მთის კაცი და მოგვყავსო, ამას თუ ახარებენ ერთმანეთს, რომ ჩემს სახელს იძახიანო, — გაივლო გულში, და მერე მოგონილი გულუბრყვილობით მიმართა მხლებელს:

— რას მიბრძანებდით წეღან, რომ დამიძახეთ... აქ ვარ, არსად წავსულვარო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასცინა კი ვითომ. თავისი აზრით.

— თქვენ არა.. თქვენ არ გეძახოდითო, — უპასუხა მხლებელმა, მაგრამ მთის კაცს არც კი გაუგონია მისი სიტყვები, რადგანაც სწორედ ამ დროს მანქანა უცებ დადგა, ამჯერად გაუფრთხილებლად და შეუძახებლად. მთის კაცმაც უმალვე სარკმელში გაიხედა, რა მოხდაო.

კარგად გაარჩია, რომ რკინის კარებიან მაღალ გალავანთან იდგნენ. გალავნის შიგნით, იქვე კართან ვეება მაღალი სახლი იყო ამართული, რომლის წინამო ქონგურიანი, სათოფურებ-დატანებული კოშკის კედელივით იყო მოყვანილი.

— უთუოდ ციხეში მომიყვანესო, — მაშინვე გაიფიქრა მთის კაცმა და ბედს შეურიგდა თავის გუნებაში.

ამ დროს მანქანიდან ჩამომხტარმა მხლებელმა მისი კაბინის კარი ფართოდ გააღო, და თითქოს ძვირფას სტუმარს სახლში ეპატიჟებაო, თავის დახრით მიმართა:

— მოვედით!

მთის კაციც დაუყოვნებლივ გამოვიდა ავტომობილიდან.

ალაყაფის კარებთან ორი თოფიანი ჯარისკაცი იდგა. მთის კაცმა ყური მოჰკრა, რომ მისმა მხლებელმა ერთ მათგანს ჩურჩულით უთხრა: „მთის კაციო“, რაც მთის კაცმა თავის ფიქრში ასე განავრცო: „მთის კაცი მოვიყვანეო“. ამის შემდეგ დარაჯებმა კარი გააღეს, თავათ აქეთიქით განზე დადგნენ და მოსულები გაატარეს. მხლებელი და მთის კაცი პირდაპირ სახლის შესავალს მიადგნენ.

გაიარეს ერთადერთი ოდნავ მბჟუტავი ლურჯი სანათურით განათებული მაღალ-თაღიანი, გრძელი დერეფანი და ელექტრონით გაბრწყვიალებულ ოთახში შევიდნენ. სინათლემ უცებ დააბრმავა მთის კაცი. შეფეთებულმა ძალაუნებურად მოჭუტა თვალები. დადგა.

ვერაფერი გაარჩია თავის გარშემო იმ საოცარ ბრწყინვალებაში, რომელსაც მოეცვა ოთახი იატაკიდან ჭერამდე, მაგრამ ერთი რამე კი მაშინვე ეცა თვალში: ეს იყო თავისი თავი, რომელიც ამ ბრწყინვალებას არაფრით არ შეეფერებოდა.

მხოლოდ ახლა დაინახა, რომ თავით ფეხებამდე მტვერში იყო ამოგანგლული, რომ მთებში სატარებელი ჩოხა ეცვა, ძველი, უმასრო, ნაკვთებ-მოშლილი, რომლის გამოცვლა სოუში არც კი მოგონებია სიჩქარის გამო... თითქოს უშნოდ ერტყა ქამარ-ხანჯალიც და ახალუხზე ღილკილო ყველგან შეკრული არ ჰქონდა.

მაგრამ ყველაზე უფრო სამარცხვინოდ ის მოეჩვენა, რომ წვრილი თასმით მხარზე გადაკიდებული თხის ცარიელი გუდის ჩამოხსნა დავიწყებოდა, და ისიც სამასრის ქვემოდ საპირისწამლის ადგილზე ბრტყლად და განივრად მიკვროდა გულმკერდის დამამშვენებელი, ჯერ არნახული სამკაულივით.

ჩაცმულობას რას უმველიდა. ჯავრი გუდაზე გადაიყარა. ხელის დაკვრით ჩამოიგლიჯა, შეკრა, შებოჭა და თვალის დახამხამებაში ჩოხის უბეში ღრმად ჩაიჩარა.

ამან ცოტა დაამშვიდა.

— მაინც სად ვარო, — ფიქრობდა გაოგნებული და უკვირდა, რომ ოთახი, რომელშიც იმყოფებოდა, საპატიმროს არამც-და-არამც არ ჰგავდა.

სინათლის ძალას რომ თვალი შეაჩვია, ოთახში გაიხედ-გამოიხედა. ვერსად შენიშნა მხლებელი, რომელმაც აქ შემოიყვანა. სამაგიეროდ ახლა სხვა ვინმე სამხედრო მიუახლოვდა. სალამი მისცა-გაღიმებულმა. ლბილ და დაბალ სავარძელზე მიუთითა.

— თქვენს მოსვლას ახლავე მოვახსენებ... მანამდე აქ დაბრძანდითო, — უთხრა. მერე მიტრიალდა და შავად მოჩულულ ვეება კარს მიადგა. ფრთხილად გამოაღო. ჯერ შეიჭვრიტა. მერე გააღო და შიგ გაუჩინარდა.

მითითებულ სავარძელზე დაჯდომას მთის კაცმა ისევ ფეხზე დგომა არჩია. რაკი მარტო იყო, უფრო თამამად და დაკვირვებით შეავლო თვალები ოთახს.

კედელზე ჩამოკიდებული, მოვარაყებულ ჩარჩოებში ჩასმული სურათები შენიშნა. უწინარეს ყოვლისა მათი გამოცნობა სცადა, რათა ამით მაინც მიმხვდარიყო, თუ სად იმყოფებოდა. მაგრამ შავი კარი ამ დროს ისევ გაიღო. იქიდან ჩქარი ნაბიჯით გამოსული იგივე სამხედრო პირი ჯიქურ მოუახლოვდა და დაბალი ხმით მიმართა:

— წამობრძანდით! — უთხრა თუ არა, მაშინვე წინ გაუძღვა. მაგრამ გამოღებულ კართან რომ მივიდა, თვითონ განზე გადგა და მთის კაცის წინ ოთახში შესასვლელი გზა გაანთავისუფლა.

შეყოყმანდა მთის კაცი, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო: გზა უნდა განეგრძო.

შესდგა თუ არა ოთახში ფეხი, დადგა და იქაურობას თვალები შეავლო.

ეს ოთახი უფრო პატარა მოეჩვენა, ვინემ პირველი. მის შუაგულში გრძელი, წითელი მაუდ-გადაფარებული მაგიდა იდგა, გარშემო მაღალ-ზურგიანი სკამებ-შემოწყობილი. მის თავში ორი კაცი შენიშნა. ერთი იჯდა, მეორე კი ფეხზე იდგა. ორივენი გვერდის კედელს, შესცქეროდნენ, რომელზედაც ვეება რუკა უნდა ყოფილიყო გაკრული, განსაკუთრებულად გაშუქებული და ფერადი ხაზებითა და ნიშნებით აჭრელებული.

ის, რომელიც იჯდა, სათვალიანი იყო, პირმრგვალი, ფართო და მაღალშუბლიანი, უწვერულვაშო.

ფეხზე მდგარი საშუალო სიმაღლის კაცი ჩანდა. კედლისკენ ნახევრად შებრუნებულს ხელში წვრილი და გრძელი ჯოხი ეჭირა, რუკაზე მიშვერილი.

ისე იყვნენ რუკის თვალიერებით გართულნი, რომ მთის კაცის შესვლა არც კი შეუტყვიათ. მხოლოდ მაშინ მოიხედეს მისკენ, როცა კარის დახურვის ხმა ესმათ. მაგიდის თავში მჯდომარე ფიცხლად წამოდგა. სათვალე ორი თითით გაისწორა ცხვირზე და კართან ატუზულ მთის კაცს შეხედა. შეხედა თუ არა, ხმამაღლა წამოიძახა:

— მოგესალმებით მთის კაცო! — ფიცხლად მოშორდა მაგიდას, რომელსაც აჩქარებული ნაბიჯით შემოუარა, და მთის კაცს გაუპირისპირა. — მოხარული ვარ, რომ მეორედ გხვდებით, — უთხრა, როცა მიეახლა და ჩამოსართმევად ხელი გაუწოდა. — იმედი მაქვს, გაგახსენდებით, თუმცა ჩვენი პირველი შეხვედრა კარგა ხნის წინათ მოხდა, ჯერ კიდევ ომამდე.

ასეთი მოულოდნელობით გონებაშერყეულ მთის კაცს გამოწვდილი ხელის ჩამორთმევა კი მოეხერხებინა, მაგრამ ენა კი დაბმოდა. მხოლოდ გულში იმეორებდა:

„აი, სასწაული! ნამდვილი სასწაული!“

— მობრძანდით! — განაგრძო ისევ სათვალიანმა. — სწორედ თქვენზე გვქონდა ახლა საუბარი... მოგელოდით. — ხელი მკლავში გაუყარა, მაგიდა შემოატარა და რუკასთან მიიყვანა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, — მიმართა ჯოხიანს... — ეს ის მთის კაცია, რომელიც ჩვენ სასწრაფოდ გამოვიძახეთ სოუდან... ჩვენი ახალი ნაწილების მეგზური ბზიფის ხეობაში.

პოლკოვნიკმა ჯოხი მაგიდაზე დააგდო და მთის კაცს ხელი ჩამოართვა.

— სასიამოვნოა, — მოკლედ უთხრა და ასევე მოკლედ მაგრამ საამოდ გაუღიმა.

— იგი საბჭოთა კავშირის გმირის, მფრინავი ჯოტო ქარდუას მამაა...—განაგრძო ისევ სათვალიანმა. — დამეთანხმებით: არ არის გასაკვირი, რომ ასეთ ვაჟკაცს შვილიც გმირი ჰყავდეს. — მერე ისევ მთის კაცს მიუბრუნდა.

— გარწმუნებთ, მთის კაცო, რომ თქვენი ვაჟის სახელი დაუვიწყარი დარჩება ჩვენი სამშობლოს გმირულ ისტორიაში. — ეს რომ უთხრა, მაშინვე სკამი მიაწოდა. — დაბრძანდით... ახლა საქმეზე მოვილაპარაკოთ!

მერე პოლკოვნიკსაც სთხოვა დამჯდარიყო. თვითონ ისევ მაგიდის თავში დაჯდა და მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ, მთის კაცს მტკიცე, გამოცვლილი ხმით ჰკითხა:

— როდის წამოხვედით სოუდან? — მისი დიდრონი შავი და მრგვალი თვალებიდანაც იმავე სიმტკიცემ გამოანათა, როგორიც მთის კაცმა მის ხმაში იგრძნო.

— დღეს დილა-ადრიან! — დაუყოვნებლივ უპასუხა მთის კაცმა, მაგრამ ეტყობოდა კი, რომ გაოცებას ჯერ კიდევ ვერ მორეოდა.

— დილა ადრიან! — ჩამოართვა სათვალიანმა სიტყვა, — მაშ თქვენ, შეიძლება, არც კი იცით, რომ უღელტეხილზე მდგომმა ჩვენი ჯარის ნაწილმა დღეს საღამოს უბრძოლოდ დასტოვა სანჭარო, ხოლო სოუელების რაზმმა — სოფელი სოუ..

ამის გაგონებაზე მთის კაცი უცებ აილეწა. გაკვირვებული წამოდგა. რაც ამდენი ხანი ფიქრი თუ ეჭვი უტრიალებდა თავში, ყველა ერთბაშად შეუწყდა განსაკუთრებულად ეოცა სოუს დატოვება. უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ სიტყვა ვერ ჰპოვა თავისი შეშფოთების გამოსახატავად.

— მაგრამ ეს არაფერია, მთის კაცო. — ესმა დამშვიდებული ხმა. — იქნება ასე სჯობს, ჩვენი საბოლოო გამარჯვებისათვის... დაბრძანდით და მომისმინეთ... თქვენ, ალბათ, იმის გაგება გინდათ, თუ რისთვის გამოგიქცეთ ასე სასწრაფოდ სოუდან, ამდენი გზა გამოგარონინეთ და ამ ხნის კაცი შეგაწუხეთ... პოლკოვნიკს მე თქვენი თავი ჩვენი ახალი ჯარის მეგზურად გავაცანი... გაგიკვირდათ ალბათ... საქმე ის არის, რომ ჩვენ ბზიფისკენ ვგზავნით ახალ ნაწილებს. მათი ამოცანაა იერიში მიიტანონ სოუში თავმოყრილ მტერზე და გაანადგურონ. ამ ამოცანის შესრულება გაადვილდება, თუ ჩვენ შევძელით მტრის შემოვლა ზურგიდან.. ეს შემოვლა შეიძლება მოხდეს მხოლოდ ბილიკების საშუალებით... მაგრამ ჩვენ ყველა ბილიკს არ ვიცნობთ, რომელიც ამ საქმისთვის გამოგვადგება... რაც ვიცით, ამ რუკაზეა აღნიშნული. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ მათ უთუოდ მტერიც იცნობს. მაშასადამე, საჭიროა, სხვა, ასე ვთქვათ, უცნობი ბილიკების პოვნა და გამოყენება, რომლებიც ალბად არსებობენ... ასეთი, ბილიკების თქვენზე უკეთესი მცნობი ჩვენ არ გვეგულება! რას იტყვით იმაზე, რომ სარდლობის სახელით გთხოვოთ, გაუწიოთ ჩვენს ჯარს მეგზურობა ბზიფის ხეობაში და ამით გაუადვილოთ მას დიდად საპასუხისმგებლო ამოცანის შესრულება.

უკანასკნელმა სიტყვებმა საბოლოოდ გამოაფხიზლეს მთის კაცი: მისთვის ნათელი შეიქნა ყოველივე, რაც აქამდე საიდუმლოებით იყო მოცული. იგრძნო, თითქოს ახალი ძალა შეემატა. მწარე ფიქრებით, დაბნეულობით აქამდე დაფარული ვაჟკაცური იერი და გაბედულება დაუბრუნდა. შიშითა და ეჭვებით ამდენს ხანს დახშული მეტყველებაც განუახლდა.

მხარ-ბეჭის გაშლით წამოდგა. მთელი ტანით გაიმართა. ხელები მაღლა აღაპყრო და შეკავებული მღელვარებით წარმოსთქვა:

— იმაზე უფრო სანატრელი რა უნდა მქონდეს მოხუცს, რომ ჩემს შვილს გვერდით ამოვუდგე ბრძოლაში. თუ ასეთი ნდობისა და პატივის ღირსად მცნობთ, გამომიყენოთ ისე, როგორც ამას ჩვენი ქვეყნის ბედნიერება მოითხოვს! მზად ვარ!

სთქვა და ხელები ძირს დაუშვა, თავი დაბლად დახარა.

საზეიმო კილო დაჰკრავდა მის ხმას. საზეიმო იყო მთელი მისი გარეგნული მოქცევაც. მაგრამ ამავე დროს როგორც ერთში, ისე მეორეში დიდი უბრალოებაც იგრძნობოდა, რადგანაც პირველი ბუნებრივად გამოხატავდა მის შინაგან განწყობილებას, ხოლო მეორე ასევე ბუნებრივად შეეფერებოდა მის ვაკკაცურ იერსა და გარეგნობას.

ოთახში მცირე ხნით ჩამოვარდნილი სიჩუმე მთის კაცის საპასუხოდ წარმოთქმულმა აღფრთოვანებულმა სიტყვებმა დაარღვიეს:

— მთის კაცო! სხვა პასუხს თქვენგან არც მოველოდი! მადლობელი ვარ!

თავი ოცდამეცამეტე.

მიუხედავად იმისა, რომ გვიანი ნაშუაღამევი იყო, უშიშროების კომისარიატიდან დაბრუნებული მთის კაცი და ლია დიდ ხანს ისხდნენ ჯოტოს ოთახში და საუბრობდნენ. მათი საუბრის საგანი სხვა რა უნდა ყოფილიყო, თუ არა ის, რომ მთის კაცის სოუდან გამოძახების აქამდე დაფარული ნამდვილი მიზეზი ასე უეცრად და საკვირველად გამოირკვა.

ახლა, როცა მთის კაცი ლიასთან საუბარში იგონებდა თავის ამღამინდელ თავგადასავალს, არანაკლებ გაკვირვებული ჩანდა, ვინემ იყო მაშინ, როცა მას უშუალოდ განიცდიდა. ძალიან უნდოდა ლიასაც გაეზიარებინა მისი გაკვირვება. მაგრამ იმისთვის, რომ ლიას ნათლად წარმოედგინა, თუ რა იყო აქ მაინცადამაინც გასაკვირი, საჭირო აღმოჩნდა იმის ცოდნაც, რაც მანამდე, სოუში მოხდა. — ეს იყო დივერსანტის შეპყრობის და მისი ჩვენების ისტორია, რაც მთის კაცმა დაწვრილებით უამბო.

ლიაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა ამ ისტორიამ. სანამ მას ბოლომდე მოისმენდა, შიშისა და გაოცებისაგან ისე გაშეშებულიყო, რომ ერთ ხანს ხმა ვერ ამოეღო. მხოლოდ მას შემდეგ, რაც კირილე გორაკოვისა და მაცი ზურუბაიას საქციელი შეიტყო, შიშიც და გაოცებაც აღტაცებით შეეცვალა.

— რა კარგი მეგობრები გყოლია, ჯოტოს მამავ! გორაკოვზე ბევრი რამე გამიგონია ჯოტოსაგანაც, მაგრამ ასეთი თუ იყო, არ მეგონა! რა შესანიშნავად მოქცეულა! — ამბობდა იგი.

მაგრამ მთის კაცმა მაინც ყველაფერი არ უამბო ლიას, რაც მას დღეს თავს გადახდა. ჩვეულ წინდახედულობასა და თავდაჭერილობას ამ შემთხვევაშიც არ უღალატა:—მან არ გაუმხილა ლიას, სახელდობრ, ის ეჭვები, რომლებიც მას ჯოტოს შესახებ აღუძრა მაცი ზურუბაიას ვარაუდმა, თითქოს მისი სოხუმში სასწრაფოდ გამოძახების მიზეზი შვილის დაშავება თუ დაღუპვა ყოფილიყო. არ გაუმხილა ეს უმთავრესად იმიტომ, რომ მოერიდა: არ უნდოდა თავისი ეჭვების ხსენებით, მამაზე ისედაც მგლოვიარე ქალისთვის ძმის შესახებ მიღებული ცნობა მოეგონებინა — მიზეზი მამის უეცარი გარდაცვალებისა, — მით უმეტეს, რომ თვითონ ლია ამაზე სდუმდა.

ეს უკანასკნელი გარემოება ისედაც ცუდად ენიშნებოდა მთის კაცს: — ლიას, იქნება, როგორც თემურზე, ისე ჯოტოზედაც ჰქონდა მიღებული სამწუხარო ცნობა და, მამის მაგალითით

შეშინებული, მას არ უმხელდა! იქნება, თემურზე საუბარსაც მთის კაცთან იმიტომ გაურბოდა, რომ ჯოტოს ამბავი არ წამოსცდენოდა.

ყოველ შემთხვევაში, რანაირიც უნდა ყოფილიყვნენ მთის კაცის ჩუმი ფიქრები, ისინი მას ხელს არ უშლიდნენ ლიასთან გულდასმით ესაუბრა იმ საკითხებზე, რომლების გამო იგი გამოძახებული აღმოჩნდა სოუდან.

ამ საუბრის დროს მთის კაცისთვის მალე ნათელი გახდა, რომ მიუხედავად თავს დამტყდარი დიდი ოჯახური უბედურებისა, ლიამ ზედმიწევნით იცოდა ყოველივე, რაც იმ საიდუმლო სამხედრო სამზადისს შეეხებოდა, რომელიც სოხუმში მიმდინარეობდა.

მთის კაცმა მხოლოდ ლიასაგან გაიგო, რომ ასეთივე სამზადისი მიდიოდა საქართველოს სხვა კუთხეებშიაც და რომ ამ დიდ საქმეს ხელმძღვანელობდა უმაღლესი მთავარსარდლის მიერ საქართველოსა და ამიერკავკასიის დასაცავად საგანგებოდ გამოგზავნილი მისი ერთგული და უახლოესი თანამებრძოლი.

ამის გარდა მთის კაცმა ბევრი სხვა მისთვის აქამდე უცნობი ამბავიც გაიგო ლიასგან. ამაში მთავარი იყო ბზიფისთვის დანიშნული, ახლად გადაჯგუფებული ჯარის ნაწილის მზადყოფნა სალაშქროდ.

ლიას ცნობით ამ ნაწილის მეთაურთა შორის, ჯოტოს და თემურის მეგობრებიც იყვნენ: ამხანაგი ვახტანგი, ნაწილის პოლიტხელი, ლეიტენანტები ბატა, რეჯიბი და კიდევ სხვები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მთის კაცის საზეიმო შეხვედრაში...

— მე მგონია, — სთქვა ბოლოს ლიამ, — რომ ამ ნაწილის გასვლა სოხუმიდან სულ მალე მოხდება, როგორც ამხანაგები ამბობენ, და შენც მას გაჰყვები, როგორც მეგზური. ალბათ, ამით აიხსნება, რომ ასე სასწრაფოდ გამოგიძახეს... ჩემთვის ეს დიდად სასიხარულოა, ჯოტოს მამავ, რადგანაც ერთად ვიქნებით.

— რა თქმა უნდა... რა თქმა უნდა... ისე მეგონება, ჯოტოსა და თემურთან ვარ!... — უპასუხა მთის კაცმა, რომელსაც კარგად ვერ გაეგო ლიას უკანასკნელი სიტყვების აზრი. ლია მიხვდა ამას და განუმარტა:

— მეც იმ ნაწილში ვარ ჩარიცხული მეთქი, ჯოტოს მამავ... შენ ვერ გამიგე.

გაოცებული თვალებით შეხედა ლიას მთის კაცმა. ეტყობოდა, რომ ახლაც ვერ გაეგო ლიას სიტყვები.

— როგორ თუ ჩარიცხული, რას ამბობ, შვილო?

ლიამ ხელმეორედ განუმარტა, რისი თქმაც უნდოდა.

— მართლა თუ?... ქალები რომ ჯარში არ გაჰყავთ, ლია! რატომ მატყუებ?

— მანუჩას განა არ უთქვამს შენთვის, ჯოტოს მამავ, რომ მე სანიტარულ რაზმში ვარ ჩარიცხული?.. თუ მე დამავიწყდა ეს მეთქვა მისთვის? იქნება, მართლაც არ მითქვამს, ისე ეჩქარებოდა უკან დაბრუნება... საქმე ასეა, ჯოტოს მამავ: სულ ოთხნი ვართ მეგობარი ქალები, რომლებიც ბზიფის ფრონტზე მივდივართ.

— ჩვენ კი ქალები სოუდან აქეთ გავხიზნეთ, ლია!

— მედიცინის დებად მივდივართ, ჯოტოს მამავ... დაჭრილების, ავადმყოფების მოსავლელად... აბა, ახლა სახლში რა გამაჩერებს? მამა აღარ არის... ჩემი მეგობრები კი ყველანი ფრონტზე იქნებიან... სახლკარს მაიკო მიხედავს, რომელიც აქ დარჩება.

— ნუ მეუბნები, ლია! — თითქო ბავშვივით გაებუტაო, ისე გაუწყრა მთის კაცი. მაგრამ ლიას ბეჯითი, გადაჭრილი პასუხის შემდეგ, სხვა გამო-

სავალი ვერ ჰპოვა, გარდა იმისა, რომ სთხოვა:

— რა ვქნა, თუ ასეა, უთხარი მაინც ამხანაგებს, რომ მეც იმ ნაწილში მამყოფონ, სადაც შენ იქნები... თვალწინ მეყოლები მაინც...

*
* *

დილით ადრე მოვიდა მანქანა მთის კაცის წასაყვანად. მას ისევ წუხანდელი მხლებელი მოჰყვა, ახალგაზრდა მხედარი. მაშინვე იცნო იგი მთის კაცმა, მიუხედავად იმისა, რომ წუხელ ღამით ჰყავდა ნახული და მისი სახე კარგად არ დამახსოვრებოდა. უფრო ზრდილობიანი ქცევით იცნო, რომელიც მისთვის შეემჩნია. დღის სინათლეზე კი თვალების ერთი შევლება საკმარისი აღმოჩნდა, რომ მისი ვაჟკაცური შესახედაობაც ძალზე მოსწონებოდა: მაღალი და თვალ ტანადი იდგა იგი მთის კაცის წინ, მორიდებულად უღიმოდა და ისე აღტაცებული შესცქეროდა, რომ ცხადი იყო, მისი ხილვით სტკბებოდა.

რაკი მთის კაცს მისდამი კეთილი განწყობილება შეექმნა, მისალმების თანავე სახელი და გვარი ჰკითხა, ნაცნობი გვარის კაცი აღმოჩნდა მხედარი.

— მიხარია, — უთხრა მთის კაცმა და მაშინვე სადაურობაც გამოჰკითხა. მერე სკამი შესთავაზა დასაჯდომად, მაგრამ მხედარმა თავის გაქნევით უარი განაცხადა დაჯდომაზე, ვითომ მთის კაცის წინაშე ასე როგორ გავკადნიერდებიო.

— აშიხსენით ერთი ამბავი, ყმაწვილო, — მიმართა მერე მთის კაცმა, — ის რას ნიშნავდა, რომ წუხელ მანქანაში თქვენთან ერთად ვიჯექი, თქვენ კი ყარაულების ყოველ დასტვენაზე მანქანის კარს აღებდით, ქუჩაში მეძებდით და მეძახდით?

— ჰო, ვიცი, გაგიკვირდათ! — გაეცინა ახალგაზრდა მხედარს. — სახიშნებლად ჰქონდა მიცემული ქალაქის მცველებს თქვენი სახელი... ჩვენ იგი საშვის მაგიერობას გვიწევდა!

— რას მეუბნებით? აქამდე აზრადაც არ მომსვლია, რომ ასე იყო... მე სხვანაირად ავხსენი! დიდი პატივი დაგიდვიათ ჩემი სახელისათვის! — გაუკვირდა მთის კაცს.

ლიაც იქ იყო.

— მე კი მაშინვე გავიფიქრე, როცა მიამბე ჯოტოს მამავ, რომ ასე იქნებოდა სწორედ რა თქმა უნდა, გაგიკვირდებოდა! — ჩაურთო მათ საუბარში ლიამ, მერე მხლებელს ჰკითხა, თუ სად უნდა წაეყვანა მთის კაცი.

— ჯარის პირველ ნაწილში... — უპასუხა მან.

— პირველში? — აღტაცებით გაიმეორა ლიამ. — ჯოტოს მამავ, ხომ გითხარი, რომ ჩვენთან იქნები! რა მიხარია!

მამის სიკვდილის შემდეგ ლია დღეს პირველად გადიოდა სახლიდან, საგარეოდ გამოწყობილი. შავი კაბა გაეხადნა სამგლოვიარო და მედიცინის დის ფორმა ჩაეცვა: მომწვანო ფერის ხალათი ფართო გულის-ჯიბეებიანი, ქვედატანზე გადმოშვებული. ერთ მკლავზე წითელი ჯვარგამოსახული თეთრი არშია ეკეთა, მეორეზე სამგლოვიარო შავი ნიშანი წვრილად შემოეკრა. მხარზე წამლების სატარებელი ჩანთა ეკიდა, შუაში ჯვრით დადაღული.

ლიას პატარა ბავშვსავით სახე აელეწა, როცა ამ დილით ასე გამოწყობილი მთის კაცს პირველად ეჩვენა. შერცხვა, თვალი ვერ გაუსწორა. ეუხერხულებოდა, რომ მამის სამგლოვიარო შავი სამოსელი ორმოც დღეზე უფრო ადრე გაეხადნა.

— გარედ ძონძებში აბა როგორ ვიარო, ჯოტოს მამავ! — ვითომ თავი

იმართლა. მაგრამ მთის კაცმა ოდნავადაც არ შეამჩნევინა, რომ მისი მორთულობა ეუცხოვა.

— შენ იყავი კარგად, ჩემო ლია, და შინაც და გარედაც ისე ჩაიცვი, როგორც გინდოდეს! — უთხრა დასამშვიდებლად. ხოლო ის კი ვერ მოითმინა, რომ წელზე მცდელი თვალები არ შეევლო: რევოლვერი ხომ არ ჰკიდიაო. ეს შეუმჩნეველი არ დარჩა ლიას. ეჭვით მიხვდა, რასაც ეძებდა. სახეზე მოკლე ღიმილი აუთამაშდა.

— თუ იარაღს ეძებ, ჯოტოს მამავ, იგი ჩვენთვის სამწუხაროდ არ დაურიგებიათ! — უთხრა ისეთი ხმით, თითქოს ამის გამო მწუხარებას გამოსთქვამსო.

— ნურც იწუხებ ამაზე! ნეტავი ადამიანის საკლავი იარაღი სულაც კი ისე გაწყდებოდეს ამ ქვეყანაზე ხალხის საბედნიეროდ, რომ არც იშოვნებოდეს, ჩემო მშვენიერო ლია, — მიუგო მთის კაცმა.

ამის შემდეგ მანქანისკენ გაემართნენ. ეზოდან არ იყვნენ ჯერ კიდევ გასულნი, რომ — სად იყო სად არა — ამდენ ხანს უჩინარი მაიკო დაეწია მთის კაცს, მკლავზე წაეპოტინა და განზე გაიხმო. ჩურჩულით უთხრა:

— გაფიცებ იულონის სულს, მთის კაცო... არ გაუშვა ეს გოგო ჯარში... ძალიან გთხოვ, დაგენაცვლოს მაიკო... შენს გარდა სხვას არავის დაუჯერებს... დაუშალე, გევედრები! — უთხრა თუ არა მაშინვე ცრემლი გადმოყარა თვალებიდან.

— რა ვქნა, მაიკო... ჩემიც არ სჯერა... თუ არ დაიშალა, ის იმედი მაქვს, რომ ჩემთან ვამყოფო... თვალყურს ვადევნებ მაინც...

მაგრამ შათ საიდუმლო საუბარში ლია ჩაერია.

— მამიდა, ნუ აგვიანებ ჯოტოს მამას... — დაუძახა შორიდან. — ნუ აწუხებ!

— სუ, მე ვიცი, რასაც ვაკეთებ! — შეუწყვეტა მაიკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მთის კაცს შეტა-ფარა დაუცდია მაიკოსთან. ჭიშკარს მიაშურა.

მანქანა ფიცხლად გაუდგა გზას.

დაეშვნენ თუ არა გორაკიდან ქალაქში, პირველსავე ფართო ქუჩაზე ლიამ მანქანა დააყენებინა. გადმოხტა. ბოდიში მოითხოვა თანამგზავრებთან: ერთ წუთში დავბრუნდებიო, უთხრა და იქვე კუთხის სახლში შეირბინა, რომლის შესასვლელთან მაღლად დაკიდებული აბრის ქვეშ ბავშვიანი ქალები იდგნენ უმეტესად. მთის კაცმა შოფერთან მჯდომარე ახალგაზრდა მხედარს ჰკითხა, თუ რას წარმოადგენდა ის აბრიანი სახლი. აღმოჩნდა, რომ ლია სამხედრო კომისარიატში შესულიყო.

მაგრამ მართლაც ერთი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ ლია ისევ იმ სახლის კიბეზე ჩამოდიოდა უკან მომავალი. გვერდში ვიღაც კაცი მოყვებოდა, ნაბდის ქუდიანი და მხარზე აბგაგადაგდებული. მთის კაცმა იგი დანახვის უმალვე თადეს მამად-ხუტად შეიცნო, რომელმაც ორიოდე დღის წინად მაკინე და რუსუდანი სოუდან გუდაუთში გახიზნა.

გაკვირვებული მთის კაცი მაშინვე ჩამოვიდა მანქანიდან.

— ხუტა, როგორ მოხდა, რომ აქ გხედავ? — ჰკითხა მისალმებისთანავე.

ხუტას მშვიდობით ჩაეყვანა ქალები გუდაუთში. მაკინე და რუსუდანი მეორე დღესვე სამეგრელოში გაესტუმრებინა იქითკენ მიმავალი ავტომობილით, რომელიც შემთხვევით ეშოვნა.

— ახლა ისინი შინ, სამშვიდობოს იქნებიან, მაგრამ... მე კი არ ვიცი, სადღა წავიდე? წუხელ ჩამოველ გუდაუთიდან.. სამხედრო კომისარიატში მაქვს საქმე უბედური ჩემი ბიჭის თაობაზე... ის-იყო, ლიაც იქ შემოვიდა. შენი აქ ყოფნის ამბავი მითხრა... დღესვე ვაპირებდი შინ დაბრუნებას,

მაგრამ დილით ხმა დავარდა, მტერმა სოუ აიღოო... ლიაც აძას ამბობს... ნუთუ ეს მართალია, მთის კაცო? შენ გეცოდინება მართალი.

— დიდი უბედურება დაგვატყდა თავს, ხუტა.

— ვაი, ჩემს თავს! ეს რა მესმის? — თავში ხელი იცა ხუტამ.

— ჯარი მიდის სოუს დასახსნელად, ხუტა. ნუ გეშინია, მტერს მალე გარეკავენ.

— მანამდე თავი სად შევაფარო მე უბედურმა?.. ვაიმე, ვაიმე, ეს რა მომხდარა!

— ჩემსას დარჩი, ხუტა. თადეს მამა უცხო არ იქნება ჩემს სახლში. — მიმართა ლიამ გულშემოყრილ ხუტას. მაგრამ სანამ იგი პასუხს გასცემდა, მთის კაცმა დაასწრო:

— მოდი, რა ვქნათ, იცი, ხუტა?.. შენც ჩემს ძმასთან წადი ლაკადაში... იქ დარჩი... შეგინახავენ, მოგივლიან... როგორც შენს სახლში ისე იქნები... ა? რას იტყვი ამაზე?

— მადლობის მეტი რა მეთქმის, მთის კაცო? — გაუხარდა ხუტას.

რა მიიღო თანხმობა, მთის კაცმა ჯიბიდან ჯოტოს გაზეთი და წერილი ამოიღო და ხუტას გაუწოდა.

— ეს გაზეთი და წერილი ჩემს დედაკაცს გადაეცი, ხუტა... შიგ ჯოტოს ამბავი წერიათქვა... ჩემზე უთხარი, არა უშავს რა, ცოცხალიათქვა... დააიმედე შენებურად.... ცოდვაა.

— აბა, რა იქნება, უქმარშვილოდ არის დარჩენილი ამისთანა დროს საბრალო...

მთის კაცმა გზის ფულიც გადასცა ხუტას.

— ნუღარ აყოვნებ აქ... დღესვე წადი, როგორც კი კომისარიატში საქმეს მორჩები, — სთხოვა.

ამის შემდეგ ლია და მთის კაცი გამოეშვიდობენ ხუტას და ავტომობილში დაბრუნდნენ.

შოფერმა მაშინვე დასძრა მანქანა.

ლიას დარდიანი სახე ჰქონდა... ერთ ხანს ხმა არ ამოუღია. მერე სთქვა:

— რა ვქნა, ჯოტოს მამავ, რამდენი ხანია, რომ თემურზე შეკითხვა გავაგზავნინე დეპეშით, და პასუხი ჯერ კი არ მოსულა.

— ნუ გეშინია, მოვა. — მშვიდი და ბეჯითი ხმით უპასუხა მთის კაცმა. — მალე შეიტყობ თემურის კარგად ყოფნას. — მერე ცოტა ხნით გაჩუმდა და ფრთხილად დასძინა: — ჯოტოს წერილსაც აგვიანდება... მაგრამ არაფერია...

— არა, წერილი დაგვიანებული არ არის, ჯოტოს მამავ! — მაშინვე სწრაფად მიუგო ლიამ და თვალები ძირს დახარა.

და ორივენი შეთანხმებულებივით დადუმდნენ.

თავი ოცდამეთოთხმეტე.

გადაჯგუფებული, ახალი ჯარის პირველ ნაწილს ერთერთი სკოლის სამსართულიანი შენობა ეჭირა ქალაქის განაპირას, — დიდ-ეზოიანი, გალავანშემორტყმული. ეზოს წინ კიდევ ვრცელი ტრიალი მინდორი იდო, რომელიც ერთი მხრით ზღვის ნაპირზე გადიოდა.

როცა ავტომობილმა ქუჩიდან ამ მინდვრისკენ გადაუხვია, მგზავრების ყურადღება მანქანაში უეცრად შემოჭრილმა უცნაურმა ღრიანცელმა მიიპყრო. შოფერმა სვლა შეანელა, და საყვირმა გაბმული კივილი მორთო.

მთის კაცმა და ლიამ მაშინვე სარკმელში გაიხედეს, რა ამბავიაო.

მათ თვალწინ საკვირველი სანახაობა გადაიშალა: მინდორი თავით ბოლომდე სახედრებისა და ჯორის ჯოგით იყო მოფენილი. ყროყინი, ჭიხვინი და ადამიანების ძახილი ერთმანეთში არეულიყო.

მანქანას მალე ჯარისკაცები შემოეხვივნენ. მათ გრძელი სახრეები ეჭირათ ხელში და ზანტ ვირებს უმოწყალოდ სცემდნენ, გზიდან ერეკებოდნენ. დამფრთხალ ჯორებს კი ბედაურებივით მოეღერებინათ კისერი, კბილები დაეკრიჭათ და გულის გამაწყალებელი ხვიხვინ-წივილი აეტეხნათ. გასაქანი ადგილი რომ არ ჰქონდათ, მანქანისკენ ტლინკს ისროდნენ. ყალყზე შემდგარნი ერთმანეთს აწყდებოდნენ.

— კაცი მოვხუცდი, რა და რანაირი ჯოგი არ მინახავს ჩემს სიცოცხლეში, მაგრამ ამისთანას პირველად ვხედავ! — ამბობდა გაოცებული მთის კაცი.

არანაკლებ გაოცებულიყო ლიაც.

— მართლა, ეს რა ამბავია? — ჰკითხა მან გამყოლს.

— .მობილიზებული არიან, ამხანაგო ლია... ეს მხოლოდ პირველი პარტიაა— აუხსნა მისკენ მობრუნებულმა ახალგაზრდა მხედარმა.

— მობილიზებული? — ეოცა მთის კაცს მისი სიტყვა.

— ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, პატივცემულო მთის კაცო, რომ სანჭაროს ბილიკზე ბორბალი ვერ იტრიალებს... ჯარი კი გაივლის ფეხით, მაგრამ უიარაღოდ და უსურსათოდ ხომ ვერ იომებს... საჭურველს და სურსათსანოვაგეს ამათი ზურგით ავიტანთ ბზიფზე... თუ საჭირო იქნება, ბზიფის იქითაც...

მცირე ხნით დაფიქრდა მთის კაცი.

— მართალი ბრძანებაა! — წამოიძახა მერე აღფრთოვანებულმა.—ცხენზე უკეთ ესენი გამოდგებიან მთაში! ნამდვილი ამბავია! მაგრამ აქამდის ეს რატომ არ მოიფიქრეთ, დალოცვილებო! იქნება, სოუც გადარჩენოდა უბედურებას!

ისევ ჯოგს გადაავლო თვალი. ისე დააკვირდა, თითქოს ითვლისო.

— ჰმ... ნეტავი ვიცოდე, რამდენი იქნება? სად იყო მაინც ამდენი! გაჭირვების დროს ესენიც შეხედე, სამშობლოს როგორ გამოდგომიან!

მანქანამ ძლივს გაიკვლია გზა ალაყაფის კარებამდე და ეზოში შესრიალდა. მგზავრები ჩამოხდნენ.

აქ მათ კიდევ სხვა სანახაობა დახვდათ. დიდ ეზოში კუთხით კუთხემდე ჯარისკაცების ვარჯიშობა მიმდინარეობდა ჯგუფ-ჯგუფად. ისმოდა მეთაურების ბრძანების წამოძახება ხან ქართულად, ხან კიდევ რუსულად.

მანქანიდან ჩამოსვლისთანავე ახალგაზრდა მხედარი შენობაში შევიდა. ხოლო ლიას მეგობარი ქალები შემოეხვივნენ ყივილხივილით. გადაჰკოცნეს. იმათაც ისე ეცვათ, როგორც ლიას. სიხარულს გამოსთქვამდნენ მისი მოსვლის გამო.

— აი, ეს ჩემი ამხანაგები მოდიან ბზიფში, ჯოტოს მამავ! — მიმართა ლიამ მთის კაცს და თავისი მეგობრები წინ დაუყენა, გააცნო.

მაგრამ სანამ მათ შორის ლაპარაკი გაიმართებოდა, მთის კაცთან ორმა ახალგაზრდა მეთაურმა მოირბინა. მზეზე დამწვარიყვნენ, სახეზე ოფლი სდიოდათ. ესენი იყვნენ ახალგაზრდა ლეიტენანტები ბატა და რეჯიბი. მათ შორიდან ეცნოთ მთის კაცი. ვარჯიშობა შეეწყვიტათ წამით, რათა ძვირფასი სტუმარი ენახათ და მოელოცნათ მისთვის ჯოტოს დაჯილდოვების ამბავი.

მთის კაცმა სათითაოდ გადაჰკოცნა ისინი. თავისი სიხარული გაუმჟღავნა, მათი ნახვით გამოწვეული.

— ახლახან გიკითხა ამხანაგმა ვახტანგმა, ჯოტოს მამავ... ჩვენს პოლკოვნიკთან არის... მოგელიან! — უთხრა მერე რეჯიბმა.

— გავიგეთ, რომ ჩვენი მეგზური იქნები, მთის კაცო! გვიხარია შენი დიდი იმედი გვაქვს! — ეუბნებოდა ბატა.

ამასობაში ლია სადღაც გაეტაცნათ მის მეგობრებს. მალე მხლებელიც უკან დაბრუნდა და მთის კაცს სთხოვა პოლკოვნიკთან გაყოლოდა.

კიბემდის მიაცილეს ბატამ და რეჯიბმა მთის კაცი. იქ გაიყარნენ.

*
* *

პოლკოვნიკისა და მთის კაცის საქმიან პაემანს ნაწილის პოლიტხელი ამხანაგი ვახტანგიც დაესწრო რამდენიმე სხვა მეთაურთან ერთად. მათი საუბარი კარგა ხანს გაგრძელდა. იგი შეეხებოდა ბზიფის ხეობაში ჩასატარებელ საომარ ოპერაციას, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა სანჭაროს ბილიკით სოუში შემოჭრილ მტრის აუცილებელი განადგურება.

საუბარი ცალკე მაგიდაზე მოთავსებულ ბზიფის ხეობის სამხედრო ტოპოგრაფიულ რუკასთან მიმდინარეობდა, რომელზედაც წითელი და შავი პაწია სანიშნო ბაირაღებით იყო აღნიშნული საბჭოთა და მტრის ძალების განლაგება კავკასიონისა და ბზიფის ქედებს შუა. წითლები ბზიფის ქედის გაყოლებაზე ერჭვნენ, აჭავჭარის გადასავალის ორსავ მხარეს, შავებს კი სოფელი სოუ და მისი მიდამოები ეჭირათ სანჭაროს უღელტეხილის დაქანებიდან მოყოლებული.

პოლკოვნიკს თავისი ყურადღება უმთავრესად ამ ორი მოპირდაპირე ნიშნებს შორის გაკლაკნილი სანჭაროს ბილიკის ნაკვეთისათვის მიეპყრო..

— უნდა ვივარაუდოთ, — ამბობდა იგი და იქ მყოფთ ბილიკის რელიეფურ გამოხატულებაზე მიუთითებდა, — რომ ამ მხრიდან სოუს მისადგომი მტერს გამაგრებული აქვს... ყოველ შემთხვევაში გამაგრებული იქნება იმ დროისთვის, როცა ჩვენ ბზიფში ასვლას შევძლებთ. უნდა ვიფიქროთ აგრეთვე, რომ სოუს მეორე მხარეც, რომელიც აჭავჭარისკენ არის მიშვერილი და სადაც გუშინს აქეთ მტრის განსაკუთრებული მოძრაობაა შენიშნული, მოკლე ხანში ალბათ გამაგრებული იქნება... — აქ უცებ შესწყვიტა თავისი სიტყვა პოლკოვნიკმა. მთის კაცისკენ მიიქცა და მოულოდნელად ჰკითხა:

— აჭავჭარაზე გამახსენდა... სოუს კოლმეურნეობის ჯოგი ხომ აჭავჭარის ზეგანზე დგას, რამდენადაც ვიცი. ხომ მართალია?

— მართალი გახლავთ... იდგა... ახლა გახიზნული უნდა იყოს, ბატონო! — მიუგო ჯოგის ხსენებით ცოტა არ იყოს შეცბუნებულმა მთის კაცმა.

— ჰმ... უნდა იყოს, მაგრამ არის კი გახიზნული? ამის ცნობა თქვენ არ გექნებათ...

— რა მოგახსენოთ.

— არის შეუმოწმებელი ცნობა, რომ ჯოგის ნაწილი მტერს ჩაუვარდა ხელში!

მეხი რომ გავარდნილიყო ოთახში, მთის კაცს ისე არ გააკვირვებდა. — პოლკოვნიკის სიტყვები ან გამოძახებისთანავე ისე აითვისა, თითქოს მახუჩას და ჯონდოს დაღუპვის ამბავი ეუწყებინოსთ მისთვის. უცებ ქარიშხალის სისწრაფით თვალწინ ჩაუქროლეს საყვარელმა სახეებმა. ჩაუქროლეს და წამით ნათელი დღე დაუბნელეს.

— ეს... შეუძლებელია! — გაუბედავად, ვითომ თავისთვის წარმოსთქვა მან, როცა ისევ გონს მოვიდა და უმწეობის გამომხატველი თვალებით შეხედა პოლკოვნიკს. — ნუ თუ ეს მართალია, ბატონო?

— მგონია, თვითონ სოუს აღებაზე — უფრო — მძიმედ იმოქმედა ამ ამბავმა თქვენზე... გასაგებია, რაკი მე-

ჯოგე ბრძანებულხართ... შაგრამ, ომია, ძვირფასო მთის კაცო, და... უარესიც რომ მოხდეს, არ უნდა შევდრკეთ... მით უმეტეს, როგორც მოგახსენებ, ეს ცნობა შეუმოწმებელია.—ისეთი მშვიდი აუღელვებელი ხმით ლაპარაკობდა პოლკოვნიკი, თითქოს აქ არაფერიაო. მერე ისევ მეთაურებს მიუბრუნდა და შეწყვეტილი სიტყვა განაგრძო:

— მაშასადამე, ამხანაგებო, გეოგრაფიული პირობების მიხედვით სოფელი სოუს ორი, შედარებით ადვილად მისადგომი მხარე, ესე იგი სანჭაროს ბილიკის ხაზი და აჭავჭარა ჩვენ შეკრული დაგვხვდება, როცა ბრძოლას დავიწყებთ, მაგრამ რჩება სოუს აღმოსავლეთი მხარე, რომელიც გაუვალად ითვლება და, როგორც ასეთი, რაიმე სამხედრო ოპერაციისათვისაც გამოუსადეგარად. როგორც ჩანს, მტერს იგი ჯერჯერობით უყურადღებოდ აქვს დატოვებული, რაც ბუნებრივია. ჩვენც სწორედ ეს გარემოება უნდა გამოვიყენოთ... — აქ პოლკოვნიკმა მეორედ შესწყვიტა თავისი სიტყვა და კვლავ მთის კაცს მიუბრუნდა. მკლავზე მოჰკიდა ხელი და ჰკითხა: — თქვენ როგორ ფიქრობთ, ძვირფასო მთის კაცო, ეს მხარე მართლა გაუვალია, როგორც ჰგონიათ, თუ ეს შემცდარი წარმოდგენაა მხოლოდ და სინამდვილე კი სხვანაირია?

პოლკოვნიკის სიტყვებს და თავდაჭერილობას ისე ემოქმედათ მთის კაცზე, რომ თავის ამისწინანდელ აღელვებას თითქოს მორეოდა.

— მე არ ვიცი, ბატონო, რამდენად დამეჯერება, მაგრამ ვფიქრობ, რომ დედამიწაზე ისეთი ადგილი არ უნდა არსებობდეს, სადაც ადამიანს გავლა არ შეუძლია, თუ მოინდომა! — ენის წაუბორძიკებლად უპასუხა მან პოლკოვნიკს.

— გეთანხმებით: ადამიანს კი, მაგრამ ჯარს?

— ჯარის კი რა მოგახსენოთ! ამის გამოცდილება არ მაქვს.

— მაგრამ სადაც ერთი გაივლის, იქ ასიც გაივლის, მთის კაცო!

— ეს დამოკიდებულია დანარჩენ ოთხმოცდაცხრამეტზე, ბატონო!

— სწორია!... თქვენ ალბათ, არა ერთხელ გივლიათ იმ ადგილებში ნადირობის დროს!

— რა თქმა უნდა, ბატონო.

— ახლაც რომ მოგიხდეთ გავლა, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით... ა? რას იტყვით ამაზე?

— ვერ გეტყვით, რომ წინათ გამჭირვებოდეს იმ ადგილებში სიარული, ბატონო.

— არც ახლა გაგიჭირდებათ... მაშ, მოდით, ახლა დავსხდეთ და ისე მომისმინეთ, რაც თქვენთვის სათქმელი მაქვს, მთის კაცო! — მიმართა პოლკოვნიკმა მას და თავის სამუშაო მაგიდისკენ გაიყოლია.

მეთაურებსაც მოუწოდა დამსხდარიყვნენ.

— ჩვენი ამოცანა, — დაიწყო მან, როცა დამსხდარნი მის მოსასმენად მოემზადნენ, — თქვენთვის უკვე ცნობილია, პატივცემულო მთის კაცო. იგი განგიმარტათ თქვენ ჩვენმა ხელმძღვანელმა წუხელ... ახლა აღარ გავიმეორებ. დაუფარავად უნდა გითხრათ, რომ თქვენს მონაწილეობას ამ ამოცანის გადაწყვეტაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ბევრი რამე არის თქვენზე დამოკიდებული. პირდაპირი იერიშის მიტანა მტერზე იმ მხრიდან, სადაც ის გამაგრებული იქნება, დიდ მსხვერპლს შეიწირავს. მაგრამ თუ შემოვლითაც მივიტანთ იერიშს, გამარჯვება ნაკლებ მსხვერპლად დაგვიჯდება. ეს ნათელი ამბავია. მაგრამ თქვენ შემოვლა სთქვით! აშკარაა, რომ აღმოსავლეთის მხრიდან სოუში დაბანაკებული მტერი ჩვენს თავდასხმას არ მოელის მისი გამოუვალობის გამო. მაგრამ მთის კა-

ცის სიტყვები არ უნდა დაგვავიწყდეს: დედამიწაზე ისეთი ადგილი არ არსებობს, სადაც ადამიანს გავლა არ შეეძლოს. ეს ჭეშმარიტებაა... თუ ამას ვიწამებთ, მაშინ სოუს აღმოსავლეთი მხარის გაუვალობა ჩვენ უნდა დავძლიოთ. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ ამას მთის კაცის შემწეობით შევძლებთ. საკმარისია ასი კარგი მთამსვლელი მეომარი მტერს ზურგს უკან მოექცეს და მოულოდნელად შეუტიოს, რომ ჩვენ ბრძოლა მოვიგოთ... რა თქმა უნდა შეტევა ერთდროულად სანჭაროს ბილიკის მიმართულებითაც უნდა დაიწყოს, და, თუ მოხერხდა, აჭავჭარის მხრიდანაც... მე ნაბრძანები მაქვს ჩვენს მთის კაცს გარკვეული დავალება მივცე. ეს დავალება იმაში გამოიხატება, რომ ის იმ ას მეომარს წინ გაუძღვება გაუვალად მიჩნეულ ადგილებში და მტერს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მიადგება, საიდანაც იგი ჩვენ არ მოგველის!.. ეს არ არის ადვილი შესასრულებელი, მაგრამ შეუძლებელიც არ არის... არ არის, რადგანაც მის შესრულებას ჩვენი სარდლობა მთის კაცს ავალებს და არა სხვას ვისმე... როდის უნდა მოხდეს ეს ყოველივე? რაც შეიძლება მალე. ჩვენი ნაწილი ხვალ დილით გაუდგება ბზიფის გზას. უნდა ვიფიქროთ, რომ ორ-სამ დღეში ბზიფს მიაღწევს, სადაც მოუთმენლად მოგველის ჩვენი მცირერიცხოვანი რაზმი სოუელ მოხალისეებთან ერთად. რაც შეეხება მთის კაცს, იგი ბზიფამდე ჩვენ არ დაგვჭირდება, და დღესვე დაბრუნდება უკან, რომ დრო არ გააცდინოს. სამ დღეში მთის კაცი მიაკითხავს თავის ნაცნობ ბილიკებს, შეამოწმებს მათ, შეისწავლის, გაივლის კიდევაც ზედ და ყველაზე საიმედოსა და მომარჯვებულს აარჩევს... მე მგონია, მთის კაცი დამეთანხმება, რომ საქმისთვის ასე აჯობებს!.. ამნაირად ჩვენს ნაწილს იგი მომზადებული დახვდება ადგილზე.. და ჩვენც საქმეს შევუდგებით!.. თუ საწინააღმდეგო სათქმელი არავის აქვს, ნება მიბოძეთ, მთის კაცს კეთილი მგზავრობა ვუსურვო და ამით დავამთავრო ჩვენი დღევანდელი თათბირი.

—.—

თავი ოცდამეთხუთმეტე

თუ გუშინ სოუდან სოხუმს მიმავალ მთის კაცს ჯოტოს დარდი ჰქონდა აკიდებული, დღეს სოხუმიდან უკან დაბრუნებულს ახალი საჯავრებელი გაჩენოდა. ეს იყო მანუჩას და ჯონდოს გადარჩენისა თუ არგადარჩენის საკითხი.

— ნუ თუ ორთავეს ბედმა უმტყუნა და აჭავჭარის ფერმის ჯოგის ნაწილთან ერთად ისინიც მტრის ხელში ჩავარდნენ.

თუმცა პოლკოვნიკმა თავის ცნობას ჯოგის ნაწილის დაღუპვის შესახებ შეუმოწმებელი უწოდა, მაგრამ მთის კაცმა იგი გაგონებისთანავე დაიჯერა, რადგანაც მხოლოდ მაშინ მოიაზრა, რომ ჯოგის გახიზვნა ფერმიდან ნამდვილად გუშინ დილით დაიწყო, ესე იგი მისი სოუდან წამოსვლის დღეს... ჩანს, მტერი იმავე საღამოს შესევია სოუს, როგორც კი ჯარის ნაწილს და მოხალისეთა რაზმს იგი დაუტოვებიათ. ამავე დროს, ალბათ, წყეულს, ფერმაზედაც გაულაშქრნია.

ასე, ანგარიშობდა გზა-და-გზა მთის კაცი და უკვირდა კიდევაც რომ პოლკოვნიკის ცნობით მხოლოდ ჯოგის ნაწილი იყო ჩავარდნილი და არა მთელი ჯოგი, რადგანაც ერთ დღეში რამდენის გახიზვნა იყო შესაძლებული?

— სულ თუ არა უთუოდ უმეტესი ნაწილია დაღუპული! — ფიქრობდა გულდათუთქული მთის კაცი.

ასეთ პირობებში, რა გასაკვირია, თუ მანუჩა და ჯონდო ამ დაღუპულ

ნაწილში მოჰყვნენ. საფიქრებელია, რომ მანუჩამ, როგორც საქმის პასუხისმგებელმა მეთაურთაგანმა, თავის წინ სხვები გაისტუმრა აჭავჭარიდან... და მტერმაც ამ დროს მოუსწრო შეგვიანებულს.

ისიც შესაძლებელია, რომ ასე არ მომხდარიყო, და მანუჩა ჯოგის პირველ ნაწილს წინ გაძღოლოდა, ადრე გაცლოდა საშიშ ადგილებს.

მაგრამ მთის კაცს როგორ შეეძლო იმის გამორკვევა, თუ რომელი ერთი იყო მართალი.

ეს ახალი დარდი მის გულს ისე დაუფლებოდა, რომ დაეჩრდილა ყველა სხვა საგონებელი, — მისი განუყრელი ფიქრიც კი ჯოტოზე.

მის გამო არც იმ დიდ დავალებაზე შეეძლო ახლა ეფიქრნა, რომლის შესასრულებლად ბზიფში მიიჩქაროდა. თუმცა ამაზე ფიქრი არც მიაჩნდა ახლა საშურად, რადგანაც მთელი სამი დღის ვადა ჰქონდა მის შესასრულებლად. ამდენი დრო არც კი სჭიროდა იმისთვის, რომ აღმოსავლეთის მხრიდან სოუს შემოსავლელი ნაცნობი ბილიკები დაეთვალიერებინა და მათი გამოსადეგარობა გამოერკვია.

ხოლო მანუჩას და ჯონდოს მდგომარეობა დაყოვნებას არ ითმენდა: როგორმე უნდა მიშველებოდა. მაგრამ როგორ, რა გზით და რა სახით, ეს ვერ წარმოედგინა.

ჩვეულებრივი ხვავიანი ნაბიჯით მიდიოდა, მაგრამ რადგანაც გვიან წამოსულიყო სოხუმიდან, მდინარე გუმისთას საშიშ, ქარაფიან კალაპოტს ვერ გაცილებოდა დაღამებამდე.

რაკი ღამით ამ ადგილებში გზის გაგრძელება არ შეიძლებოდა, ნაცნობ ფანჩატურს მიაშურა, შემოღამებულ მგზავრების თავშესაფარად კლდეთა შორის ჩადგმულს. ღამე იქ გაათია. მეორე დღეს, იფეთქა თუ არა მთებში სინათლემ, გზას ისევ გაუდგა.

რაც უფრო წინ მიიწევდა, მით უფრო ეძალებოდა წუხილი მანუჩასა და ჯონდოს ბედზე. აგონდებოდა მანუჩასთან უკანასკნელად ყოფნა და საუბარი სახლიდან მისი წასვლის წინ, — თავისი დარიგებაც, რომელიც ვითომ უნდა გამოდგომოდა გაჭირვების დროს. ახსენდებოდნენ აღთქმული დაპირების სიტყვები: „მოგნახავ, მოვალ, ამოგიდგები“, და გული უღონდებოდა, რომ დანაპირები ვერ შეასრულა.

კარგა გათენებული იყო, როცა გუმისთას და სანჭაროს ბილიკის გასაყარს მიაღწია. აქედან მოყოლებული სანჭაროს ბილიკი სწორად და პირდაპირ ადიოდა ბზიფის აღმართზე. იქვე იწყებოდა გადასახვევის მსგავსი მიმართულება, გაუთელავი და გზის ნიშნებს მოკლებული, მაგრამ მწყემსებისა და მონადირეთათვის ცნობილი, რომელიც აჭავჭარის ზეგანს სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან უვლიდა.

ამ ადგილიდან კარგად დაინახებოდა შავი ზღვისკენ გადაშვერილი, მიუვალი და მაღლა აწურული მხრები დასავლეთი აჭავჭარისა, რომლებიც მათ ქვემოდ ღრმად ჩაწოლილ ხევებსა და ღარტაფებს გადასცქეროდნენ. ამ ხევებს იქით უფროს-უმცროსობის რიგობაზე ჩამწკრივებული იყვნენ მეტნაკლები სიმაღლის მთები, მაღალი კიბის საფეხურების ნაირად ზუსტი თანამიმდევრობით ზღვის მხარეს დაქანებულები.

ამ ადგილების დანახვამ გული აუტოკა მთის კაცს. მან იცოდა, რომ აჭავჭარიდან ნაწილ-ნაწილ დაძრული ჯოგი პირველად ამ ღარტაფებს უნდა შეხიზნებოდა და შემდეგ აქედან გზა გაეკვლია დასავლეთისკენ.

— ვინ იცის, იქნება, რომელიმე ნაწილი ახლაც აქ არის თავშეფარებული? — გაუელვა თავში მთის კაცს და იქვე შესდგა დაფიქრებული.

სულ ორი აღმართი დარჩენოდა ასასვლელი ბზიფის ზურგამდე, — ნახევარი დღის სავალი თუ იქნებოდა ორივე... არც იმ ხევებში ჩასვლა-ამოსვლას დასჭირდებოდა მეტი დრო...

როგორ აევლო გვერდი ამ ადგილებისთვის ისე, რომ არ ეცადნა მაინც მათი დათვალიერება.

იქნება, მანუჩა და ჯონდო იქ არიან ამ წუთში... ისინი თუ არა, სხვები იქნებიან უთუოდ, რომელთაც უფრო შორს წასვლა ვერ მოასწრეს რაიმე მიზეზის გამო... წასულიც რომ იყვნენ ყველანი, გავლილი ჯოგის კვალს მაინც მონახავს, გაედევნება, დაეწევა. რა შორს იქნებიან მაინცდამაინც წასული? მართალ ამბავს ხომ მაინც გაიგებს, თუ რამდენი გადარჩა პირუტყვთაგანი, ან მწყემსთაგანი ვინ დაიღუპა ბედშავი?

და თითქოს ხევებისკენ მაცქერალმა თვალებმა გადასწონესო, ადგილიდან მთელი ტანით მოირღვა, ზურგი შეაქცია სანჭაროს ბილიკს და იმ უგზო მიმართულებას გაჰყვა დასავლეთისაკენ, საითაც გული მიუწევდა.

*
* *

კარგა ხანს იარა, კარგი მანძილი განვლო. აჭავჭარის ჩამოშვებული კალთების გასწვრივ მიდიოდა. ხან ბუჩქნარს მიარღვევდა, ხან ტყეში უჩინარდებოდა. ხრიოკ ადგილებში კლდიდან კლდეზე ხტებოდა, ან მათი ზურგით მიალაჯებდა. ხევებში ჩასასვლელს ეძებდა, რომელიც აჭავჭარის მხრების ქვემოდ ეგულებოდა.

დროგამოშვებით ნაპრალების კიდეზე შეჩერდებოდა. ჩაშვებული მათი ფსკერისთვის რომ შეეხედნა, ხელებს იჩრდილებდა მარჯვნივ და მარცხნივ თვალებზე, თითქოს ვეება ქვევრში იცქირებაო. მერე ისევ გზას განაგრძობდა წინ თამამად.

უკვირდა მხოლოდ ერთი გარემოება: ამდენი მანძილი გამოევლო და ნადირი თუ მხეცი არსად დაულანდავს, არც შორს, არც ახლო. თუმცა ეს კეთილ ნიშნადაც მიაჩნდა.

— მწყემსების ახლო ყოფნამ თუ დააფრთხოო ნადირი, — ფიქრობდა გულში.

და ის-იყო ხევის ჩასასვლელსაც მიუახლოვდა, რომ მთებს შორის მძიმედ გაწოლილი, უდაბური ადგილის მდუმარება თოფვითი უცებ გავარდნილმა ხმამ კიდით კიდემდე შუაში გახლიჩა.

— შესდექ!

შეძახილი ხევის გაღმა-გამოღმა ამართული მთების ფერდებს შეეხეთქა და უკუქცეული მთის კაცს ხელმეორედ ეტაკა.

ალბათ სრული მოულოდნელობის ბრალი იყო, რომ მთის კაცს შიშისაგან წამით გულისცემა შეუწყდა. მაგრამ უმალვე სატევარზე წაივლო ხელი, რადგანაც სხვა იარაღი არ ჰქონდა, და ამ სახით ოთხივ კუთხით შეტრიალდა და შემოტრიალდა, რომ დამძახებელი დაენახა.

ოთხივე კუთხიდან მისკენ მოღერებულ თოფის ლულებს მოჰკრა თვალი. ლულებს უკან ბუჩქებს მოფარებული ადამიანები იდგნენ. უცებ ვერ გაარჩია მათი სახეები: ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ. ერთნაირივე ბოროტი და დამცინავი ღიმილი აღბეჭდოდათ ტუჩებზე, ხოლო მათ თვალებს ისევე ამოეღოთ იგი ნაშანში, როგორც მათ თოფებს. ჩანდა, ბევრნი იყვნენ. ხუთი დასთვალა თვალის ერთი მოვლებით.

— ეს რა მოუვიდა? მტერი დროზე როგორ ვერ შენიშნა?

თვალი სად ჰქონდა ან ყური? რომ ასე ახლოს მოუშვა?.. იქნება ქაჯები არიან?

რაკი ამდენი იყვნენ და ალყა ჰქონდათ შემორტყმული, იგრძნო რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უაზრო იყო მათთან ბრძოლა, როცა თავად სატევრის გარდა სხვა იარაღი არ ჰქონდა.

მაგრამ ასე როგორ დანებებულიყო?

— ჭალარა კაცო, — ესმა ძლიერ გასაგები რუსული. — თუ სხვა იარაღი არ გაქვს, მაგ სატევარსაც თავი დააბებე და არაფერს გერჩით.. გვითხარი ოღონდ, ვინ ხარ და აქ რა გინდა?

— უბრალო გლეხად თავი რომ მოვაჩვენო, იქნება, ჩამომეხსნანო — გაუელვა თავში მთის კაცს. ქარქაშიდან ამოწეული სატევარი უკანვე ჩააგო, ხელი უშვა იარაღს. ძალა დაატანა გონებას, თუ რა და როგორ ეპასუხა შეკითხვაზე.

— შეიძლება, სიტყვამ უფრო გასჭრას, ვინემ ძველმა სატევარმა. — და ამის გაფიქრების შემდეგ უპასუხა:

— აქაური მცხოვრები ვარ!

— მხეცს რომ არ გავხარ, მოხუცო, გხედავთ... სოფელი კი აქ არ არის!...— დასცინა შემკითხველმა. — აბა, სთქვი რა ქვია შენს სოფელს, აქაური მცხოვრები ვარო, რომ ამბობ!

— სოუ.

— ეჰეჰე, სოუს აქ რა უნდა? — გაუხარდა უცხოს, რომ ერთბაშად დაიჭირა ტყვილში მთის კაცი. — სად არის აქ სოუ?

— ამ მთებს იქით! — ხელი გაიშვირა ბზიფის მთებისკენ მთის კაცმა.

— მერე აქ საიდან გაჩნდი თუ სოუელი ხარ.

— სხვაგან ვიყავი. ახლა კი შინ მივდივარ.

— მერე აქეთ გზა რომ არ არის?

შეცბუნდა მთის კაცი: დამკითხველი მართალი იყო. მაგრამ მაინც ნახა გამოსავალი.

— გზაზე ჯარი დგას...

— საბჭოთა ჯარის მერე რატომ შეგეშინდა?

— ისე... არ ვიცი... — სხვა გზა არ ჰქონდა მთის კაცს. ვითომ თავი მოისულელა.

— ის თუ იცი რომ შენს სოფელში გერმანელები არიან?

— აბა, რა ვიცი...

— სოუდან როდის წამოხვედი და სად იყავი?

— სამი თუ ოთხი დღეა. ქალაქ სოხუმში ვიყავი.

— ქალაქ სოხუმში? მერე რატომ არაფერი იცი?

— „ეჰეე, მგონია დავიბენი“, — გაიფიქრა მწარედ მთის კაცმა.

სანამ იგი ერთთან ლაპარაკობდა, მეორემ მისკენ ნაბიჯი გადმოდგა. მიეახლა და გაუგებარ ენაზე რაღაცა უთხრა ბრძანებით, თითქოს შეუყეფაო. ამავე დროს მთის კაცის სატევრისკენ ხელი გაიშვირა. მთის კაცმა მორუსულეს გადახედა, ვითომ ჰკითხა რას მეუბნება ან რა უნდაო.

— უფროსია... იარაღი უნდა ჩააბარო, რადგანაც დაბნეულად ლაპარაკობ. მზვერავი იქნები უთუოდ და გვატყუებ.

არ ესიამოვნა ეს ამბავი მთის კაცს, მაგრამ არ შეიმჩნია.

— ინებოს! — დაუყოვნებლივად უპასუხა მიტანილი ეჭვის გასაფანტავად. ამასაც არ დაჯერდა: ორივე ხელი უკან წელზე შემოიწყო და მოახლოებულს წინ ისე დაუდგა. მტერსაც არ დაუყოვნებია: ხელი დასტაცა სატევრის ვადას და ქარქაშიდან ამოაძრო.

ამავე დროს მესამე ზურგის მხრიდან წამოეპარა მთის კაცს და უკან შემოწყობილ ხელებზე თვალის დახამხამებაში ჯაჭვის ბორკილი გაუყარა.

როგორც კი ეს მოხდა, მტრის მზვერავებმა ხარხარი ასტეხეს, ისეთი შემზარავად დამცინავი და თავშეუკავებელი, რომ მთის კაცს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. შიგადაშიგ უცნაურ „ურასებურ“ რაღაც სიტყვას შესძახებდნენ და მერე ისევ ხითხითს განაგრძობდნენ.

წრეშემორტყმული, განიარაღებული მთის კაცი თავჩაქინდრული და შერცხ-

ხვენილი იდგა თავის ადგილას. ხმას არ იღებდა.

— „სიტყვამ არ გასჭრა. იარაღიც დავკარგე... ხეტავი იარაღი მაინც მეხმარა და მერე დავღუპულვიყავი“ — ნანობდა იგი.

ბორკილგაყრილი ხელები ისევ უკან წელზე შემოწყობილი დარჩენოდა, განძრევასაც ვერ ახერხებდა.

უფროსმა სამი კაცი გამოიძახა წრიდან. რაღაცა უბრძანა. რამდენჯერმე ახსენა სიტყვა აჭავჭარა, უცნაურად გამოთქმული. ამის შემდეგ გამოძახებულთაგანი ერთი ზურგს უკან დაუდგა მთის კაცს, ორნი გვერდში ამოუდგნენ.

— გაჰყევი, გაჰყევი! — უთხრა მორუსულემ. — გზაც ხომ იქით გაქვს, თუ მართლა სოუში მიდიოდი და არა სხვაგან!...

თავი ოცდამეთექვსმეტე

თუმცა ხელებშეკრული იყო მთის კაცი და სამი თოფიანი კაცი მოჰყვებოდა, მაგრამ გაქცევაზე ფიქრი მაინც არ შეუწყვეტია.

— ზურგს უკან მაინც არ მქონდეს ხელები დაბორკილიო, ჯავრობდა სასომიხდილი — უხელოს რა უნდა ექნა? ან ბედს როგორ შერიგებოდა!

ამის გარდა კიდევ ის აზრი აწუხებდა, თუ რა მიზანი უნდა ჰქონოდათ მტრის მზვერავებს, რომ აჭავჭარის ზეგანიდან ასე შორს წამოსულიყვნენ. შესაძლებელი იყო, რომ ისინიც გახიზნული ჯოგის კვალს ეძებდნენ...

— მაგრამ ვაი თუ უფრო სხვა მიზანი აქვს ამ წყეულებსო, — ფიქრობდა იგი.

ეს სხვა მიზანი მთის კაცს ისე წარმოედგინა, რომ მტერი ამ მიმართულებით ახალ გზას იკვლევდა ბზიფზე დაბანაკებული საბჭოთა ჯარის შემოსავლელად და სანჭაროს ბილიკის გადასაჭრელად.

აშკარა იყო: ამ ვერაგული განზრახვის შესრულება დიდ მუქარას წარმოადგენდა.

ბიბლიოთეკა

რა და რა უბედურების წარმოდგენა არ შეეძლო მთის კაცს, მაგრამ ფიქრადაც არასოდეს მოსვლია, რომ ტყვედ ჩავარდებოდა.

სწორუპოვარ ვაჟკაცად მიაჩნდა თავისი თავი ნამდვილად კი ლაჩარი გამოდგა.

როგორ დანებდა? თავი როგორ არ შეაკლა?

ვინ დაიჯერებს მთის კაცი ტყვედ ჩავარდაო!

რას იფიქრებენ კირილე გორაკოვი და მაცი ზურუბაია? რას იტყვიან ვახტანგი, ბატა, და რეჯიბი?

ან ლიას რა წარმოდგენა შეექმნება მასზე?

— მოგვატყუა მთის კაცმაო, იფიქრებს სარდლობაც, რომელმაც ესოდენ ნდობით აღჭურვა იგი.

— „გავიგეთ, რომ ჩვენი მეგზური იქნები, მთის კაცო... გვიხარია... შენი დიდი იმედი გვაქვს“... განა შეიძლება ბატას ამ სიტყვების დავიწყება, რომლებიც მებრძოლი ახალგაზრდობის მისდამი ნდობას გამოხატავენ, მასზე დამყარებულ იმედს ამჟღავნებენ.

ამას რომ ფიქრობდა მთის კაცი, ეჩვენებოდა, თითქოს უფსკრულების საიდუმლო ძახილი ესმისო ყურში.

— გადმოიჩეხე, მთის კაცო... სცადე, იქნება, გადარჩე! თუ არა, მაინც სიკვდილი გერჩივნოს ამ სახით ცოცხლად დარჩენას.

გრძნობდა, თითქოს გულიც მიუწევდა მათთკენ. მაგრამ მაინც სვლას განაგრძობდა. ფიქრობდა, რომ ჯერ კიდევ არ დამდგარიყო თავგანწირვის უკანასკნელი და აუცილებელი წამი. ვინ იცის, იქნება, უფრო ხელსაყრელი პირობები შექმნოდა ამისათვის.

ამჩნევდა, რომ მისი მცველები კარგად ერკვეოდნენ უცხო ადგილში. ეუცხოებოდა ეს გარემოება.

— ნეტავი, ერთ დღეში ასე როგორ შეისწავლეს აქაურობა. ალბათ ამის მოხერხებაც აქვთო, — სჯიდა თავისთვის და მაინცადამაინც არ უკვირდა იმის შემდეგ, რაც მას თავს გადაწყდა მათი საკვირველი მოხერხების წყალობით, როგორიც იყო მისი გარსშემორტყმა საკვირველი და ხელებზე ბორკილის დადება.

— ან ბორკილი ასეთი სად ჰქონდათ ამ წყეულებს, ან ასე უცბად როგორ მომარგესო.

მაგრამ მთის კაცის ნამდვილი გაკვირვება მაშინ დაიწყო, — როცა იგი აჭავჭარის ზეგანზე აიყვანეს. მისმა გონებამ სინამდვილედ არ იწამა ის, რაც მისმა თვალებმა აქ ნამდვილად დაინახეს.

ნახა, რომ საძოვარზე მისი ნაცნობი და ქებული ჯოგი კიდით კიდემდე ახლაც ისე ჯგრო-ჯგროდ მიმოფანტულიყო, როგორც ყოველთვის, და ისე არხეინად ბალახობდა, თითქოს მის თავს არაფერი მომხდარიყოს.

არ უნდოდა დაეჯერებინა, ვითომ ეს როგორ იქნებაო?

— მწყემსები მაინც ვინ არიან? — ახლა ამის გამოცნობაც უნდოდა.

მაგრამ ნაცნობი მწყემსები არსად სჩანდნენ.

ვინც კი დალანდა შორს თუ ახლოს, სახითაც და ჩაცმულობითაც ყველანი მის მცველებს ჰგავდნენ.

— ალბათ, ცოცხლები არ დარჩენილან ბიჭები, თორემ ჯოგს არ შეატოვებდნენ მტერსო, — ნაღვლობდა იგი.

მცველებმა მთავარი კარვისკენ აიღეს გეზი.

ამ მხარეს კარვიდან ცოტა მოშორებით ერთი ნაძვის ხე იდგა, განმარტოებული. ხელით მისაწვდომი ყველა ტოტი ძირიდან შეჭრილი ჰქონდა გარშემო. შერჩენილი როკები შორი საძოვრებიდან დაბრუნებულ მწყემსებს ცხენის მისაბმელად ჰქონდათ გამოყენებული.

მცველებმა ამ ნაძვის ხეს გაუპირისპირეს. მაგრამ ჯერ კიდევ ახლოს არ იყვნენ მისულნი, რომ ამდენხანს მშვიდად და თვიხიერად მოძავალმა მთის კაცმა აქ უცებ ოჩანი ცხენივით წაიფორხილა. უმალვე მკერდიდან შემზარავი გმინვა აღმოხდა და დადგა.

გაკვირვებელი მცველებიც დადგნენ. შეხედეს, რა მოუვიდაო მოხუცს.

მთის კაცს თავი მაღლა შეემართა. პირი ფართოდ დაეღო. უაღრესად შეშინებული თვალები ბუდეებიდან თავზარდამცემად გადმოეყარა. სიკვდილის ფერგადაკრული სახე შესაზარად მოეკრუნჩხა.

მცველებმა შენიშნეს, რომ იგი ამ სახით ნაძვის ხეს შესცქეროდა.

აქედან ნათლად დაინახებოდა, რომ ნაძვის ერთ ერთ შეუჭრელ ტოტზე ჩამოხრჩობილი ადამიანის გვამი ეკიდა, რომელსაც ტანზე ხბოს ტყავის ქურთუკი შერჩენოდა, ხუთი თითის გამომსახველი თეთრი დაღით მთის კაცისკენ მოქცეული.

— აააა! — ნიშნის მოგებით გააბეს მცველებმა, როგორც კი მიხვდნენ ტყვის უეცარი ცვლილების საიდუმლოებას.

მაშინვე ხელები გაიშვირეს იმ ხისკენ, თითქოს უკეთ დაანახვესო მთის კაცს მასზე ჩამოკიდებული გვამი.

— აი; კომუნისტი... შეხედე... კომუნისტი! კომუნისტი! აჰა, შეგეშინდა?

მაგრამ მთის კაცი ისე იყო გახევებული, რომ არც სიტყვა ესმოდა მათი, არც ხისკენ გაშვერილი ხელების მნიშვნელობა გაეგებოდა.

— მანუჩა! ჩემი მანუჩა! — იმეორებდა გულში და ადგილიდან არ იძროდა.

რაკი ასეთი გაშეშება შეატყვეს, უბიძგეს. ვითომ გრძნობაზე უნდოდათ მოეყვანათ.

— წამოდიო, — უთხრეს მერე, ხრც ეს გაუგონია მთის კაცს, მაგრამ ფეხი მაინც აიდგა ბანდალით. გაჰყვა.

მთავარი კარვის შესასვლელთან დააყენეს. ერთი მცველთაგანი მყისვე კარავში შევარდა. კარავში მალე ყვირილი ატყდა.

— „სამსონ გარაც“, „სამსონ გარაც“! — ჩხაოდა ვიღაცა.

ორი ჯარისკაცი გამოვარდა კარვიდან გარეთ.

— სამსონ გარაც! სამსონ გარაც! — იძახდნენ ისინიც.

ამის გაგონებაზე ცოტა გამოფხიზლდა გონდახშული მთის კაცი.

— სამსონ ღარაძეს სდევნიან ალბათ დასაჭერად და მე ვგონივართო, — გაიფიქრა გაკვირვებულმა.

კარავში შესული მცველი მალე უკან დაბრუნდა. აბუზული ჩანდა. ამხანაგებს ანიშნა მიჰყოლოდნენ და თავად წინ გაიქცა. იმ მხარეს მიაშურა, სადაც ფერმის თავლები იდგა. აქ ბოქლომ-დადებულ ერთ კართან დააყენეს მთის კაცი. კარი ფიცხლად გააღეს და ტყვეს შიგ შესვლა უბრძანეს. კარი მაგრად მიუხურეს და ისევ ბოქლომით დახშეს.

თავლის ეს განყოფილება თივით სავსე აღმოჩნდა. შიგ ბნელოდა, მხოლოდ ხის კედლებში დატანებულ ჭუჭრუტანებიდან შემოსხლეტილი სინათლის ოქრომკედით მოქარგული სიფრიფანა ნაქსოვი ნაჭერ-ნაჭერ თივის ზვინს გადაფენოდა აქა იქ.

მთის კაცი მოჭრილივით თავქვე ჩაემხო თივაში.

დიდი ხანი არ გასულა, რომ ესმა: კარს ვიღაცა აჩქარებული ნაბიჯით მოადგა. უმალვე ჩაიწკარუნა ბოქლომის კლიტემ და კარი ფართოდ გაიღო.

— აბა, ვინ სოუელი ხარ აქ?

ეს სიტყვები ცხადად გაიგონა მთის კაცმა. მათი წარმომთქმელნი — ხმაც იცნო გარკვეულად. მაგრამ არ დაიჯერა, რომ ეს სინამდვილე იყო.

— ვინ ხარ მეთქი აქ? — გაჯავრდა მოსული და თავლაში შეალაჯა. — არ გესმის რომ გეკითხებიან?

— ეს ვინ უნდა იყოს, რომ სამსონ ღარაძის ხმით ლაპარაკობს? — გაიკვირა მთის კაცმა და წელანდელი „სამსონ გარაც“ მოაგონდა.

თავი მაღლა ასწია. კარისკენ გაიხედა. ღია კარით შემოჭრილ სინათლეზე კარგად გაარჩია, რომ მის წინ ნამდვილი სამსონ ღარაძე იდგა, — ზორბა, წითური, უცხოურად ჩაცშული და თავით ფეხამდე შეიარაღებული.

ზე წამოიჭრა. ფეხზე დადგა. შეხედა.

ერთმანეთის მოულოდნელი ნახვით თანაბრად გაოცებული ორი ადამიანი დიდხანს იდგნენ პირისპირ და ხმას არ იღებდნენ.

— მთის კაცი! — ჩურჩულით წარმოსთქვა ბოლოს ღარაძემ და თავი ძირს დახარა.

მთის კაცმა კი დუმილი განაგრძო.

— ჩვენი კუთხის სიამაყის მთის კაცის ნახვა მე ყოველთვის მახარებდა, რაც შენც კარგად იცი. სამწუხაროდ ამ შემთხვევაში ამას ვერ ვიტყვ, მეტად ვწუხვარ, რომ აქ გხედავ!

მთის კაცს ახლაც ხმა არ ამოუღია.

— ჩემი ამბავი ნუ გაგიკვირდება, მთის კაცო. მოღალატე არ გეგონო: დათვი მომერია და ბაბაია ვუწოდე... ვის შეუძლია მითხრას, საწყალი მანუჩას ბედი რატომ არ გაიზიარეო... მოულოდნელად, ერთბაშად ჩავვარდით: მანუჩა არ დასცხრა. ტყეში გაიჭრა... სხვებიც გაიყოლია. რას გახდებოდა?.. ერთ დღეში დაიღუპა საწყალი... ჩემთვის რომ დაეჯერებინა, ახლა ცოცხალი იქნებოდა...—მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ ისევ განაგრძო:—ერთი სამსახური მაინც გაგიწიე, მთის კაცო, თუ

დამიფასებ: შენი ცხენი გადავარჩინე. იგი მე დავიტოვე... შემიძლია დაგარწმუნო, რომ ამ წყეულთაგანი არავინ შემჯდარა ჯონდოზე.

რა კი მთის კაცი ახლაც არ აპირებდა ხმის ამოღებას, სამსონ ღარაძემ მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ საიდუმლო ჩურჩულით მიმართა:

— შენი ვინაობა, ჩანს, ჯერ კიდევ არ იციან. ღმერთმა ნუ ქნას, გაიგონ, რომ ჯოტოს მაჯა ხარ. არ სთქვა, რომ მთის კაცი ხარ... შევეცდები, აქ თუ არა, სოუში გავანთავისუფლებინო შენი თავი. ამათი შტაბი იქ არის. ჰმ... ბაბაიაზე რას იტყვი, თუ საქმემ მოითხოვა?

მაგრამ ამ შეკითხვაზედაც ხმა არ ამოუღია მთის კაცს. მხოლოდ მისმა ჯაჭვის ბორკილმა მის ზურგს უკან უეცრად ისე გაიჩხარუნა, თითქოს გაწყვეტას აპირებსო.

— ეს რა მესმის! — ელდანაკრავივით წამოიძახა მაშინვე ღარაძემ.—ნუთუ ბორკილი დაგადეს? ღმერთო კი მომკალი, ეს რა უქნიათ ამ შეჩვენებულებს? აქამდე რატომ არ მითხარი? დაიცადე... ბორკილს მაინც ახლავე ავაყრევინებ. — სთქვა და მაშინვე გარედ მიიქცა. ხოლო კარის დახშობა ბოქლომით მაინც არ დავიწყებია.

მთის კაცს ფეხი არ მოუცვლია ადგილიდან. იდგა ბნელში და დუმდა.

თავი ოცდამეჩვიდმეტე

დამპყრობთა ხელში ჩავარდნილი აჭავჭარის ფერმის დანიშნულებას ახლა ის შეადგენდა, რომ იგი სოუში მდგარ მტრის ჯარს ხორცით და რძის ნაწარმით ამარაგებდა. ფილა ისე არ გათენდებოდა, რომ საკლავი საქონელი ათეულობით არ გაერეკათ აჭავჭარიდან სოუსკენ, — რჩეული ხარები, ძროხები, დეკეულები. საუკეთესო საქონლის შერჩევა სამსონ ღარაძეს ჰქონდა დავალებული. მასვე ევალებოდა მისი გაყოლა სოუმდე და აქ ჩაბარება.

ამ საქმეს ღარაძე, ჩანდა, შესანიშნავი გულმოდგინებით შესდგომოდა, რადგანაც მტერს მისთვის ერთგვარი საპატიო შეღავათი მიენიჭებინა: იგი ჯონდოზე შემჯდარი წინ მიუძღოდა საქონელს, მაშინ როდესაც გამრეკი გერმანელი ჯარისკაცები უკან მისდევდნენ ქვეითად.

აჭავჭარაზე მდგარი მტრის მცირერიცხოვანი რაზმის ამოცანა, ეტყობოდა, ჯარის მომარაგება იყო უმთავრესად. მისი უფროსიც სხვა საქმით მაინცდამაინც თავს არ იწუხებდა. რაზმის მზვერავთა ჯგუფი უმეტეს შემთხვევაში არც კი რჩებოდა ფერმაში და თითქოს დამოუკიდებელ ნაწილს წარმოადგენდა. იგი მთელი დღე აჭავჭარის მიდამოებში მოგზაურობდა და სოუში მდგარ შტაბთან მეტი კავშირი ჰქონდა, ვინემ თავის უშუალო უფროსთან.

ამიტომ რაზმის უფროსმა მზვერავების მიერ შეპყრობილი მთის კაცის არც დაკითხვა მოისურვა და არც რაიმე სახით მის საქმეში ჩარევა. მაშინვე ახმობინა „სამსონ გარაცი". მაგრამ რაკი ის ახლოს არ აღმოჩნდა, ბრძანა პატიმარი თავლაში დაემწყვდიათ.

როცა სამსონ ღარაძე ფერმაში დაბრუნდა, უბრძანა, რომ ტყვე თან წაეყვანა სოუში, როცა იგი მორიგ საკლავ საქონელს გარეკავდა, და იქ შტაბისთვის ჩაებარებინა.

ღარაძე რატომღაც დიდად იყო მოწადინებული, რომ მთის კაცის გული რითიმე მოეგო. რადგანაც მის განთავისუფლებაზე ზედმეტი იყო უფროსთან ლაპარაკი, ბორკილის აყრაზე მაინც დაითანხმა, — ისიც იმ პირობით, თუ შტაბის წინაშე პასუხისმგებლობას იკისრებდა.

მთის კაცს ერთი წამითაც არ შეუწყვეტია იმაზე ფიქრი, თუ როგორ დაეღწია თავი ტყვეობიდან. თუმცა ხელები ზურგს უკან ჰქონდა ბორკილით შეკრული, მაგრამ გულში გადაწყვეტილი ჰქონდა ამ ღამესვე თავლის კედელი როგორმე გაერღვია, კბილითაც რომ ეღრღნა მაინც, და გაქცეულიყო.

როცა ბორკილი აჰყარეს, გაქცევის იმედს ფრთა შეესხა:

— თავისუფალი ხელებით რისი გაკეთება არ შეიძლებაო?.. იქნება ისიც კი მოეხერხებინა, რომ მანუჩას გვამი ხეზე ჩამოეხსნა თან წაეღო და დაემარხა.

მაგრამ შემდეგ როცა, ღარაძისაგან შეიტყო, რომ დილა ადრიან მორიგ საკლავ საქონელთან ერთად სოუში უპირებდნენ წაყვანას, თავლის გატეხის აზრი მაშინვე უკუაგდო, როგორც გაცილებით უფრო სახიფათო და საშიში, ვინემ იყო სოუს გზიდან გაქცევა.

— ასი კაციც რომ გამაყოლონ, თუ ხელები თავისუფალი მექნება, მტერს უვნებელი დავუსხლტებიო,—ფიქრობდა გახარებული.

მაგრამ როცა მეორე დღეს დილაადრიან მთის კაცი თავლიდან გამოუშვეს და იქ მიიყვანეს, საიდანაც სამგზავროდ მომზადებული საქონელი სოუსკენ უნდა დაძრულიყო, ნახა, რომ სინამდვილეში ასის მაგიერ ღარაძეს სულ ხუთი შეიარაღებული ჯარისკაცი ახლდა ჯოგის გასარეკად.

ღარაძე ჯონდოზე იჯდა, მხარზე თოფგადაკიდებული. წელზე დამბაჩასავით გრძელი რევოლვერი ეკიდა. თოფიანი ჯარისკაცები გასარეკ საქონელს უკან ედგნენ.

გული დაწყდა მთის კაცს როცა ჯონდოს თვალი შეავლო. ვერ შეამჩნია თავის საყვარელ ცხენს ძველებური შნო და ამაყური ტანოვანობა, რაც მას მუდამჟამ გულს უხარებდა. მაშინვე იბრუნა მისგან პირი:

— რა ულირსი პატრონი და მეგობარი აღმოგაჩნდი, რომ ამ დღეში ჩაგაგდეო. — მაგრამ ამავე დროს გულაჩუყებულმა საყვედურითაც მიმართა მას.

— ჰეე, შე ძაბუნო, მანუჩას როგორ ვერ უშველეო!

ღარაძემ ვითომ ბოდიში მოითხოვა მთის კაცის წინაშე და ჩუმად უთხრა:

— არ გეწყინოს, მთის კაცო, მე რომ ცხენზე ვზივარ და შენ კი ფეხით მოდიხარ... სხვანაირად არ იფიქრონ მეთქი... ჩემს წინ მაინც იარე, მე კი მოგყვები. — და ღარაძემ თავის წინ დააყენა მთის კაცი. მერე გამრეკავებისკენ მიბრუნდა და დაუძახა:

— ვიაროთ!

ის ხუთი ჯარისკაცი ძლივს იმორჩილებდა საქონელს, განსაკუთრებით ნაიალაღარი დეკეულები ამჟღავნებდნენ ურჩობას. გამოდიოდნენ წრიდან, გარბოდნენ, ცვრიან ბალახს ეტანებოდნენ. როცა გამოეკიდებოდნენ, ტლინკსა ჰყრიდნენ და უფრო შორს მიკვინტრიშობდნენ.

საძოვრის კარგა დიდი ფართობი უნდა გადაეჭრათ. შორს იყო ჯერ კიდევ სოუს ტყით მოსილი დაღმართი, სადაც უნდა დაშვებულიყვნენ.

შეუმჩნევლად დაწინაურებულიყვნენ ღარაძე და მთის კაცი. ეს რომ შენიშნა ღარაძემ, მთის კაცს უთხრა:

— დადექ, წამოგვეწიონ — და უნაგირზე მთელი ტანით ჩამორჩენილებისკენ მიბრუნდა. დაუყვავა, დაუცაცხანა, რატომ იგვიანებთო, და როცა ისევ მთის კაცისკენ შემოტრიალდა, იგი უმალვე გააფთრებული ავაზის ყვითელმა თვალებმა მონუსხეს და იქვე გააშეშეს.

— ჩამოდი ცხენიდან! — ესმა ამავე დროს თავზარდამცემი ხმა. ძლივს გაარჩია გონწასულმა ღარაძემ, რომ მთის კაცს ჯონდოს აღვირი ეჭირა

ხელში და მის წინ მთელი თავისი ვეება, რისხვის ცეცხლშეკიდებული ტანით შემართულიყო.

ენა ჩაუვარდა.

— ჩქარა მეთქი!

— რას მიშვრები, მთის კაცო? — ძლივს წაილუღლუღა ერთი ღარაძემ და უმალვე ცხენიდან გადმოხტა.

— თოფი აქეთ, ლაჩარო! — შესძახა კვლავ მთის კაცმა და პასუხისთვის არ დაუცდია, ისე ააგლიჯა მხარზე გადაკიდებული თოფი.

იმავე წამში ჯონდოს ზურგზე მოექცა და ქარივით მოსწყდა იმ ადგილას.

— რას სჩადი, კაცო! თავი ძლივს ვადავირჩინე და ახლა მღუპავ? ჩამომახრჩობენ! დადექ მანდ, გეუბნები... ასე მიხდი პატივისცემას? — გვიან მოეგო გონს ღარაძე.

— თუ ასე გიყვარს სიცოცხლე, თავს უშველე, გაიქეცი, უბედურო! — მოაძახა მთის კაცმა, მაგრამ სიშორემ გაათამამა საშსონი. იძრო რევოლვერი და ზედიზედ რამდენჯერმე დასცალა.

მთის კაცი მიხვდა რევოლვერის ხმაზე, რომ ღარაძე ისროდა. არაფრად ჩააგდო.

— ისვრის, მაგრამ დამიზნებას ვერ გამიბედავსო!

მაგრამ ღარაძის მიერ ატეხილ სროლას და განგაშს ჯარისკაცები გამოეხმაურნენ. თავი ანებეს საქონელს, მოირბინეს და მთის კაცს სროლა აუტეხეს.

მთის კაცის წინ სოფს ტყიან დაღმართამდე ერთი ჩაზნექილი, ღრე ადგილი იყო. მთის კაცი ამ ადგილისკენ გარბოდა, რათა სოფს გზაზე გასვლამდე მას ამოფარებოდა, ტყვიის სეტყვაში გახვეული.

ჯონდოს კისერზე მისწოლოდა.

— აბა ივარგე, ჩემო რაშო! — ჩასძახოდა ყურში და აქეზებდა.

ჯონდოს, ეგრძნო, რომ ზურგზე მთის კაცი აჯდა. ეცნო მისი ხმაც და მიმხვდარიყო საყვარელ — პატრონის სულის კვეთებას.

ისე მიჰქროდა, მიწას ფეხს არ აკარებდა.

ჩაზნექილი ადგილის კიდესთან შიგ ჩასვლის მაგიერ ჯონდო უცებ მოსწყდა დედამიწას და ჰაერში შეტყორცნილი ისარივით მაღლა ავარდა. მინიშნებულ საფარს თავზე გადაევლო.

ეჭვმა გაჰკრა კლანჭი მთის კაცს. ხოლო ამის უმალ ჯონდო მყისვე მაღლიდან ძირს დაჰქანდა. — ცხენის დაჭიმული კუნთების უეცარმა მოშვებამ აგრძნობინა მთის კაცს, რომ ჯონდო სასიკვდილოდ იყო დაჭრილი.

ჯონდო ღრეში ჩაენარცხა. უნაგირს მოწყვეტილი მთის კაცი ცხენის დავარდნის ძალამ შორს გადაისროლა. მაგრამ მყისვე მთელი ტანით ისევ ჯონდოსკენ შემოტრიალდა.

ჯონდოს კისერი გაეწვდინა მისკენ. პირიდან ენა გადმოვარდნოდა. ცრემლით დანამულ, სიცოცხლემილეულ დიდრონ თვალებს ნელი-ნელ ახამხამებდა და მთის კაცს პირდაპირ შესცქეროდა.

დრო კი დაყოვნებას არ ითმენდა. მთის კაცმა ტყეს მისცა თავი. თან გაჰყვა ჯონდოს თვალებს მომწყდარი უკანასკნელი სინათლე.

———.———

თავი ოცდამეთვრამეტე

აჭავჭარის ტყვეობიდან ლტოლვილ მთის კაცს სამშვიდობოსკენ გზის გაკვლევა სწორედ იმ ადგილებში მოუხდა, რომლებიც სოფს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდნენ.

ზოგი ჭირი მარგებელიაო ამ შემთხვევაზე გამართლდა. — მთის კაცმა ორნაირად გამოიყენა ეს უდაბური ადგილები: თავის შესაფარებლად და საბ-

ჭოთა სარდლობის დავალების შესასრულებლად, სოუს მისასვლელი ბილიკებისა და მათი ასავალ-დასავალის შესასწავლად.

მისი ბზიფში დაბრუნების მესამე დღეს საბჭოთა ჯარმაც ნაწილ-ნაწილ დენა დაიწყო ბზიფის ბანაკში, ჯორისა და სახედრის აღალითურთ.

ერთი დღის დასვენების შემდეგ თავმოყრილმა ჯარმა, დაღამებულზე, დასტოვა ბანაკი გვერდი აუქცია სანჭაროს ბილიკს და მის ჩასწვრივ ხევის ტყიან-ფერდებზე გაშლილმა სოუს სამხრეთ მისადგომებისკენ გეზი აიღო.

ჯარს გზას მიუკვლევდა ათი სოუელი მოხალისე კირილე გორაკოვის მეთაურობით.

ამავე ღამეს ასეულიც გაუდგა თავის გზას, მტრის მოსავლელად მთის კაცის მიერ შერჩეული მოკლე და საიმედო ბილიკით.

გარდა მთის კაცისა ასეულს თან ახლდნენ მაცი ზურუბაია და დანარჩენი სოუელი რაზმელები, რომელთა რიცხვი ოცდაათს აღწევდა. ასეულს გაჰყვა აგრეთვე რამდენიმე კაცისგან შემდგარი სანიტართა პატარა ჯგუფი, რომელთა შორის ლიაც იმყოფებოდა.

მთის კაცმა თავდაპირველად ბევრი ურჩია ლიას მთავარ ნაწილს გაჰყოლოდა, მაგრამ ვერა გააწყო რა. ლიას ვაქებზე ნაკლებ მთამსვლელად არ მოჰქონდა თავი. მით უმეტეს ვერ დაითანხმა იგი მთის კაცმა, რომ ბატა და რეჯიბი აშ ასეულის მეთაურთაგანი იყვნენ, და ლიამ მათთან დაცილება არ მოისურვა.

ბოლოს მთის კაცმაც იფიქრა:

— იქნებ ასე სჯობს, რადგანაც ჩემთანაც ახლოს იქნებაო.— ამის გარდა მთის კაცს არც ხევის კლდიანი და შვეული ფერდები მიაჩნდა მაინცადამაინც აღმოსავლეთის მხრის ბილიკზე უფრო იოლ სავალად.

ასეულს გარკვეული საბრძოლო ამოცანის შესრულება ევალებოდა: ინათებდა თუ არა დღე, ბრძოლა მას უნდა დაეწყო. ამ პირველ მეტევას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან საბჭოთა სარდლობა დიდ მნიშვნელობას აძლევდა, იგი თავის ძალითა და სიფიცხით დიდი ჯარის იერიშად უნდა მოჩვენებოდა მტერს და მისთვის გზაკვალიც დაებნია.

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისაგან იყო დამოკიდებული, თუ როდის და როგორ გაშლიდა თავის მოქმედებას თვითონ მთავარი ნაწილი სამხრეთ მისადგომებთან.

ასეულმა ზუსტად და ბრწყინვალედ შეასრულა დავალება.

რაკი მტერი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან თავდასხმას არ მოელოდა, ასეულის უეცარმა იერიშმა მას თავზარი დასცა. იგი საბჭოთა ჯარის მთავარი ნაწილის თავდასხმად ჩასთვალა და ამისდა მიხედვით თავის ძალების გადაჯგუფებას შეუდგა.

საბჭოთა ნაწილიც ამას მოელოდა: სწორედ ამ გადაჯგუფების დროს მტერს გრიგალივით ეკვეთა.

მაგრამ ორ ცეცხლშუა მოქცეულ დამპყრობს იარაღის დაყრა მაინც არ უფიქრნია, ბრძოლაზე ხელი არ აუღია.

შუადღე მოწევნილი იყო, როცა საბჭოთა მეომრებმა მტრის მთავარი წინააღმდეგობა დასძლიეს და სოუში შეიჭრნენ.

აქ კი ბოძოლა ხელჩართულ, სამკვდრო-სასიცოცხლო პირისპირ შებმად გადაიქცა.

ამ ხელჩართულ ბრძოლაში მხარდამხარ იბრძოდნენ ყველა მხრიდან სოუმდე მოღწეული ჯარის ნაწილისა და ასეულის მეომრები. მოენახათ ერთიმეორე გადარჩენილ სოუელ მოხალისეებსაც. გვერდში ამოსდგომოდნენ ერთმანეთს. მტრის ლეწვასა და ჩეხვაში მეომრებს უკან არ ჩამორჩებოდნენ.

ცეცხლმფრქვევი იარაღების ბათქი და გრიალი ჯერ კიდევ ისმოდა სოუს ერთმანეთს დაშორებულ უბნებზე. მაგრამ სოუს შუაგულში გაჩაღებულ ხელჩართულ გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაბმულთა ყიჟინასა და ძახილს დაეფარა ისინი. ფოლადის ჩახაჩუხში შერეული გმინვა და კვნესა თითქოს ერთსაც და მეორეს აღმატებოდა.

მტერი საბოლოოდ მაშინ შედრკა, როცა სოუს თავზე უეცრად მეხივით გავარდნილმა ხმამ დაიჭექა:

„ჰკა მაგას, ბიჭებო!“

მტერს იგი ზებუნებრივი რისხვის შემცველ ძალასავით თავს დაატყდა.

„მთებიც თუ დაიძრნენ ჩვენზე ღრიალით და გვიტევენო“.

მაგრამ საბჭოთა მებრძოლებს იმ ხმამ ვაჟკაცობა და სიმხნევე გაუორკეცა.

— მთის კაცია, ჩვენი მთის კაცი! — გადასძახეს ერთმანეთს მთის კაცის ხმის მცნობმა, მისგან ძალაშემატებულმა სოუელებმა.

მაგრამ ერთი კი უკვირდათ: ხმა მხოლოდ ერთხელ ესმათ და თავად მთის კაცი მათ შორის არ იყო.

*
* *

ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სოუში შეჭრილი ერთ-ერთი მთის ფერდობის ძირში იწვა მკერდგანგშირული მთის კაცი.

ნაღმმტყორცნს პირწმინდათ მოეკაფა იმ ადგილის ხშირი ტყე, და ყუმბარებს ღრმად შეელეწათ მისი გვერდები.

მთის კაცი იწვა პირაღმა ძირფესვიანად ამოთხრილი, ტყვიით გასხეპილი და ცეცხლით გადაბუგული ფიჭვების ვეება ძელებს შორის, მათებრ ვეება და ცეცხლით შერუჯული.

მზე დადგომოდა პირისახეზე. ლოდისებრ სხმული მისი ნაკვთები გამოეჩინა. წიწვგაშდაყრილ, თავის თეთრ, გრუზა თმაში შეჭროდა, სახეზე გადახურული მაღალი შუბლის ნაჭრებში ჩაწოლოდა და ქვედა ყბაზე მრგულად მიხუჭუჭებულ, მოკლე, მეჩხერ წვერში შერეული სირმის ძაფები აებრჭყვიალებინა.

მაღალი, მოზნექილი ცხვირის ნესტოების დაჭიმულობასა და შლა-კეცვაზე ეტყობოდა, რომ ტანში ჯერ კიდევ ეგულებოდა აქა-იქ შერჩენილი სიცოცხლის ნიშნები და მათ თავმოყრას ცდილობდა.

სული გაენაბა გარემოს. იგი თითქოს იმის მოლოდინში იმყოფებოდა, თუ რით დამთავრდებოდა ამ ვეება ადამიანის სხეულის უხმო ბრძოლა სიკვდილთან.

დროგამოშვებით ამ ადგილამდეც აღწევდა შორეული სროლის ხმა, რომელიც ახლა სანჭაროს უღელტეხილიკალთების ვიწრობებში კანტიკუნტად ისმოდა. საბჭოთა მებრძოლებს ჯერ კიდევ არ დაენებებინათ თავი მთებს შეხიზნებული მტრის ნაშთისათვის. სროლასთან ერთად ისმოდა გათამამებული მდევრების ყიჟინაც.

მალე ჩამოსხლტა ხევში ყველაზედ უფრო მჭექარე და აღფრთოვანებული ხმაც:

— ვაშაა! გამარჯვება ჩვენია! წინ ამხანაგებო!

ხმამ მთიდან მთამდე გზა გაიკვლია მაღლიდან ძირს. ომგადახდილ სოუს და მის მიდამოს მოედო, გამარჯვება და ბრძოლის დასასრული ახარა.

ნამარ, ნალეწ ადგილსაც მოაღწია, სადაც მთის კაცი იწვა თითქოს სული ჩაბერაო უსიცოცხლო არეს, კიდით კიდემდე უცნაური თრთოლვა გამოიწვია. ირგვლივ კვნესისა და ოხვრის ხმა დაირხა, აქამდე გაუგონარი.

ძელებს შორის გაწოლილი მთის კაციც შეინძრა. თითქოს თავის თავს უკანასკნელი ძალა დაატანაო, შეკრული, ძირს დაშვებული წარბები გახსნა,

შუბლზე შეიგდო, თითქოს ყური დაუგდოო ხმას, რომელმაც დახშული სმენა შეურხია წამით.

შეეტყო, რომ იცნო კიდევაც. სურვილმა მოიცვა გამოხმაურებოდა მას, უძლურების გარშემორტყმული სალტეები დაეგლიჯა და სამაგიერო პასუხი გაეცა, ისეთივე მჭექარე და აღფრთოვანებული, როგორიც თვითონ ის ხმა იყო.

მაგრამ ენა ვერ დასძრა. უმწვავეს ტკივილებთან ნაომარი ბაგენიც გაშეშებოდნენ... იმასაც გრძნობდა თითქოს, რომ მთელი თავისი ხმა უკანასკნელი „ჰკა მაგას“ დაგმინებისათვის ამოეყოლებინა და დაჭრილ მკერდში მეტი აღარ გააჩნდა. სასოწარკვეთილების ჩრდილმა სახეზე გადაურბინა. მაგრამ გულში მაინც ჩაითქვა:

— გიცანი ხმაზე, ჩემო მეგობარო კირილე... მოგილოცავ გამარჯვებასო!

და გული აუჩუყდა ბავშვსავით. თვალები ცრემლმა მოფხაჭნა. ვერ გახსნა შედედებული სისხლით ერთმანეთს დაკრული ქუთუთოები. ცრემლი შიგნით დაუგუბდა. ტკივილებზე უმეტესად შეაწუხა. მარჯვენა ხელის აწევა სცადა, რათა თითებით მაინც გაეშალა ქუთუთოები და ცრემლისათვის სადინარი გაეხსნა.

რაღაცა მძიმე და უძრავი დასწოლოდა მარჯვენა მხარეს. ხელი ქვეშ მოჰყოლოდა ...

ხეს მოგლეჯილი ტოტი თუ იყო, ასე ჯიუტად რომ აწვა? იქნება ეჩვენებოდა: მკლავშიც დაჭრილი თუ იყო და ამისგან ხელს ვერ სძრავდა.

ალბათ კიდევ ბევრგან არის დაჭრილი, რომ უხვთო სიკვდილი ასე ერევა.

მხრები შეაქანა შესამოწმებლად. მხოლოდ მარცხენა დანებდა ოდნავ. მაშინ ამ მხრის მკლავის აწევა სცადა. ასწია. ხელიც აჰყვა. მაგრამ თითები გადატეხილ ჩხირებივით დაჰკიდებოდნენ, არაფრის მაქნისნი.

მაინც გაუხარდა, როცა იგრძნო, რომ ხელი შერჩენოდა. [illegible] მისი ხმარება შეეძლო. თითები [illegible] ალმალ აამოძრავა, ვითომ სიცოცხლე დაუბრუნა. თვალებისკენ წამოიღო ქუთუთოების გასაშლელად.

თითის ჩხირები ზოგი შუბლზე დაერჭო. მაგრამ ისიც მოახერხა, რომ ზოგი წამწამებზე იტაკა აქეთ და იქით.

შვება იგრძნო, როცა ქუთუთოები გაეხსნა და ცრემლი დადინდა.

ახლა თვალებშიც გამოიხედა. ბინდგადაკრული, უსახო ეჩვენა ქვეყანა, რომელიც ესოდენ უყვარდა. არ ესიამოვნა მისი ხილვა.

უნდოდა ისევ დაეხუჭა თვალები, მაგრამ ამ დროს გულის ყური უცნაურ-

ვაბმულმა კვნესამ მოსტაცა, რომელიც მისგან თითქოს ახლოს ისმოდა. როცა ყური მიუგდო სიმღერად ეჩვენა... ნაცნობი სიმღერა იყო, კვნესისა და ოხვრის ჰანგზე აგებული. ომში დაჭრილის სიმღერას ამბობდა ვიღაცა აფხაზურად, ჩუმად, თავისთვის.

სიცოცხლის უკანასკნელი დარდით ათრთოლებული იყო გამყივანი ხმა, რომელიც მიწას არც კი სცილდებოდა, მაგრამ მიწაზე გართხმულ მთის კაცს კარგად ესმოდა.

გაინაბა. რადგანაც გულს მოხვდა, ყური უფრო ხანგრძლივად დაუგდო თითქოს თვითონაც იმეორებდა ნაცნობ სიტყვებს:

„ვაქკაცის მშვენება ჭრილობაა ძმაო, ვაიდა, ვარაიდაა, ვაჰაჰაააა“.

— ვინ უნდა იყოსო, გაიფიქრა თუ არა, იცნო მკვნესარე სიმღერის მთქმელი. შეშინებული მიმოიხედა. მთელი ღონის დაძაბვით თავი ოდნავ ასწია.

— მაცი ზურუბაიაა!—იყვირა გულში. ვაიმე, რითი შეუძლია მიეშველოს ვაქკაცს.

— როგორ არ წამოდგეს ფეხზე, რაკი ჯერ კიდევ სული უდგია? როგორ

არ წამოდგეს და ჭირში მყოფ ვაჟკაცს და მეგობარს არ მიეშველოს? ის ხომ მის გვერდით იბრძოდა.

— აქა ვარ, მაცი! აქაც შენთან ვარ! — ეძახის, მაგრამ დახშული პირიდან ხმა არ ამოუდის.

მერე რა ვუყოთ, რომ ხმა არა აქვს! მოძრაობის ძალა ხომ შერჩენია.

არა, უთუოდ ადგებოდა, რომ ის მძიმე ძელი არ აწვეს და ხელფეხს არ უბორკავდეს... უნდა გადააგდოს როგორმე. მარჯვენა ხელი და ფეხი გაიოავისუფლოს.

ისევ მარცხენა მკლავი აამოქმედა. თითქოს ახლა უფრო თავისუფლად დაჰყვა ნებას. თითქოს თითებსაც დაბრუნებოდათ მოძრაობის უნარი.

ხელი იმ ძელისკენ წაიღო.

სანამ ახლოს მიიტანდა, თითები რაღაც საგანს წამოედვნენ, მის მკერდზე მდებარეს. უცნაურად გაიწკარუნა, როგორც კი შეეხნენ ფრჩხილები.

— რა უნდა იყოს?

თვალი დაადგა.

მათარა იყო, პირით მისი ტუჩებისკენ მიქცეული.

— ჰმ... არ ახსოვს რომ ამნაირი ოდესმე ჰქონოდეს... — თითი გაჰკრა. ცარიელი უნდა ყოფილიყო. გადაგდება უნდოდა მკერდიდან. მაგრამ არ დანებდა. რაღაცას მაგრად ეჭირა. თავი დაანება. მკერდს ქვეშოდ მოწოლილ ძელს მისწვდა.

როცა თითები შეახო, გაუკვირდა, რომ ხეს არ ჰგავდა. — სხვა რა უნდა იყოს?

თავი მოუსინჯა, სანამდე ხელი მოუწვდებოდა.

ხმელი წიწვის ნაყარი თუ არის, რომ აბრეშუმის დახვეწილი ძაფივით გაისრიალა თითების მიკარებაზე.

— არც ეს არის ვითომ... — სინჯვა განაგრძო.

უცებ საშინელი ეჭვი აღეძრა:

— ადამიანი არ იყოსო! — გაიფიქრა და თავი წამოწია, რომ საშინელი ეჭვი თვალით შეემოწმებინა.

ქალის ღია წაბლისფერი თმის კულულები ეყარა მკერდზე, ზედ დაკონებული თავიდან ჩამონაშალი. ქალისავე უძრავ, უსიცოცხლო ხელს მათარა ეპყრო, მისი პირისკენ გაწვდილი. გვერდით წითელი ჯვარგამოსახული, გახსნილი ჩანთა ეგდო. იქვე ეყარა წამლის შუშები და სახვევი მასალა.

საშინელების ხილვამ თითქოს ხმა დაუბრუნაო, არაადამიანური ყვირილი აღმოხდა პირიდან.

— აარა! — და ხელი სავსავით უკან გამოაქანა.

— არა! — დაიგმინა კვლავ და თავი ერთბაშად ისე გადიგდო უკან, თითქოს მოიწყვიტაო. თვალთ დაუბნელდა და, რაც სასიცოცხლო ძალა ჰქონდა აქამდე შემოკრებილი, ყველა ერთბაშად გაეცალა. ტანჯვის კრუნჩხვით დახეულ ტუჩებს შერჩენოდა მხოლოდ მისი ნასახი.

— ჯოტო! ჯოტო! სადა ხარ, ჯოტო? — ძლივს გასაგონად გამოსთქვამდნენ ისინი ბურანით მოცული მისი სულის უდიდეს ძახილს.

...სადაც მაღლა, სულ მაღლა, ყველა მთის ზევით და კიდევ უფრო მაღლა ცაში თვითმფრინავი გამოჩნდა... თუმცა ნამდვილი თვალები დახუჭული და უსინათლო ჰქონდა მთის კაცს მაგრამ ის თვითმფრინავი მაინც დაინახა: სხვა უხილავი, შინაგანი თვალები უჭრიდნენ ახლა.

როგორც კი დაინახა, მაშინვე იცნო, რადგანაც დიდების შარავანდედით იყო იგი მოსილი, და ვისი იქნებოდა, თუ არა ჯოტოსი?

ისეთი სისწრაფით მოარღვევდა სივრცეს, რომ კაცი თვალს ვერ შეასწრებდა, მის წინ მანძილები თვითონ იკეცებოდნენ, იკუმშებოდნენ და უკან

მოქცეულნი უსაზღვროებაში გადადიოდნენ, გზიდან ეცლებოდნენ. ისიც დიდდებოდა წამისწამ, იზრდებოდა, რადგანაც წამისწამ დედა-მიწას უახლოვდებოდა.

თვითმფრინავს გეზი სოუსკენ ეჭირა და, ჩანდა, ის ადგილი ამოეღო ნიშანში, საიდანაც მამა შვილს საშველად ეძახდა უკანასკნელი განსაცდელის ჟამს.

მოუთმენლობისაგან ღელავდა მთის კაცი. წამი რა იყო, — საუკუნოდ ეჩვენებოდა.

— ჯოტო, ჯოტო! — იძახოდა იგი და, თუმცა მისი ხმა ბაგეს არ სცილდებოდა, მაგრამ უშიშარ მფრინავს მაინც ესმოდა ცაში.

— აქა ვარ, მამა! ერთი წამი კიდევ... სულ ერთი წამი! — მთის კაცსაც ესმოდა ვითომ შვილის პასუხი.

იმ წამმაც განვლო, და თვითმფრინავიც, როგორც ზღაპრული სამფეხა რაში, ცეცხლისმფრქვევი და ფრთიანი, მიწაზე მსუბუქად დაჯდა, უმალვე ძირს ჩამოხტა მისი მხედარი.

ნუთუ თვალები ატყუებენ მთის კაცს და ეჩვენება, თითქოს მის წინ ნამდვილი ჯოტო დგას.... ეს ხომ თვითონ არის თვითონ მთის კაცი... ბათუ ქარდუა... როგორიც იყო იგი ახალგაზრდობაში... მისი პირისახეა — თვალები, ცხვირი, წვერულვაშიც კი... ტანი და ახოვანობაც... მასაც ხომ რაშებზე ჯდომა უყვარდა და მკერდში უშიშარი გული უცემდა მაშინ.

არა, ნამდვილად ჯოტოა იგი და თავის თავის განმეორებად ეჩვენება მხოლოდ, იმიტომ რომ შისი შვილია, მისი სისხლი და ხორცი.

ჰოო, რა ბედნიერია მთის კაცი. ადვილია ახლა მისთვის სიკვდილი, როცა გრძნობს, რომ შვილის სახით უკვდავი რჩება ამ ქვეყანაზე.

— გავიგონე შენი ძახილი, მამა, და აჰა მოველი.

ჰოო ეს მისი ხმაა, ნამდვილი ჯოტოს ხმა.

— მაპატიე, რომ გიხმე, ჯოტო... ამ სიმორიდან გამოგიძახე... არაფერი კი არ მომხდარა ისეთი... მოვხუცდი, შვილო, და გულის ძალა დამაკლდა, მეტი კი არაფერი... არ დაგიფარავ: შემაშინა სიკვდილმა, ჯოტო.

— არც ერთი ჭრილობა ახლა მომაკვდინებელი არ არის, მამა... გავფრინდეთ. თვითმფრინავი მზად არის.

— შემაშინა მეთქი სიკვდილმა, მაგრამ არა ჩემმა, ჯოტო... ჩემთვის როგორ შეგაწუხებდი? ისე მეჩვენა... თითქოს ლია წამართვა წყეულმა... აკი გითხარი, მოვხუცდი, გულის ძალა დამაკლდა მეთქი... ალბათ ამიტომ მეჩვენა... ამან შემაშინა... ცოცხალია შენი ლია, ჯოტო, ნუ გეშინია... მხოლოდ ვერ დავიფარე და დაიჭრა ომში. მე მშველოდა თურმე... წყალს და წამალს მაწოდებდა, როცა... აი, აქ არის ჩემთან... ნახე... ცოცხალია არა უშავსრა... არ შეგეშინდეს ჩემსავით, ჯოტო, და არ იფიქრო, რომ მკვდარია.

— ლიაც თან წავიყვანოთ, მამა.

— კი, ჯოტო, თან წავიყვანოთ... მაგრამ ერთი სათხოვარი მაქვს კიდევ: აქ... სადღაც... სულ ახლოს... რომ გაიხედო, დაინახავ; მაცა ზურუბაია წევს დაჭრილი, შენი მეგობარი, შენი გმირობის დიდი თაყვანისმცემელი. წელან ცოცხალი იყო... იმასაც უნდა ვუშველოთ, ჯოტო.

— ვუშველოთ მაცისაც, მამა.

— ჰმ... კიდევ არიან აქ მტრის ტყვიით ბრძოლაში ჩემსავით განგმირულები.. ჩვენები... ძმები, შვილები, მეგობრები... ადამიანები... კვნესა და ოხვრა მესმოდა მათი... ჩვენი ბიჭები ჯერ კიდევ განაგრძობენ ბრძოლას... არ სცალიათ, რომ მომაკვდავთ მიხედონ. სანამ დაბრუნდებიან გამარჯვებულები, საჭიროა მივეშველოთ ამათ, რაკი აქა ხარ.

— კი მამა, ყველას, ყველას მივეშველები!

— კიდევ უნდა გითხრა, შვილო... დიდი გმირი ყოფილა ჩვენი მანუჩა... ის ჩამოხრჩობილი ახლაც ხეზე ჰკიდია აჭავჭარაში... შენი ვალია, ჯოტო: უნდა ჩამოხსნა, იტირო და დიდი პატივით დაასაფლავო, როგორც ქართველი ხალხის წესი მოითხოვს. ამის ღირსია მანუჩა.

— ჰოო, ჩემი მანუჩა...

— იქ რომ იქნები აჭავჭარაზე... სოფს გზის თავზე ერთი პატარა ღრეა რის... ჩემი ჯონდო მტრის ტყვიით განგმირული იმ ღრეში გდია მიუხედავი. მან მამაშენს თავი შესწირა... დახედე მაინც და მოიგონე...

— მესმის მამა.

— როცა შეასრულებ ჩემს ყველა თხოვნას, სულ ბოლოს ჩემთან მოდი... ბევრს არაფერს გთხოვ, ჯოტო: ლაკადაში გამაფრინე, ჩემს სამშობლოში... სადაც წინაპრები მეგულებიან... ლაკადაში გამაფრინე დედაშენთან... თუ მოსარჩენი ვარ, ისევ დედაშენი მომარჩენს! ბიძაშენთან არის თავშეფარებული... რუსუდანიც იქ იმყოფება მასთან... დღე და ღამე ლოცულობენ შენთვის საცოდავები... ჰოო, ჯოტო, გწამდეს დედის ლოცვას საიდუმლო ძალა აქვს.

— აჰა, მზად ვარ, მამა!

სთქვა და თვითმფრინავისკენ მიიქცა. მყისვე არახრახდა მანქანა...

... თვალები მძიმედ გააპილა, თითქოს ხმაურობამ ბურანიდან გამოიყვანა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვებული დროშები ფრიალებდნენ მის თავზე. ნაცნობი სახეები გარს შემორტყმოდნენ. მის სახელს ახსენებდნენ და მწარე ცრემლით სტიროდნენ ლიას.

შეხედა. დააკვირდა.

ყველაზე წინ კირილე გორაკოვი იდგა, მკლავებდაკაპიწებული სისხლიანი კვლებით სახე დაპობილი. იდგა თავჩაქინდრული და პატარა, ჟღალი თვალებიდან ცრემლის დიდი ღვარი სდიოდა.

მის მერე ჩარიგებულიყო ახალგაზრდობა. წინ ვახტანგი, ბატა და რეჯიბი.

როგორც კი ნახეს თვალგახელილი, გახარებულებმა შესძახეს, ჯოტოს მამას გაუმარჯოსო და რკალი შემოარტყეს.

უძრავ სახეზე ღიმილი დააკვდა... უსიცოცხლო თვალებში ნათელი სხივი ჩაუდგა.

თვითეულს ცალკე აკვირდებოდა. მოუსვენრად, ხარბად მიმოატარებდა თვალებს რიგიდან რიგში, თითქოს მათ გარდა კიდევ ეძებსო ვიღაცას, რომელიც ვერ დაენახა.

მერე თვალებში ნათელი სხივი გაუქრა. ზედ მძიმედ გადაეფარნენ ქუთუთოები.

ჩუმი და ფრთხილი ოხვრა აღმოხდა.

ეს იყო უკანასკნელი მისი ამოსუნთქვაც.

—.—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაქარია შერეზადაშვილი

ორი ლექსი

★

მზეო, მზეო და მზექალა...

ეს გვალვიანი დღეები გვეწვიენ — აღარ მიდიან,
სიმინდის ღერზე ფოთოლი დაღონებული ჰკიდია;
სოფლის რუ დაშრა — არ ვიცით, რით შევებრძოლოთ გვალვასა,
ყანას ძალ-ღონე ელევა — ნაჭირნახულევ ყანასა.

მაგრამ ჰაერი შეირხა, — სული მოითქვა ნიავმა,
ყანებზე გადაირბინა ვით ქორფა გოგონიამა;
ბაღში ცელქობით შეიჭრა — კაბის კალთები გაშალა,
მაცნედ მოსულმა ნიავმა მტვერში გახვია გზა-შარა.

ეს შენმა ეშხმა გაგვთანგა, მზეო, მზეო და მზექალა,
— მზემაც თუ იცის მორცხვობა ღრუბელს რომ ამოეფარა.
— ცაზე ღრუბლები გამოჩნდნენ, მზე სახეს აღარ გვიჩვენებს,
ვით სავარძლებზე — ჩვენს მთებზე ღრუბლებმა ჩამოისვენეს;

უეცრად შუბლი შეიკრეს, ფერიც იცვალეს ანაზდად,
შხაპუნა წვიმა მოვიდა, ყანა ქალივით განაზდა.
თოხი მიჭირავს, ვსველდები, არც არაფერი მაღონებს,
წვიმის გაბმული ძაფები ფანდურის ლარებს მაგონებს.

ყანა აფრენას აპირებს, — ვლაღდები მისი ყურებით,
მე ამის შემდეგ ბუნებას როგორღა დავემდურები,
— ჩემო სიმინდის ღერებო, ფერი იცვალა ტაროსმა,
მწამს ამაღამვე დაიყრით ქერაულვაშა ტაროსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

★

მ ე ტ ი ვ ე ე ბ ი

უშობლებივით ნაბამნი, მთელ ღამეს ნატივტივებნი,
გამთენიისას აუშვეს რიონის პირზე ტივები;
უხედნი ცხენის ზურგივით დაიწყეს ტოკვა მორებმა,
გზას ულოცავენ ტალღები, სხეულზე ეამბორებათ.

ხელახლად აიკარწახეს, მეტად ფრთხილობენ კაცები,
საშიში არის რიონი, ვიდრე ალპანას გასცდები.
წყლის პირს, — ტყეებში აქა-იქ მოსჩანს ზღმარტლი და ჯახველი,
მარჯვედ მოუსვი ორთაყვირს, თორემ კლდეს დავეჯახებით.
ონის ბოლოზე, გულფიცხად, ერთი უყვირის მეორეს,
მისი ხმიანი ხევებმა ხმამაღლა გაიმეორეს.
ტივების ბედსა ნატრობენ ათასწლოვანი ნაძვები,
— ჩვენც წაგვიყვანდნენ ნეტავი, თორემ აქ უქმად დავძველდით;
ვდგავართ უხსოვარ დროიდან, ცას კენწეროთი ვეხებით,
მუხლები ვეღარ გაგვიძლებს — კლდეებზე გადვიჩეხებით,
უფსკრულში გადვიჩეხებით და უსარგებლოდ ჩავლპებით;
ჩვენც წაგვიყვანეთ, კაცებო, — არა ვართ სხვებზე ნაკლები;
ისედაც ვეღარ ვეტევით, — მომრავლდნენ ნორჩი ხეები,
შიშით თვალები გვერევა, რომ ვიცქირებით ხევებში.

— ნუ დაღონდებით, ნაძვებო! — ოცნებას გაგინამდვილებთ;
ახოებიდან ქალები იქნევენ ჭრელ-ჭრელ მანდილებს.
ვით შემოდგომის ფოთლები — ცაზე ღრუბლები დამჭკნარან,
ვაზები შაბიამანით შეუღებიათ ხვანჭკარას.

ერთი ჭრელკაბა გოგონა ნაპირზე ვეღარ ისვენებს,
მოსდევთ, მოსძახით, მოკითხვა უთხარეთ ქუთაისელებს...
— შენ, ბოფარფატე გოგონი, პეპელა ხარ თუ ფუტკარი, —
ხვანჭკარელ მეტონიძეებს—ჩვენი მოკითხვაც უთხარი,—
ჩვენი მოკითხვა უთხარი, — არიან ჩვენი მოყვრები,
არ გადმოვარდე, მალხაზო, თორემ ზვირთებში მოჰყვები.

რტოების ქნევით აცილებს ტყე — ასიათასფურცელა,
მორებს, გუშინ რომ ღვლერჭებით მარდად გათოკეს უწერას.
ჯმუხ მეტივეებს ყოველთვის ძალუძთ რიონის მორევნა,—
ვერ შეაშინოთ ჩქერებმა და ვერც ქაფქაფა მორევმა,
ვერც ბებრის კენტი კბილივით ამოშვერილმა ლოდებმა,
ვინ დაითვალოს რამდენი დურგალი მიელოდებათ;
მიჰქრიან, — მარჯვედ უქცევენ ტალღებში ჩამდგარ პიტალოს,
— მაღლაკელებო! — ტივები თქვენ უნდა ჩამოგიტანოთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ბაქრაძე
საბჭოთა კავშირის გმირი

გმირთა სისხლით*

★

XII

კოვპაკის პარტიზანული შენაერთის მრავალ სახელოვან საქმეთა შორის უნდა მოვიხსენოთ ის შეურიგებელი და გამანადგურებელი ბრძოლა, რომელსაც პარტიზანები ვაწარმოებდით უკრაინელი ნაციონალისტების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის მთელი სიმძიმე ამ-ხანაგ პეტრო ვერშიგორას მხრებზე გადადიოდა.

ათასგზის გამოცდილ და დახელოვნებულ გამომძიებელსაც გაუჭირდებოდა ისე ოსტატურად ეწარმოებია კვლევა-ძიება, როგორც ეს ვერშიგორას შეეძლო.

პეტრო ვერშიგორა მტრის ზურგში პარაშუტით ჩამოფრინდა. იგი ომის პირველ დღეებში მობილიზებული იყო წითელი არმიის რიგებში და ფრონტზე მას არაერთ სამხედრო ოპერაციაში შიუღია მონაწილეობა. ის ერთხელ დაჭრილიც იყო. ომამდე ვერშიგორა კინო-ოპერატორი ყოფილა, ამ დარგში მას დიდხანს უმუშავნია. მენებას ვერ მივცემ ჩემს თავს შევაფასო ვერშიგორა, როგორც კინოსტუდიის მუშაკი, მაგრამ ის რომ შეუდარებელი მზვერავი, სამხედრო ტალანტის ადამიანია — ეს ყოველ ჩვენთაგანისათვის ნათელი იყო. მის გამჭრიახს და მახვილ ჭკუას განსაკუთრებულად ენდობოდნენ კოვპაკი და რუდნევი.

ვერშიგორას მონაწილეობის გარეშე შენაერთში არცერთი პრინციპული საკითხი არ წყდებოდა. ის მეთაურობდა დაზვერვას და ეს საქმე მას ყოველთვის სანიმუშოდ ჰქონდა მოწესრიგებული. ამიტომაც იყო, რომ სარეიდო რაიონებში პარტიზანებმა ყოველთვის უტყუარად წინასწარ იცოდნენ სად, როგორი და რა ძალები ჰყავდა მტერს, რა მატერიალური ბაზა გააჩნდა. ტყვე გერმანელები გაოცებულნი იყვნენ ხოლმე — „საიდან იცით თქვენ ასე ყველაფერი, ნაბიჯი ვერ გადაგვიდგამს — ვერც ფშკარად, ვერც ფარულად, რომ ის თქვენთვის ცნობილი არ გახდესო“.

პეტროს მუდამ იქით მიუწევდა გული, სადაც ყველაზე მაგრად „ცხელდა“. არც ერთი ბრძოლა უმისოდ არ ჩატარდებოდა; რიგითი მეომრების გვერდით გაიჭრებოდა ხოლმე მტერთან შეტაკების დროს წინ ავტომატით ხელში და დაუცხრომლად სცელავდა მოწინააღმდეგის რიგებს.

მართლაც საკვირველი სანახავი იყო პეტრო ბრძოლის წუთებში. ამ დროს მის ბუნებაში პროფესიონალი კინო-მუშაკი იღვიძებდა და თითქოს თავის ორეულს — მამაც მზვერავსა და

* გაგრძელება. „მნათობი“, № 6.

მეავტომატეს, პარტიზანულ მეთაურს პეტრო ვერშიგორას ჩასჩურჩულებდა: „არაფერი გამოგრჩეს, გადაიღე, შეუნახე ისტორიას ამ ადამიანთა სახეები, მათ თავისი სპეტაკი სისხლით დაიმსახურეს, რომ უკვდავნი იყვნენ და მარად მადლობის გრძნობით იხსენებდეს შთამომავლობაო.“

და აი სწორედ ამიტომ იყო, რომ პეტროს ცალ მხარეზე ავტომატი ეკიდა და მეორეზე — „ფედის“ სისტემის ფოტო-აპარატი; იგი ერთდაიმავე დროს ამ ორივე იარაღს მარჯვე ოსტატის ხელით ამოქმედებდა; ასე ორგანიულად შერწყმულიყო ერთი ადამიანის სულში მეომრული შემართებაც და კინო-ხელოვანის ცნობისმოყვარეობაც.

პეტრო შენაერთში ყველასათვის საყვარელი ადამიანი იყო. მას პარტიზანები მეტსახელად „ბოროდას“ ეძახოდნენ, რადგან ძალზე გრძელი წვერები ჰქონდა.

ერთხელ, როდესაც ჩვენ ქალაქ ხოინიკის მახლობლად ვიმყოფებოდით, უეცრად შემოგვეხიზნა სლოვაკელი ჯარისკაცი, რომელიც ხსენებულ ქალაქში დაბანაკებული სლოვაკელთა პოლკიდან იყო გამოქცეული. ვერშიგორამ დაჰკითხა ამ ჯარისკაცს და როცა შეიტყო, რომ სლოვაკელთა პოლკში ბევრნი გერმანელთა მიმართ მტრულად არიან განწყობილნიო, ძალზე თამამი ნაბიჯი გადასდგა და პირდაპირ სლოვაკელთა მეთაურთან — პოდპოლკოვნიკ გუსარ იოზეფთან გაგზავნა გაბედული პარტიზანი ქალი ალექსანდრა კარპეს ასული კარპოვა. ეს ქალი ყოფილი მასწავლებელი იყო.

ძალზე წინდახედულმა და მარჯვე პატრიოტმა ქალმა ალექსანდრა კარპოვნამ როგორც იყო მიაღწია სლოვაკელთა პოლკის შტაბამდე. თან წერილიც მიიტანა, რომელშიც ეწერა:

„ბატონო პოდპოლკოვნიკო! რატომ ჩვენთან არა ხართ გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლაში? სლოვაკელი ხალხი ხომ შეურიგებლად ებრძვის გერმანელებს. დაფიქრდით, ჯერ კიდევ გვიან არ არის, შევერთდეთ და მტერს გაერთიანებული ძალით გავუმკლავდეთ“.

წერილზე ხელს აწერდა კოვპაკი.

სლოვაკელთა პოლკის პატრულებმა დაუბრკოლებლად გაატარეს ქალი ბანაკში. აბა ვინ იცოდა, რომ ეს ქალი კოვპაკის შენაერთიდან იყო მოგზავნილი! კოხტად მორთულ-მოკაზმული ლამაზი ქალი იოზეფის კაბინეტში თამამად შევიდა და რბილ სავარძელში ჩაჯდა. ბატისტის პერანგის უკან ორი თითი ჩაჰყო, იქიდან წერილი ამოიღო და იგი მორიდებულად პოდპოლკოვნიკს გადასცა. პოდპოლკოვნიკმა ბარათი უეცრად არ წაიკითხა, ჩაათვალიერა და ქალს თვალი თვალში გაუყარა.

პეტრო ვერშიგორამ თავის წიგნში, ყოველგვარი ცვლილების გარეშე, გადმოგვცა თვითონ ალექსანდრა კარპოვნას ზუსტი ჩანაწერი ამ შეხვედრის შესახებ. ჩვენც მოვიყვანთ ამ პატრიოტი ქალის ჩანაწერებს:

— „ბატონო პოდპოლკოვნიკო, მოვედი თქვენთან როგორც წითელი არმიის წარმომადგენელი.

— რომელი წითელი არმიის? — მკითხა პოდპოლკოვნიკმა.

— მტრის ზურგში მოქმედი წითელი არმიის.

— რა გინდათ ჩემგან?

— მე მინდა, თუ თქვენთვის ძვირფასია თქვენი სამშობლო, თუ თქვენ გინდათ იხილოთ თქვენი სლოვაკია თავისუფალი, მოიქცეთ ისე, როგორც პოლკოვნიკი სვობოდა მოიქცა.

— ვინ არის პოლკოვნიკი სვობოდა? მე იმას არ ვიცნობ.

— პოლკოვნიკი სვობოდა — სლოვაკელი პოლკოვნიკია, რომელიც თავისი დივიზიით წითელი არმიის მხარეზე გადავიდა და ახლა ჩვენს საერთო მტრებს — გერმანელებს ეომება.

პოდპოლკოვნიკი დუმდა.

— ბატონო პოდპოლკოვნიკო! მე მოგიტანეთ წერილი ჩვენი გენერლებისგან.

— მომეცით, — სთქვა პოდპოლკოვნიკმა.

მე გადავეცი წერილი.

— მაგრამ მე რუსული არ მესმის.

— მოიტათ, წაგიკითხავთ და აგიხსნით გაუგებარ ადგილებს, — ვუთხარი მე. — „ბატონო პოდპოლკოვნიკო...“ დავიწყე მე წერილის კითხვა.

— იცით თქვენ თუ არა, რომ მე შემიძლია თქვენ დაგხვრიტოთ — შემეკითხა ის.

— ვიცოდი ეს ჯერ კიდევ მაშინ, როცა მივიღე დავალება მომეტანა ეს წერილი თქვენთვის.

— რატომ წამოდით?

— საჭირო იყო, — ვუპასუხე მე

პოდპოლკოვნიკმა ხმაამოუღებლად შემომხედა. თუ რა იფიქრა იმ წუთში, არ ვიცი, მაგრამ მას ისე გაკვირვებული სახე ჰქონდა, რომ სხვა ვითარებაში მე ალბათ გადვიხარხარებდი, მაგრამ იმ წუთში მე ვთხოვე მას, რომ მოესმინა ჩემთვის ბოლომდე, ხოლო შემდეგ შეესრულებია თავისი მუქარა.

— არა, არასოდეს მე თქვენ გერმანელების ხელში არ ჩაგაგდებთ! — წამოიძახა პოდპოლკოვნიკმა.

როცა წერილის კითხვა და მისი განმარტება დამთავრდა — პოდპოლკოვნიკმა მითხრა:

— საპარლამენტარო მოლაპარაკებაზე არ წავალ, წითელი არმიის მხარეზე ვერ გადავალ, რადგან ამისათვის გერმანელები ჩვენს სამშობლოს გადაბუგავენ.

— აკი პოლკოვნიკი სვობოდა გადავიდა? ახლახან მას მიესალმა დოქტორი ბენეში, — ვთქვი მე.

— ის იყო საფრანგეთში, გერმანიაში და იქიდან წავიდა ფრონტზე. იქ იგი მიემხრო საბჭოთა ჯარებს. ბენეში ინგლისშია. ჩვენ კი მტრის ზურგში ვიმყოფებით. პარტიზანთა მხარეზე გადასვლისათვის სლოვაკელებს ოჯახებს უხვრეტნენ და სახლებს უწვავენ, — მიპასუხა მან.

— მაგრამ ხომ არის შემთხვევები, როცა ბრძოლის დროს ტყვედ ვარდებიან. რატომ არ შეიძლება თქვენ გადმოხვიდეთ პარტიზანთა მხარეზე ბრძოლის დროს? — შევეკითხე მე.

— იმიტომ, რომ გერმანელები სპობენ იმ სლოვაკელთა ოჯახებს, რომლებიც პარტიზანებს მიემხრნენ, აგრეთვე იმ სლოვაკელთა ოჯახებსაც, რომლებიც ტყვედ დანებდნენ — მიპასუხა პოდპოლკოვნიკმა და თავისი სიტყვების დასადასტურებლად გერმანელთა ბრძანება წამიკითხა.

— მაგრამ თქვენები მაინც ხომ გადადიან პარტიზანების მხარეზე, — ვუთხარი მე.

— და ძალიან ცუდადაც შვრებიან, — მიპასუხა პოდპოლკოვნიკმა. — გერმანელები ჩვენ ისედაც არ გვენდობიან, ხოლო თუ სლოვაკელებმა მასობრივი გადასვლა დაიწყეს პარტიზანთა მხარეზე, ჩვენ სავსებით გაგვრეკენ აქედან და ჩვენს ნაცვლად მადიარებს ან გერმანელებს გამოგზავნიან. თქვენთვის ხომ ეს უარესი იქნება. ჩვენ თქვენ არ გაწუხებთ და ნურც თქვენ შეგვაწუხებთ, როდესაც თქვენ დაბა ბ...ს უტევდით, ჩვენ არ მივშველებივართ გერმანელებს; თუ ჩვენ მარტო ვართ, ჩვენ არც კი გესვრით თქვენ, თუმცა კი გხედავთ, ჩვენი ჯარისკაცები ყველანი რუსების მხარეზეა. რუსები ჩვენი ძმები არიან. რითაც შეგვიძლია — გეხმარებით. პირადათ მე ამ დაბაში გავანთავისუფლე სამი კაცი, რომელთაც დახვრეტა მოელოდა, ბევრი პარტიზანიც გავანთავისუფლე. მეტის გაკეთება ჯერჯერობით არ შეგვიძლია. ჩვენ, სლოვაკელებს, ხომ ყველასა გვყავს ოჯახები და თუ თქვენ

მხარეზე გადმოვალთ, მათ მოსპობენ. ურტყით გერმანელებს, ისინი ჩვენც გვეზარებიან, ჩვენ ხელს არ შეგიშლით, მოსპოთ ისინი, გადაეცით კიდევ თქვენ უფროსებს უმჯობესი იქნება მდინარის გაღმა გადახვიდეთ, თორემ მოსული არიან დიდძალი მადიარები და გერმანელები ტანკებით დაბა ნ-სა და რ-ში. მდინარის გაღმა ისინი უფრო ცოტანი არიან.

— მაშასადამე ამით კმაყოფილდებით? — ვკითხე მე.

მან მიპასუხა, რომ თქვენს მხარეზე გადმოსვლა ჯერჯერობით შეუძლებელიაო, გაიცინა, გაწითლდა.

— წადით ჩქარა, რომ აქ გერმანელებმა არ შეგამჩნიონ. თქვენ უნდა იცოცხლოთ, — სთქვა ფიქრში წასულმა პოდპოლკოვნიკმა ჩვენი შეხვედრის დასასრულს“.

XIII

ცხრამეტ თებერვალს პარტიზანების შენაერთმა დაბა დიდ სტიდინოს მიაღწია. დიდი სტიდინო როვენის ოლქის რაიონული ცენტრია. იგი რკინიგზების ხლართშია მოქცეული. დაბას ირგვლივ კოველროვნოსი და როვნოსარნის რკინიგზების ხაზები აკრავს. ამ მიდამოებში პარტიზანებმა დიდი სადივერსიო მუშაობა ჩაატარეს მტრის კომუნიკაციების მოსაშლელად.

თებერვლის ბოლო რიცხვებში ზამთრის სიმძაფრე ცოტათი შენელდა, გაყინული თოვლი ოდნავ შელბა, გაფხვიერდა, გზებზე ადგილ-ადგილ მიწის ზედაპირი მოსველდა, მაგრამ გაზაფხული ჯერ კიდევ შორს იყო. უკრაინაში გაზაფხული ერთბაშად იწყება: ყინვის დნობა, მდინარეების ადიდება და მცენარეების გაღვიძება ერთდროულად მოხდება ხოლმე.

სტიდინოში ჩვენ ოთხი დღე დავყავით. შემდეგ კვლავ გავუყევით ჩვენს მარშრუტს. გზა და გზა მტრის მცირე ნაწილებს თუ წავაწყდებოდით, ამ უკანასკნელთ განუკითხავად განადგურებდით.

მართლაც ძალზე ძნელი იყო ჩვენი გზა. გერმანელები თითქმის ყოველ ორ-სამ კილომეტრზე იყვნენ ჩასაფრებულნი; არ იყო ქვეყნად მუხანათობა, რომ მათ არ ჩაედინათ, არ იყო ბოროტება, რომელიც მათი ხელიდან არ გამოსულიყო. მაინც შეუდრეკლად იბრძოდა კოვპაკის შენაერთი, მაგრად სცემდა მტერს; სისხლისაგან იწრიტებოდნენ გერმანული გარნიზონები. იმავე დროს რუდნევიც, კოვპაკიც სულ იმასა ცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა ნაკლები მსხვერპლით ებრძოლათ. და ამას ჩვენ ვახერხებდით კიდევაც, თუმცა დღე და ღამე პარტიზანები შეუსვენებლივ ბრძოლებში იყვნენ ჩაბმული, იმავე დროს იგივე პარტიზანები დაუღალავად შლიდნენ რკინიგზის ლიანდაგებს, ანადგურებდნენ ვაგონებს, მტრის საწყობებს, შენობებს, აფეთქებდნენ ხიდებს.

სწორედ იმ ხანებში პარტიზანების შტაბმა განკარგულება გასცა შენაერთს გეზი ეცვალა, დასავლეთიდან ჯერ სამხრეთისაკენ და მერე აღმოსავლეთისაკენ შემოვბრუნდით.

ასე ვიცვალეთ მხარი, ახალი გეზით წავედით. მტრისათვის ეს სრულიად მოულოდნელი იყო. ამიტომ მოხდა, რომ ორ ღამეს სრულიად უბრძოლველად ორმოცდაათი კილომეტრი გავიარეთ, მაგრამ მტერი ჩქარა ისევ გონზე მოვიდა.

გამოცდილებით ვიცოდით: თუ გერმანელები ყოველ ნაბიჯზე წინ არ გვიდგებიან და არ გვებრძვიან — სჩანს ისინი სამზადისში არიან, სადღაც მახეს აგებენ, ძალებს იკრებენ და რთულ ბრძოლაში ჩვენს ჩათრევას ლამობენ.

და აი დაზვერვამ ამბავი მოიტანა: კოროსტენის მხრიდან ჩვენსკენ მტრის

რამდენიმე ბატალიონი ტყე-ტყე ფრთხილად მოიწევდა. საჩქაროდ გადავლახეთ მდინარე ტეტერევი და რადომიშლის ახლოს დავბანაკდით.

როგორც სხვა დროს, ამ შემთხვევაშიც რუდნევის და კოვპაკის სამხედრო გეგმა ჩვენთვის უცნობი იყო, მხოლოდ სჩანდა, რომ რთული და სერიოზული ოპერაცია იყო მოსალოდნელი.

ეს ორი ხელმძღვანელი მკაცრად იცავდნენ საიდუმლოებას და სხვასაც, ამას ასწავლიდნენ. ამას თავისი აზრი ჰქონდა, ეს ყველას ბუნებრივად მიგვაჩნდა; ყოველი პარტიზანი კოვპაკისა და რუდნევის წინდახედულებას ისევე ენდობოდა, როგორც თავის მარჯვენას, თავის ავტომატს. ეს იყო ჩვენი გამარჯვების საწინდარი.

ამიტომ არასდროს არცერთი მეთაური, არც ერთი მებრძოლი არ იკითხავდა — სად მივდივართ, რატომ მივდივართ.

კოვპაკი როგორც კი მოწინააღმდეგეს დაინახავდა, მას დროულად შეებმოდა ხოლმე. ლოდინში მტრის ძალები მატულობენო — იტყოდა ხოლმე კოვპაკი; მისი ტაქტიკა ზუსტად ითვალისწინებდა პარტიზანული ბრძოლის სპეციფიურობას.

იმ ხანებშიც პარტიზანის მეთაურები კარგად ვგრძნობდით და ცნობებიც გვქონდა იმის შესახებ, რომ მტერი დღეს თუ ხვალ დიდი ძალებით დაგვეძგერებოდა, ამიტომ პირველ რიგში საჭირო იყო თავდაცვისათვის მოვმზადებულიყავით და რაც მთავარია ხელსაყრელი თავშესაფარი შეგვერჩია. ამ გვარი თავშესაფარის ძებნის დროს ჩვენი ყურადღება სოფელმა კოდრამ მიიქცია.

ამ ვეებერთელა სოფელს ირგვლივ ხშირი ნაძვის ტყე ერტყა. სოფლიდან სამი გზა გადიოდა. სამივე ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული იყო. პარტიზანთა შენაერთი, კოვპაკის განკარგულებით, რადომიშლიდან კოდრასაკენ დაიძრა. გზაში გერმანელების ბატალიონი დაგვედევნა და სრული ალეგეტეხა. კოვპაკმა მიბრძანა მტრისათვის შემხვედრი ცეცხლით მეპასუხნა. ამით შენაერთს საშუალება მიეცა კოდრამდე უბრძოლველად მიეღწია და სტრატეგიული ადგილები ადრევე დაეჭირა.

კოვპაკის ბრძანება ზუსტად შევასრულე, მტერი ბრძოლაში ჩავითრიე და ამასობაში შენაერთი სოფელში უვნებლად შევიდა. ახლა ჩვენი მებრძოლები სამივე გზის გასწვრივ ჩასაფრდნენ ტყის სიღრმეში. ძთელ ამ მიდამოში ყოველი ჭუჭრუტანა მაგრად იყო ჩაკეტილი.

ჩემი ასეული კვლავ მტრის პირისპირ იდგა და ცხარე ბრძოლაში იყო ჩაბმული.

კოვპაკმა მეკავშირე გამომიგზავნა — მოწინააღმდეგეს დაუსხლტი, წამოდი და მთავარ ძალებს შეუერთდიო. მე ბრძოლით უკან დავიხიე და დიდის ვაივაგლახით სოფლამდე მივაღწიე. ღვარი რომ მოსკდება ქუჩაში და რაც ქვევით მოდის — მით უფრო მატულობს, აი ასე მატულობდა მტრის ჯარი. აქა-იქ, ჩვენი ჩასაფრების მოსინჯვის მიზნით, გერმანელებმა კანტიკუნტად სროლა იწყეს, პარტიზანები მათ დუმილით უპასუხებდნენ.

მტრის ბატალიონები ნელნელა დაგვიახლოვდნენ და ჩასაფრდნენ. კარპენკო თავის ასეულით შეუმჩნევლად მტერს ზურგში მოექცა. მტრის ბატალიონები, სრული დარწმუნებული იმაში, რომ გზა უხიფათოა, წინ სვლას განაგრძობდნენ. ამ დროს შუაზე მოქცეულმა კარპენკოს ასეულმა მტერს გრიგალისებური სროლა აუტეხა და წინა რიგებში მყოფი ბატალიონის ჯარისკაცები ბალახივით მოსცელა.

გზებზე, ყველა მიმართულებით სეტყვისებური ცეცხლი გაჩაღდა, ამ დროს ჩემს ასეულთან ცხენით სწრა-

ფად მოიჭრა შტაბის უფროსი ბაზიმა და კოვპაკის ბრძანება გადმომცა. ამ ბრძანებით მტრისათვის მარჯვენა ფრთაზე უნდა დამერტყა, რომ მას შეტევაზე გადმოსვლის შესაძლებლობა არა ჰქონოდა. სასწრაფოდ შევკრიბე ჩემი ასეული და ბრძანების შესრულებას შევუდექი.

ასეული ტყე-ტყე წამოვიყვანე; უცებ წინ, ხეებში შევნიშნე — ვიღაცას ხელში აყვანილი დაჭრილი მოჰყავდა. წუთიც და შემხვედრი ვიცანი. ათას კაცში გამოიცნობდით ბუხრის ქუდით და ჩერქეზული ყაბალახით მორთულ, კოხტად ნაბადწამოსხმულ ვაჟკაცს: ვანო რეხვიაშვილი იყო, ამ ღონიერ რაჭველს ბავშვივით აეტატებია ხელში დაჭრილი მეტყვიამფრქვევე და მიჰყავდა. ვანომაც მაშინვე მიცნო და დანახვისთანავე მომაძახა:

— დათიკო, გესმით რა ჭექა-ქუხილია, ასე ძლიერი ცეცხლი ჯერ არ მინახავს... მთელი შენაერთი უკვე ბრძოლაშია ჩაბმული.

სთქვა და მიეფარა თვალს.

— აბა უჩქარეთ-მეთქი, — შევძახე ასეულს და სირბილით წავიყვანე. სულ მალე ბრძოლის შუაგულში მოვექეცით.

კოდრას ბრძოლა მართლაც საოცარი იყო. თოფებისა და ავტომატების ჭახიჭუხისაგან, ნაღმსატყორცნების ღმუილისაგან ყურთა სმენა აღარ იყო. ტყე შავი კვამლის ღრუბლებში გახვეულიყო და თითქო ათასი კაცის ხმით კვნესოდა. ასი ყური და ასი თვალი უნდა გამოგება, რომ ამ ტყეში რასმე მიმხვდარიყავ და ორიენტაცია არ დაგეკარგა. ხეების უკან რომ მტერია ჩასაფრებული, ეს კარგად ვიცოდით, მაგრამ სად იყო მტერი და სად მოყვარე, ამის გამოცნობა ძნელი იყო. ნაბიჯს წინ წარვდგამდით, უზარმაზარ ხეს ირგვლივ შემოვურბენდით; თუ ხის უკან შენიანი დაგხვდებოდა, ხომ კარგი, თუ მტერი — საქმე მოსწრებაზე იყო. საკმარისი იყო წამის დაგვიანება, რომ მტერს მოესწრო და მოეკალი.

უეცრად გერმანელებს გადავაწყდი. ჯარისკაცებს უკან ოფიცერი მოსდევდა. ავტომატი მოვიმარჯვე და ერთი გრძელი ჯერი მათ დავუშინე. ისე მოულოდნელად შემეფეთნენ, რომ იარაღის ხმარებაც ველარ მოასწრეს, მეორე გრძელი ჯერი მივაყოლე, ჯარისკაცები მიწაზე დაცვივდნენ, წაიქცა ოფიცერიც. მეგონა ოფიცერი მოვკალ მეთქი, თურმე მძიმედ დაჭრილა, აი თავზე წავადექი. მიწაზე გაშხლართული ოფიცერი შეინძრა, რევოლვერი გაიძრო, ვიფიქრე — ახლა კი მომასწრო-მეთქი, მაგრამ მან რევოლვერი სასწრაფოდ ხელში შეატრიალა, საფეთქელზე მიიდო, მსხლეტზე თითით დააწვა და... სულიც განუტევა.

ამასობაში რეხვიაშვილს დაჭრილი მეტყვიამფრქვევე უშიშარ ადგილზე გაეყვანა და უკან დაბრუნებული ისევ ბრძოლაში ჩაბმულიყო.

რეხვიაშვილი ამ ბრძოლის დროს დაიჭრა!

— ვანო მძიმედ არის დაჭრილი!..— ტყის ერთი კუთხიდან მეორეში გადადიოდა ეს ამბავი. მტრის მეავტომატეს მისთვის მუხლის თავი დაეცხრილა. რეხვიაშვილი, როგორც მედგარი და შეუდარებელი მებრძოლი, შენაერთში დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა, ამიტომაც იყო, რომ მის დაჭრას ასე განსაკუთრებული გულის ტკივილით შეხვდნენ მეომრები.

ორი დღის შემდეგ დაჭრილი რეხვიაშვილი სამკურნალოდ მოსკოვში გადავაფრინეთ.

კოდრას ბრძოლამ ოთხ საათზე მეტ ხანს გასტანა. საბოლოოდ იგი ჩვენი სრული გამარჯვებით დამთავრდა. გერმანელების გვამებით იყო ტყე მოფენილი. პარტიზანებმა ბრძოლის შემ-

დეგ დიდძალი ნადავლი შეაგროვეს და აძავე დღეს საღამოს გზა გახვაგოძეთ.

ჩვენს რაზმში პარტიზანების უმრავლესობა გერმანელების ტანსაცმელს იცვამდა, ვინაიდან სხვა ტანსაცმელის შოვნა მტრის ზურგში ძნელი იყო. გერმანული მუნდირები ბლომად ეყარა, მაგრამ მე ვერ შევეგუე მტრის ტანსაცმელს; როგორღაც მაწუხებდა, თავს თავისუფლად ვეღარა ვგრძნობდი, ამიტომ გერმანულს არაფერს ვიცვამდი.

კოდრას ბრძოლის შემდეგ კი იძულებული გავხდი იმ გერმანელი ოფიცრის წაღები ჩამეცვა, რომელმაც ჩემს თვალწინ მოიკლა თავი. იძულებული გავხდი-მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ ხანგრძლივი მოგზაურობის გამო ჩემი ჩექმები ისე დაიფლითა, ფეხის თითები მიჩანდა.

მეცხრე ასეულს, რომლის მეთაური მე ვიყავი, კოდრას ბრძოლის შემდეგ, პარტიზანების ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული მადლობა გამოუცხადეს.

სამწუხაროდ, კოდრას ბრძოლაში ჩვენ დავკარგეთ სახელგანთქმული მეავტომატე „კოლია მუდრი“ და შეუდარებელი მზვერავი ბავშვი ვალოდია შიშოვი.

XIV

გაზაფხული ძალაში შედიოდა.

სტალინგრადის სახელოვანი ბრძოლების შემდეგ საბჭოთა არმიამ ხარკოვიდან და კურსკიდან მტრის გამორეკვა იწყო.

მტერი გამორბოდა კიევიდან ჟიტომირის მიმართულებით. კიევ-ჟიტომირის მოასფალტებულ გზაზე, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გარბოდნენ დამარცხებული და ხერხემალგატეხილი იტალიური დივიზიის ნაწილები, უნგრეთის ბრიგადები და რუმინეთის პოლკები.

ცხვრის ფარასავით უწესრიგოდ მორბოდნენ ძონძებში გახვეული საატელიტებიც და მათი ბატონებიც. მორბოდნენ არაქათ-გამოცლილნი და სიმშილისაგან ილაჯ-გაწყვეტილნი. რაც რამ კი გააჩნდათ, საკუთარი იარაღი იყო ეს თუ ნაძარცვი ქონება — გზა და გზა ყველაფერს პურის ნატეხში ცვლიდნენ.

შორეული კუთხეებიდან გასახარი ამბები მოჰქონდათ ჩვენს პზვერავებს: გერმანელები დნეპრის მარჯვენა ნაპირისაკენ იხევდნენ. შეუპოვარი ბრძოლების ცეცხლი ენთო იმ ადგილებში, სადაც მანამდე თვეობით პარპაშობდნენ გერმანელი დამპყრობლები.

იმ ხანად ჩვენ მოქმედ რეგულარულ ჯარებთან შეხვედრის მიზნით დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მივდიოდით. მტერი თავისი თვალით ხედავდა, თუ რა ძალას წარმოადგენდა მათ ზურგში მოქმედი პარტიზანული რაზმები; უკან დახევისას მტრის ჯარს პარტიზანების ტყვია სცელავდა, მირბოდნენ სახლში და გზაზე ჩვენ ვუხვდებოდით, ეს თავზარსა სცემდა მათ.

გერმანული ჯარები, თუმცა ჯერ ისევ გააფთრებულ ბრძოლას განაგრძობდნენ, მაგრამ მათი დღეები რომ დათვლილი იყო, ამას ყველა გრძნობდა.

ორ დღეში პარტიზანების შენაერთმა აღმოსავლეთის მიმართულებით ას კილომეტრზე მეტი მანძილის გავლა შესძლო. გადავლახეთ მდინარეები — სლუჩი და გორენი, ნოვგოროდ-ვოლინსკის რაიონში შევედით. ამ რაიონში, მდინარე სლუჩთან, წინათ უკრაინა-პოლონეთის საზღვარი გადიოდა. სლუჩის ნაპირზე წავაწყდით სოფელ სტარაია გუტას.

ამ პატარა სოფელმა ბრიანსკის ტყეებში მდებარე ჩვენი საყვარელი სოფელი, სტარაია გუტა, მოგვაგონა;

შემდეგშიაც ვინ იცის რამდენჯერ შევხვედრივართ სოფლებს, რომლებსაც ეს სახელი ერქვა. სლუჩზე მდებარე სტარაია გუტაში ღამე გავათიეთ. ამ მცირეოდენი შესვენების შემდეგ, ნოვგოროდ-ვოლინსკზე გადავიარეთ და ჟიტომირის მისადგომებში დავბანაკდით. გერმანელების პატარ-პატარა გარნიზონებთან და პოლიციელებთან გზადაგზა შეტაკება გვიხდებოდა, მაგრამ ყველა შემთხვევაში მათ გასანადგურებლად ერთ საათზე მეტი დრო არ დაგვჭირებია.

ხალხში ხმა გავრცელდა: საბჭოთა ჯარებმა ხარკოვი აიღესო. მალე ეს ხმები დადასტურდა. ხარკოვიდან წამოსული გერმანელების ჟანდარმერია და პოლიცია ბარგი-ბარხანით და ნაძარცვით დასავლეთის მიმართულებით რომ გამორბოდნენ, ეს პარტიზანებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

კოროსტენს ვუახლოვდებოდით. ამ ვრცელ ველებზე მრავალი ხუტორია გაშენებული. ეს მდიდარი ადგილები გერმანელ კოლონისტებს დაესაკუთრებინათ. უხვმოსავლიანი მიწები ეჭირათ აქ კოლონისტებს და კარგადაც ცხოვრობდნენ. შევდგით თუ არა ამ ტერიტორიაზე ფეხი, კოლონისტებმა თითქმის ყველა სახლიდან სროლა აგვიტეხეს, რამდენიმე პარტიზანი მოგვიკლეს და დაგვჭრეს. აენთო კოვპაკი, ორივე ხელები წელზე შემოიწყო და დასჭექა:

— დაუყოვნებლივ მიწასთან გაასწორეთ ის ხუტორი, საიდანაც თუნდაც ერთი ტყვია გვესროლონო!

კოვპაკის ამ განკარგულებამ ჩქარა გასჭრა: მთელი რაიონი ისე გავიარეთ, რომ ჩვენთვის ჩიტთოფაც აღარ უსროლიათ.

ჩვენს მიახლოვებაზე კოლონისტი მამაკაცები დამფრთხალი გარბოდნენ ტყეებში. ქალები და ბავშვები ფანჯრების ფარდების გამჭვირვალე ნაქსოვებიდან ადევნებდნენ თვალს ქუჩებში პარტიზანების მოძრაობას. ჩვენ მათთვის ხელი არ გვიხლია.

XV

კოროსტენში და ჟიტომირის რაიონებში სიხარულით შევიტყეთ, რომ აქ ახალგაზრდათა მებრძოლი ორგანიზაციები არსებობდა. ამავე დროს ადგილობრივმა ამხანაგებმა ერთი ძალზე სამწუხარო ამბავი გვითხრეს: ვიღაცა არამზადებს საიდუმლო ორგანიზაციების წევრები გაეცათ და ზოგი არალეგალური აქტიური მუშაკი ამ დაბეზღების მსხვერპლი გამხდარიყო.

იმ დროს ჟიტომირში არ შეიძლებოდა არ გაგეგონათ ვიღაც კალაშნიკოვის სახელი. გულუბრყვილო ადამიანებმა ყურები გამოგვიჭედეს მისი ქება-დიდებით. ხალხში ასეთი ხმა დადიოდა: გესტაპოს ტყვეობიდან მხოლოდ კალაშნიკოვმა შესძლო გაქცევა, ვადაცმული კალაშნიკოვი გამოცხადდა გერმანელების საწყობის უფროსთან და ყალბი საბუთით უამრავი საქონელი გაიტანაო. კინო-თეატრში, ერთ საღამოს კალაშნიკოვი გერმანელ გენერალს გვერდით შეუმჩნევლად მიუჯდა და ჯიბეში ბარათი ჩუმად ჩაუდვა, ბარათში ეწერა: მე კალაშნიკოვი ამ საღამოს კინო-თეატრში თქვენს გვერდით ვიჯექიო. ვინ მოსთვლის რა ხმები არ დადიოდა ამ „პარტიზანზე“.

თუმცაღა მოგვიანებით, მაგრამ ხალხისათვის შემდეგში ცნობილი გახდა, რომ კალაშნიკოვი ნამდვილი პროვოკატორი და გესტაპოს ჯაშუში ყოფილიყო.

როგორც კი პარტიზანი კოვპაკის შენაერთში მოვიდოდა და ჩაეწერებოდა, პირველ რიგში მას ფიცს დაადებინებდნენ, პარტიზანის მოვალეობას განუმარტავდნენ და შემდეგში ცხოვ-

რებაში მის განუხრელად და მთლიანად გატარებას მოსთხოვდნენ: თუ მებრძოლი ფიცის მტკიცედ დაცვას ვერ შესძლებდა, მას პარტიზანთა რიგებში არ ედგომებოდა. ფიცის გაცნობის შემდეგ თუ მსურველი ჩვენს შენაერთში ჩაწერაზე უარს იტყოდა, მას ხვეწნას არ დაუწყებდნენ, შეეძლო, საითაც უნდოდა, იქით წასულიყო.

პარტიზანთა რიგებში ვღებულობდით მხოლოდ საიმედო საბჭოთა პატრიოტებს, ვღებულობდით იმათ, ვინც ყოველ წუთს მზად იყო სამშობლოსათვის თავი გაეწირა და ვინც ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული იყო.

პარტიზანული ფიცი ასწავლიდა ყველა მებრძოლს, რომ საკმაო არ არის პარტიზანი გულადი და კარგი მეომარი იყოს, ამასთან ერთად მას მოეთხოვება იყოს საბჭოთა საზოგადოების შეგნებული წევრი; ფიცი ასწავლიდა მებრძოლს, რომ ცუდი ყოფა-ქცევის პარტიზანი ჩვენი ქვეყნის მტერია, რომ მარადიორობა — ფიცის გატეხას უდრის. სპეციალური ბრძანების მიხედვით ასეულის უფროსს უფლება ენიჭებოდა, როცა პარტიზანი მძიმე დანაშაულს ჩაიდენდა — იგი სიკვდილით დაესაჯა. ბრძანებას პარტიზანები მტკიცედ და განუხრელად იცავდნენ, სანიმუშოდ იქცეოდნენ.

მახსოვს ერთი შემთხვევა, როცა პარტიზანმა ცუდი საქციელი ჩაიდინა. საქმე შემდეგში იყო: სოფლის განაპირას ახალგაზრდა პარტიზანმა სკას თვალი მოჰკრა, ირგვლივ მიიხედ-მოიხედა და, რომ ვერავინ დაინახა, სკაში ხელი ჩაჰყო და თაფლით გული იჯერა შემდეგ დაშლილი სკის ნაწილები მიწაზე მიფანტ-მოფანტა და გზას არ ხეინად გაუდგა. ამ სურათის მნახველმა სკის პატრონმა ეს ამბავი მათსავე სოფელში მყოფ ასეულის უფროსს აცნობა.

ასეულის მეთაურმა ფუტკრის მიერ დაკბენილი, სახედასიებული პარტიზანი ადვილად გამოიცნო. ეს პარტიზანი ურიგო ახალგაზრდა რომელიც იყო, დარცხვენილმა მებრძოლმა საჯაროდ აღიარა თავისი დანაშაული და უფროსს მორიდებულად პატიება სთხოვა. ამ სურათის დამსწრემ და მნახველმა სკის პატრონმა გლეხმა მუდარით სთხოვა მეთაურს პარტიზანი არ დაეჯაჯა. ახალგაზრდა მებრძოლს მცირე სასჯელი აკმარეს.

XVI

თავისუფალ და მყუდრო წუთებში, საღამოობით, პარტიზანები კოვპაკთან შტაბში მოდიოდნენ და მორიდებით სთხოვდნენ ეამბნა თუ როგორი მიღება ხვდათ წილად პარტიზანების ხელმძღვანელებს კრემლში, რა უთხრა ბელადმა მათ. კოვპაკი ყოველთვის დაუზარებლად და ენაწყლიანად გადასცემდა მებრძოლებს კრემლში ყოფნის შთაბეჭდილებებს. პირადად მეც რამდენიმეჯერ მომისმენია კოვპაკისაგან ამ თემაზე საუბარი. ერთ საღამოს იშვიათად კარგ ხასიათზე შეისწრეს მებრძოლებმა მოხუცი და უნდა ითქვას, რომ იმ საღამოს კოვპაკის საუბარი განსაკუთრებით საინტერესო და ამაღელვებელი იყო.

გვიან ღამით, ჩვეულებისამებრ, რამდენიმე ამხანაგი კოვპაკთან ერთად შტაბში ვისხედით. ამ დროს პარტიზანმა კარი შემოაღო და თავისი ამხანაგების სახელით კოვპაკს სთხოვა — მოსკოვში ყოფნის დროინდელი ამბავი გადმოგვეცია. პარტიზანის წინადადებაზე კოვპაკი სიამოვნებით დათანხმდა.

მეომრები სასწრაფოდ მილაგმოლაგდნენ შტაბის ოთახში. რუდნევი, რომელსაც კოვპაკის ეს საუბარი არაერთხელ მოსმენილი ჰქონდა, კუთხეში მაგიდას მიუჯდა და ღიმილით სახეგაბადრულმა, საქმის ქაღალდების ზერელედ ფურცვლა დაიწყო.

კოვპაკმა წეკოს გრძელღერიანი სიგარა გააბოლა, შემდეგ ნამწვავი იქვე ყუთში გადისროლა და დაიწყო.

— მზადა ვარ თქვენი თხოვნა დავაკმაყოფილო. გიამბობთ როგორ მოვხვდი კრემლში, გეტყვით, რაც იქ ვნახე და გავიგონე:

აგვისტოს უკანასკნელი რიცხვები იყო. ჩვენი რაზმი იმ დღეებში ბრიანსკის ტყეში იდგა. ამ დროს რადიოგრამა მივიღე — მოსკოვში მიწვევდნენ პარტიზანული რაზმების ხელმძღვანელთა შეკრებაზე. წასასვლელად მოვემზადე. ყველა ამხანაგი როგორღაც წინასწარ ხვდებოდა და დარწმუნებული იყო, რომ მე მოსკოვში სტალინს ვნახავდი და მთხოვდნენ მისთვის მხურვალე პარტიზანული სალამი გადამეცა.

მოსკოვში ჩემი წასვლა მხოლოდ თვითმფრინავით შეიძლებოდა. გადაფრენის წინ ამხანაგებმა ჯიბეები წერილებით ამივსეს, მთხოვეს ეს წერილები დედაქალაქის ფოსტის ყუთში ჩამეშვა.

ბრიანსკის ტყიდან აეროდრომამდე ასი კილომეტრის გავლა დამჭირდა. იქ სხვა რაზმის ხელმღვანელების უმეტესობა ცხენებით მოვიდნენ, მე, კი ნადავლი მსუბუქი მანქანით წავედი ტყის აეროდრომზე.

ჩქარა უზარმაზარმა „დუგლასმა“ ჰაერში კამარა შეჰკრა და ტყეში დაეშვა. ამ თვითმფრინავით უნდა ვესტუმროთ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს. რომ „დუგლასს“ ფრონტის ხაზი უნდა გადაეჭრა, ყველამ ვიცოდით, მაგრამ ეს იმბავი არავის აფრთხობდა.

თვითმფრინავის სავარძელში მოხერხებულად მოვეწყვე, უკანასკნელ ხანებში ტყეში ნაცხოვრებმა უცებ სამოთხეში ვიგრძენი თავი.

„დუგლასმა“ დიდი სიმაღლე აიღო და მალე ღრუბლებში შეცურდა. მგზავრთა შორის გაცხოველებული საუბარი გაიმართა, ვმსჯელობთ როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვში ჩვენთვის იარაღის მიწოდების საკითხი წამოიჭრება და რა იარაღი მოვითხოვოთ.

ჯერ კიდევ სპადშჩანის ტყეში ყოფნის დროს გავიგე, რომ დიდ მიწაზე იცოდნენ ჩვენი რაზმის არსებობა, მშობლიური დედა-ქალაქის ჟურნალ-გაზეთებში ჩვენი ბრძოლების შესახებ ბევრი იწერებოდა. ვფიქრობდი, ვინ იცის იქნებ კრემლში, რუკაზე სტალინს თავის ხელით აქვს მოხაზული ჩვენი ბანაკის ადგილმდებარეობა-მეთქი.

„დუგლასი“ ფრონტის ხაზს მიუახლოვდა. თვითმფრინავმა სამი ათასი მეტრის სიმაღლე აიღო და დიდის სისწრაფით ფრონტზე დაბანაკებულ მტრის ჯარს თავზედ გადაუარა. უცხო თვითმფრინავი მტერმა შეამჩნია და მალე საზენიტო იარაღების ცეცხლში გაგვხვიეს. პროექტორების ენების ხლართში მოექცა „დუგლასი“, მოძრავმა ცისარტყელებმა დასერეს ვარსკვლავებით მოვარაყებული ცა.

ერთი ყუმბარა „დუგლასის“ ახლო გასკდა, თვითმფრინავი საგრძნობლად შეტორტმანდა, მაგრამ ხიფათს გადავურჩით და უვნებლად გავცილდით საშიშ ადგილებს.

აი უკვე დედაქალაქში ვართ. სასტუმრო „მოსკოვის“ ნომრებში მოგვათავსეს. ნორმალურ ცხოვრებას გადაჩვეულ „ტყის კაცს“, აქაც, სასტუმროს კეთილ-მორთულობა მეუცხოვა და თანაც მეამა.

„პარტიზანების ხელმძღვანელები სასტუმროდან არსად წავიდნენო“, გადმოგვცეს ტელეფონით კრემლიდან. ჩვენც დაველოდეთ. აი გამოგვიძახეს კიდეც.

ავტოთი მოსკოვის ქუჩებზე მივქროდით, მალე მანქანა ვეებერთელა ალაყაფის კარების წინ დადგა. უკვე

კრემლში ვართ, სტალინის სამუშაო ოთახში შესასვლელად ვემზადებით.

მე სტალინი ჯერ არ მყავდა ნახული, მისი სახე სურათებით მქონდა წარმოდგენილი. მალე სამუშაო ოთახის კარები გაიღო და სტალინიც გამოჩნდა.

— ხედავთ, როგორი ყოფილა კოვპაკი, — სთქვა ჩემს დანახვაზე მარშალის ფორმაში გამოწყობილმა კაცმა. ეს ამხანაგი ვოროშილოვი იყო. სტალინი შუა ოთახში იდგა და იღიმებოდა.

ბელადმა ხელი მაგრად ჩამომართვა, დაჯდომა მთხოვა. უცებ იქვე, ჩემს გვერდით ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი დავინახე, თურმე ის ჩვენი საუბრის დროს შემოსულიყო ოთახში. საჩქაროდ მივესალმე.

ვემზადები საქმიანი მოხსენებისათვის. მძიმე დრო იყო, სტალინგრადთან გადამწყვეტი ბრძოლები მიმდინარეობდა, და ამიტომ მეგონა, რომ კრემლში ჩვენი დარბაზობა ძალიან ჩქარა გათავდებოდა. მაგრამ ამხანაგი სტალინი არ ჩქარობდა. მან ჯერ შინაურ ამბებზე ჩამოგვიგდო საუბარი, გვკითხა — ცოლშვილთან თუ გაქვთ მიწერ-მოწერაო; მას ხშირად უხდებოდა ტელეფონებთან მისვლა, გამობრუნდებოდა და ისევ წამოწყებულ საუბარს განაგრძობდა.

საუბრის დროს სტალინმა მკითხა, თუ როგორი ურთიერთობა გვაქვს პარტიზანებს მოსახლეობასთან. ზეზე წამოვდექი და მოხსენებისათვის მოვემზადე.

— მოხსენება არ არის საჭირო, — მეუბნება სტალინი, — კითხვებზე პასუხის გაცემა სავსებით საკმარისია.

მე ვუამბე რა დიდ დახმარებას გვიწევს ჩვენ, პარტიზანებს, ხალხი. სჩანდა ჩემი ნაამბობით კმაყოფილი იყო ბელადი. დრო გამოშვებით, ნიშნად კმაყოფილებისა, ის თავს ოდნავ ჩაიქნევდა.

სტალინი მეკითხება:

— რას იტყვით, არის თუ არა საჭირო პარტიზანთა რიგებში კომისრები?

— ვფიქრობ, ჩვენთვის, რაზმის უფროსებისათვის ძნელი იქნება მასებისათვის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაწევა. ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ სოფლებსა და ქალაქებზე, რომლებზედაც ჩვენ გავლა გვიხდება, ძალზე საჭირო და აუცილებელია პოლიტიკური მუშაობის წარმოება.

— გასაგებია, — სთქვა სტალინმა და სიტყვა სხვა საკითხზე გადაიტანა.

— როგორია თქვენი იარაღის და ტანსაცმელის რესურსები?

— ამ მხრივ მხოლოდ ერთი წყარო გვაქვს ჯერ-ჯერობით, ამხანაგო სტალინ; იარაღს მოწინააღმდეგეს ვართმევთ...

— არა უშავს, — გვეუბნება სტალინი, — ახლა ჩვენ მშობლიური იარაღითაც დაგეხმარებით!

სტალინი პირადად მე მომმართავს:

— ერთი მითხარით, რატომ აქციეთ თქვენი რაზმი მორეიდე რაზმად?

— ამ საშუალების უპირატესობაში უკვე დავრწმუნდით, ამხანაგო სტალინ, პრაქტიკამ დაგვანახა სამანევრო მოქმედების კარგი მხარეები.

— მაშ რადგანაც ეს ასეა, საძნელო ხომ არ იქნება თქვენთვის დნეპრის მარჯვენა ნაპირზე გადასვლა? — მოულოდნელად მაძლევს ამ შეკითხვას ბელადი.

შევდექი, პასუხი გამიძნელდა.

— კარგი, მოიფიქრეთ, — მითხრა სტალინმა და დანარჩენ ამხანაგებთან საუბარში ჩაება.

ფიქრებს მივეცი, ნათლად წარმოვიდგინე, თუ რა რთული საკითხი უნდა გადამეჭრა. მართალია, სარეიდო მანევრებში ჩვენი რაზმი საკმაოდ დახელოვნდა, მაგრამ დნეპრის რეიდი ხომ ადგილობრივი ხასიათის არ იყო,

ამ შემთხვევაში საჭირო იყო ასეული კილომეტრების გავლა, რამდენიმე ოლქის უკან მოტოვება და ბევრი დიდი მდინარის გადალახვა. თან ვგრძნობ, რომ აქ შეუძლებელი არაფერი არაა. შევძლებთ, ვთქვი გულში და მშვიდი გამომეტყველება მივიღე.

სტალინი ხშირად თვალს მომავლებდა ხოლმე, როდესაც მე ფიქრებში ვიყავი გართული.

— ამხანაგო კოვპაკ, გისმენთ — მეუბნება სტალინი.

— მე ვფიქრობ, ამხანაგო სტალინ, დნეპრის მარჯვენა ნაპირზე გადასვლას ჩვენ შევძლებთ.

— რა გჭირდებათ თქვენ საამისოდ? — მეკითხება ბელადი.

— პირველ რიგში ქვემეხები, ავტომატები და ტანკსაწინააღმდეგო იარაღები.

— ყველაფერი იქნება, — სთქვა სტალინმა და წინადადება მომცა ახლავე შემედგინა საჭირო საგნებზე მოთხოვნილების სია. საჭიროება დაახლოვებით გავითვალისწინე და მოთხოვნილების ბარათი დავწერე. როდესაც საგანთა რიცხვი შევაჯამე, დიდი ციფრი მივიღე. რთული მოთხოვნილების წარდგენას მოვერიდე, ციფრები შევკვეცე, ხელმეორედ გადავწერე ქაღალდი და სტალინს წარვუდგინე.

— ნუ თუ ეს საკმაო იქნება თქვენთვის? — მეკითხება სტალინი.

— მეტის მოთხოვნა, ამხანაგო სტალინ, უხერხულად ვცანი.

მან უკან დამიბრუნა ქაღალდი და დასძინა:

— ახალი სია შეადგინეთ, ყველაფერს მიიღებთ, რაც საჭიროა.

მოთხოვნილება ხელმეორედ შევადგინე, გათამამებულმა მეომრებისათვის ჩექმებიც გავითვალისწინე, მაგრამ ისევ მომეხათრა და ჩექმების ნაცვლად სიაში მოკლე ყელიანი ფეხსაცმელები შევიტანე.

ჩემს მოთხოვნილებას სტალინმა სწრაფად გადახედა, ფანქრით რომელიღაც სიტყვას ხაზი გადასვა, ახალი სიტყვა ჩასწერა და ქაღალდი გვერდზედ გადადვა.

დავინტერესდი, თუ რა ამოშალა სტალინმა. ქაღალდს მორიდებულად გადავხედე, შევამჩნიე, რომ წაშლილი იყო „ბოტინკი“ და „ჩექმები“ იყო ჩაწერილი.

— შეკითხვა ხომ არაფერი გექნებათო, — დაბალი ხმით მომმართა მოლოტოვმა.

— მეორე ფრონტის საკითხი მაინტერესებს, ამხანაგო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ — ვუპასუხე.

მოლოტოვმა სტალინს გადახედა და უთხრა: აი, ამხანაგო სტალინ, კოვპაკი კითხულობს, თუ იქნება მეორე ფრონტიო?

— იქნება, უსათუოდ იქნება,—შემდეგ მან ხელი ჩვენსკენ გამოაშვირა და ღიმილით სთქვა: — ჯერ-ჯერობით თქვენა ხართ ჩვენი მეორე ფრონტიო.

ასე დამთავრდა სტალინთან უკრაინელი პარტიზანების ხელმძღვანელთა შეხვედრა.

— თქვენთვის, ამხანაგებო, ადვილი წარმოსადგენი იქნება ის ბედნიერი წუთები, როდესაც ჩვენ სტალინის საშუშაო ოთახში ვისხედით და ბელადთან გულთბილად ვსაუბრობდით, — დაასკვნა კოვპაკმა, დაკეცილი გაზეთი ჯიბიდან ამოიღო, ყური ააგლიჯა, წეკოს სიგარა გაახვია, ცეცხლი მოუკიდა და ბოლთის ცემა დაიწყო.

XVII

ლამაზად იფურჩქნებოდა უკრაინის გაზაფხული. პირველი ყვავილების თაიგულებით მოვიდნენ პარტიზანებთან ახალგაზრდა ქალები, გამარჯვება გვისურვეს და გზა დაგვილოცეს.

მარხილების სეზონი გავიდა. ასობით მარხილები დავარიგეთ სოფლებში, მცხოვრებლებმა დიდი მადლობა გადაგვიხადეს ამ საჩუქრებისათვის.

მივუახლოვდით კიევის ოლქს, გერმანელები ძალზე დამფრთხალნი იყვნენ, თამამად ვეღარ მოგვდევდნენ და ახლა ჩვენ გადავედით შეტევაზე.

იმხანად ასაფეთქებელი მასალა გამოგველია, მცირე მარაგი-ღა გვქონდა და შეძენა იყო საჭირო.

სიდორ არტემის-ძემ დახმარებისათვის მოსკოვს მიმართა. როგორც ყოველთვის, მოსკოვი ახლაც ჩქარა გამოგვეხმაურა, დაგვპირდა — მალე მოგაწვდით, რასაც თხოულობთო. სანიშნო ცეცხლებს ვანთებდით ღამ-ღამობით, თვითმფრინავებს ველოდით, ჯერ-ჯერობით მარტო გერმანელების თვითმფრინავები სჩანდნენ. დიდ სიმაღლეზე დაფრინავდნენ ისინი, პარტიზანების ეშინოდათ.

მაგრამ შიში ვერ იხსნის ნიკვდილსაო, ტყუილად კი არ უთქვამს ბრძენს. ჩვენმა მეომრებმა შაშხანებით ჩამოაგდეს მტრის თვითმფრინავი. ცეცხლწაკიდებული მანქანა საშინელი ხმაურით დაეცა მიწაზე და აფეთქდა.

საბჭოთა თვითმფრინავის ხმას უკვე ადვილად ვიცნობდით, და აი ერთ ღამეს გარკვევით მოგვესმა მოსკოვური მოტორის გუგუნი. ალაპლაპდნენ კოცონები, თვითმფრინავმა მოკლე კამარა გააკეთა და ტვირთი ზედიზედ გადმოყარა. კოვპაკს სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა.

ახლა უზრუნველყოფილი ვიყავით ასაფეთქებელი მასალით.

ხელახლა გადავედით მდინარე ტეტერევზე და ამ მდინარის ნაპირას მდებარე ლამაზ უკრაინულ სოფელ ბლიტჩაში შევედით.

ისე სწრაფად შევიჭერით ამ სოფელში, რომ პოლიციამ იქედან ვერაფრის გატანა ვერ მოასწრო და ფიცხლავ ტყეში მიიმალა.

სოფელში შემოსასვლელ ყველა გზაზე მცველები დავაყენეთ და უშიშრად დავიწყეთ სიარული ქუჩებში დღისითაც და ღამეც.

სოფლის ცენტრალურ ქუჩაზე კოხტა ქვის შენობაში სრულ წესრიგში აღმოჩნდა სატელეფონო გაყვანილობა. ამ ტელეფონის აპარატთან დაკავშირებული იყო ბლიტჩის ირგვლივ მდებარე სოფლების სატელეფონო ქსელი.

ტელეფონთან მივიდნენ კოვპაკი, რუდნევი, ვერშიგორა და სხვა ამხანაგები. ტელეფონის მილი პირველად ვერშიგორამ აიღო. მან სუფთა ქაღალდი მოითხოვა. ტელეფონში მეზობელი სოფლებიდან პოლიციელების ნერვიული ყაყანი ისმოდა.

— ივანოვკა, რატომ არ პასუხობს ბლიტჩა?

— მეც შაგას ვკითხულობ, რატომ არაფერი ისმის?

— ბლიტჩა, ბლიტჩა! წყალს და მეწყერს წაუღიხართ ყველა! დაგუძინათ, დაიხოცენით?

— კელენცი, ლეონოვკა, ლეონოვკა!

— გისმენთ!

— ვინ არის ტელეფონთან?

— პოლიციის უფროსი.

— ბლიტჩასი თუ იცით რამე?

— ის ვიცი, რომ გამოძახებაზე არ გვპასუხობს.

— ჩემს გვერდით სდგას ამ წუთში ვახმისტრი და წინადადებას გაძლევს ბლიტჩაში გაგზავნო კაცი და გამოარკვიო იქაური მდგომარეობა. პასუხს ერთ საათში ველით.

ჩუმი სიცილით იგუდებოდნენ პარტიზანთა მეთაურები, ამ საუბარს რომ ისმენდნენ. ხელიდან ხელში გადადიოდა ტელეფონის მილი.

საღამოს რვა საათისათვის, ლეონოვკიდან სხვადასხვა დროს ბლიტჩაში გაგზავნილი ოთხი მოენე პარტიზანების საკომენდანტოში ისხდნენ და გაოცებულნი ერთი მეორეს თვალებში ჩასცქეროდნენ.

სამი დღე დავყავით ბლიტჩაში. მესამე დღეს მტრის ორი ბატალიონი, ნაციონალისტების ბანდასთან ერთად სოფელს მოადგა.

კოვპაკმა მტრის ზურგში ორი ასეული გაგზავნა. ამ ასეულებმა ისარგებლეს ხშირი ტყით და მტერს შეუმჩნევლად ზურგში მოექცნენ. ხაფანგში მომწყვდეულმა ფაშისტებმა ბრძოლის გადამწყვეტ წუთებში იარაღი დაყარეს და წყალში გადაეშვნენ. განწირულთა ერთი წყება ჩაიხრჩო ადიდებულ მდინარეში, დანარჩენები მცურავი ყინულის ლოდებს ძოებღაუჭნენ, მაგრამ აქ მათ პარტიზანების ტყვიამ მიუსწროთ.

ბლიტჩის ბრძოლებს შეძრწუნებით ადევნებდნენ თვალყურს ივანკოვოს რაიონის ნაციონალისტები. ამ დროს თვით ივანკოვოში დიდ განუკითხაობას და პანიკას ჰქონდა ადგილი, ში'შმა შეიპყრო გამყიდველები.

რუდნევის აზრით პირველ რიგში აუცილებლად უნდა აგვეფეთქებინა რკინიგზის ხიდი მდინარე ტეტერევზე.

ბლიტჩაში ყოფნის დროს ჩვენთვის ნათელი გახდა, თუ რა დიდი ეკონომიურ-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მტრისთვის ტეტერევის ხიდს. ახალ-ახალი ჯარებით, იარაღით და ფურაჟით დატვირთული მტრის ეშელონები განუწყვეტლივ მიედინებოდნენ ფრონტისაკენ ამ ხიდით.

იდაყვზე დაყრდნობილი რუდნევი დიდხანს დასცქეროდა, რუკას, შემდეგ ის წელში გაიმართა და მტკიცედ წარმოსთქვა:

— ტეტერევის ხიდი ამაღამვე უნდა აფეთქდეს, ამ ხიდის აფეთქება კიევის აღებას ძალზე გააადვილებს. აფეთქების ოპერაციის ჩატარება მიენდოს მეორე, მეშვიდე და მეცხრე ასეულების მეთაურებს — ციმბალს, გორლანოვს და ბაქრაძეს.

რუდნევის სიტყვებს კოვპაკმა დაუმატა:

— ამხანაგმა ბაქრაძემ უნდა შესძლოს ამ ამოცანის გადაწყვეტაში მთავარი როლის შესრულება. — იგი უნდა გადავიდეს თავისი ასეულით მდინარის მარცხენა ნაპირზე და პირველ რიგში მარცხენა მხრიდან გასწმინდოს ხიდი მტრის ყარაულებისაგან.

დაღამდა. ასეულით ცურვით გადავიყვანე მდინარეზე და დიდის სიფრთხილით სახელდახელოთ მოვსხენი ხიდზე მყოფი მცველები.

ორმოცდარვა მეტრის სიგრძის იყო ახლადაგებული ტეტერევის ხიდი: ჩვენს რეგულარულ ნაწილებს ის გაენადგურებიათ უკანდახევის დროს. ახლად აგებული ხიდის მასალა ჯერ ისევ ნედლი იყო. ხიდის გასანადგურებლად გამოვიყენეთ ტოლი და დიდის წარმატებით ვისარგებლეთ კინო-ლენტებით. ერთ-ერთ ბრძოლაში გერმანელებს რამდენიმე ყუთი კინო-ლენტი წავართვით. ამ ნადავლმა ლენტმა ახლა დიდი სამსახური გაგვიწია. არავითარი საწვავი მასალა არ შეედრება კინოლენტს, სწორედ მისი საშუალებით შევძელით ხიდის განადგურება.

თვეზე მეტი ხნის განმავლობაში აღუდგენელი იყო შემდეგში ტეტერევის ხიდი. ადვილი წარმოსადგენია უხიდობით რა დაბრკოლებას განიცდიდნენ ფაშისტები!

ლიახოვიჩის ბრძოლებიდან დაწყებული თვით ბლიტჩის ბრძოლების ჩათვლით ჩვენთან განუყრელად იმყოფებოდა გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტი ალიოშა კოროპოვი. ამხანაგ კოროპოვის როლი ბრძოლებში მარტო კორესპონდენტობით როდი განისაზღვრებოდა, ის ჩვენს რიგებში თოფით ხელში იბრძოდა.

ბლიტჩაში ჩვენ დროებით შემოგვიერთდა ადგილობრივი პარტიზანული რაზმი მოგილას მეთაურობით. მოგილა ბრძოლებში დამოუკიდებლად გამოდიოდა, მაგრამ რჩევისათვის ყოველ-

თვის კოვპაკს და რუდნევს მიმართავდა. მოგილას რაზმის ბრძოლის გეგმა მუდამ ჩვენს შტაბთან იყო შეთანხმებული.

XVIII

სადგურ ტეტერევის და ამავე სახელწოდების რკინიგზის ხიდის განადგურების შემდეგ სოფელი ზამოშიე ავიღეთ და ღამე იქ გავათიეთ. ჩვენმა წარმატებებმა გერმანელები ძალზე შეაშფოთეს. მეორე ღამეს ჩვენმა გუშაგებმა მოულოდნელად განგაში ასტეხეს. დაღლილ-დაქანცული მეომრები საჩქაროდ ფეხზე დადგნენ ამ ხმაურზე.

ტკბილი ძილი ჩაგვმწარდა, მტრის თვითმფრინავების გუგუნი გარკვეულად ისმოდა. სასწრაფოდ ყველამ თავშესაფარი მოძებნა.

კუპრივით სიბნელეში როგორც იყო გამოვედი ქუჩაში და თხრილში ჩავწექი. მალე თვითმფრინავები სოფელს თავზე მოექცნენ და რამდენიმე ადგილას ჩამოყარეს ბომბები. პირქვე ვიწექი თხრილში და ველოდი როდის გაათავებდნენ დაბომბვას, როდის წაშავდებოდნენ ჯანდაბისაკენ ეს ტიალი სვავები.

პარტიზანად ყოფნის ორ წელზედ მეტ მანძილზე მუდამ ტყვიის წვიმაში ვიყავი და უამრავ ხელჩართულ ბრძოლაში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ არასდროს არ დავჭრილვარ და არც ერთხელ ტყვიით უბრალოდაც არ გავკაწრულვარ. ჩემი მაზარის კალთები კი ბრძოლებში ტყვიისაგან ბევრჯერ დაცხრილულა. ომში დარიდება მე არ ვიცოდი, პირიქით, მუდამ წინა რიგებში ვიდექი. მეცხრე ასეულის მეომრებს, ჩემი მაგალითით ვახალისებდი.

აქ სიტყვამ მოიტანა და მინდა გავუზიარო მკითხველს ჩემი დაკვირვებანი მებრძოლების ხასიათზე, ტემპერამენტზე, ჩვევებზე.

განვლილი ბრძოლების მანძილზე სამნაირი ხალხი შემხვედრია: პირველი — ეს იყვნენ გულადები, ვაჟკაცები; მეორენი — მხდალები, ეშმაკრები; არის მესამე რიგის ხალხიც — ესენი არიან თავხედები. ამ უკანასკნელთათვის არსებობს ქართული დამახასიათებელი სიტყვა — მეტიჩარა.

ვაჟკაცი ბრძოლის დროს თავდაჭერილია. ის არ იბნევა, რწმენით და იმედით იბრძვის გულადი მეომრის ყოველი ნაბიჯი გამართლებულია. ვაჟკაცის გული ომში ზომიერად სცემს, ხანდახან ის მოწინააღმდეგეს თვალით წაახდენს ხოლმე. ხალხში გამიგონია— კაცი თვალით წაახდინაო; არის ამ თქმაში რაღაც ჭეშმარიტების მარცვალი იმ თვალსაზრისით, რომ ზოგჯერ კაცი შეხედვით თავზარს დასცემს მტერს, დააძაბუნებს, დასჩაგრავს და ნებისყოფას დაუჩლუნგებს.

მახსოვს ერთ-ერთი ქალაქის აღების დროს ქუჩებში სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. ამ ბრძოლაში გერმანელ პოლკოვნიკთან მომიხდა შებმა: მან რევოლვერი გაიძრო და თავის ენაზე — „ჰენდე ჰოხ“!—შემძახა.

— ახლავე გაგათავებ-მეთქი, — ქართულად დავუყვირე მას და იარაღ-შემართული პოლკოვნიკი ჩემმა ტყვიამ უსულოდ დასცა მიწაზე.

ბრძოლის დროს მტერი ვაჟკაცებს მხდალებისაგან კარგად არჩევს, გულადს გაურბის და ლაჩარს ეტანება. ამით აიხსნება, რომ ომებში ვაჟკაცების უმრავლესობა უვნებლად რჩებიან და მოჭარბებულად მხდლები იხოცებიან. იმას არ ვამბობ, თითქოს გულადს ტყვია არ ეკარებოდეს. ვანო რეხვიაშვილს კოვპაკის შენაერთში განთქმული მეომრის სახელი ჰქონდა, მაგრამ ის ერთ-ერთ ბრძოლაში ხომ მძიმედ დაიჭრა. მაგრამ მე ის მინდა ვთქვა, რომ მხდალი ბრძოლაში პირველი დამარცხდება ხოლმე; განსაკუთრებით ხელჩართულ ბრძოლაში, ეს საზოგადოდ ცნობილია.

მტკიცე ნებისყოფა, მებრძოლისათვის გამარჯვების მთავარი საწინდარია.

ბრძოლის დროს მტერი ცდილობს პირველ რიგში სუსტებს დაარტყას. მებრძოლი აუცილებლად ფხიზლად უნდა იყოს. იმავე დროს მოჭარბებული მალვა, ცახცახი და ნერვიულობა — მეომრისათვის დამღუპველია. მხდალი მეომარი პანიკას ქმნის ომში, თავისთავსაც ვნებს და სხვებისთვისაც ცუდი მაგალითის მიმცემია.

ზემოთ თავხედები ვახსენე. ასეთი მეომარი ბრძოლის დროს ვაჟკაცობაზეც მიდის, მაგრამ, თუ არ ვცდები, ეს მას ნაწილობრივ მაინც სიმხდალით მოსდის. მეტიჩარა მეომრის დახასიათებისათვის ერთ მაგალითს მოვიყვან: ჩვენი პარტიზანული რაზმის არსებობის პირველ წელს ერთმა ოცეულის მეთაურმა უფროსებისაგან საომარი დავალება მიიღო. ბრძოლის პროცესში მან ვერ აუღო სწორი ალღო მტრის ძალთა განლაგებას და ოცეული მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევზე იერიშით წაიყვანა, რის შედეგად მან თავიც წააგო და ოცეულიც დაღუპა. უფროსმა ხელმძღვანელებმა მეტიჩარა მეთაური ბრძანებით სასტიკად გაკიცხეს და მისი უტაქტობა ყველა ასეულებს აცნობეს.

ბრძოლის დროს ტაქტი და ზომიერება აუცილებელია, პირველ რიგში ეს ითქმის მეთაურზე.

XIX

ზამოშიეზე მტრის ევაკუაციის თავდასხმას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, არც ერთი მეომარი და სოფლელი არ დაჭრილა. ღამის წყვდიადში მტრის მფრინავებმა სწორი ორიენტაცია ვერ აიღეს და ყუმბარები სოფლის განაპირა მიდამოებში ჩამოყარეს.

ჯერ ისევ ზამოშიეში ვიყავით, როცა მზვერავებმა გვაცნობეს: ამ სოფლის მახლობლად, სადგურ იანოვში ხორბლის უზარმაზარი საწყობი ბიაო. სარწმუნოთ გავიგეთ — აგრეთვე, რომ იანოვს იცავდა იქვე მახლობლად სოფელ შეპელიჩში დაბანაკებული მტრის ბატალიონი.

სადგურ იანოვის აღება და სოფელ შეპელიჩში დაბანაკებულ ბატალიონის განადგურება აუცილებელი იყო. ამ ორი ამოცანის გადაჭრა კოვპაკმა და რუდნევმა მე მომანდეს.

ჩემს განკარგულებაში გადმოვიდა ვეოთხე და მეხუთე ასეულები.

იანოვი მდინარე პრიპიატის ნაპირზე მდებარე სადგურია. ღამით, მეცხრე ასეულით, შეუმჩნევლად იანოვს და შეპელიჩს შუა მოვექეცი, ამ ორ პუნქტს შორის გზა გადავჭერი, ყოველივე ეს სასწრაფოდ ვაცნობე მეოთხე და მეხუთე ასეულებს. სამი მხრიდან დავარტყით მოწინააღმდეგეს და მალე სადგური მტრისაგან გავწმინდეთ.

იანოვიდან ჩვენ ხორბლის მარაგის ნაწილი გავზიდეთ, ნაწილი მოსახლეობას დავურიგეთ და მცირე ნაწილი-კი, რომლის გაზიდვა-დარიგება ვერ მოვასწარით, ადგილზე დავწვით.

ჯერ კიდევ სანამ იანოვ-შეპელიჩის ბრძოლებს ჩავატარებდით, ამხანაგ ხრუშჩევის დეპეშა მივიღეთ: იგი მოგვიწოდებდა მძაფრი ბრძოლები გაგვემართა მტრისათვის პრიპიატის ქვემოდინების მიდამოებში.

დნეპრის და პრიპიატის შუა ლიანდაგი ყველგან დავშალეთ, რკინიგზის ხიდები და სადგურები გავანადგურეთ. იმავე დროს ჩრდილოეთის და დასავლეთის მიმართულებით კიევთან დამაკავშირებელი გზები გადავჭერით. უგზოობამ საგონებელში ჩააგდო გერმანელები. მათ სახმელეთო გზები ხელიდან გამოეცალათ. ამის შემდეგ გერმანელებმა სანაოსნო გზების ძებნა და გამონახვა იწყეს. ამ შემთხვევაში სანაოსნოდ მდინარე პრიპიატის ღრმა და

ფართო კალაპოტი ქალზე ხელსაყრელი იყო. საიდღანაც და როგორღაც ამ მდინარეზე გერმანელებმა საკმაოდ ძლიერი ფლოტის შექმნა შესძლეს. ჩვენს მზვერავებს მხედველობიდან არ გამოპარვიათ გერმანელების მიერ გადადგმული ნაბიჯი.

ერთს მშვენიერ დღეს, ხანგრძლივი დაზვერვის შემდეგ, კულბაკას მზვერავებმა შტაბში მოიტანეს ცნობა: ჩვენი თვალით ვნახეთ პრიპიატზე გემების ქარავანი რომელიც ჩერნობილიდან მოზერისაკენ მიემართებაო.

ამ ამბის გამგონე კოვპაკს თვალები ელექტრონათურასავით აეხთო. „აბა, როგორ გეგონათ, — სთქვა მან,—ხმელეთზე დამარცხებულმა მტერმა წყალზე გამაგრება იწყო. ეს უკანასკნელი დასაყრდენიც უნდა გამოვაცალოთ ფაშისტებს ხელიდან. პირველ რიგში ჩვენთვის საჭიროა პრიპიატის სანაპიროების საფუძვლიანად დაზვერვა და შესწავლა ამასთან ერთდროულად უნდა შეირჩეს სტრატეგიული თვალსაზრისით ყოველ მხრივ დამაკმაყოფილებელი ადგილი სადაც შენაერთი უნდა დაბანაკდეს“,—ასეთი იყო კოვპაკის თადარიგი.

საბანაკოდ შევარჩიეთ პრიპიატის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფელი არევიჩი.

არევიჩის დასაკავებლად მდინარის გადალახვა იყო საჭირო. ხელს ის გვიშლიდა, რომ პრიპიატზე ხიდი არ იყო. საჭირო /გახდა მტრის შეუმჩნევლად, ღამით მდინარეზე გადასვლა და სოფლის დაკავება.

ხუმრობა საქმე არ იყო პარტიზანთა მრავალრიცხოვანი შენაერთის მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადაყვანა. „მხოლოდ ბოლშევიკური ნებისყოფის მეშვეობით შევძლებთ ამ რთული ოპერაციის ჩატარებასო“, — სთქვა რუდნევმა.

და ეს მართლაც ასე მოხდა. შენაერთი ფეხზე დადგა, სახელდახელოდ დავიწყეთ მდინარეზე გადასვლის სამზადისი. მტერს თავს ვარიდებდით. დღე ტყეში ვიძალებოდით, ღამეობით ფეხზე დავდგებოდით და გათენებამდე ვმუშაობდით. ოთხი ღამე გაგრძელდა გადაბარგების ოპერაცია. ცურვით გავრეკეთ წყალში მსხვილფეხა საქონელი. ადამიანების გადასასხმელად, სამხედრო და სხვა ქონების გადასაზიდად ბორანი გამოვიყენეთ.

ამრიგად უმსხვერპლოდა და უზიანოდ გადავედით არევიჩში. მყუდრო სოფელი მალე აერიამულებულ სამხედრო ბანაკად იქცა. საერთოდ ყველა დაბრკოლების გადალახვას ის გვიადვილებდა, რომ შენაერთში დისციპლინა ძალზე მაღალ დონეზე იდგა. სიტყვამ მოიტანა და ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო, რათა მკითხველმა უფრო ნათლად წარმოიდგინოს, თუ როგორი იყო პარტიზანული დისციპლინა.

მუხოედში ვიდექით, ღამის ოთხ საათზე შტაბის განკარგულებით განგაში გამოცხადდა. მეკავშირეებმა გვაცნობეს სასწრაფოდ შტაბში შეიკრიბენითო. ყველაზე ადრე მე მივირბინე. „ზურგისაკენ“ — შტაბში შესვლისთანავე მომახალა რუდნევმა. ფიცხლავ კარში გამოვედი და გაოცებული შტაბის წინ დავდექი. უცებ ვერ გავარკვიე, თუ რით იყო გამოწვეული რუდნევის ესოდენ მკაცრი შეხვედრა. ჩემს შეცდომას მალე მივხვდი. შტაბში შევბრუნდი და რუდნევს სამხედრო წესრიგით ვუპატაკე: „გამოვცხადდი მეცხრე ასეულის მეთაური ბაქრაძე-მეთქი“. რუდნევმა კმაყოფილებით თავი ჩაიქნია და განგაშზე განმარტება მომცა. ამით მე ის მინდა ვთქვა, რომ სამხედრო დისციპლინის დარღვევა არავის ეპატიებოდა, ამ შემთხვევაში დიდი და პატარა ყველა თანაბრად პასუხს აგებდა.

ჩვენს რიგებში არსებული ფოლადისებური დისციპლინა ხელს როდი

უშლიდა იმას, რომ მეომართა შორის გულთბილი დამოკიდებულება განმტკიცებულიყო. პირიქით, კერძო ცხოვრებაში ყველა განუყრელი და ახლო მეგობრები ვრჩებოდით.

ჩვენი შენაერთი არევიჩში საფუძვლიანად მოეწყო, ყველა მიმართულებით მზვერავები დაიგზავნა, გათვალისწინებული იყო ახლო და შორეული რაიონების საფუძვლიანი შესწავლა: სად რა რაოდენობით, რა ძალები ჰყავდა მტერს, როგორი იყო მოწინააღმდეგის მატერიალური ბაზა რა თავდაცვის საშუალებები ჰქონდა მას გამოყენებული.

გაზაფხულის წყალდიდობამ თითქმის მიუვალი გახადა პრიპიატის სანაპიროები, ყველგან გაუვალი ჭაობები და გუბეები დადგა.

კოვპაკი და რუდნევი მთელი დღეები ნაპირზე ისხდნენ და ელოდნენ მდინარეზე გემების გამოჩენას. უტყუარი ცნობები ხელთ გვქონდა, ვიცოდით, რომ პრიპიატზე გერმანელების გემები დადიოდნენ. კოვპაკმა განკარგულება გასცა, რათა ასეულებს და ბატალიონებს მდინარის გასწვრივ დაეჭირათ ყველა სტრატეგიული პუნქტი, დაედგათ ქვემეხები და შეენიღბათ თავშესაფარი ადგილები. ამ განკარგულების მიხედვით მეც მხვდა მოსავლელად საკმაო ფართო უბანი.

ექვს აპრილს მდინარის ნაპირზე ჩასაფრებულმა პარტიზანებმა არევიჩიდან ოთხიოდე კილომეტრის დაშორებით გემები შენიშნეს. გემი „ნადეჟდა“, ხუთი ბარჟა და ჯავშნიანი კატერი დიდი სიფრთხილით წინ მოიწევდნენ.

აგერ მოახლოვდნენ კიდეც. „ნადეჟდა“ და ბარჟები ერთ ადგილას დადგნენ, კატერი გაბედულად დაწინაურდა, ერთი კილომეტრის მანძილზე მდინარის ორივე ნაპირი დაზვერა და — „ყველაფერი წესრიგშიაო“ — გემს და ბარჟებს ანიშნა. ქარავანმა უშიშრად წინ წამოიწია. კატერმა მდინარის ნაპირების გარემოცვას ალლო ვერ აუღო, მისთვის შეუმჩნეველი დარჩა პარტიზანების ჩასაფრება. სჩანდა მტერს ვერ წარმოედგინა, თუ აქ მას გზას გადავუჭრიდით.

ჩასაფრებულები გარკვევით ვხედავდით კატერს და მომავალ გემებს. პარტიზანები კინაღამ ახმაურდნენ მოუთმენელობისაგან.

— ხმა, კრინტი არ გავიგონო, — ჩურჩულით მივმართე მეომრებს — იცოდეთ: თქვენი თავშეუკავებლობის წყალობით კატერმა რომ ჩვენს აქ ყოფნაზე ეჭვი მიიტანოს, დამნაშავეს ცოცხალს არ გავუშვებ, გაუსამართლებლად აქვე გავუსწორდები.

კატერის ეკიპაჟი გათამამდა, დიდი მანძილით წინ წამოიწია და თან გემები შემოიტყუა, მეტი ცდა არც შეიძლებოდა და არც საჭირო იყო. როდესაც ჩემი ასეულის ორმოცდახუთი მილიმეტრიანმა ქვემეხმა ნაპირიდან იგრიალა და მას ტყვიამფრქვევების კაკანი მოჰყვა ჩიხში შომწყვდეულმა ხომალდებმა სათაგვეში გაბმული თაგვებივით წინ და უკან ტრიალი დაიწყეს. მტერმა სცადა დიდი ყალიბის ტყვიამფრქვევების გემის ბაქანზე გამოტანა, მაგრამ პარტიზანების ტყვიის წვიმამ ამ განზრახვაზე მას ხელი ააღებინა. ქარავანი ვაქცევის გზას დაადგა, მაგრამ არც აქ გაუმართლდათ: საითაც გაიქცნენ, ზემოთ თუ ქვემოთ, ყველგან პარტიზანების გაძლიერებული ცეცხლი დახვდათ. ბოლოს გემი ანგარიშმიუცემლად წყლის დინებას დაენდო და სწრაფი სვლა განავითარა.

ამ დროს ქვემეხიდან ორჯერ გასროლილმა ყუმბარამ გემს ერთი გვერდი და ზურგის მხრიდან ხრახნის ზემო ნაწილი შეუნგრია.

გემს ცეცხლი წაეკიდა. ჰაერში შავი კვამლი აისვეტა. სასოწარკვეთილება-

ში ჩავარდნილმა ეკიპაჟმა გემიდან თავგანწირვით წყალში ხტომა იწყო, მაგრამ პარტიზანების ტყვია ყველას ჰისწვდა და არცერთ მათგანს ნაპირამდე არ მიუღწევია. მცირე ნაწილი გემზე დარჩენილებისა, გემთან ერთად ხანძარმა შთანთქა.

წყალშიმცურავ იხვებს მოულოდნელად თავზე რომ ქორი დაეძგერება და შიშით ილაჯგაწყვეტილი ფრინველები უთავბოლოდ იწყებენ წყალში ფართხალს, სწორედ ამ მდგომარეობაში მყოფი ხუთი ბარჟა დიდხანს აწყდებოდა მდინარის გაღმა-გამოღმა ნაპირებს.

გემის განადგურების შემდეგ ნახევარი საათი არ გასულა და ყუმბარებით დასახიჩრებული ბარჟები დამსხვრეული თუნუქის კოლოფებივით ტივტივებდნენ მდინარის ზედაპირზე. წყალს ზემოთ მოსჩანდა მდინარეში ჩაძირული „ნადეჟდას“ ვეებერთელა საკვამლე მილი — ერთად-ერთი ნაშთი ხომალდისა.

ამასობაში კატერმა დრო იხელთა, უვნებლად გაძვრა და მიიმალა.

ბრძოლა დამთავრდა. მეთაურები განვლილი ბრძოლის ახალ შთაბეჭდილებებზე ესაუბრობდით; ამ დროს შტაბის კარები გაიღო და ქვემეხის მეთაურმა მოსკალენკომ შტაბში ახმახი ტყვე გერმანელი შემოიყვანა. დამფრთხალი ტყვე წინათ ბევრჯერ მენახა, მაგრამ კაცი რომ ასე წამხდარიყოს, როგორც ეს ფრიცი, პირველად ვნახე. ათჯერ რომ გეთქვა „ჰენდე ჰოხ“ — იგი მზად იყო ათჯერვე ხელები მაღლა აეშვირა. ტყვემ სული მოიბრუნა და ოინავ გასაგონად რაღაც გერმანულად წაილუღლუღა. თარჯიმანი ტარტაკოვსკი გამოვიძახეთ. ტყვე გერმანელი ამბობდა: — მართალია მე დღეს ტყვედ ჩავვარდი, მაგრამ პარტიზანების მიმართ ცუდი არაფერი მიმიძღვის. თქვენდამი კარგი განწყობილება შემიძლია საქმითაც დავამტკიცოთ.

გერმანელის სიტყვამ დამსწრეთა შორის ხარხარი გამოიწვია.

ამ ტყვეს რით და როგორ მოეგო ჩვენი გული, თვითონაც აღარ იცოდა.

მოსკალენკომ გვიამბო, თუ რა პირობებში დაატყვევა გერმანელი: ბრძოლის დასასრულს არტილერისტები უკან ვბრუნდებოდით. ამ დროს თვალი მოვკარით, შორეულ ბუჩქის ძირას ჯოხზე გამობმული თეთრი ცხვირსახოცი ფრიალებდაო, საქმის გამოსარკვევად ორი პარტიზანი გავგზავნე. მშვიდობის მოყვარული ეს ფრიცი უცებ ზეზე წამოხტა და პარტიზანების მიმართვის გარეშე ხელები ზევით აიშვირაო.

ტარტაკოვსკიმ ტყვის დაკითხვა განაგრძო. ის არა მარტო კარგი თარჯიმანი, უბადლო გამომძიებელიც იყო. ტყვემ განაცხადა:

— ამ რაიონებში რომ პარტიზანები იყვნენ, ჩვენმა გარნიზონმა ეს კარგად იცოდა. კოვპაკის არმიის ძლიერებაზე ჩვენთან დიდი მითქმა-მოთქმაა, ისიც ვიცით, რომ ამ ბოლო დროს კოვპაკის პარტიზანები პრიპიატის ნაპირებს ზვერავდნენ, მაგრამ მაინც თქვენი ამ ჟამად ასე ახლო ყოფნა ვერ წარმოგვედგინა. რაც თქვენ დღეს გაანადგურეთ და მოსპეთ, ჩვენს რესურსებთან შედარებით წვეთია ზღვაში. იქ, შორს, პრიპიატის ქვემო ნაპირზე, ჩვენი ძლიერ ჯავშნიანი გემები სდგანან. მათ სს-ს გაძლიერებული ნაწილები იცავენო.

ტყვე გერმანელი არ სტყუოდა, ჩვენი მზვერავებიდან იმხანად დაახლოებით ასეთივე ცნობა გვქონდა მიღებული.

კიდევ ორიოდე სიტყვა ამხანაგ ტარტაკოვსკის შესახებ: იგი ჩემთან ერთად გამოიქცა კანატოპის საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეობიდან. მიშა ჩუმი და სერიოზული კაცი იყო. ეს იშვიათი მეგობარი ჩვენს რიგებში

ცნობილი იყო, როგორც ლენინ-სტალინის საქმისათვის თავდადებული ძებრძოლი.

ბანაკში ყოფნის დროს გერმანელებმა არ იცოდნენ, რომ ტარტაკოვსკი ებრაელია. მათ, რომ ტარტაკოვსკის ეროვნება სცოდნოდათ, მაშინ მშვიდობით, იმავ წუთს ბარს მისცემდნენ ხელში და საკუთარ საფლავს გაათხრევინებდნენ... ტარტაკოვსკი ყირიმელ თათრად იყო ბანაკში ცნობილი. შეუდარებელი ამხანაგი, თარჯიმანი და გამომძიებელი ტარტაკოვსკი ხშირად ბრძოლებშიაც მონაწილეობას ღებულობდა, აქაც სანიმუშოდ ეჭირა მას თავი.

XX

პრიპიატზე გამართული ბრძოლის შემდეგ ყველა მოველოდით გერმანელების სუსხიან რეპრესიებს. აბა რას შეგვარჩენდნენ, რომ ამდენი ხალხი გავუწყვიტეთ და იარაღი გავუნადგურეთ.

ქორები რომ ლეშის სუნს იყნოსენ და ჰაერში ტრიალს დაიწყებენ, ისე დაიწყეს პრიპიატის გასწვრივ, არევიჩის თავზე, მტრის თვითმფრინავებმა სრიალი. ერთმა თვითმფრინავმა დალანდა მდინარეში გემ „ნადეჟდას“ ამოტივტივებული საკვამლე მილი. თვითმფრინავი ვერტიკალურ მდგომარეობაში დადგა გემის მიმართ და ერთ ადგილას იწყო ვერხვის ფოთოლივით ცახცახი. როგორც სჩანდა, ის წყალში ჩაყირავებული გემის ფოტოსურათს იღებდა. ყველა ჯურის იარაღიდან დაუშინეს ჩვენებმა თვითმფრინავს, მაგრამ ის სხარტად შებრუნდა და ჩრდილოეთის მიმართულებით ისარივით გაქანდა. სწორედ ამ დროს თვითმფრინავს კოვპაკი დურბინდით უცქერდა, სიდორ არტემისძემ თვალებიდან დურბინდი ჩამოიღო, შტაბისაკენ გაეშურა და თან წაიბუტბუტა:

— ხვალისათვის ელოდეთ გერმანელებს, — კოვპაკს გადაჭრით სჯეროდა, რომ პირველ რიგში გერმანელების მოსვლა ჩრდილოეთიდან იყო მოსალოდნელი. შტაბში მისვლისთანავე მოხუცი ხელმძღვანელი სათანადო თადარიგს შეუდგა, ყველა ასეულის და ბატალიონის მეთაური გააფრთხილა ხვალინდელი დღისათვის მზად იყავითო.

არევიჩში ჩვენი დაბანაკების პირველ დღეებშივე, რამდენიმე თანმხლებლით, ჩერნიგოვის პარტიზანების ხელმძღვანელი ფედოროვი გვესტუმრა. უკრაინაში მას განთქმული მებრძოლის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი.

ფედოროვი ომამდე საკავშირო კ. პ. (ბ) ჩერნიგოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო. ოლქის ოკუპაციის პირველ დღეებშივე ჩერნიგოვში მან არალეგალური ორგანიზაციები ჩამოაყალიბა და შემდეგ ძლიერი პარტიზანული რაზმი შექმნა. ფედოროვმა დასწერა წიგნი „არალეგალური საოლქო კომიტეტი მოქმედობს“. ამ წიგნში აღწერილია მისი რაზმის მიერ გადახდილი ბრძოლები. მე ეს ნაშრომი განსაკუთრებულად მომეწონა.

კოვპაკმა და რუდნევმა პირველ საღამოსვე ხანგრძლივად ითათბირეს ფედოროვთან. საუბრის დასასრულს კოვპაკმა სტუმარს სუფრა გაუშალა. მოხუცმა შენაერთის მნეს პავლოვსკის რიგიანი სანოვაგის მოტანა დაავალა. პავლოვსკი მეტის-მეტად ხელმოჭერილი კაცი იყო, მაგრამ მას კოვპაკის რისხვისა ეშინოდა და რამდენადაც იმ ხანად ჩვენს პირობებში მოსახერხებელი იყო, ჩინებული სუფრა გამართა. გებიტს-კომისრების საწყობებიდან გამოტანილი ნადავლი ლიქიორი და კონიაკი პავლოვსკის მუდამ ჰქონდა გადამალული.

კოვპაკს ლხინის შნოც ჰქონდა, მან

იცოდა დრო და ადგილი სად და როდის შეიძლებოდა მოლხენა.

მზვერავებმა ცნობა მოიტანეს, რომ არევიჩის ჩრდილოეთით, ოცი კილომეტრის მანძილზე გერმანელები ვიღაცას გააფთრებით ებრძვიანო. ფედოროვი მიხვდა რაში იყო საქმე. გერმანელებთან ფედოროვის ბატალიონი იბრძოდა, მალე გამარჯვებული ჩერნიგოველი პარტიზანელები დიდი ნადავლით მოვიდნენ კოვპაკის ბანაკში.

ფედოროვი და კოვპაკი შეთანხმდნენ დაბა ბრაგინზე სალაშქროდ ერთად წასულიყვნენ.

არევიჩის ახლოს, მომარჯვებულ ადგილას იშვიათი აეროდრომი გვქონდა გამართული. ეს აეროდრომი მტერმა დიდხანს ვერ შეამჩნია. უხვად გვაწვდიდა თვითმფრინავებით მოსკოვი საომარ მასალას, მედიკამენტებს და ჟურნალ-გაზეთებს.

ერთხელ კოვპაკის სამკურნალოდ არევიჩში მოსკოვიდან კბილის ექიმი მოფრინდა; კბილების ჩანმის შემდეგ მოხუცი კოვპაკი თითქოს გაახალგაზრდავდა. არევიჩთან საჰაერო რეისების დამყარების შედეგად სისტემატიურად ვგზავნიდით დიდ მიწაზე დაჭრილებს და ავადმყოფებს.

თვითმფრინავმა მამაჩემის წერილი მომიტანა. ვერ წარმოიდგენთ რა გამამხნევებლად მოქმედებდა წერილები მეომრებზე. მტრის ზურგში მოქცეული პარტიზანებისათვის წერილსა და გაზეთზე უკეთესი არაფერი არ არსებობდა. ხშირად გზების დაკეტვის გამო თვეობით ქვეყანას მოწყვეტილნი ვიყავით.

მამაჩემის წერილი სასწრაფოდ გავხსენი, შშობლის ხელი უმალ ვიცანი. წერილი სოფელ ბორიდან (ორჯონიკიძის რაიონი) იყო გამოგზავნილი.

„შვილო დათიკო!, — მწერდა მამა, — თუ ოდესმე მადლი და სიკეთე ჩვენს ოჯახს დაუთესავს, შენი დედამამის ალალ-მართლობა ახლა გამოჩნდება. ორი ვაჟი მოუცია ჩვენთვის ღმერთს და ორივენი — ფრონტზე გვყავს. მე ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემი ბიჭები სამშობლოს და ქვეყნის ბედნიერებისათვის წყეულ მტერს ებრძვიან. ეს ასეც უნდა იყოს. მარა თუ განგება არ გაგვწირავს და ორივე შვილი მტერზე გამარჯვებულები შინ დაგვიბრუნდება, ამაზე მეტი ბედნიერება აბა რა იქნება!...

სამ თვეზე მეტია გოგიასი არაფერი ვიცოდით, ახლა მისი ამხანაგისაგან წერილი მივიღეთ — დაჭრილია და ჰოსპიტალში წევსო, გვწერს, არ შეგეშინდეთ, არაფერი უშავსო. წერილი, რომ მივიღეთ, იმ ღამეს დედაშენი სიზმრებმა მთლად გააბოროტა, ხან ერთი შვილის სახელს წამოიძახებდა და ხან მეორესი. ვერა ყოველ დღეს გწერს წერილებს, ნეტავ თუ მოდის შენამდე. ჯავრობს საწყალი, მაგრამ დედაშენს მაინც სჯობია. გუშინ ხარაგაულიდან აპალონამ ამოიარა — დოქი თუ იქნებაო, დამიძახა. მობრძანდით, ხომ კაი ამბავიათქვა, შევეკითხე. აბა, გლახა ამბავი და მე გაგონილაო, დათიკო გაზეთში გაუწერიათ, სულ გალექსილიაო-გვითხრა. დავაჯინე და ყურები ჩემი წითელი ღვინით მაგრად შევუწითლე, — გიშოვი იმ გაზეთსო, დამპირდა. შვილო დათიკო, ხომ გახსოვს ბიის ძირში ათჩაფიანი ჭური რომ გვაქვს, ის შენს სახელზე ამ შემოდგომაზე ღვინით გავავსე და მაგრად მოვტენე. შენი ხელით უნდა მოიხადოს ის ქვევრი. თუ მშვიდობა გვექნა და შენს მოსვლას ვეღირსე, ჭერში უნდა ვკრა ქუდი. ერთი ის მაფიქრებს, კარგი ამბები არ ისმის ამ ბოლო დროს; ამბობენ, მტერი კავკასიონის მთებს მოადგაო. ჯერ ცოტა ხანს კიდევ ვუყურებ და მოგიკვდეს შენი ბებერი ილია, თუ თოფი მხარზე არ გავიდვა და ტყეში არ წავიდე. მეც გავივლი ამ

მოხუცებულობის დროს ერთ პარტიზანობას. წერილებს ნუ დაგვიგვიანებ, ხშირად მოიწერე. სიყვარულით და ხელის ჩამორთმევით მოგიკითხეს დედა შენმა და ვერამ.

ჩვენი კოლმეურნეობის საქმე კარგად მიდის, ამ შემოდგომაზე ორი ჰექტარი სავენახე მიწა გადავაბრუნეთ, ახალ გაზაფხულზე ვაზს ჩავყრით.

იდღეგრძელე და ჯანმრთელად იყავი.

გწერს მუდამ შენი კარგის მსურველი მამა ილია“.

წერილი დაგვიანებით მივიღე, ამიტომ იყო კავკასიის ბრძოლებზე შეშფოთებით რომ იწერებოდა მოხუცი.

ის იყო დავასრულე წერილის კითხვა და შტაბში მიხმეს. მისვლისთანავე რუდნევმა მომმართა.

— ამხანაგო ბაქრაძე, სარწმუნო ცნობები გვაქვს იმაზე, რომ მალე დიდი ძალებით მტერი თავს დაგვესხმის. არევიჩზე თვითმფრინავების წარამარა ტრიალი ამ ამბის მომასწავებელია. შენ შენი ასეულით პრიპიატის სანაპიროებზე უნდა დაიკავო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი; როგორც სჩანს, საქმე ისევ გემებთან გვექნება. დროულად შეუდექით თადარიგს.

— არის ამხანაგო კომისარო! — მოვახსენე რუდნევს და ჩემი ქოხისაკენ გავეშურე.

ცნობა იმის შესახებ, თუ სად უნდა ჩასაფრებულიყო ჩემი ასეული, ორ საათში მივიღე. ასეული ადგილზე მივიყვანე და მდინარის ნაპირას შეუმჩნევლად ჭაობებში ჩავმალე. ქვემეხი იმდენად საგანგებოდ შევნიღბეთ, რომ სად იდგა, მე თვითონ ძლივს ვამჩნევდი. მთელი ღამის უძილობამ მოგვქანცა. მეორე დილა ცოცხალი და მზიანი გათენდა. რა საამური იყო იმ დილას მზის სხივები!... მნათობს ზურგი მივუშვირე და მკვდარსავით ჩავიძინე.

— ამხანაგო მეთაურო, მეკავშირეებმა გემების მოახლოვება გვაცნობეს, — ჩამესმა ძილში [illegible] ფროსის სიტყვები. [illegible] ფეხზე დავდექი და პრიპიატს თვალი მიმოვავლე. ირგვლივ სიჩუმე იყო. წყნარი დილის ნიავი წყლის ბალახებს ოდნავ არხევდა.

— ბალახებში გაიტმასნეთ, თავი არ აიღოთ, ჩემს განკარგულებას დაელოდეთ! — მივმართე მეომრებს.

აჰა, მდინარეზე მალე გემთა ქარავანიც გამოჩნდა. იმავე წუთში მეკავშირე ვაფრინე შტაბში და ხელმძღვანელ ამხანაგებს გემების გამოჩენა ვაცნობე.

აგერ მოახლოვდა ორი ჯავშნოსანი გემი და ოთხი კატერი. ფლოტილია არევიჩს მოადგა და მტერმა მდინარის ნაპირები გრიგალისებურ ცეცხლში გახვია. ნაპირებიდან პასუხი არ იყო, თითქოს იმ არემარეზე კაცის ჭაჭანება არ ყოფილიყოს. ნელი წინსვლით გემები განაგრძობდნენ ტყვიამფრქვევებიდან და ქვემეხებიდან სროლას. კვლავ სდუმდნენ პრიპიატის ნაპირები. გერმანელებმა სროლას უკლეს, უკვე გამოლაგდნენ გემების ბაქანზე მეზღვაურები. პარტიზანები მოუთმენლობამ შეიპყრო, ბიჭებს გავხედე, მათი ცეცხლივით დანთებული თვალები წინ შემომეფეთნენ. „გვიბრძანეთ, რას უცდითო“, — მეუბნებოდნენ ის თვალები. მკაცრი შეხედვით ვუპასუხე: — ხმა, კრინტი არავინ დასძრას-მეთქი.

ახლა საჭირო იყო გემების შემოტყუება, ისინი ტყვიის წვიმის ქვეშ უნდა დაგვეყენებინა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ოპერაციას ჩვენი შენაერთი საგანგებო სამზადისით შეხვდა.

ქარავანი ჩემი ასეულის ჩასაფრების ადგილს ოდნავ გასცდა, მეტი ცდა აღარ იყო საჭირო. ტყვიამფრქვევებმა და ქვემეხებმა გემებს ცეცხლი ერთბაშად დააყარეს. ამ მოულოდნელობამ გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩაა-

ყენა მტერი, არ იცოდა ადგილზე დარჩენა თუ გაქცევა სჯობდა.

ნაპირებიდან ცეცხლი გაძლიერდა, გაორკეცებული ცეცხლით გვიპასუხებდნენ გემები. ჯერ-ჯერობით უპირატესობა გერმანელების მხარეზე იყო. სასწრაფოდ ქვემეხთან მივფორთხდი და ორმოცდახუთ მილიმეტრიანი ქვემეხი მომარჯვებულ ადგილზე გამოვაგორე, პირდაპირი დამიზნებით ქვემეხის პირველი გამოსროლისთანავე გემის საკვამური ჩამოვიღე. დაზიანებული მექანიზმიდან ამოვარდნილმა ცეცხლის კონებმა იწყეს ბაქანზე ცვენა და მალე გემი მთლიანად ალში გაეხვია. გულმემზარავმა ღრიანცელმა აიკლო იქაურობა, გემიდან გამორბოდნენ და წყალში ცვივოდნენ თავზარდაცემული გერმანელები. განწირულთ აქაც მარჯვე მეტყვიამფრქვევები უმოწყალოდ სცელავდნენ.

მეორე გემი დაზიანებულ გემს გამოექომაგა, მის ახლოს დადგა და სროლას განაგრძობდა. აქ სერგო ანისიმოვმა თავისი სამოცდათექვსმეტ მილიმეტრიანი ქვემეხი შეაბრუნა, ივ მეორე გემს ზედიზედ ხუთი ყუმბარა შიაყარა და ისიც მდინარეში დაყირავებულ ჯავშნოსანს გვერდში მოუწვინა.

კატერებმა საერთო თავდაცვის საქმეზე ადრე აიღეს ხელი, საკუთარი ტყავის გადარჩენა ამჯობინეს, შორს დადგნენ და გასაძრომ მომენტს დაელოდნენ.

მწყობრიდან გამოსული გემების ეკიპაჟი არ ცხრებოდა, გერმანელები ლიუკებიდან განაგრძნობდნენ ავტომატების დაშენას.

ხანძრის შავმა კვამლმა დაფარა ნაპირები, თავისიანს გარეშესაგან ძნელად გამოიცნობდი.

— ფრთხილად, ჩვენსკენ ნუ ისვრით, — გვეძახოდა უკრაინულ ენაზე ვიღაცა გემის ბაქნიდან.

— თქვენ ვინ ხართ? — ვეკითხებით ნაპირიდან.

— პარტიზანები ვართ, — მე ვამბობ პავლოვსკი ვარ.

— მანდ რას აკეთებთ?

— ფრიცებს ვყარაულობთ, ვშიშობთ, ვინიცობაა დრო იხელთონ, ამოძვრებიან და გაიპარებიან.

— სანამდე გინდათ მანდ იყოთ?

— სანამ გემი არ დაიწვება.

— გემთან ერთად ხომ თქვენც დაიწვებით?

— წყალში გადახტომას მოვასწრებთ.

— თუ იცით ფრიცები ბევრნი გადარჩნენ ცოცხლები?

— ჯერჯერობით ბევრნი.

მტერი კერპობდა, ბრძოლას დაჟინებით განაგრძობდა.

უცებ წყალზე ორი ნავი დავლანდეთ, მალე ორივენი მდინარეში დაყირავებულ გემთან გაჩნდნენ. კვამლში ვარჩევთ, პარტიზანი პარტიზანის მხარზე შედგა და გემზე აცოცდა. მამაცმა მეომარმა ავტომატით ხელში ბაქანი მიირბინ-მოირბინა, უპატრონოდ მიტოვებული დიდი ყალიბის ტყვიამფრქვევს ხელი დაავლო, ტრუმში ჩასასვლელ კიბესთან დადგა და ტყვიას ზუზუნი დააწყებინა.

მტერი უკვე წელში გატეხილი იყო. გაქცევა მხოლოდ ორმა გერმანელმა შესძლო, დანარჩენები ტყვიით და გემების ხანძრით განადგურდნენ.

კატერები ხომ თავიდანვე გასაქცევ გზას ეძებდნენ, გემები ცეცხლს მისცეს პირში და თავათ ქურდი კატებივით გაიპარნენ.

კატერები, დაიმედებული, რომ საშიშროებას თავი დააღწიეს, ისარივით მიქროლავდნენ პრიპიატის ქვემო დინების ტალღებ შუა. მაგრამ არევიჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სამი კილომეტრის დაშორებით, ჩასაფრებულმა კულბაკას ბატალიონმა მედგარი ცეცხ-

ლით ოთხ კატერს, სულ რაღაც ხუთ-ექვს წუთში მოუღო ბოლო. დამფრთხალი მეხუთე კატერი ჭაობიან ნაპირებში შეიჭრა და იქ ჩაეფლო. პარტიზანებმა ამ უკანასკნელ კატერს მინები შემოუწყეს და ისე დასტოვეს.

როგორც შემდეგში სარწმუნოთ გავიგეთ ღამით მოსულიყვნენ გერმანელები კატერის ჭაობიდან ამოსაღებად, ნაღმებს წაწყდომოდნენ და დიდი მარცხი მოსვლოდათ.

პარტიზანული ომების ტრადიცია მოითხოვდა ამ დიდი ბრძოლის შემდეგ არევიჩიდან საჩქაროდ წავსულიყავით. საყურადღებოა, რომ უკანასკნელი ოპერაციების მსვლელობის დროს და ბრძოლის შემდეგ პერიოდში, არევიჩისთან არც ერთხელ აღარ გამოჩენილა მტრის თვითმფრინავი.

გემებთან ჩვენი ბრძოლის და გამარჯვების ამბავი მთელს ოლქში გაიგეს.

ამხანაგი რუდნევი მტერზე გამარჯვების შემდეგ ყოველთვის ასე იტყოდა:

— მართალია, მტერი დავიფრინეთ, სასტიკი დამარცხება ვაგემეთ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ მტრის ზურგში ვიბრძვით, გასაჭირის დროს დამხმარე რეზერვის იმედი არა გვაქვს, მტერს კი ყოველთვის აქვს საშუალება დიდი ძალებით თავს დაგვესხას და შეგვავიწროვოს.

არევიჩიდან გასვლა ჯერ-ჯერობით არ ხერხდებოდა: ყველა მიმართულებით წასული მზვერავების დაბრუნებას ველოდებოდით. დაგზავნილი მზვერავების რიცხვი ას ორმოც კაცს აღემატებოდა. აქედან უმეტესობა შორეულ რაიონებში იყვნენ წასული.

ასეთი წესი გვქონდა: ერთ ადგილიდან მეორეზე მაშინ გადავინაცვლებდით, როდესაც უცნობ ადგილს კარგად შევისწავლიდით.

პარტიზანებს მონადირის ჩვეულება დაგვჩემდა. მონადირეს მოთმინება აღარ ჰყოფნის, როდესაც ის ხანგრძლივად ერთ ადგილას ზის და ნადირობს. არევიჩში უბრალოდ ჯერ-ჯერობამ მონადირის მოუთმენლობა დაჰმართა პარტიზანებს.

წელან გაკვრით ვახსენე, რომ ორი შენაერთის ხელმძღვანელებმა — კოვპაკმა და ფედოროვმა განიზრახეს პატარა ქალაქ ბრაგინზე ლაშქრობის მოწყობა. ამ ქალაქს ჩვენ წინათაც ვიცნობდით. 1942 წლის ნოემბერში პარტიზანებმა ქალაქ ლოევი ავიღეთ. ბრაგინში მდგარმა მტრის ბატალიონმა გაიგო ლოევის დაცემა, თავისიანების დასახმარებლად საჩქაროდ მოიჭრა ლოევში და ქალაქში ახლადდაბანაკებულ პარტიზანებს ბრძოლა გაგვიმართა. ამ ბრძოლაში გერმანელები დიდი მარცხით უკუვაქციეთ, მაგრამ ბრაგინზე ასაღებად არ წავსულვართ. შემდეგში, როგორც ეს ჩვენთვის ცნობილი გახდა, გერმანელებმა ბრაგინი სასოფლო-სამეურნეო ცენტრად აქციეს. ამჟამად კოვპაკი და ფედოროვი ბრაგინის ასაღებად ურყევი რწმენით მიდიოდნენ. გზაში ჩეხოსლოვაკელების და გერმანელების ბატალიონთან მოგვიხდა შეტაკება, შევმუსრეთ მტრის ბატალიონი და ნადავლთა შორის ორი უზარმაზარი „ჰაუბიცის“ სისტემის ქვემეხი დავატოვებინეთ.

მივუახლოვდით თუ არა ბრაგინს, მედგარი დარტყმით სამი-ოთხი საათის განმავლობაში გავწმინდეთ მტრისაგან ქალაქი, დიდი ზარალი ნახეს ბრაგინის ბრძოლაში გერმანელებმა, მარტო დახოცილთა რიცხვი სამას კაცს სჭარბობდა.

ბრაგინში გერმანელებს ძლიერი თავდაცვა ჰქონდათ. საყდრის სამრეკლოში გამაგრებულმა სს-ს ნაწილმა სასტიკი წინააღმდეგობა გასწია, მაგრამ ეს უკანასკნელნი. ნადავლი მძლავრი ჰაუბიცებით გამოვფერთხეთ სამრეკვლოდან.

ბრაგინზე პარტიზანების გალაშქრებას ცუდი შედეგი მოჰყვა, მტერმა თვითმფრინავებით დაბომბა არე

ემსგავსება. ორივე მდინარე განიერი და ღრმაა. ამ მდინარეების მარჯვენა ნაპირებზე მტერი იყო გამაგრებული. როგორც შემდეგში გამოირკვა, მტერი სოლის ზემო განიერ ნაწილში ბრძოლის დასაწყებად ემზადებოდა. ფრიცების ხეპრული გაანგარიშება ასეთი იყო: პარტიზანებს ორწყალშუა შევიტყუებთ, ვიწრო და გაუვალ ნაწილში შევრეკავთ, გასაქანს არ მივცემთ და მდინარეში გადავჩეხთო. გერმანელების ასეთი განზრახვა ტყვეებმაც დაადასტურეს. ბავშვურ თამაშობიას წააგავდა ფრიცების ეს ვარიანტი. ტყვეების სიტყვით ამ ოპერაციას გერმანელები „სველ ტომარას“ უწოდებდნენ.

ყოველივე ეს ჩვენგან მარშრუტის შეცვლას მოითხოვდა. ახლა ჩრდილოეთის მიმართულებით ავიღეთ გეზი. ახალი მარშრუტით ორწყალშუა მდებარე სივრცეს რომ გავცილდებოდით, შემდეგ დასავლეთისაკენ უნდა გვევლო. ადრე ავუღეთ ალღო გერმანელების ოინებს. მტერს „სველი ტომარი“ ხელში შევატოვეთ და ჩრდილოეთის მიმართულებით გომელ-კალინოვიჩის რკინიგზისაკენ გავეშურეთ. სადგურ დებინის მახლობლად უნდა გადაგვეჭრა რკინიგზა.

წარმოუდგენელ სიმაგრეებს წავაწყდით რკინიგზის ხაზზე და მის ახლომახლო ადგილებში. თვითეული ფეხის გადადგმაზე ღრმა ორმოები და დოტები გვხვდებოდა, ყოველ ორ-სამ მეტრზე ადგილმდებარეობა გაუვალი ეკლიან მავთულით იყო შემოსერილი. ღამის პირველ საათზე ჩავებით ბრძოლაში. ბრძოლამ მეორე დღის ცხრა საათამდე გასტანა. მტერმა დებინს ჯავშნიანი მატარებელით მეზობელ სადგურებიდან უამრავი ჯარისკაცები მოაყარა. მტრის ტანკების და ქვემეხების ქუხილი ათეულ კილომეტრზე ისმოდა.

აშკარა იყო, ამ ბრძოლაში პარტიზანებს დიდი მსხვერპლის [illegible] დასჭირდებოდათ.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მეკავშირეებმა კოვპაკის განკარგულება გვაცნობეს. ხელმძღვანელი ბრძანებდა — უკან დაბრუნდითო. ისევ სამხრეთისაკენ ავიღეთ კურსი. მებრძოლთა შორის არ იყვნენ კარპენკოს და გორლანოვის ასეულები, ისინი რკინიგზის გადაღმა მოექცნენ.

კოვპაკი ასე მსჯელობდა: — მართალია, ამჟამად ჩვენ უკან ვიხევთ, მაგრამ ჩვენი ეს ნაბიჯი „სველი ტომარის“ იდეის გამარჯვებას არ ნიშნავს, თუ საქმე დაისაჭიროებს, დნეპრს და პრიპიატსაც ადვილად გადავლახავთო.

დრო არ ითმენდა, მტრის ავიაციას თავს ვარიდებდით. ჩვენმა შენაერთმა ტყეს თავი შეაფარა, უკან ჩამორჩენილები კარპენკო და გორლანოვი ჯერ-ჯერობით კიდევ არ სჩანდნენ.

მარშრუტის გამრუდებასთან დაკავშირებით კოვპაკი ძლიერ ნერვიულობდა. დებინთან რკინიგზის ხაზზე მარცხი რომ დაგვემართა და ვერ გადავედით — ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევა იყო კოვპაკის შენაერთის ისტორიაში.

უკან გამობრუნებით, რასაკვირველია, ჩვენი პირვანდელი სამარშრუტო გეგმა დღის წესრიგიდან არ იხსნებოდა.

პარტიზანების დებინიდან უკან გაბრუნებას მტერი ზეიმობდა. ის ამას თავის გამარჯვებად სთვლიდა. სველი ბამბის ტომარი ცარიელი რომ შერჩებოდათ ხელში, ამაზე გერმანელებს ჯერ-ჯერობით წარმოდგენა არა ჰქონდათ.

ამ ხანებში ჩვენს ბანაკში სლოვაკელმა ჯარისკაცმა მოირბინა. სლოვაკელს რუსული ენა არ ეხერხებოდა, ძლივს ვერკვეოდით მის სიტყვებში. ჯარისკაცმა გვიამბო მე პოდპოლკოვნიკ იოზეფის შოფერი ვარ, პირადი

ნებაყოფლობით მოვედი თქვენთან. დიდი ხანია მწადდა პარტიზანებთან მოსვლა და სათანადო დროც დამიდგა. სლოვაკელთა შორის თქვენდამი თანაგრძნობა დიდია, კიდევ მეტს გეტყვით, თუ მეტი არა, ოთხმოცი პროცენტი სლოვაკელი ჯარისკაცების ოცნებაა თქვენს მხარეზე გადმოსვლა. ჩვენი მეომრების სურვილს გერმანელების მკაცრი რეპრესიები წინ ეღობება, ვიცით დანდობა არ იქნება, განუკითხავად და საჯაროდ ფიზიკურად განადგურდება ის ჯარისკაცი, რომელიც თქვენდამი თანაგრძნობაში ოდნავ შენიშნული იქნება. არ დაინდობენ მის ცოლს, შვილს, დედას და მამას, ყველას სახრჩობელაზე წარეკავენ. რუსები რომ ჩვენი ძმებია, ეს ჩვენ კარგად ვიცით.

პოდპოლკოვნიკ იოზეფის ჩვენდამი კარგ განწყობილებაზე წინათ ჩვენ ბევრჯერ გვსმენია. აკი აღუთქვა მან ჩვენ მიერ მიგაავნილ მზვერავ ქალს კარპოვნას,—დღევანდელ პირობებში რამდენად მომიხერხდება, პარტიზანების მიმართ პასიური დავრჩებიო. იოზეფი რომ არ სტყუოდა, ეს საქმიდანაც სჩანდა: ის ტყვე პარტიზანებს ანთავისუფლებდა და უკან გზავნიდა.

ბრაგინთან ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში იოზეფს მონაწილეობა არ მიუღია. როგორც შემდეგში გავიგეთ იმ ხანებში მას მოემიზეზებინა სლოვაკელების ნაწილზე პარტიზანების თავდასხმაა მოსალოდნელიო. ამით დაეღწია თავი ბრაგინის ბრძოლისათვის.

იოზეფის ჩავარდნა არ იყო ჩვენთვის ხელსაყრელი; თუ ვინიცობაა იოზეფი ჩავარდებოდა, გერმანელები სლოვაკელების ნაწილს იმ არემარედან ბარგს აუკრავდნენ და შემცვლელად გერმანულ ან იტალიანურ ნაწილს მოიყვანდნენ.

XXI

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზვერავებმა ამბავი „მოტანეს“—პრიპიატის მთელი დინების მანძილზე მტერმა დიდძალი ტექნიკა და ცოცხალი ძალა მოაგროვაო. ყველა პოზიციაზე მტერი საგანგებოდ იყო გამაგრებული. მოწინააღმდეგემ ფრიად სერიოზული მდგომარეობა შეგვიქმნა: ორი საველე დივიზია ფრონტიდან მოხსნა და ჩვენს წინააღმდეგ გადმოისროლა.

„სს“-ს ნაწილებიც მოქმედებდნენ იმ ხანებში ჩვენს წინააღმდეგ. მტერი რიცხობრივად არა ნაკლები 6—7 ჯერ გვჭარბობდა.

ჩვიდმეტ მაისს, დილით, პარტიზანების შენაერთს მტერმა, როგორც ჰაერიდან, ისე ხმელეთიდან ერთდროულად დაუშინა.

შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა.

ტანკებით და ნაღმსატყორცნებით ზურგგამაგრებული მტერი მთელი დღე იერიშზე გადმოდიოდა.

ამ დღეს პარტიზანებს დიდი წარმატება ხვდათ წილად.

მტერმა რამდენიმეჯერ სცადა შეტევაზე გადმოსვლა, მაგრამ ყველა ბრძოლაში დამარცხება განიცადა. ცხრა ტანკი და სამასამდე ჯარისკაცი დაჰკარგეს ტულგოვიჩის ბრძოლებში გერმანელებმა.

კოვპაკის განკარგულება იყო პარტიზანებს უკან ნაბიჯი არ წაედგათ და საომარი მასალა უხვად გამოეყენებინათ.

პრიპიატის მარჯვენა ნაპირზე გადასვლა პარტიზანებისათვის ისევ გარდუვალ ამოცანად რჩებოდა. „სველი ტომრის“ ოპერაციების სისრულეში მოყვანაზე დაჟინებით ოცნებობდნენ გერმანელები.

კოვპაკმა პრიპიატზე ხიდის აგება და მდინარის მარჯვენა ნაპირზე გადასვლა გადაწყვიტა, ადვილი საქმე არ იყო

ხიდის აგება ისეთ განიერ და ღრმა მდინარეზე, როგორიც პრიპიატია.

მდინარის შუა წელის მიდამოები, სადაც ჩვენ ვიდექით, ხე-ტყის მასალით ძალიან ღარიბი იყო. მიუხედავად ამ სერიოზული დაბრკოლებისა, კოვპაკმა თვითონ იკისრა ხიდის აგების ხელმძღვანელობა. რუდნევმა კი თავდაცვის საქმე დაივალა.

ხიდების აგების პრაქტიკა პარტიზანებს საკმაოდ ჰქონდათ ათვისებული. ჯერ კიდევ ბრიანსკის რაიონში პარტიზანების მიერ ხიდმშენებლობას დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი, ჩვენს რიგებში იყო ბლიტჩელი პარტიზანი, შეუდარებელი ხიდმშენებელი იაკოვენკო. იაკოვენკოს მიანდო კოვპაკმა ხიდის აგების გეგმის შემუშავება.

— იცით, ამხანაგო იაკოვენკო, — ეუბნება მას კოვპაკი, — დღეს შენ, შენს სპეციალობაში სახელმწიფო გამოცდა უნდა ჩაგვაბარო, ოცდაოთხს საათში ხიდი მზად უნდა იყოს.

იაკოვენკომ უპასუხა:

— როგორ მოგახსენოთ, ამხანაგო ხელმძღვანელო, კარგი ხიდი, ხომ კარგი მასალიდან კეთდება, კარგს მასალას მე აქ ვერ ვხედავ, შორიდან მოტანის დროც არ არის.

— ასე გამოდის, რომ ბლიტჩას იქეთ თურმე ხიდი არ აიგება. ცემენტ-ბეტონის ხიდი ჩვენ არ გვინდა, როგორიც მასალა მოგვეპოვება, ისეთი ხიდი ავაგოთ, — განმარტა კოვპაკმა.

შენაერთის ბანაკის მახლობლად თივის საწნეხი ფარდული იყო. დიდი მოცულობის შენობა მრგვალი მორებისაგან იყო აგებული.

კოვპაკმა ამ ფარდულს დაადო ხელი. „სახელდახელოდ დაშალეთ ეს ფარდული და მასალა ხიდისათვის გამოვიყენოთო“ — ბრძანა მან.

შემდეგ რიგში კოვპაკმა მიხმო და ასე მომმართა:

— შენი კეთილსინდისიერების იმედი მაქვს, დავით, მდგომარეობის სერიოზულობაზე განმარტებას არ საჭიროებ, დრო არ ითმენს, მთელი ღამე სულმოუთქმელად უნდა ვიმუშაოთ. საჩქაროდ მოხსენი თავდაცვიდან შენი ასეული და აქ გააჩერე.

ორი ასეული — მეხუთე და მეცხრე თავდაცვის ხაზიდან მოვხსენით და ხიდის აღმშენებლობაში ჩავაბით.

ფარდული ორ საათში დავშალეთ. შედარებით მყუდრო და ჩირგვებით გარემოცული ნაპირი შევარჩიეთ ხიდის ასაგებად.

გერმანელებისათვის შეუმჩნეველი უნდა დარჩენილიყო ხიდის ადგილმდებარეობა და მასზე წარმოებული მუშაობა.

ოთხი კილომეტრის დაშორებით მდინარის მარჯვენა ნაპირზე გაშენებული იყო სოფელი ვიაჟიშჩე. ამ სოფელში „სს“-ს ბატალიონი იდგა. მშენებლობის ჩაშლა ამ სოფლიდან იყო მოსალოდნელი.

ხელებდაკაპიწებულებმა ვიმუშავეთ მთელი ღამე: მორები და ფიცრები ჩავწყეთ წყალში და ტივებად შევკარით. მდინარეზე გარდი-გარდმო დალაგებულ ხეებს წყალი გაშმაგებით აწვებოდა, ბაწრები და მავთულები წყდებოდა და ტივები იფუშებოდა. ხალხი წყალში ცვიოდა, თან საშენი მასალაც გამოგველია. არა ნაკლები ოცი მეტრისა რჩებოდა კიდევ ხიდი დაუმთავრებელი. თუ ახლო-მახლოს სადმე კიდევ ხის მასალა მოიპოვებოდა, მოვზიდეთ და ხიდის ასაგებად გამოვიყენეთ.

მთვარიანმა ღამემაც ძალიან შეგვიწყო ხელი. მცენარეების ახალი შეფოთვლაც თითქოს ჩვენი შენიღბვის საქმეს ემსახურებოდა. ჩვენი გაწამაწიის მოწამე დემიან კოროტჩენკო ჩექმებით წყალში გადმოეშვა და მუშაობაში

გულმოდგინედ ჩაება. დემიანის მაგალითით აღფრთოვანებულმა პარტიზანებმა გაათკეცებული ენერგიით იწყეს მუშაობა.

ვიაჟიშჩედან გერმანელებმა დაგვლანდეს და განგაში ასტეხეს, მალე ტანკებით და ნაღმმტყორცნებით შეიარაღებული მტრის ბატალიონი ხიდის მიმართულებით დაიძრა და გააფთრებული ბრძოლა გაგვიმართა.

რუდნევმა დროულად აუღო ალღო ვიაჟიშჩელი „სს"-ელების განზრახვას, თავდაცვისაგან ნაწილები მოხსნა და ხიდის მშენებლობაზე გადაისროლა. თავდაცვის ადგილზე ცხენოსანი მზვერავები დასტოვა. ამ უკანასკნელთ დიდი რაოდენობით მაშხალები გადასცა და უბრძანა:

— თანამიმდევრობით ყოველ სამ წუთში გაისროლეთ მაშხალებიო.

მზვერავებმა ზუსტად შეასრულეს რუდნევის განკარგულება. მტერმა მაშხალების ნიშნები მოწინააღმდეგის დიდ ძალების დაგროვების მაჩვენებლად მიიღო და არტილერიის ყუმბარებით დაჰფარა პარტიზანების მიერ დატოვებული ადგილები.

წყალს გაღმა მდინარის ნაპირზე მეხით დასახიჩრებული ხე იდგა, ამ ხეზე მსხვილი მავთულებით ხიდის ბოლო იყო დაბმული. საკმაო იყო მტერს ეს ხე მოეჭრა და მთელი ჩვენი მუშაობა უქმად გაივლიდა, ხიდი დაიფუშებოდა.

კოვპაკის და რუდნევის გამჭრიახობამ იხსნა მდგომარეობა. მათი ბრძანებით ერთმა ნაწილმა პარტიზანებისამ, იარაღით ხელში, ნავებით გასცურა მდინარე და მის მარჯვენა ნაპირზე მოექცა. ჩვენმა შევარდნებმა მტერს მნიშვნელოვანი პოზიციების დაკავება მოასწრეს. საგონებელში ჩავარდნილი მტერი ზედიზედ სამჯერ შეტევაზე გადმოვიდა, ჩასაფრებული პარტიზანები მტერს ძლიერი ცეცხლით შეხვდნენ და სამივე ივრიში ზედიზედ მოიგერიეს. დაუშრეტელი ენერგია და ვაჟკაცობა გამოამჟღავნეს ამ ბრძოლაში პარტიზანებმა. პირველ ხანებში, მართალია, მტერმა ჩვენები შეავიწროვა, მაგრამ მერე მოვლენები ჩვენს სასარგებლოდ განვითარდა; შუა ბრძოლაში მტრის ორი ტანკი ნაღმებს წააწყდა და აფეთქდა, სხვა ტანკები შორს დადგნენ და სროლა იწყეს. ამასობაში გათენდა და ხიდის მშენებლობაც დამთავრდა.

მოსახლეობის დახმარებით დილის ექვსი საათიდან პარტიზანებმა მდინარის მარჯვენა ნაპირზე იწყეს ხიდით ბარგის და სამხედრო საჭურველის გადაზიდვა.

სახელდახელოდ და უნარისხო მასალით ნაშენი ხიდი მტკიცე დასაყრდენი არ იყო. ტივებად შეკრული მორები ხიდზე შედგომისთანავე წყალში იძირებოდნენ, განსაკუთრებით არტილერიის გადაზიდვა გაგვიძნელდა; საჭირო შეიქნა ქვემეხების დაშლა და ნაწილების ხელით გადატანა. როდესაც პარტიზანებს სამოცდათექვსმეტ მილიმეტრიანი ქვემეხი გადაჰქონდათ ხიდი ძალზე ჩაიზნიქა, პარტიზანები წაბარბაცდნენ და ქვემეხითურთ წყალში გადაჩეხას ბეწვზე გადაურჩნენ.

წყლის გაღმა ვიაჟიშჩეს მიმართულებით ისევ გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა. ორ ცეცხლ შუა მოქცეულ პარტიზანებს ხან ხიდზე ბარგი გადაჰქონდათ და ხან დროგამოშვებით ბრძოლაში ებშებოდნენ.

მაშხალების დემონსტრაციამ გერმანელები შეცდომაში შეიყვანა. მტერმა ალღო ვერ აუღო პარტიზანების ოინებს, შეტევაზე გადმოვიდა. ამ შემთხვევაშიაც არ გაუმართლდათ გერმანელებს. ათი ტანკი და ოთხასამდე მეომარი დაჰკარგა ტუნგოვიჩთან ბრძოლაში მტერმა.

კოვპაკის განმეორებითი ბრძანება იყო პარტიზანებს ერთი ნაბიჯი არ

წაედგათ უკან და ტყვია არ დაეზოგათ. პრიპიატის მარჯვენა ნაპირზე ჩვენმა გამოჩენამ მტერი შეაშფოთა და დააბნია, მან შეტევაზე ხელი აიღო და გასაქცევ გზას დაადგა.

მაშხალებით ვარჯიში ვერშიგორას ძალიან ემარჯვებოდა. დრო და დრო ის ამ დარგში გადაჭარბებულ თეატრალობას იჩენდა. მან ტყვეებიდან იცოდა მტრის სხვადასხვაფეროვან მაშხალების ხმარების წესრიგი და დანიშნულება. ნადავლ მაშხალებს ვერშიგორა მტრის შეცდომაში შესაყვანად იყენებდა, მაგრამ მისი ოინები ყოველთვის მიზანს ვერ აღწევდა. ერთხელ გერმანელებმა ალღო აუღეს ვერშიგორას ოინს და მაშხალის გასროლისთანავე მტრის თვითმფრინავებმა მის ირგვლივ ყუმბარები ჩამოყარეს.

მოსალოდნელ დიდ მარცხს შემთხვევით გადაურჩა ამ დროს ვერშიგორა.

მძაფრ ხასიათს ღებულობდნენ ხიდთან გამართული ბრძოლები. გამარჯვების სასწორი საათობით ხან ერთი და ხან მეორე მხარეზე იხრებოდა; ბრძოლის განცდების კალმით მთლიანად გადმოცემა შეუძლებელია.

ხიდის აგებამ და მდინარეზე გადასვლის შესაძლებლობამ ჩვენს რიგებში გამარჯვების რწმენა ერთიანად გააძლიერა.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მტერმა ჩვენი გასაჭირი არ იცოდა. საომარი მასალა გველეოდა და ეს გარემოება კატასტროფის წინაშე გვაყენებდა. მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, როდესაც მტრის თვითმფრინავებმა ხიდთან ყუმბარები ჩამოყარეს.

ამ უკანასკნელი გარემოებით დარწმუნებულმა გერმანელებმა შეტევა გააცხოველეს.. ძნელი იყო პარტიზანისათვის მონაპოვრის დაკარგვა, მათ მტერს შეტევაზე — თავგანწირული იერიშით უპასუხეს. ჩვენი მეომრების „ურას“ ყიჟინით ყურთასმენა აღარ იყო.

ამ დროს ჩვენი მეომრების ერთი ნაწილის მიერ სამხედრო საჭურველის მდინარეზე გადმოზიდვა სწრაფად მიმდინარეობდა. მეორე ნაწილი მეომრებისა მტრის გააფთრებულ იერიშებს ძლივსღა იგერიებდა.

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გრძელდებოდა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვარლამ ქურული

ოთხი ლექსი

★

რუსთავის ჭადარი

ხელისგულზე დაეტევა, ისე ნორჩი ხეა,
რაც რუსთავში დაბინავდა, მგონი, ასი დღეა.

პაწაწინა ჭადარია, დიდ ქალაქში რგული,
მშენებელთა სიყვარულით გათბობია გული.

ხარობს ახალ ხეივანში ყვავილნარის გვერდით,
მზეო, სხივით ეალერსე, გაუმაგრე მკერდი.

წელს პირველად გაზაფხულმა მისცა მწვანე ფერი,
ჩიტმა ფრთებით გაუბერტყა გზატკეცილის მტვერი.

მისი დიდი წინაპარი თელავში დგას ახლა,
საქართველოს განთიადით რტონი ააქვს მაღლა,
გარს არტყია გალავანი,
თვითონ, როგორც ფალავანი
სიმტკიცით და სიამაყით შორს გაჰყურებს კავკასს,
ლოცავს, ვისაც ეს ქვეყანა მწვერვალებზე აჰყავს.

ყური უგდე, მოუსმინე, ჯერ პატარა ხეო,
მძიმე იყო ძველ თელავის ჭადრის ბევრი დღეო.

ჩვილ ფოთლებით შეიმოსე, მცენარეო ჩვილო,
ტოტი ტოტზე გამოისხი, გაზაფხულის შვილო.

ამწვანდი და ალამაზე ლითონების კერა,
მამულს უფრო შეგაყვარებს დღეს რუსთავის ცქერა.

თავზე გადგას სილაჟვარდე, ცაფირუზის თაღი,
დაამშვენე ქართლის მიწა და ქალაქი ბაღი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

★

მიტაცებულ მიწაზე

ტარ-კლარჯეთში კვნესის ნიავი,
ცრემლის გუბეა ყრმათა აკვანთან.
გმინავს ჭანეთი თურქთა სიავით,
შფოთავენ ძვლები მამაპაპათა.

იქ, სადაც მტკვარი იწყებს დინებას,
კენჭიც ღაღადებს მდინარის პირად:
— ეტრფოდა ქვეყნის აღორძინებას
მესხი მობილი ბრძენად და გმირად.

ვინ სწვავდა ანჩის თორმეტ სავანეს?
ვინ დაანგრია შატბერდი, ხანძთა?
მხარეს — რუსთველის მეიავნანეს
ხონთქრის მახვილი მაინც არ ასცდა.

დრო იყო, ჩქეფდა იქ გაზაფხული,
ბაღს ამშვენებდა ვარდი ნათებით.
მთებში ბრწყინავდნენ ოშკი, ხახული
მტრედებით სავსე თეთრ გუმბათებით.

იცავდათ მარჯვე ვაჟკაცთა მკერდი,
ფრესკებზე ენთო სხივნი მზისანი,
რწყავდნენ ვენახებს გალავნის გვერდით
წყარონი სუფთა, ალმასისანი.

ვაი, რომ ახლა წვით, ანაცრებით
მეხით დალეწილ ბერმუხებს გვანან.
ფერფლად ქცეულან წმინდა ტაძრები —
ტბეთი, ოპიზა, იმხანი, ბანა.

ბოროტს ყოველთვის სძლევდა კეთილი,
კეთილს კი ებრძვის იქ ბოროტება.
დგას წყاროსთავი თავმოკვეთილი,
ისმის ჭოროხთან ლაზის გოდება.

გაქრა დიდებულ ძეგლთა კრებული,
არვის აღვიძებს რეკა ზარების.
სწუხს ჩუქურთმებში ჩასვენებული
სული და ნატვრა ოპიზარების.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ოი, ნანგრევნო! რა იცით ახლა
კვლავ აჟღარუნებს იარაღს მტერი!
წალეკა თურქთა ველურმა ტალღამ
ბევრი მოძმე და პატარა ერი.

ხართ საქართველოს სისხლი და ხორცი,
დიდოსტატების დიდი ქმნილება.
მამულისათვის აღდგება ბორცვიც
თუ კვლავ იგრგვინეს ქარტეხილებმა..

★

მეოთრის საფლავზე

მზე ჩავიდა. იდგა ბინდი დაისური,
როს ბულბულმაც შემოგტირა ტოტიდან.
შენ დაეცი ტყვიის სეტყვით დაისრული,
გულმკერდიდან თბილი სისხლი მოგდინდა.

შენი ხვედრი დუმილია მარადისი,
ჩუმათ გძინავს კავკასიის კარებთან.
გელის დედა... მოლოდინი კმარა მისი,
ვინც აკვანში ნიავს არ გაკარებდა.

თავს დაგცქერენ შევერცხლილი მწვერვალები,
გფარავს მიწა ხანძრით შენაფერფლები.
გაზაფხულსაც პირველ იით ებრალები,
შენს საფლავზე მოდის ჭრელი პეპლებით.

არ გივიწყებს შენ არც მწყემსის სალამური,
ლერწმის ღერსაც სურს ვაჟკაცის დიდება.
კლდის ბალახიც, დილის ცვარით დანამული,
მწვანე ძეგლად გულზე აბიბინდება.

მტერს კაფავდი ქართველურად გამკლავებით,
განიგმირე მძიმე ომში ჩაბმული.
შუქს გაფრქვევენ მოციმციმე ვარსკვლავები,
უკვდავი ხარ, რადგან იხსენ მამული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

★

ნეტავი

ხუთი გრძნობაა, არის მეექვსეც —
ეს არის ტრფობა გულის მფეთქავი.
გეტრფი, მამულო, ერთი მელექსე,
მიყვარს ქართული სიტყვა „ნეტავი“.

ნეტავი ვიყო ჭრელი პეპელა,
ყვავილთან ნატვრა მიმატანინა,
მეც ვიფარფატო ბაღში ნელ-ნელა,
გამართოს ფოთოლთ იავნანინამ!

ნეტავი ვიყო ნაზი ბულბული,
ხალხს ვუგალობო ტკბილად, საამოდ,
სტვენით მოვხიბლო ჩუმი სუმბული,
როცა შტოებზე წვება საღამო!

ნეტავი ვიყო მინდვრის ყაყაჩო,
წითლად ვამშვენო მწვანე ყანა მე!
თუ იაგუნდის წვიმამ დამაღრჩო,
ცაო, ჟუჟუნა ცრემლი მანამე!

ნეტავ მენახეთ ოშკო, ხახულო,
მიწავ მახვილით მიტაცებულო,
ხართ უსინათლო, უგაზაფხულო,
წინათ ვაზით და ვარდით ქებულო!

დამიძმობილდა სიტყვა „ნეტავი“
და მეც ვინატრი დავწერო ნეტავ —
ლექსი მომავლის შესაბედავი,
რომ საქართველოს წალკოტად ვხედავ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ფორჩხიძე

გაზაფხულის დილა

★

ვხედავ ხეზე გადაფრინდა ფრთხილად ჩიტი,
ვაზი წელზე მოეხვია ბებერ თელას.
სადღაც მწვანე მოსასხამში სუნთქავს ჩირგვი
და მიწიდან ზე ამოდის ჭიანჭველა.

მთებზე მუქად ასვეტილა ღრუბლის ჩრდილი
ნისლის ფთილა ხევში ისე დაფარფატებს,
თითქოს ტბაზე დაცვარულა სისხამ დილით
თეთრი ფრთები გაუშლიათ ცაზე ბატებს.

ციმციმებენ გაზაფხულის ყვავილები,
და ურიცხვი კვირტებია გასაშლელი!
ირგვლივ უკვე გაფეთქილან ალუბლები,
და მეც თმებში ჩამფრენია ცის ნათელი...

ხარის ქედზე მზე რომ ცხრება სხივთა ჩქერით,
ეს არტელი გამოსულა დილით ველად;
გუთნის კვალში ბელტი წვება კუპრისფერი
და ნახნავში დაფუსფუსებს ჭიანჭველაც.

უხვნელ მიწას ან ერთ მტკაველს რად დავტოვებთ?
(ჩემო ყანავ, ო, რა ტკბილად მაგონდები),
მეზობლები ბრგე ხარკამეჩს რომ ნატრობდნენ,
განუწყვეტლივ გუგუნებენ ტრაქტორები.

და დუდუნებს ფშანებს შორის ნაკადულიც,
ნისლის ფრთილა ხევში ისევ დაფარფატებს.
და ლურჯ ტბაზე სისხამ დილით დაცვარული
თეთრი ფრთები გაუშლიათ გუნდად ბატებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ თავაძე

მაისის განთიადი

რომანი

★

I

ლაშქრობაში

თოვდა, მშრალად თოვდა. ხოშკაკალივით წვრილი ფანტელებით აზვავებულ სივრცეს რიჟრაჟის მკრთალი ნათელი შემოჰფენოდა, მაგრამ ყუბანის ტრამალი რამდენიმე ნაბიჯს იქით მაინც არა სჩანდა.

ლანდებივით მიიმართებოდნენ რაზმეულები, ქარსაფარივით ჩამწკრივებულ ჭერამისა და ალუბლის ზოლებს მიჰყვებოდნენ; ხოლო სადაც შიშველი ველი იყო, იქ უკანდახეული მტრის მიერ წაქცეულ ტელეგრაფის ბოძების მიხედვით იკვლევდნენ გზას.

აღარ ახსოვდათ, მოზდოკიდან რომ დაიძრნენ, მას შემდეგ მერამდენე ღამე შემოათენდათ გზაში.

1943 წლის 12 იანვარს მიიღო ბრძანება ქართულმა დივიზიამ, — განეგრძო ლაშქრობა, მიჰყოლოდა მოქმედ ნაწილებს და დაეცვა მარჯვენა ფრთა. მას შემდეგ მიდიოდნენ თოვლიან ველებში, ყინვასა და ქარში. რამდენჯერმე მოუხდათ ბრძოლა უკუქცეულ მტრის არიერგარდთან, მაგრამ დიდხანს არ დაჰყოვნებიათ, სვლას შეუსვენებლად განაგრძობდნენ.

— არა, ძმავ, რაც გინდათ, ის მიყავით, მეტი აღარ შემიძლია. — ჩაილაპარაკა ვალიკო წულაძემ და ძილჩამდგარი თვალები აშოიჟღლიმა, წელში გაიმართა, — მაღალი ტანადი; ხალთის სამხრეები მისწი-მოსწია, რომ ტვირთი შეემსუბუქებინა.

— შენ რა გიშავს, წევარივით ხარ წელში გამოკვანწული, — გაეხმაურა კოლია ბარბაქაძე, — მე ვიკითხო აგერ, რამდენი ხანია პირში ზიარება არ ჩამისხამს.

სხვა დროს ვალიკო უთუოდ შეეცდებოდა, კოლიასათვის რაიმე გასაჯავრებელი ეთქვა, მაგრამ კვლავ ძილი მოერია, თვალები მოჭუტა და დავით ჯანაიას ნაკვალევს მიჰყვა.

ძალიან მძიმედ იყვნენ დატვირთულნი იარაღითა და საგზლით. ცხვრის ტყავის ქურქებზე ულტობი წამოსასხამი ჰქონდათ გადაცმული, დაბალყელიანი წაღები ეცვათ, წვივსახვევით თავმოკრული.

გამუდმებულ სიარულში მძიმე ტვირთს მათი სხეული თითქოს შეზრდოდა, დაღლილობასაც ვეღარა გრძნობდნენ, მხოლოდ ბურანი, უცნაურად შედედებული ბურანი ეხვევოდათ გარს; ხანდახან ეჩვენებოდათ, თითქოს ქვეყნიერება იმდენად პატარავდებოდა, რომ საკმაო იყო გადაედგათ კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და რაღაც რბილსა და მიმზიდველ სიღრმეში გადაეშვებოდნენ.

გზისპირად, ახალ თოვლში ოდნავ მჩინარე ბოძთან შეჩერდა დავითი, სამ-

ხრეში მკლავი გამოაძრო და ხალთა ძირს დადო. მერე მახლობლად მიმავალ სამსონს მიმართა:

— უნდა დავისვენოთ.

სამსონი შესდგა, ოდნავ უკან გადაიხარა, თითქოს ტვირთმა დასძლიაო, წამსვე გასწორდა, დავითს გაოგნებულივით მიაშტერდა. ხმა არ დაუძრავს, ისე მოიხსნა ხალთა და ბოძთან ჩაჯდა. მიიხედმოიხედა. ფერფლმოდებულ ნაცარში თითქოს ნაპერწკალმა გაიელვაო, ასე გაიფიქრა: აქ არავითარი საფრთხე არ მოგველისო; თავი ხალთას მიადო, სახეზე წამოსასხამი ჩამოიფარა, ავტომატი ჩაიხუტა და...

რამდენჯერ უბორგნია ძილის წინ: ნეტავი ეთერმა თუ ჩააღწიაო შინ; უკვე სამი თვე სრულდება და ერთი წერილი რატომ ვერ მომაწვდინა. მართალია, სულ მოძრაობაში ვარ, ადგილიდან ადგილზე გადავდივარ, მაგრამ დავითმა და კოლიამ ხომ მიიღეს შინიდან წერილი... დამ და დედამ მაინც რატომ დამივიწყეს... ასე გადაებმებოდა ფიქრი ფიქრს და დიდხანს არ ეძინებოდა დაღლილს.

ახლა კი, დახუჭა თუ არა თვალი, უცნაური შვება იგრძნო და უმალვე ჩაეძინა.

არავინ მოჰგონებია, არც რაიმე სადარდელი ჩაჰყოლია გულში, მხოლოდ ერთი გრძნობის ნამცეცი ღა უღვივოდა გონების რომელიღაც კუნჭულში, რომ მეტად ფაფუკი, მეტად ნაზი რამ ეფინებოდა გარს, კი არ ათბობდა, ნელგრილად ეფერებოდა...

თოვდა.

მოლივლივე ფენებივით ცვივოდნენ ფანტელები, ცვივოდნენ და ისეთი სიწყნარე იყო ირგვლივ, თითქოს უშფოთველად სძინავსო ყოველ სულდგმულს დედამიწისას. თოვლით ტოტებდატვირთული ხეებიც კი გარინდულიყვნენ

გზას თითქმის აღარ ემჩნეოდა მხედრების ნაკვალევი.

დავითი შეიშმუშნა. კარგა ხანია არ ენახა ასეთი სიზმარი: თავის ოჯახშია, სამზარეულოში ზის ცეცხლის პირას. დედა ღადრიდან გამოღებულ კვერს რეცხავს, დიდხანს რეცხავს, დავითს კი შიმშილით გული უწუხს. რატომ აგვიანებს? მერე კიდევ, ამ ცეცხლსაც რომ არავითარი სითბო არა აქვს?! უნდა ხმა ამოიღოს, მაგრამ ახლა სული ეხუთება...

თავი ასწია. სახეზე თოვლი დაეყარა. წამოიმართა.

ვალიკო წულაძეც წამოხტა, თოვლი გაიბერტყა, სახეზე ხელი მოისვა.

— თქვენი ოჯახი ააშენა ღმერთმა, ქი არ მოვრჩი კაცი! — ჩაილაპარაკა და რამდენჯერმე შეხტა ფეხების გასათბობად. შემდეგ კოლია ბარბაქაძესთან მიიჭრა, ხელი ისე ჩაავლო, თითქოს საჭიდაოდ იწვევსო.

— რაცხა ისე გატყობ, რომ ბერდები მგონია, შენ, ჩემო კოლია! გაშალე შუბლი, რა მოგივიდა? არ შემარცხვინო.

კოლიამ მეგობარს თვალი არ გაუსწორა, თავი გაითავისუფლა, ხალთას დაწვდა. უგუნებოდ იყო, შემხმარი ბალახისფერი წვერი წამოზრდოდა და სახე დამრგვალებოდა. დიდად ნატანჯი კაცის გამომეტყველებას დაეჩრდილა მისი ეშხიანი იერი. მხოლოდ ლაჟვარდისფერ თვალებში გამოსჭვივოდა კვლავ შინაგანი ძალის მიმზიდველობა.

— შენხელა რომ ვიყავი, მეც მოზვერივით ვკუნტრუშობდი.—გადაულაპარაკა ბარბაქაძემ ვალიკოს.

— ვითომ რაო? ბავშვი ხომ არ გგონივარ? კაი ოცდაშვიდიწლის კაცი ვარ. მართალია, ცოლის შერთვა ვერ მოვასწარი, მარა ცოტა მაცალე და ნახავ აგერ, რავა პეპლებივით შემომაფართქალდებიან გასათხოვარი ქალიშვილები. შეხედულება არ მიწყობს ხელს, თუ რაი?.. კაი ახლა, მიაფურთხე ეშმაკს და შენებურად გაშალე შუბლი...

მკვირცხლად მოემზადა ვალიკო; ავტომატს ახედ-დახედა, გაასუფთავა.

წვივსახვევი გაისწორა, ხალთა მოიკიდა. ბოლოს, კოლია რომ ვერ აიყოლია, დავითს ამოუდგა გვერდით, დაიხარა, სახეზე შეაშტერდა და სერიოზული გამომეტყველებით ჰკითხა:

— თუ ხათრი გაქვს, დავით, ნაკითხი კაცი ხარ და სიმართლე მითხარი: მღვიძავს ახლა მე თუ ისევ თოვლში მძინავს და სიზმარში ვხედავ კოლია ბარბაქაძეს?

დავითმა მხოლოდ გაუღიმა. თანაც გუნებაში გაიფიქრა: „სხვაზე ნაკლებ არც ამას უჭირს, მაგრამ ამხანაგების გართობა სურს... კაი ბიჭია... ცოტა თავის გამოჩენა კი უყვარს, მაგრამ...“

ვალიკო ამ უსიტყვო პასუხით არ დაკმაყოფილდა, ბარბაქაძის გასაგონად შეეკითხა კვლავ დავითს:

— მე რაი, მე აგერ ახლა გაგიცანით, თქვენ კი ძველი მეგობრები ხართ და თუ გინახავს ოდესმე, კოლია რომ ასეთ დამქავებულ გუნებაზე ყოფილიყოს?

— რას გადაეკიდე ამ კაცს? ოცი დღეა, გზაში ვართ, ერთი ხეირიანად ვერ შევისვენეთ.

ვალიკომ ხელი ჩაიქნია.

— დღეს თქვენგან არაფერი არ გამოვა, — ნაწყენივით სთქვა, ჯიბიდან გამხმარი პურის ნატეხი ამოიღო და მოხრა.

სამსონმა თავისი მცირერიცხოვანი რაზმი შეათვალიერა, სალაშქრო ბრძანების ნაცვლად უბრალოდ ჩაილაპარაკა:

— აბა, ვიაროთ...

საღამო ახლოვდებოდა. აღარ თოვდა. მეტად ვრცელი, გადაფიფქული ველი, ოდნავ დარხეული ტალღებივით მოკამკამე, თვალსა სჭრიდა.

მდუმარედ მიდიოდნენ. ურთიერთისათვის სათქმელი თითქმის აღარაფერი არ დარჩენოდათ. ხოლო გზადაგზა ნაწყვეტ-ნაწყვეტად აღძრული ფიქრი იმდენად ვიწრო პიროვნული იყო, რომ სხვას არ გაეზიარებოდა. თანაც კიდევ უკიდურესად დაღლილსა და მრავალ ტანჯვაში გამოვლილ კაცს, ვინ მელმაც იცის, რომ წინ უფრო მეტი გაჭირვებისა და სიძნელის გადალახვა მოუხდება, გაბმული ასოციაციებისათვის დრო არა რჩება, — მიდის, მიარღვევს სივრცეს, მიიჩქარის შესასვენებლად და ძალ-ღონის მოსაკრებად.

სამსონი ზედმეტად რომ დაიტვირთებოდა, ან დიდ საფრთხეში იმყოფებოდა, თავს თითქოს უკეთ გრძნობდა, რაკი შავნაღვლიანი ფიქრისათვის ვეღარ იცლიდა. ყველას ანცვიფრებდა თავზე ხელაღებული სიმამაცით. სამი თვე გავიდა, დაჭრილ ეთერს რომ განშორდა, და მას შემდეგ გულიანად ერთხელაც არ გაუცინია. რამდენჯერ გამოსულა გამარჯვებული საბედისწერო ბრძოლიდან, რამდენჯერ უჯერებია გული, მაგრამ როგორც კი გამოიძინებდა და თავისუფალი დრო დარჩებოდა, საშინლად მოიწყენდა.

ერთხელ დავითმა დრო შეურჩია და უსაყვედურა:

— არც ასე ვარგა, სამსონ, მეტისმეტი მოგდის... უსინდისო ვიყო, თუ ჩვენც, მე და კოლია, არ ვწუხდეთ, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. განა ჩვენ არა ვართ შემორებული ჩვენს საყვარელ ადამიანებს?

სამსონს მწარედ გაეღიმა, პირდაპირ მიანათა დავითს სახეზე თავისი სხივოსანი თვალები და ზედმეტი მღელვარებისაგან ტუჩები შეუთრთოლდა.

— მაკვირვებ, დავით! თქვენ შინ მშვიდობით დასტოვეთ ყველანი, მე კი...

ადგა. გაიარ-გამოიარა. მერე კუთხეში დაჯდა და შეათასეჯერ წარმოიდგინა: თოვლიან მთებში მიჰყავთ საკაცით ეთერი. ჭრილობა მძიმე იყო, უთუოდ გართულდებოდა. ზავიან ქედებს კი დასასრული არა აქვთ... ვინ იცის, სად შეუწუხდა გული, სად დაასვენეს...

წამოხტა გაშმაგებული სამსონი, გარეთ გაიჭრა.

კარგა ხნის შემდეგ მივიდა დავითი, მკლავში ხელი გამოსდო...

ახლაც სამსონის გვერდით მიაბიჯებს მუხლებამდის თოვლში დავითი, არც მას რჩება დრო ფიქრისა და მოგონებისათვის; მხოლოდ ერთხელ მიაცქერდა ხანგრძლივად სამსონს და თანაგრძნობით გაივლო გუნებაში: „ძალზე გახდა ამ ბოლოს ეს კაცი...“

სამსონს ზედმეტი ქონი არასოდეს არა ჰქონია, მტკიცე ნაჭედობა შვენოდა მის ჩასკვნილ აღნაგობას. მაგრამ იმდენჯერ ეწრთო თავგანწირულ ბრძოლაში, იმდენი მღელვარება განიცადა, რომ ტყავსა და ძვალს შუა თუ ხორცი ჰქონდა, ველარ შეამჩნევდით. კეხიანი ცხვირი უფრო აუმაღლდა, ქარდაკრული სახე თითქო დაუგრძელდა, წარბსა და წარბს შუა ნაოჭი ჩაულრმავდა; გამომეტყველება რაღაც მეტად კუშტი იერით გაუმახვილდა, თვალებშიაც კი, მის ანთებულ თვალებშიაც მკაცრად ელვარე სხივი გამოკრთოდა.

შუაღამისას მიადგნენ სოფელს. მოწინავე ნაწილები აქ დაბანაკებულიყვნენ. ერთ უპატრონოდ დარჩენილ სახლში მოთავსდნენ.

II

სევდა

მეორე დღეს შესვენება გამოცხადდა. უნდა მოწესრიგებულიყვნენ. სწრაფმა და შორმა ლაშქრობამ ამ შუა ზამთარში, წარმოუდგენლად ძნელად სავლელმა გზებმა ჩამოარჩინა ტრანსპორტი და სასურსათო საწყობები. არტლეგიონიც შორს დარჩა.

საკმაოდ გამოიძინეს. კოლია ბარბაქაძე წვერის პარსვას მორჩა და სამართებელი ვალიკო წულაძეს გადასცა.

— დავითი დგას რიგში, მარა ისევ შენ გაიპარსე, პატარა სახე გაქვს, მალე მორჩები.

— რას ჩააცივდა ეს კაცი ჩემ სახეს, რომ არ ვიცი? — ვითომ წყენით სთქვა ვალიკომ, რომელსაც თავის ალვისებურ ტანადობასთან ერთად სახე მართლაც პატარა ჰქონდა, — მრგვალი, ეშხიანი; მის მოკლე წარბებს ქვეშ მუქი თაფლისფერი თვალები ელვარებდნენ, ხოლო ზომიერი ცხვირი და პაწია ულვაშებით დამშვენებული კოხტა ტუჩები მეტად მიმზიდველ იერს ანიჭებდნენ ამ სიცოცხლით სავსე ჭაბუკს.

კოლიამ პირი დაიბანა, სარკის ნატეხში ჩაიხედა. ოდნავ გამხდარიყო, ქერა სახეზე ჟანგისფერი გადაჰფენოდა.

უცებ რაღაც მოაგონდა. ამხანაგებს თვალი მოავლო. სარკე ვალიკოს დაუდო ტახტზე და გარეთ გავიდა. წელან მოჰკრა თვალი, სოფელში რომ მედიკურ-სანიტარული ბატალიონი შევიდა. მართალია, მათ შორის ნაცნობი არავინ ჰყავს, მაგრამ ვინ იცის, ბედს მაინც ცდის, იქნება ცოტაოდენი სპირტი იშოვნოს.

რამდენიმე სახლში შეიხედა, საიმედო ვერავინ ნახა. ბოლოს ერთი დაბალი ბინის კარი შეაღო. ღუმელთან ოთხი ქალი იჯდა, მეტი არავინ. ამათგან რა ხეირი გამოვაო, გაიფიქრა კოლიამ და უმალვე თვალები გაუფართოვდა.

— ქეთო!.. გენაცვალე სულში, შენ საიდან გაჩნდი აქ! — წამოიძახა ბავშვივით გახარებულმა ბარბაქაძემ და ბინაში შეიჭრა.

მისთვის ჩვეული სიმარდით წამოხტა ქეთო, კოლიას ხელი გაუწოდა.

— რამდენი ხანია მოგდევთ და ვერ დაგეწიეთ. ეს იყო, ახლა უნდა წამოვსულიყავი საძებრად. როგორა ხართ? სამსონი ხომ კარგადაა?

— ჩვენ რა გვიშავს, მხოლოდ...

შეყოყმანდა კოლია, ქეთო შეათვალიერა. დიდად არ შეცვლილა. მხოლოდ უფრო დაქალებულა. ელფერი დაწმენდია.

— მხოლოდ რა? — შეეკითხა ქეთო.

— მართალი სთქვი, ქეთო, ნუ დამალავ: ეთერი ცოცხალია?

— ცოცხალია, ძმაო, ცოცხალი, თუმცა... არა, ჯერ შენ მითხარი, სამსონი როგორაა? ძალიან დარდობს?

— ნუღარ მკითხავ! დაილია კაცი, ეწამა. ახლა უნდა გავიქცე და ვახარო. შენ მაინც არ დაამთავრე, როგორ დასტოვე, ჭრილობა ხომ არ გაურთულდა?

— არც იმდენად, მაგრამ ჩვენ რომ გზაში გადაგვხდა, ასე ადვილად ითქმება? მერე მოგიყვები... შენ ეს მითხარი, შალვა ხომ არ გინახავს ამ ცოტა ხანში?

— შალვა ახლა კაპიტანია, ბატალიონის მეთაური. ქე იქნება აგერ ორი დღე, არ მინახავს... ჰო-და, როგორ ვუთხრა სამსონს, ეთერი სანუგეშო მდგომარეობაშია?

— სანუგეშოა-თქვა, უთხარი, სანუგეშო... მხოლოდ ჩვენს შორის დარჩეს, სამსონს არ აგრძნობინო და ინვალიდობას თავს ვერ დააღწევს საცოდავი.

— რას ამბობ? ასეა საქმე? ვაი საწყალო სამსონ! რაღა უნდა ვუთხრა ახლა?

— შენ კარგადაა-თქვა, უთხარი. მე ვნახავ აგერ და დაწვრილებით მოვუყვები.

კოლია გარეთ რომ გამოვიდა, შესდგა, ჩაფიქრდა. რანაირად უთხრას? ვაი თუ სახეზე შეატყოს სამსონმა. თვალთმაქცობა კი გულითად მეგობართან ძალიან უჭირს... ჰმ, ვინ იცის, კოლია რომ შინიდან წერილს იღებს, იქნება მართალს არა სწერენ. იქნება ცოლს, ან ბაღნებს, ან დედას რაიმე უჭირს...

გაიფიქრა თუ არა ეს, წამსვე იმერეთში გაჩნდა კოლია, ზვგინს გაჰყვა. აქაც თოვლია. ვენახი [illegible]. ფართო აივნიანი ოდა გადასათოვლავია... ცეცხლის პირას სხედან. დედა რაღაცას ქსოვს თავისი გამხმარი თითებით. ხომ არ შეიძლება, მან რომ ხელი გააჩეროს. ცოლიც შინაა, ასეთ ამინდში კოლექტივში სამუშაოდ ხომ ვერ გავიდოდა... პატარა ვარდო კი...

ისე ცხადად წარმოუდგა კოლიას ვარდო, მისი ღია წაბლისფერი კულულები, მისი ფართო, ცისფერი თვალები და ნაზი სახე, რომ ლამის ხელები გაშალოს და გულში ჩაიხუტოს... ბიჭს კი... აბა, წიგნს თუ მიხედოს... სარეგველა გაუმართავს მაგ მოუსვენარს... დამაცადე, მოვიდე .შინ! — ალერსით ემუქრება კოლია და გრძნობს, რომ სხვანაირად არ შეუძლია მათი წარმოსახვა...

„კი, მარა, — უთხრა ერთმა გულმა, — ხომ შეიძლება რაიმე მარცხი მოსვლოდეთ, ან რაიმე ავადმყოფობა... აჰ, ღმერთმა ნუ ქნას!“ — შესძახა გულს და ბინისაკენ გასწია.

წვერგაპარსული სამსონი პატარა ფანჯარასთან იჯდა. ისეთ გუნებაზე იყო, როცა მეტად მძიმე ჯაფის შემდეგ სხეულიცა და გონებაც ისვენებს ხოლმე: არაფერზე არ ფიქრობდა, ისე გაჰყურებდა თოვლიან სივრცეს. სწრაფად მომავალი კოლია რომ დაინახა, თავში გაუელვა: თავისას არ იშლის, აქაც უშოვნიაო...

კოლია სამსონთან მიიჯრა, მხარზე ხელი დაადო, მღელვარე ხმით უთხრა:

— სამსონ, ქეთო ვნახე... ეთერი მშვიდობით ჩაუყვანიათ...

სამსონს აქამდე თუ სახეზე რაღაც მოლურჯო ფერი გადაჰკრავდა, ახლა უცებ ღაწვები შეეფაკლა; უმალვე მეკრთა, გაფითრდა, უცნაურად ანთებული თვალები მიაპყრო კოლიას. მერე სწრაფად წამოდგა.

— სად არის?

— წამო, აქვეა, ახლოს.

დავითს უნდოდა ეთქვა რაიმე, მაგრამ სიხარულისაგან ენა დაება. მეგობრებს უკან გაჰყვა.

ქეთო არ მოელოდა, სამსონი თუ ასე სწრაფად მიაკითხავდა, ამიტომ პირველად ცოტათი დაიბნა. სათქმელი რომ ვერ ააწყო, სამსონს მეორეჯერ მოეხვია, თან რამდენჯერმე გაიმეორა:

— ნუ გეშინია, კარგადაა...

სამსონს, მეტად ცხოველი, მაგრამ ჯერ მაინც ბუნდოვანი სიხარულით აღტაცებულს, ქეთოს სიტყვებში მრავალი გამოუცნობი გამოცანა ელანდებოდა. უნდოდა დაწვრილებით გაეგო ყველაფერი, თვალი ედევნებინა განშორების შემდეგ გადადგმულ ყოველი ნაბიჯისათვის. მაგრამ ჯერ უმთავრესის გასაგებად შეეკითხა:

— როდის წამოდი?

— თვეზე მეტია.

— აჰ, თვეზე მეტია?.. მერე, როგორ დატოვე?

— კარგად, ძალიან კარგად, სამსონ.

ამ დროს სამსონს იქ მყოფმა ტანმორჩილმა ქალმა მიაშურა, მოეხვია.

— სამსონ, ძამია, ვერ მიცანი ხომ?

სამსონმა შუბლი შეიკრა, გაოგნებულად შეავლო თვალი.

— ბოდიში, სამსონ, ხელი შეგიშალე, მარა ვერ მოვითმინე... ხომ მიცანი, მე მარიკა ვარ, ნაკაიძე...

თითქმის ასეთი იყო ამ ორი წლის წინათ მარიკა. ისეთივე მხნეობის იერი დაჰკრავს მის ოდნავ მკრთალ სახეს, დიდრონ თვალებს, ფართო შუბლსა და ვიწრო ნიკაპს. თმაში კი ჭაღარა გარევია, ნაოჭები გამრავლებია...

— ნამეტანი მესიამოვნა შენი ნახვა, ჩემო მარიკა... კიდევ შევხვდით ერთმანეთს. — უთხრა სამსონმა და ქეთოს მიუბრუნდა.

— სად დატოვე, შინ, თუ?..

— ჯერ ჰოსპიტალში იყო, მერე... ჰო, ექიმებმა ზღვის ჰაერი მოუხდებაო. ციხისძირში ჩვენი ქართული დივიზიის მედსანბატი დგას, და იქ მოეწყო.

— ზღვის ჰაერი?.. წევს?

— ჰო... არა, სამსონ, ჭრილობისაგან ფილტვების კიდურები აქვსო დაზიანებული და იმიტომ ურჩიეს.

სამსონმა იგრძნო, რომ ქეთო რაღაცას უმალავდა; განშორების შემდეგ დაგროვილმა ნაღველმა ერთად იფეთქა და გული გაუბზარა; მაინც თავისი მტკიცე ნებისყოფა მოიშველია და ქეთოს მცდელი თვალები მიანათა.

— კარგი... თავიდან მომიყევი, როგორ იმგზავრეთ, კავკასიონის ქედი როგორ გადაიარეთ?

— აჰ, სამსონ, ნუღარ მკითხავ... რა არ შესძლებია ადამიანს... ისეთ დროს, ზამთრის პირში, ბაქსანის ხეობიდან სვანეთში გადასვლა თავზეხელაღებულ მთასვლელსაც გაუჭირდება. ჩვენ კი დაჭრილები მიგვყავდა...

— უკაცრავად, ქეთო, შეგაწყვეტინებ, — ვერ მოითმინა დავითმა: — ირაკლიმ თუ ჩააღწია?

— რას გაუძლო, რას, რომ იცოდეთ! რკინის ნატეხი ყოფილა. ზუგდიდში გაუკეთეს ოპერაცია. გადარჩა. იქნება ახლა ჰოსპიტლიდან გაწერილიც იყოს.

— გენაცვალე სულში! ქე არ გვასახელა ამ ჩვენმა შავტუხა ირაკლიმ! — წამოიძახა კოლიამ; უნდოდა კიდევ ეთქვა რაღაცა, მაგრამ მომლოდინე სამსონს მიჰხედა და დადუმდა.

— ჰო, იმას ვამბობდი. — განაგრძო ქეთომ. — იალბუზის მახლობლად ზარბაზნების გრიალში გავიარეთ. ავყევით აღმართს... შევედით თოვლში... წინ მხედრები ცხვრის ფარას მირეკავდნენ. გზა გაკვალული იყო, მაგრამ გული მაინც ამოვარდნას ლამობდა... ერთ დღეს ქარბუქი ამოიჭრა. დაატრიალა ნამქერი. წინამძღვრებმა გადაგვარჩინეს, უზარმაზარი ლოდის ძირში მოგვათავსეს. დაჭრილებს ცივს შე-

მოუსხედით. ქარბუქი კი ანგრევს ქვეყანას. ყველაფერი ანამქერებულია... ვცდილობ ხმა არ ამოვიღო, ცრემლები კი ჩემდა უნებლიედ მომცვივა, რადგან დარწმუნებული ვარ — საშველი აღარაა. რა გადაგვარჩენს? უთუოდ ზვავის მსხვერპლი გავხდებით. ვხედავ, მაროც ტირის.... ეთერი კი სდუმს, თითქოს სძინავსო. ვიცი: ჭრილობა ცეცხლს უკიდებს, იტანჯება. რამდენჯერმე სისხლი ამოაფურთხა. ხანდახან ისე მძიმედ სუნთქავს, გეგონება... მაინც უძლებს, მაინც მხნედ არის... არ ვიცი, რაღაცა არის მასში ისეთი, რაც ყოველგვარ წამებას იმორჩილებს... ლაპარაკი უჭირდა, არც იყო საჭირო, რომ სისხლის დენა არ დაწყებოდა. მაგრამ ხანდახან რომ შემომხედავდა, რას არ მეუბნებოდნენ მისი თვალები... ჩვენ, მე და ეთერი, ერთად გაზრდილები ვართ, სკოლაში ერთად ვსწავლობდით, მაინც საოცრება იყო ჩემთვის, — ისე შეიცვალა ეს ადამიანი... ერთხელ, ქარბუქმა რომ გადაიარა, მწვერვალს მივუახლოვდით და შევისვენეთ, მაშინ მითხრა ჩუმი ხმით: უნდა გავძლო, სამსონი ცოდვაა, უნდა ვაცნობო, რომ ცოცხალი ვარო...

ქეთომ ეს რომ სთქვა, უნებლიედ სამსონის თვალებს თვალი გაუსწორა, ისეთი შუქი შემოეფეთა, რომ წამსვე თვალი დაეხარა, თითქოს პირველად იგრძნო მთელი სისავსით, თუ რა არის ნამდვილი სიყვარული... ტუჩები შეუთრთოლდა, ენა დაება...

— ჰო... არ მითქვამს, — ძლივს განაგრძო ქეთომ:—იმ ქარბუქში ლოდის ძირში რომ ვართ და ვტირი, უცებ ღიღინი მომესმა. შევხედე, ირაკლი მღერის, სწორედ ისე, ფანდურზე რომ იცოდა დამღერება. გავშეშდი. ყველაფერი, ქარბუქი, ზვავი, გაუალი გზა, ყველაფერი გადამავიწყდა, მომეჩვენა, ვითომ მთის გადაღმიდან, საქართველოდან მოგვწვდა ძლიერი ხელი და სამშვიდობოში ავყავდით... გონს რომ მოვედი, ირაკლის შევეხვეწე: „ეარგი, იყუჩე, გაწყენს-მეთქი. იცით, რა მკითხრა: „ნეტავი თქვენი ცრემლი არ დამანახა და მე რაც მომივა, მომივიდესო. სანამ შემეძლო, თავი არ დამიზოგავს, ძმის სისხლი ერთიორად ავიღეო.“ მას შემდეგ კიდევ უარეს განსაცდელში ჩავარდით, მაგრამ არც მე და არც მაროს წვეთი ცრემლი არ დაგვიღვრია. ჩვენც გავკაჟდით... როგორც იყო, მწვერვალზე ავაღწიეთ. ჯერ ისეთ ნისლში ვიყავით ჩაძირული, რომ სრულიად არაფერი არა სჩანდა; ნისლი ჩანჩქერივით გარს გვეხვევოდა, გვიტაცებდა. მოდი და ნუ შეგიქანდება გული: ათასი ნაპრალია, ვინ იცის, სად გადაგჩეხავს... ჩვენდა იღბლად უცებ გადაიწმინდა, მზემ თვალი მოგვჭრა, მთებსა და მთებს შუა ჩაფენილ ღრუბლებს დავჰყურებთ. მყინვარები, ღრუბლები და ყველაფერი ირგვლივ თეთრად ბრწყინავს. იფიქრებ: ფრთები მესხმება, საცაა გავფრინდებიო, მაგრამ მეორე გრძნობა გეუბნება: როგორ გინდა ამ ჯურღმულებში ჩახვიდე, გზა გაიკვლიო? მართლაც, დაღმართს რომ ჩავყევით, მაშინ გამოირკვა: ჯერ სადა ხარ, მთავარი გასაჭირი აწი იწყება... ისეთი დაქანებაა, ორივე თავიდან საკაცეს ვერც მხრებით, ვერც ხელით ვერ ატარებ. საკმაოა, ფეხი ოდნავ დაგიცურდეს და მორჩა... მერე რანაირი უფსკრულებია, რა შემზარავი შხუილი ამოდის თვალუწვდენელი სიღრმეებიდან... ეთერს სახეზე დავხედე, ზარი დამეცა, სავსებით გალურჯებულიყო... ისეთი სიმაღლე, სისხლის წნევა... ქაფური შევუშხაპუნე... მერე ნუღარ მკითხავ. განა შეიძლება იმის მოყოლა, რაც ჩვენ თავს გადაგვხდა?.. ბოლოს, როგორც იქნა, ჩავაღწიეთ სვანების სოფელში, სული მოვითქვით...

— წამოსვლის დროს თუ ნახე ეთერი? — შეაწყვეტინა თხრობა სამსონმა.

— არა, მე ხომ თბილისიდან წამოვედი. მხოლოდ ეთერის მაძა ვნახე, ეგნატე. მითხრა, ერთი კვირის წინათ ვიყავიო ციხისძირში. უკეთ არისო.

— როგორც სჩანს, შენ მწოლიარე დაგიტოვებია.

— მწოლიარე?.. არა, ფილტვები ისე კი არა აქვს დაზიანებული, რომ სიარული არ შეეძლოს, მხოლოდ...

— სთქვი, ქეთო, ნუ მიმალავ!

— რა ვქნა, დასამალავი რა მაქვს, სიკვდილის პირს იყო, გადარჩა. ვინ იცის, იქნება სადმე ჩვენც კი დაგვეწიოს. ჯერ ხომ დიდი გზა გვაქვს გასავლელი, სანამ ეს ომი დამთავრდება... ჰო, მართლა... — მოაგონდა ქეთოს, თავის ჩანთას მიწვდა, წერილი ამოიღო.

— ეს ეთერის მამამ გამომატანა.

სამსონმა წერილი ჩაათვალიერა.

ყველანი მას მისჩერებოდნენ, სდუმდნენ.

რამდენჯერმე ეცვალა ფერი სამსონს. ბოლოს ქეთოს მიაცქერდა ხანგრძლივად.

— აი, ხომ ხედავ: ეგნატე მწერს — იმედს არ ვკარგავ, იქნება ეთერი სამუდამოდ არ დასნეულდესო... რაშია საქმე?

ქეთო მოელოდა ამ შეკითხვას, ამიტომ სწრაფად, დამაჯერებლად უპასუხა:

— ეგ რატომ გიკვირს, სამსონ! განა არ იცი, ეგნატე რა სათნო ადამიანია? მის ქალიშვილს ოდნავ ფერი რომ ეცვალოს, დიდ რამედ ეჩვენება. შენ ნუ გეშინია, მე დამიჯერე...

— გმადლობ, დაო! — სთქვა სამსონმა და წამოდგა. გულმა განმარტოება მოსთხოვა. უნდა გარკვეულიყო მოზღვავებულ გრძნობაში, რომელშიაც სიხარულზე უფრო მეტად მძაფრი და თანაც უტყვი სევდა ენთო.

III

ნუგეში

შალვა ყიფშიძე კოხტად ჩაცმასთან ერთად ბინის სისუფთავესაც დიდ ყურადღებას აქცევდა. დღესაც მებრძოლი დაიხმარია და დაბალჭერიანი სადგომი გაასუფთავა, მაგიდაზე ძველი გაზეთი გადააფინა, თავისი განუყრელი წიგნები ამოალაგა. მერე წვერი გაიპარსა, დიასახლისს სამოსი გააუთოვებინა, საყელო გამოიცვალა და ჩვეულებისამებრ გამოეწყო. ნაშუადღევს ბინაში დაბრუნდა და გაზეთების კითხვას შეუდგა.

კავკასიისათვის ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა. გენერალ ლესელიძის არმიამ ყინვასა, ქარბუქსა და თოვლში დაამარცხა გერმანელების ჯარები, რომლებიც სოლივით იყვნენ შეჭრილი ჰელენჯიკისაკენ. კრასნოდარის დაკარგვის შემდეგ მოწინააღმდეგემ თავისი შეფერთხილი ნაწილებით კრიმსკაიასკენ დაიხია და ეგრეთწოდებული „ცისფერი ხაზის“ გამაგრებას შეუდგა. ქართული დივიზია ორმოცდამეთვრამეტე არმიასთან ერთად ამ ხაზის გასარღვევად მიიმართებოდა.

შალვას გათვალისწინებული ჰქონდა, რომ კვლავ მეტად მწვავე ბრძოლებში მოუხდებოდათ მონაწილეობის მიღება. ხოლო ხანგრძლივმა და შეუსვენებელმა ლაშქრობამ, საარტილერიო პოლკისა და სასურსათო საწყობების ჩამორჩენამ დივიზია მეტად მძიმე პირობებში ჩააყენა. მდგომარეობა კი კვლავ სწრაფ წინსვლას მოითხოვდა.

კითხულობდა გაზეთს შალვა და თან ხვალინდელ დღეზე ფიქრობდა; ხანდახან თვალი გაუშტერდებოდა, უცნაურად დახლართული კვანძის გახსნას ლამობდა.

უცებ კარგი გაიღო და მხედრულად გამოწყობილმა ტანმორჩილმა ქალმა ზღურბლზე ფეხი გადმოდგა, მა-

ღალქუსლიანი ჩექმა ჩექმას მიადგა, წელში გასწორდა, უფროსს სალამი მისცა და შეეკითხა:

— შეიძლება?

ფიქრში გართული შალვა ქალს ბარბშერჭმით შეაცქერდა, მაგრამ როგორც კი იცნო, შუბლი გაშალა, ღიმილი მოერია, წამოიმართა.

— აჰ, ქეთო! მოხველი! ვაშა, ქალო, ვაშა!

ქეთოს ღაწვები შეეფაკლა, თვალები გაუბრწყინდა; არ შერხეულა, ქანდაკებასავით იდგა და მისკენ მიმავალ შალვას ისე უმზერდა, თითქოს იგი ხორცშესხმული ოცნება ყოფილიყოს, სინამდვილეზე უფრო დიდი სინამდვილე. სწორედ ასე ჰყავდა ქეთოს იგი წარმოდგენილი, ასეთი ტანადი, მხრებგაშლილი, ყელმაღალი; შინაგანი ცეცხლით ნაწრთობი მოგრძო სახე და ბასრი თვალები. თანაც კიდევ რაღაც ახალი იერი გამოსჭვივის მის გამომეტყველებაში. წინათაც იგულისხმებოდა ეს იერი, მხოლოდ ასე არა სჩანდა. ახლა... ჰო, ახლა უფრო მაღლა დგას თითქო შალვა, მაგრამ იმდენად მიუწვდომელი აღარაა.

შალვა ქეთოს მიეახლა, ჩვეულებისამებრ მხარზე ხელი შეახო, ალერსით ახედ-დახედა.

— მაშ, არ დაგვივიწყე, ა? აი ეს მომწონს. ნამდვილი მებრძოლი ქალი ხარ... აბა, მოიწი აქეთ, ჩამოჯექი, აი აქ... საქართველოდან რა ამბები მოგაქვს? როგორ იმგზავრეთ?.. ჰო, მართლა! ეთერი როგორაა?

ქეთომ მაგიდას იდაყვი დააყრდნო და შალვას აჰხედა. სათქმელი ბევრი ჰქონდა, საიდან დაეწყო, არ იცოდა. მაგრამ შალვამ რომ ეთერი იკითხა, სულის სიღრმეში მტკივნეული სიმი შეერხა. საკვირველია, რა მღელვარე დრო გავიდა მას შემდეგ, რამდენი რამ შეიცვალა, ქეთოს კი ამ წამს მაინც მოეჩვენა, თითქოს შალვა ეთერის მშვენებით იყოს მოჯადოებული. განა არ იცის, რომ ეთერის გული სამსონს ეკუთვნის, რომ... მაგრამ ახლა მაინც ეჭვმა გაჰკრა თავისი შხამიანი ბრჭყალი და შალვას ორაზროვნად უპასუხა:

— როგორ იქნება, თუ სწრაფმდინარმა ჭლექმა არ იმსხვერპლა, ეგება ერთხანს გასძლოს...

— რას ამბობ? ეთერი და ჭლექი?.. დაწვრილებით მომიყევი, როგორ იმგზავრეთ, ქედი როგორ გადალახეთ? ეთერს ოპერაცია სად გაუკეთეს?

— ოპერაცია ძალიან რთული გამოდგა. ფილტვები აღმოაჩნდა დაზიანებული...

— საწყალი ეთერი! ცოდვა არ არის, ასეთი მშვენიერი ადამიანი ასე უდროოდ დაიფერფლოს! — მწუხარედ ჩაილაპარაკა შალვამ და ფანჯრისაკენ მიიწია, თვალები სივრცეს მიაპყრო.

ქეთოს მოეჩვენა, თითქოს იმ თვალებში ცრემლი აციმციმდა. ეს ვერ აიტანა, შეეცოდა, სანუგეშებლად უთხრა:

— არც ასე უიმედოა, ახლა ციხისძირშია, ზღვისპირად, უთუოდ მომჯობინდება.

— მართლა? ეგ კარგი მითხარი... სამსონი ნახე?

— აგერ ახლა იყო ჩემთან.

— მერე? რა უთხარი?

— ნუ გეშინია, კარგად არის-მეთქი.

— ძალიან კარგად მოქცეულხარ. რაიმე ცუდი არ აგრძნობინო, ხომ გესმის? ეყოფა, რაც ეწამა... აბა, ახლა მიამბე, როგორ იარეთ, როდის ჩახვედით, ჩვენში რა ამბავია?

„არა, ეს ვერასოდეს ვერ მიხვდება, რა ცეცხლი ანთია ჩემს გულში, — გაიფიქრა ქეთომ და თვალები დაჰხარა.— სულელი ვარ, საიდან წარმოვიდგინე, რომ ნახვისთანავე ყველაფერს ვეტყოდი და გული გულს იცნობდა... სად ეს და სად...“

— რამ ჩაგაფიქრა? — შეეკითხა შალვა და ნიკაპზე თითი შეახო, თავი აუწია, თვალებში ჩაჰხედა.

ქეთო აეხთო. მისდა უნებლიედ მოხდა ეს, თითქოს მის არსებაში უამრავი საწვავი ნივთიერება იყო დაგროვილი და ახლა უცებ გაჰკრეს ასანთს და ალმა საშიხელი სისწრაფით იფეთქა. ლოყები იმ ელვარებით დაუმშვენდა, ოთელიც მარტოოდენ სიყვარულს სჩვევია; ასე გაბრწყინდება ხოლმე ბუნებაც, როცა გაზაფხულის დილით ახლად გაფურჩქვნილ მიდამოს მზის პირველი შუქი ეფინება.

იმავე წამს რაღაც იდუმალმა ძალამ გამოაფხიზლა ქეთო, მოწყურებული თვალები მოსწყვიტა შალვას და განზე მიიხედა.

ვაჟკაცმა უთუოდ იგრძნო ყოველივე, მაგრამ არ შეიფერა, მშვიდად შებრუნდა და სკამზე დაჯდა.

„დავიღუპე, სამუდამოდ მომეჭრა თავი“, — გადასწყვიტა ქეთომ (და მკვდრის ფერი დაედო.

— ჰო, მართლა! — დაარღვია დუმილი შალვამ. — შენ არაფერი გითქვამს: ირაკლი როგორ ჩაიყვანეთ?

— კარგად. — დახშული ხმით უპასუხა ქეთომ, ტუჩები და ნიკაპი აუთრთოლდა, ცრემლები გადმოცვივდა.

— სჩანს დიდი გაჭირვება გამოგივლიათ — მიეშველა შალვა. — საოცარია, ანკი როგორ შესძელით ნოემბრის მიწურულში კავკასიონის ქედზე დაჭრილების გადაყვანა!

მოწყალებასავით მიიღო ქეთომ ეს თანაგრძნობა, გუნებაში დაუმადლა და რამდენადაც შეეძლო, მოუყვა მგზავრობის ამბავი.

*
* *

სამსონი ბინიდან რომ გავიდა, განმარტოებულად გაჰყვა თოვლში გაკვალულ გზას.

ჰყინავდა, ცივი ნიავი ჰქროდა. ბეიმრები ჩქარი ნაბიჯით მიმოდიოდნენ სახლიდან სახლამდის. აქა-იქ ადამიანი ამოდიოდა და მოლურჯო ლივლივით ინთქებოდა პირქუში ცის სიღრმეში.

ერთ მებრძოლს სადღაც გოგრა ეშოვნა და გაბარებული მიისწრაფოდა. სოფელი გერმანელების მიერ სავსებით გაძარცვული იყო. მოსახლეობა თითქმის სულ გაერეკათ, მხოლოდ აქა-იქ დარჩენილიყვნენ.

„არა, ჩემი საშველი არაა, — ფიქრობდა მარტოდმიმავალი სამსონი. — როგორ უნდა დავმშვიდდე?.. ქეთომ ვერ მოახერხა დაემალა ეთერის უნუგეშო მდგომარეობა. ეგნატე? „იქნება სამუდამოდ არ დასნეულდესო“... ეჰ, დედიკო, რა დღეში ვარ, რომ იცოდე!.. ერთი იმას მოვსწრებოდი, რომ ეთერი სადარდოდ არა მყოლოდა... ფილტვები აქვსო დაზიანებული. იქნება უკანასკნელ დღეშია...“

— სამსონს გაუმარჯოს!

სამსონმა მხოლოდ ახლა შეამჩნია მახლობლად მიმავალი ჭაბუკი, ლეიტენანტი აკაკი კაჭარავა, მესანგრეთა ბატალიონის უფროსის მოადგილე.

გაგიმარჯოსო, უპასუხა აკაკის და შურით თვალი გაყოლა: „ბედნიერი კაცია... ყველა ბედნიერია, ვინც ჩემს მდგომარეობაში არაა... კი, მაგრამ მეტის-მეტი მოგდის, ბიჭო, შენ!.. განა სხვას კი არა ჰყავს შორს დატოვებული საყვარელი ადამიანი, ცოლი, შვილი?.. აგერ ჩვენი კოლია და დავითი... განა ისინი არ სწუხან?.. აჰ, არა, ეს სულ სხვაა. ჩემს სევდას ძირი არა აქვს, უნაპიროა, ვერც მიწვდები, ვერც გაექცევი... ათასწილად სჯობდა, არაფერი არ გამეგო, ვყოფილიყავი ბურანში...

ამ დროს ვალიკო წულაძე შემოეგება.

— ამხანაგო სამსონ, პოდპოლკოვნიკი გხმობილობს.

დივიზიის მეთაურის მოადგილე, პოდპოლკოვნიკი შიო ბეროშვილი, სამსონმა ორიოდე კვირის წინათ გაიცნო და ძალიან კარგი შთაბეჭდილება გამოჰყვა. მაგრამ ახლა, კარი რომ შეაღო, სახტად დარჩა. გააფთრებული ბეროშვილი ფეხზე იდგა. ტანმორჩილი იყო და მაგიდა თითქმის წელამდე სწვდებოდა. ფერმკრთალი, მაგრამ საოცრად ენერგიული სახე წამოგზნებოდა, ალმასივით მახვილი თვალებიდან ნაპერწკლები სცვივოდა; მის წინ გაჭიმულად მდგარ ახალგაზრდა ლეიტენანტს სტუქსავდა.

სამსონი რომ შევიდა, ირიბად შეხედა, მკაცრად, სალამზე პასუხი არ მისცა, კვლავ ლეიტენანტს მიუბრუნდა. ერთხანს კიდევ ტუქსავდა. ბოლოს კილო ოდნავ შეიცვალა და ლეიტენანტს უბრძანა:

— წადი ახლა და როგორც გითხარი, ისე მოიქეცი. თუ მებრძოლი ერთხელ კიდევ ისეთ მდგომარეობაში ვნახე, ვაი შენს დღეს, ცოცხალი ვერ გადამირჩები!

ლეიტენანტი რომ გავიდა, ბეროშვილმა სამსონს არ შეხედა, მაგიდაზე გაშლილი ქაღალდები მისწი-მოსწია, შემდეგ ფანჯრიდან სივრცეს მიაცქერდა. ეტყობოდა მეტად მღელვარე ფიქრით იყო შეპყრობილი.

„არაფერი დამიშავებია, მაგრამ მგონი მეც შემომიკურთხებს!“ — გაიფიქრა სამსონმა, ამასთანავე პოდპოლკოვნიკის მრისხანების მოლოდინში გულზე მოეშვა, პირადი ნაღველი გაუქარწყლდა.

შიო უცებ შებრუნდა, სამსონს ახედ-დახედა.

— მოიწი, შე კაცო, აქით, დაჯექი, კართან რას გაჩერებულხარ!

პოდპოლკოვნიკის ხმაში ახლა რაღაც შინაური, ოჯახური კილო ჟღერდა. მშვიდ სახეში მისთვის ჩვეული სიმტკიცე გამოსჭვივოდა.

— გამოხვალ მოთმინებიდან,

სონს მიაშურა, ხელი გაუწოდა. — მომილოცავს, ძმაო, ეთერის კარგად ყოფნა! ამ ჩვენმა ქეთომ ძალიან გამახარა დღეს.

სამსონმა ქეთოს დაჰხედა, მერე შალვას თვალი გაუსწორა; ახლა უცებ იწამა ეთერის კარგად ყოფნა, ნუგეშმა სახე გაუნათა, მეგობარს ისე მოეხვია, თითქო მათ შორის არასოდეს არავითარი გაუგებრობა არ მომხდარიყოს.

IV

წინა ღამე

მიდიოდნენ, შეუსვენებლად მიიწევდნენ წინ.

თებერვლის შუა რიცხვები იყო. ამინდი გაუმჯობესდა. დათბა. თოვლმა აქა-იქ დნობა დაიწყო. გზებზე ლეღმა დადგა, შვავი, ტალახი.

იმ დღეს მტრის თვითმფრინავებმა რამდენჯერმე გადაუფრინეს თავზე დივიზიის ნაწილებს. ყველაფერით იგრძნობოდა ფრონტის ხაზის მოახლოება.

თვალუწვდენელ ლელიანს მიადგნენ. ყინულის ქვეშ მდორედ მდინარებდა ყუბანის წყალი.

მიდიოდნენ ლაქაშებში. აქა-იქ ყინული ვერ უძლებდა დატვირთული ადამიანის სიმძიმეს, იბზარებოდა, ტყდებოდა. შემზარავი ჭრიალი მიმოირხეოდა ლელიანში და წელამდი ცივ წყალში ჩავარდნილ მებრძოლს სიმწრისაგან სახე ოფლით ჰქონდა შეეფონილი.

საღამოს სოფლიდან მოშორებით, ბორცვებიან ადგილებში გამოცხადდა შესვენება.

მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავები აენთნენ, შორი, ოდნავ მოციმციმე ვარსკვლავები. ცივი ნიავი უბერავდა, ჰყინავდა.

დაქანცული, სველი მეომრები ღიაცის ქვეშ ლაგდებოდნენ, დაფარულ ადგილებში ცეცხლს ანთებდნენ.

ვალიკო წულაძე იმ დროს ლეღმა წყალში ჩავარდა და სავსებით სველი იყო.

კოლია ბარბაქაძემ ერთი ბებერი ვერხვის ძირში ვალიკოს ნიჩაბი მისცა და უთხრა:

— აბა, ვალიკო, დატრიალდი ახლა შენ, ამ ახლომახლოდან თოვლი სულ გადახვეტე. არ გაჩერდე, თვარა გაიყინები, აგერ ეს ბიჭებიც მოიხმარიე. ჩვენ შეშას ვიშოვნით.

ვალიკო სხვა მეომრებთან ერთად თოვლის გადახვეტას და ირგვლივ შეზვინვას შეუდგა. მოძრაობაში სიცივეს არა გრძნობდა. მხოლოდ გული მაინც თანდათან უღონდებოდა, მუხლები ეკეცებოდა, ენა უშრებოდა. ხანდახან პირში თოვლს იდებდა. ბოლოს ღონე აღარ ეყო და ჩაჯდა, ზურგით ხეს მიეყრდნო. პირველად შეკრთა, სველი სამოსი რომ ტანზე შემოეგარსა, მერე თვალი მოჭუტა და რაღაც ბუნდოვან ზმანებებს გაჰყვა.

შეშისათვის წასული კოლია სხვებზე ადრე მობრუნდა, ტვირთი დაჰყარა, ვალიკოს ახედ-დახედა.

— ერთი ამას უყურეთ! ეს არის — არ გაჩერდე, იმოძრავე-მეთქი! თქვენ რას უყურებდით? — მიუბრუნდა სხვებს. — ხომ გაიყინა კაცი! აბა, ადი, მალე! ცეცხლი უნდა დავანთოთ.

ბურანში წასულმა ვალიკომ თვალი ძლივს გაახილა, გააჟრჟოლა.

— თუ ძმა ხარ, მაცალე, მომასვენე! — უთხრა კოლიას და თვალები კვლავ დახუჭა.

— აბა, აბა, ეგენი არ იყოს, ზემდეგი ვარ აქ მე, გიბრძანებ და მორჩა!

ხელი ჩაავლო, ააყენა. ვალიკო დაბარბაცდა. კოლიას ხელი მოხვია, დაბალი ხმით უთხრა:

— გულზე მომიცრიალა...

— ვიცი, ვიცი... ახლავე, ოტა მო-

ითმინე. ახლა უნდა სიმაგრე, თვარა გაშლილ სუფრაზე ყველა კაი ბიჭია...

ამასობაში შეშა სხვებმაც მოიტანეს. დავით ჯანაიამ კოცონს ქვეშ შეფენილ ხმელ ლელს ცეცხლი შეუნთო.

— დავით, მე აგერ ბიჭებს გავიყოლიებ, რამეს მოვიტან. შენ ვალიკოს მიხედე, რაღაი ცეცხლი დაინთო, აწი მალე გაშრება.

დავითმა ვალიკოს წყალჩამდგარი წვივსახვევი შეახსნევინა, მერე ტანთ გაახდევინა, მშრალი საცვლები მისცა, ქურქი მოახურა.

ცეცხლი მალე გაძლიერდა.

ვალიკო ყველაზე უფრო მოხერხებულ ადგილას იჯდა, მის სამოსს ამხანაგები აშრობდნენ. ფეხები აღმოსავლურად ჰქონდა მორთხმული და თავს ისე გრძნობდა, თითქოს წელისმომწყვეტი ტვირთისაგან განთავისუფლებულიყოს. შიმშილი ახლა რაღაც უცნაურ ნატვრად და ზმანებად ექცა. მარტოოდენ ცეცხლს ხედავს, ხოლო ცეცხლს მიღმა: გურიის ლამაზი სოფელი, ფერდობზე გაშენებულ ბაღში მაღალზე წამოდგმული ოდა, გვერდით სამზარეულო. დედას კეცზე ჭადი დაუკრავს; რძლები და ძმისშვილებიც იქვე არიან. გრძელ შამფურზე შაშხი შიშხინებს.

ორი ძმა ჰყავს ვალიკოს, ორივე ომშია, შინ ქალები და ბავშვები არიან. დედა არ შეცვლილა, არ მოტეხილა, ისეა, როგორც დატოვა. მხოლოდ მის მოსიყვარულე თვალებში რაღაც უსიტყვო ნაღველი გამოსჭვივის და ვალიკოსაკენ ისე იცქირება, თითქოს ვერ ხედავსო.

საოცარია: ვალიკოს ჰგონია, რომ შეუძლია დედას ხმა გააგონოს, მაგრამ რაღაც არ აძლევს ხმის ამოღების საშუალებას, აფრთხილებს—ჩუმად იყავი, თავი არ შეირცხვინოო. რატომ? კაცს გული მისდიოდეს და ასე ახლო მყოფ შინაურებს ხმა ვერ მიაწვდინოს?

ნერწყვი გადაყლაპა, მიმოიხედა. წამსვე მიხვდა, რომ ირგვლივ მყოფი ამხანაგების წინაშე სისუსტე არ უნდა გამოემჟღავნებინა. განა ამათაც იგივე გზა არ გამოიარეს? მართალია, მასავით წყალში არ ჩავარდნილან, მაგრამ სრული ულუფა ხომ რამდენიმე დღეა არ მიუღიათ.

კოცონის ირგვლივ ოცამდე მებრძოლი იჯდა. შრეებოდნენ, ურთიერთს ეხუტებოდნენ, ხმას კი იშვიათად იღებდნენ, ლაპარაკი ეზარებოდათ.

ბორცვების იქით-აქეთ, მოფარებულ ადგილებსა და ხის ძირებში ასეთი კოცონები მრავლად ენთო. მეომრები მხნედ ებრძოდნენ დაღლილობას, შიმშილს, ყინვას, ებრძოდნენ და გამოვლილ გაჭირვებაზე როდი ფიქრობდნენ, ხვალინდელი დღე ედგათ თვალწინ, ახალი განსაცდელი სულიერ ძალთა გაორკეცებას მოითხოვდა.

კოლიას არ დაგვიანებია; კოცონს რომ მიუახლოვდა, ყველამ თვალი იმედით მიაპყრო: იცოდნენ, რომ იგი რაიმეს უთუოდ გააჩენდა.

— რას მომაჩერდით? — მამა რომ შვილს დატუქსავს, ისეთი ხმით ჩაილაპარაკა კოლიამ და მებრძოლს სავსე ტომარი ჩამოაღებინა. — ეს არის და ეს, ამაღამ ამაზე გადავიდეთ და მერე ჩემზე იყოს, ისეთ სუფრას გაგიშლით, მგონია ეფისკოპოზსაც კი შეეხარბოს... აბა, კარდლები მოამზადეთ. ნედლი თევზია, მარა როგორი, იცით? ერთი ახლა გახურებული კეცები მოგვცა და ცეცხლზე მიგვაფიცხებია...

ყველას თანასწორად გაუნაწილა. ხარშვის დროს თავის ხალთას თავი მოხსნა, ცოტაოდენი მარილი დარჩენოდა, ამოიღო და დავითს მიაწოდა:

— ყველას შეაწვედრე, თუ კაცი ხარ... რას იზამ, ასე მიდის ჩვენი საქმე, ჩვენო ფილოსოფოსო. ნეტავი ერთი ამ მარილსავით შეიძლებოდეს დააყოლოს კაცმა ჩვენს მცირე ულუფას შენი კაი შეხედულებები!.. გენაცვალე

სულში, გვეშველება და ისაა, მგონია სამ დღეს აღარ მოგვშივდეს.

— უსინდისო ვიყო, შენთან თუ რაიმე სერიოზული აზრის გამოთქმა ღირდეს. — გაჯავრდა ვითომ დავითი. — რას ჩააცივდი, კაცო, ამ ჩემს ფილოსოფიას? ათასი კილომეტრი ისე გამოვიარეთ ამ საშინელ ზამთარში, რომ ერთი გულიანად ჩაფიქრებას დროც კი არა გვქონია.

— ვიცი, ვიცი, რა შვილიც ბრძანდები, — ამხანაგების შესაქცევად შეესიტყვა კოლია. — ახლა რომ აგყვეთ აგერ და ყური დაგიგდოთ, მგონია ეს ჩვენი დიდებული ვახშამი სულ დაგვავიწყდეს...

იგი ამ დროს ხალთას თავს უკრავდა. ხელში თითბერის პატარა მათარა მოხვდა. ჩაფიქრდა. რამდენი ხანია ატარებს ამ არაყს უკიდურესი გაჭირვებისათვის. ახლა ხომ არ ამოიღოს? არა, თითო კოვზიც არ შეხვდებათ. იყოს.

იცოდა, მაგრამ ხელით მაინც მოსინჯა: თავი ხომ კარგად აქვსო დაცული.

თევზს რომ მორჩნენ, რაკი მეტი არა გააჩნდათ რა, ისე წარმოიდგინეს, თითქოს კარგად ევახშმოთ. ზოგიერთს მალე ჩაეძინა.

დავით ჯანაიას გვერდით ერთი შუა ხნის მებრძოლი იჯდა, ნესტორ ირემაძე, შავგვრემანი, ჭაღარაშერეული კოლმეურნე. ლელიანში სველ ყინულზე დაეცა და შარვალი ჯერ კიდევ მშრალი არა ჰქონდა. ადგა, ცეცხლს ზურგი მიაფიცხა. მიმოიხედა. დუმილი არ ესიამოვნა, დავითს გაესაუბრა:

— დღევანდელმა ჩვენმა გაჭირვებამ მომაგონა... აგერ პარმენს და ისიდორეს ქე ახსოვთ, ესენიც იქ იყვნენ. შენ და კოლია აგერ ახლა მოდით ჩვენთან, ჩემო დავით, ჩვენ კი 1942 წლის აგვისტოდან ვართ ამ ჩვენს ქართულ დივიზიაში. ის იყო, მაშინ ყალიბდებოდა. ჰო-და, პირველად რომ გავეცით ბრძოლაში, მაშინ შეგვხვდა დიდი გასაჭირი...

— ჰო, ჰო, თერგში რომ ჩაყურყუმალდი! — ჩაურთო ისიდორემ და გაიცინა.

— მაცალე, კაცო. კარგად მახსოვს, 19 ოქტომბერი იყო. ჩვენს ბატალიონს დაევალა — გასცურეთ თერგი, გადადით მარცხენა ნაპირზე და შეუტიეთ მტერსო. ესო ბრძოლით დაზვერვა არისო. ადვილი სათქმელია, შენ ნუ მომიკვდე, გადადი თერგზეო, მარა მტერს ისე ჰქონდა ის ნაპირი გამაგრებული, რომ შიგ ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა... რას იზამ, ვთქვი გუნებაში, რაღაცაა ეს ოხერი სიკვდილი, ახლა ვნახავ-მეთქი... მივუახლოვდით თუ არა თერგს, იმ წამშივე შეგვამჩნიეს. დაგვიშინეს, მარა რაფერ დაგვიშინეს ნაღმები! ჩავწექით. გვესვრიან, ჩვენ ხმას არ ვიღებთ. ამას გაძლება არ უნდა?... დაღამდა. სროლა არ წყდება. მივხოხდით მდინარესთან. ვჯდებით ნავებში. იმ წყეულებმა სწორედ ახლა გააძლიერეს ცეცხლი. სად მიხვალ, ქვეშ ვეშაპივით პირდაღებული თერგია, ზევით მოდის და მოდის ტყვია სეტყვასავით. ცურვა. მაინც ვიცოდე... ნაპირთან დამიცდა ფეხი და მომიტაცა მდინარემ. ისიდორემ ამომათრია. არ ვიცი, რანაირად გადავრჩით მაშინ იმ საშინელ ცეცხლში. შევაღწიეთ ტყეში. ღამეა. აქ ხეს მაინც მოეფარები. ამ დროს გავიხედე და განათდა ირგვლივ ყველაფერი, გეგონებოდა, მზე ამოვიდაო. ეს გერმანელების მაშხალები იყო. ჩვენი მეთაურები — დარჩია, სამთელაძე და მამალაძე წინ მიგვიძღოდნენ. ნაკაფში მოვხვდით. სასტიკმა ცეცხლმა გვაიძულა და ჩავწექით. თორმეტი კაცი გამოგვაკლდა... რა არის ადამიანი! აგერ, სულ ახლოს ამხანაგი სულს ლევს, შენ კი გაშეშებული ხარ, თუ თავი ასწიე, იგივე მოგელის...

— მაგისთანა ფიქრს თუ აყევი, შორს ვერ წახვალ! — თავისთვის ჩაილაპარაკა პარმენმა. — ქვათ უნდა იქცე, ბიძია, ქვათ...

— ჰოდა, — განაგრძო ნესტორმა. — ამ დროს ადგა ჩვენი ბატალიონის მეთაური რუხაძე, ადგა და საოცარი ხმით დასძახა: წინ!.. წინ!... მარა აღარ დასცალდა, დატორტმანდა, დაეცა... მერე წინამძღოლობა კაპიტანმა გრეულმა იკისრა. კიდევ წავიწიეთ წინ. გამოვამ-ეღვნეთ გერმანელების ძელმიწურები და საცეცხლე წერტები... ჯერ კიდევ ბნელოდა. გამოღმა რომ გამოვედით, სული მევითქვი, მეგონა — ხელახლა დავიბადე.

— ასეა, ასე, ჩემო ნესტორ! — დაუდასტურა დავით ჯანაიამ: — გამოვლილი ტანჯვის სიმძიმიდან თუ არ განთავისუფლდი, კაცად არ გამოდგები... ერთს გეტყვი კიდევ... ბევრი წიგნი წამიკითხავს. ზოგი ძალიან ნაკითხი ადამიანიც შემხვედრია ისეთი, რომ თავისი ცოდნით ამაყობდა. ახლა რომ ვუკვირდები, უსინდისო ვიყო, ზოგიერთ მოწუწუნეზე საცოდავი თუ რამე იყოს ქვეყანაზე. აქაო და — ყველაფერი წარმავალიაო, ყველაფერი ამაოებააო. ავადმყოფობა, სიბერე, სიკვდილი, ტანჯვა და წამება — ესაა სინამდვილე, დანარჩენი ყველაფერი ნისლივით ჰქრებაო... რა კარგი იქნება ახლა, ამისთანა მოაზროვნე ერთი ჩვენს გვერდით დასვა! მაშინ მიხვდება, რა ფასი აქვს სიცოცხლეს, გამარჯვებას. იმაზე ადვილი რაა — განსაცდელში მყოფმა რომ ფარხმალი დაჰყარო და სთქვა — ყველაფერი ამაოაო. საქმე ისაა, კაცს ცეცხლი გენთებოდეს, უფსკრულის პირად იდგე და მაინც სიცოცხლეს ხედავდე! აი ესაა ვაჟკაცობა. ხომ ხედავ, აგერ რა დღეში ვართ. გული მეუბნება — ხვალ თუ ზეგ ისეთ ბრძოლაში მოვხვდებით, რომ ბევრი ჩვენგანი სადმე ამ ჭაობებში ჩარჩება. ჩვენ კი, — ბევრჯერ მითქვამს და გავიმეორებ, — სიკვდილშიაც სიცოცხლეს ვხედავთ. იცი, ვის? — სიცოცხლეს? აი, შენ ხომ შვილები გყავს, მეც მყავს, კოლიასაც. ჩვენ თუ აქ დავეცემით...

— კაი ერთი, თუ კაცი ხარ, — შეაწყვეტინა კოლიამ. — ნუ დაგიჩემებია ეს ოხერი სიკვდილი! კოლიე ბარბაქაძე ისე რავა მოკვდება, რომ ერთი თქვენი თავი ჩემს ოჯახში არ ვნახო! მერე კი, მერე, მართალი ხარ, ჩემო დავით: ეს ქვეყანა იმითაა კარგი, რომ ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება...

— ძაან დააგვიანდა სამსონს. — ჩაილაპარაკა ერთმა.

— ჰო, მართლა, — შესცვალა საუბრის თემა კოლიამ: — ისე გაუგრძელდათ თათბირი, რომ ხვალე აუცილებლად დიდ ცეცხლში მოვხვდებით. არაფერი არ მინდა, ერთი მშრალ ადგილზე გაგვიყვანა! აქ კი, ამ დასაქცევში, საითაც გეიხედავ, ყველგან ჭაობია.

სიჩუმე ჩამოვარდა.

კოლიამ ქურქი შემოიხვია და ამხანაგს თავი მიაყრდნო. მალე ჩაიძინა.

ფერფლმოდებულ კოცონების ირგვლივ მხოლოდ მძიმე სუნთქვა ისმოდა და გუშაგების ფეხის ხმა.

შუა ღამე მიიწურა. ყინვამ იმატა. მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავებიც შეცივებულებივით კრთოდნენ. გულჩათხრობილი არე-მარის დუმილიც ცივი იყო და სასტიკი.

*
* *

პოლკის სამეთაუროს საზენიტო ქვემეხის ვაზნისაგან გაკეთებული ჭრაქი აშუქებდა.

პოდპოლკოვნიკ შიო ბეროშვილს პოლკისა და ბატალიონების მეთაურები გარს შემოხვევოდნენ; ზოგი იჯდა, ზოგი ფეხზე იდგა.

შიოს მკრთალ სახეზე ნაოჭები ჩაღრმავებოდა, ხოლო მისი თვალების გა-

მომეტყველება და მშვიდი ხმა სულიერ სიმტკიცეს ამჟღავნებდნენ.

— აი, ხომ ხედავთ, — განაგრძობდა იგი და რუკას თითს აყოლებდა: — გერმანელების სტრატეგიული ხაზი ეს არის: ტემრიუკი — ვორონიკოვსკაია-კრიმსკაია-ნოვოროსიისკი... ამ ხაზის დასაცავად, დააკვირდით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კრასნოარმეისკაიას და ჭაობებთან მოსაზღვრე გრიგენსკაიას. პირველი იფარავს რკინიგზის საკვანძო სადგურ კრიმსკაიას, მეორე კი — ერთადერთი გასასვლელია გერმანელთა ძირითადი სტრატეგიული ხაზისაკენ. ეს ხაზი კი აი ეს არის: ტემრიუკი-ტამანი-სენნაია... გრიგენსკაია დასავლეთიდან და სამხრეთიდან მდინარე ყუბანს ესაზღვრება; აი აქ კი იწყება ჭაობები, ღრმა საფლობები, გაუვალი ლაქაშები. ეს ჭაობი ხუთმეტ კილომეტრზეა გაშლილი. გრიგენსკაიაში, როგორც ხედავთ, ერთადერთი გზა შედის... რაღა თქმა უნდა, ეს გზა და მთელი ეს მისადგომები გერმანელებს ძალიან გამაგრებული აქვთ... ჩვენ აქ ისეთი უბანი უნდა შევარჩიოთ, საიდანაც გერმანელები თავდასხმას არ მოელიან...

— თავისთავად ცხადია, — ჩაილაპარაკა პოლკის მეთაურმა, — ასეთი უბანი ეს ჭაობებია, მაგრამ...

— მაგრამ რა? შეუძლებელია ვითომ? — შეეკითხა შიო და სახეზე უსიამო ჩრდილმა გადაუქროლა. — ცხადია, ძნელია, მაგრამ სხვა გზა არაა. არტლეგიონი და ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონი რომ ჩვენთან იყოს, ამ სოფლის გზაზე რომ მათი გასვლა შეიძლებოდეს, მაშინ ჯიქურ მივიდოდით, ახლა კი ესაა...

რუკაზე, იმ ადგილს, სადაც ჭაობები იყო აღნიშნული, თითი დაადო და ირგვლივ შემოკრებილ ოფიცრებს სახეებზე თავისი ბასრი თვალები შეავლო.

ყველანი მიხვდნენ, რომ საომარიშო მიმართულება არჩეული იყო, მხოლოდ ერთმა მეთაურმა სთქვა ჭოჭმანით:

— მატერიალური ნაწილი უგზოობის გამო ჩამორჩენილია; ვაი თუ სურსათი დაგვაკლდეს და ძალა არ გვეყოს...

შიო ბეროშვილი წამოხტა, ოფიცერთა წრე გაარღვია და სადგომში გაიარ-გამოიარა. სქელი ქურქი ეცვა, მაგრამ მაინც ტანმორჩილი მოსჩანდა. ცოცხლად მოძრაობდა. ამით ამჟღავნებდა, რომ მის პატარა აღნაგობაში დიდი ცეცხლი ბობოქრობდა.

უცებ შეჩერდა, ისე წამოიწყო, თითქოს თავისთავს ელაპარაკებაო:

— ჩვენი დივიზიის მთავარი წრთობა ახლა იწყება. მართალია თერგის ნაპირებთან კარგად ვიბრძოლეთ, მოზდოკთან — კიდევ უკეთესად, ეს ათასი კილომეტრიც ვაჟკაცურად გამოვიარეთ, მაგრამ ახლა სულ სხვაა. შეუძლებელი უნდა შევძლოთ, მტერს იქიდან უნდა დავარტყათ, საიდანაც სრულებით არ მოელის. კომუნიკაციის მოჭრის რეალური საფრთხე უნდა შევუქმნათ. აბა, ახლა თქვენ იცით! გასწით თქვენს დანაყოფებში! მოემზადენით!

V

გაუტეხელი გული

მარიკა ნაკაიძეს უცებ გამოეღვიძა. ყუმბარისაგან გადარღვეულ სახურავიდან სადგომში მკრთალი სინათლე ჩადიოდა. გვერდით ქეთო ეწვა და ფრთხილად შეირხა — არ გავაღვიძოო. ეს ინსტინქტურად მოიმოქმედა, რადგან გონება რაღაც საშინელის მოლოდინით ჰქონდა შეპყრობილი.

მესამე წელიწადია ომშია, რამდენჯერ იდგა სიკვდილის წინაშე, ერთ-

ხელ დაიჭრა და ოთხი თვე ჰოსპიტალში იწვა, რა არ გამოსცადა, მაგრამ ახლა თითქოს ეს საზარი მოჩვენება ყველაფერს აღემატება. ვიღაცა თითქო იქვეა, ბნელ კუთხეში და მარიკას იდუმლად ეუბნება: მორჩა, შენს ქმარს — ილიკოს, ამიერიდან ვერასოდეს ვერ ნახავო. საოცარია, მარიკამ იცის, რომ ბნელ კუთხეში არავინ არაა, რომ ამ უცნაურ შიშს არ უნდა აჰყვეს, მაგრამ გულის სიღრმეში ულმობლად ეწვეთება რაღაცა ცივი და შემაძრწუნებელი.

— ვაი, ნენა! — აღმოხდა და იდაყვზე წამოიმართა.

— რა მოგივიდა, მარიკა?

მარიკამ სული მოითქვა, ქეთოს დაჰხედა.

— არ გძინავს?

— ცუდი ფიქრი ჩამყვა, კაი ხანია გამომაღვიძა.

— ჩემსავით ყოფილხარ... მარა, ცავ, ამისთანა საშინელი ჩემ დღეში არაფერი არ მინახავს...

ქეთო მარიკას მიეხუტა, ლოყა მხარზე მიაყრდნო.

— რა იყო ისეთი?

— რაი და... რა უბედური ქალი ვარ, ცავ, რომ იცოდე, რა უბედური!

— შენ ბედნიერება მითხარი, თორემ... არ გაგიგონია—კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდესო...

— არა, ცავ, მაი საერთოდაა ნათქვამი. ჩემი საქმე კი... გესმის?.. რანაირი გატაცებული ვიყავი! ეს ქვეყანა ყვავილებით სავსე ბაღი მეგონა. ოღონდ ივარგე, სხვას ნუ ჩამორჩები, ისწავლე და ცა და მიწა შენია-მეთქი... შეძლებული მშობლები მყავდა, მარა მე დამოუკიდებელი ცხოვრება მენატრებოდა. თბილისში უნივერსიტეტში რომ მოვეწყვე... არა, ცოტა ქალ-ბიჭა კი ვიყავი. მაშინ არ ვიცოდი, მერე მივხვდი: ქალს თურმე, გესმის, დიდი მოკრძალება სჭირია... ნამეტარი დავენდე თავის თავს და ისეთ კაცს გადავეყარე, რომ სიცოცხლე მომეწამლა... უნივერსიტეტი მაინც დავამთავრე, სამსახური დავიწყე. მარა მუდამ რაღაც მაკლდა. ასე მეგონა, ამ ქვეყანაზე ჩემთვის არავინ აღარ არსებობს-მეთქი. დედა ცოცხალი არ იყო, დები გათხოვდნენ, ძმამ ცოლი შეირთო; მეკი ხელში არაფერი აღარ დამრჩა... იცი, ცავ, ქალს თუ პატრონი არ ჰყავს, ან ქმარი, ან შვილი, თუ ვინმე არ უყვარს, ისე მისი ცხოვრება ჩალად არ ღირს...

— მოიცა, მარიკა, ერთი მინდა გკითხო: ვთქვათ შენ გიყვარს, თავდავიწყებით გიყვარს კაცი, მაგრამ მისთვის ვერ გაგიბედნია, იმედიც არ გაქვს, რომ იგი შენკენ მოიხედავს, — მაშინ?

— უცნაურს მელაპარაკები... თუმცა, გესმის, მე რომ ვყოფილიყავი, თუ კი ვინმე მეყვარებოდა, ვეტყოდი კი არა, თვალებში შევაფრინდებოდი.

— ყველა ხომ ერთნაირი არაა?

— მართალია. ამას გარდა, ადამიანის გულში რომ ჩაიხედო, გესმის, გულმა რომ გულთან გზა გაიხსნას, ამისათვის ბევრი რამ ყოფილა საჭირო. ჩვენ ხშირად ვცდებით. ეს მე გამოცდილებით ვიცი. ახლა ოცდათორმეტი წლის ქალი ვარ და იმდენი რამე ვისწავლე, ეს რომ უწინ მცოდნოდა, ბევრ ტანჯვას ავიცილებდი. აგერ გეტყვი... ობლად დავრჩი-მეთქი, რომ გითხარი, მაშინ გადავეყარე ილიკოს. ისეთი ტკბილი ლაპარაკი იცოდა, ისეთი კეთილი თვალები ჰქონდა... მარა რაი, მაინც ვერ შევთვისდით... ოჯახის შექმნა ვერ გაბედა... გავიდა მერე ხანი და ერთხელ ჩვენთან დაჭრილი მოიყვანეს. შევხედე, ჩემი ილიკო!.. თურმე, ცავ, ოქროს გული ჰქონია, გესმის? თურმე რაღაცა დიდი განსაცდელი იყო საჭირო, რომ ერთმანეთი გვეცნო.... ჰოდა, წახანაი გამკრა რაღაცამ გულში და გამომაღვიძა... იქნება შენც გამოგიცდია: იცი არავინ არაა,

მისი ხმა მაინც გეყურება. არ ვიცი, იქნება ამ გაუთავებელმა ომმა გამასათუთა ასე... სულში საყვარელი კაცის სახე ჩაგისახლდება და ძალიან რომ გაუჭირდება, გესმის, ძალიან, მაშინ შეირხევა, შეგაწრიალებს... რაა ეს? წინათგრძნობა? ჩვენს მდგომარეობაში რას არ იწამებ.... ჰო-და, ცავ, წახანაი გამკრა რაღაცამ გულში და ჩემი ილიკო.... არა, არა, კაი ამბავი არ მჭირს, იცოდე...

ქეთო უსიტყვოდ მიეხუტა ამხანაგს, მოეფერა. რა უნდა ეთქვა? ისეთ ადგილებში მოხვდნენ, რომ აქედან ბევრი ვერ გავა ცოცხალი. გუშინ შალვა ყიფშიძეს მოჰკრა თვალი. ღმერთო, რას ჰგავდა! მკვდრის ფერი ედო, წელამდი ტალახში იყო ამოთითხნილი...

— ავდგეთ ახლა, მოვემზადოთ! — სთქვა მარიკამ და წამოჯდა. სიცივე იგრძნო, შეათრთოლა.

— მოიცა, ჯერ ადრეა! — უთხრა ქეთომ და მიიზიდა, ქურქი მოახურა.

გაუხდელად იწვნენ იატაკზე, ქვეშ თივა ეგოთ.

— რანაირად გამიხარდა, ისევ ერთ ნაწილში რომ მოვხვდით, — ჩურჩულებდა მარიკა, — ნეტავი იქ ყოფილიყო. ახლა ის ნაწილი ზურგშია, ისვენებს... მერე, ცავ, არ იტყვი, რაფერ გამოიცვალა? წინათ სუსტი იყო. უბრალო სურდო ლოგინში ჩააწვენდა. ახლა კაჟივითაა, ერთი არ გაცივებულა... მეორედ დაიჭრა... რვა თვე ისე გავიდა, ერთმანეთი არ გვინახავს. ახლა ასე ახლოსაა, მარა ნეტაი ცხრა მთას იქით იყოს, იქნება ამ სამიწე გულს მოვესვენებიე...

*
* *

თენდებოდა, როცა მცირერიცხოვანი მედიკურ-სანიტარული რაზმი კვალდაკვალ მიჰყვა საიერიშოდ დაძრულ მეომრებს.

პოლკები სხვადასხვა მხრიდან მიიწევდნენ გერმანელებისაგან გამაგრებულ საკვანძო უბნისაკენ. — მათ უნდა ევლოთ ფარულად, მიპარულიყვნენ სოფელთან და მტრისათვის უკანდასახევი გზა მოეჭრათ.

წინსვლაში ყველაზე მძიმე დაბრკოლება იმ განაყოფებს შეექმნათ, რომლებმაც გაშლილი ადგილები შეხამებულად გაიარეს და ლელიანში შევიდნენ. აქ ბევრგან ყინული ადამიანს ვერ უძლებდა; ჭაობში ჩამპალ ტორფნარსა და ყინულის ნამსხვრევებს ძლივს მიარღვევდნენ.

კარგი ამინდი იყო, გზებზე საფლობი ტალახი დადგა.

მეომრები ისე იყვნენ შეხამებული, ისე იყენებდნენ ყოველ საფარს, რომ მთელი დღე გავიდა და მტერმა მათი მიახლოვება ვერ გაიგო.

დივიზიის სამეთაურო აგურის ქარხნის დანგრეულ შენობაში მოთავსდა.

მარიკა და ქეთო ამ დროს სამეთაუროსთან ახლოს, ერთ კარჩამტვრეულ ჭოხში იყვნენ.

უცებ აფეთქდა ნაღმი, ერთი, მეორე... მარიკა და ქეთო კუთხეში ჩაცუცქდნენ, ურთიერთს მიეყრდნენ. ახლა ამ მხრითაც შეირყა კედელი. შეშინდნენ და გარეთ გამოცვივდნენ.

საზარლად ღმუოდნენ ნაღმები და თვალისმომჭრელი ალით სერავდნენ ღამეს.

— წამო! — ჩაავლო ხელი ქეთომ მარიკას და სამეთაუროს მიაშურა.

იქ მათთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

დივიზიის მეთაურმა პოლკოვნიკმა სელიხოვმა ყურშილი შტაბის უფროსს გადასცა და წამოიმართა. ცეცხლს დაჰშტერდა.

ქეთომ ოფიცრებში შალვა ყიფშიძე რომ ვერ იპოვნა, შიშმორეულ გულში მეტად მწვავე ტკივილი იგრძნო, მაგრამ უმალვე ჩაფიქრებული პოლკოვნიკის სახე მოხვდა თვალში და...

არასოდეს არ დაავიწყდება ქეთოს ეს სახე, იმდენად ძრავალძეტყველი იყო იგი. ამ წამს თითქოს პოლკოვნიკ სელიხოვის გამომეტყველებაში მთელი მისი ცხოვრება გამოსჭვივოდა. ქეთო, არ იცნობდა სელიხოვს, არც მისი ბიოგრაფია იცოდა, მაგრამ ახლა თვალწინ ედგა მრავალ ბრძოლაში გამოვლილი მხედრის გზა, მეტად რთული და მძიმე. რამდენი დაბრკოლება გადაულახავს, რამდენჯერ დაუმარცხებია სიკვდილი... აი, უცებ შეირხა იგი, რაღაც გაიაზრა, არ მოეწონა, თავი გაიქნია, მერე ისევ აენთო მისი მკვეთრი თვალები და თანამებრძოლთ ანიშნა — მომყევითო.

ღამის საფარველს ნაღმები ფლეთდნენ. ტყვიამფრქვევთა ჭახჭახიც გაისმა... აჰა, ეს ჩვენი პოლკის არტილერია ამოქმედდა, ნაღმსატყორცნებიც. ბრძოლა გაჩაღდა.

პოლკოვნიკმა ნაბიჯს აუჩქარა. მახლობლად ზედიზედ აფეთქდნენ ნაღმები. ოფიცრები ჩაწვნენ. პოლკოვნიკიც დაიხარა, მაგრამ ველარ მოასწრო, მძლავრმა ტალღამ დააბარბაცა; ჩაიჩოქა, ამ დროს ნაღმის ნამსხვრევი მოხვდა თავში, ერთხანს არ შერხეულა, მერე უცებ მოეშვა და ჩაემხო...

ზარდაცემულმა ქეთომ მარიკას ჩაავლო ხელი, ხომ არ მეზშანებაო, იმდენად წარშოუდგენელი იყოს მისთვის ჭრაქის შუქით განათებულ სადგომში რომ პოლკოვნიკი შეიყვანეს.

— რას გაშეშებულხართ? მიხედეთ მალე! — შესძახა ვიღაცამ ქალებს.

ქეთო ძლივს გამოერკვა; მარიკამ მოასწრო, ჩანთიდან სახვევი ამოიღო.

ჩაჩოქებულ მარიკას ხელი გაუშეშდა, ხოლო თვალებგაფართოებულ ქეთოს მოეჩვენა, თითქო პოლკოვნიკის სახე, არა ფერმკრთალი, არამედ ოდნავ წამოღვივებული, რაღაც ისეთის გამხელას აპირებდა, რაც ენით არ გამოითქმის.

მარიკამ თავდახრილ ოფიცრებს აჰხედა, თითქოს მათ ეკითხებოდა — როგორ მოვიქცეო, რადგან ჭრილობის შეხვევა საჭირო აღარ იყო. პოლკოვნიკი აღარ სუნთქავდა. ბოლოს ის-ღა მოახერხა, რომ მიცვალებულს ლოყაზე და ყელზე სისხლი მოწმინდა. მაგრამ უმალვე თითქმის უჩინარი ჭრილობიდან ახალმა ნაკადმა დაიწყო დენა. ადამიანი არაფერს არა გრძნობდა, ხოლო გაუცივებელი გული თითქოს კვლავ განაგრძობდა სისხლის მიმოქცევას.

მარიკამ კიდევ მოწმინდა სისხლი, შემდეგ უცებ შემაძრწუნებელმა გრძნობამ შეიპყრო, წინაღამით აღძრული შიში განუახლდა; დივიზიის მეთაურის სიკვდილმა ყოველგვარი იმედი გაუქარწყლა.

„საშინელი ბრძოლა დაიწყო,—ფიქრობდა სასოწარკვეთილი მარიკა.— ჩვენები სადღაც ჭაობებში არიან ჩაყრილი. ვერავინ გადარჩება“...

ვიღაცამ პოლკოვნიკს წამოსასხამი გადაახურა.

მარიკა ადგა, ჩანთა გონებაგაფანტულად აიღო და გადაიკიდა. მერე ქეთოს მოხვია ხელი, კუთხეში მიიყვანა.

— ქეთო, გესმის... საშველი, არაა... აქ რაღას ვუყურებთ?.. წავიდეთ... შეხედე, მეთაურები მიდიან... აქ გაჩერება საშიშია. გესმის?.. რას გაჩუმებულხარ?

— ჰო, ჰო... წავიდეთ!.. — ჩავარდნილი ხმით სთქვა ქეთომ და ადგილიდან მოწყდა, მარიკა სირბილით გაიყოლია.

გარეთ კვლავ ჰქუხდა და ზრიალებდა ყველაფერი. გერმანელებს ეს არე მიზანში ჰქონდათ ამოღებული და ნაღმებს არ იშურებდნენ.

ქეთო და მარიკა რაღაც კედელს მიეყრდნენ, მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ იქ გაჩერება არ შეიძლებოდა, ხოლო ნანგრევში შებრუნება კიდევ უფრო საშიში იყო. ხან ფორთხვით, ხან სირბილით გაშორდნენ იქაურობას.

*
* *

შიო ბეროშვილმა პოლკოვნიკის სიკვდილის შემდეგ პოლკის სამეთაუროს მიაშურა. ეს ის დრო იყო, როცა დივიზიის ორი პოლკი სოფლის აღმოსავლეთ გარეუბანს უახლოვდებოდა, ხოლო მესამე შემოვლით მიიმართებოდა წინ, რათა მტრისათვის მდინარეზე გადასასვლელი გზა მოეჭრა.

შიო ჩაფიქრდა... ცხადია, დივიზიის მეთაურობა მან უნდა იკისროს. მერე რა დროს? რა საშუალებებით? არც არტლეგიონი, არც ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონი, სურსათიც აკლია...

ეს ფიქრი შიოს თითქოს იმდენად უსაზომო ტვირთად დააწვა, რომ კიდევ უფრო დაპატარავდა, შეიკუმშა, მოღრუბლული სახე ნაოჭებით დაეღარა.

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ბატალიონი მტრის ცეცხლის ქვეშ ჩაწვა...

შიომ თავი ასწია, მავგვრემან კაპიტანს კუშტად ახედ-დახედა ჭრაქის სინათლეში; მისი გამომეტყველება არ მოეწონა.

— მერე შენ რას უდგეხარ აქ?.. ჩაწვნენო! — აუმაღლა შიომ ხმას.

კაპიტანმა იცოდა შიოს ხასიათი, იცოდა, რომ ასეთ შემთხვევაში იგი ერთ ორჯერ უთუოდ მაგრად შეუკურთხებდა, ამიტომ გაჭიმულად იდგა და განკარგულებას მოელოდა.

— მეთაური იმიტომ ხარ, რომ მყისვე უნდა მოისაზრო. — უყვიროდა შიო კაპიტანს. — გასწი ახლავე, წინსვლა არ შეაფერხო!.. დაიცა! — შეაჩერა გასასვლელთან მისული კაპიტანი. — შეკაცო, — ახლა უკვე შერბილებული ხმით მიმართა: — ასეთ დროს უნდა ვივაჟკაცოთ...

ოციოდე წუთიც არ გასულა, რომ მტერმა თითქოს ალღოთი გაიგო, თუ სად იყო მის წინააღმდეგ დაძრულ ძალთა ხელმძღვანელი, და პოლკის სამეთაუროს ნაღმები დაეყარა. პატარა სახლის ნანგრევმა სარდაფში ჩასასვლელი დაჰფარა.

ამ დროს იქ მხოლოდ შიო ბეროშვილი და ერთი ხნიერი სერჟანტი იყო, სხვა მეთაურები ბატალიონებში იყვნენ და შეტევას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ.

სერჟანტმა შიოს მიაშურა, თითქოს მას თავისი ბრგე აღნაგობით უნდა გადაეფაროსო. შიომ ხელი ჩაავლო და გვერდით მოისვა.

— არაფერია, გადაივლის...

სერჟანტს განუწყვეტელ გრუხუნში ეს სიტყვები არ გაუგონია; ჩაჯდა და შიოს მხარი შიაყრდნო.

კარგა ხან ირყეოდა სადგომი. როგორც კი მიწყნარდა, სერჟანტმა ასასვლელი გაწმინდა და შიოს ზევით აუძღვა.

მოწმენდილ ცის ქვეშ ქვეყნიერებას თითქოს ფერი ეცვალა; მართალია, მახლობლად არ ეცემოდნენ ნაღმები, მაგრამ ცოტა მოშორებით ისეთი ორომტრიალი იყო, თითქოს ეს გარემო მოწმენდილი ცის ქვეშ როდი იმყოფებოდა, — ქაოსიდან დაძრული ურჩხულები იკლაკნებოდნენ და პირიდან ცეცხლს აფრქვევდნენ.

შიომ ხმაურს ყური მიაპყრო, მიმართულებებს დააკვირდა, ბოლოს სიხარულით წამოიძახა:

— ჩვენები გარეუბანში შედიან!

სერჟანტმა მეტად ამამაღლებელი სიამაყე იგრძნო: მიხვდა, რომ მის წინ მკვირცხლად მიმავალ პატარა კაცში მრავალ ბრძოლაში წრთობილი ერის ვაუტეხელი გული ენთო.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდრია სინაური

ლექსები

★

დნეპრთან

(მებრძოლის დღიურიდან)

გულის და მხედრის ქარივით წამღებნი
მერნები მივაგდეთ გოლიათ დნეპრთან...
მეც, კოლხელ მეომარს, ტრამალთა გამრღვევი,
მდინარე მშობლიურ ზეიმით შემხვდა.

ჩვენს ირგვლივ ღმუოდნენ ფრთაშლილი ნაღმები,
ლომების ჯოგებად ამდგარნი ერთპირ.
შევჩენკოს ჰანგებზე მღეროდნენ ტალღები,
ტრამალზე გოროზად გავარდნილ დნეპრის.

მოგვწყურდა სიმღერა სამრავალჟამიერ
და ხმლები ქარქაშში ჩავაგეთ წამით...
როს ბოგდან ხმელნიცკის შვილებმა დალიეს
პეშვით და ქუდებით მამულის წყალი,

მეც უმალ ქართული ყომრალი ბოხეხი
ავივსე დნეპრით და ავზიდე მაღლა —
გულს მოხვდა, ვით წვენი კახური ამბოხის,
ბორკილებაყრილი მდინარის ტალღა!

★

შოთას ფალკოტთან

დღესაც ფრთას ვისხამ, დღესაც თბილისის
მკერდზე საფრენად გული გამექცა —
დღესაც მუხლმალი შლეგი „ვილისით“
ხეივნარებში გაშლილ გზას ვკეცავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკვრიდან გაჭრილი აღმართს ავივლი,
ვხვდები წალკოტში, შოთას სავანეს, —
ქართული მიწის ბაღის ყვავილით
მკერდმოღაღანეს.

ამ ნახვის ამბავს ახლა ვუყვები
ჩემს ლამაზ თბილისს — ქცეულს ბაღნარად —
ბერიას ხელით გაჭაბუკებულს,
გორგასალის ხნის დროულ ჭაღარას.

ამბავს ვუყვები და ის მნათობის
თვალმოციმციმე სახით მიღიმის...
ჩემი „ვილისი“ მიჰქრის, გზას თოკავს
თავისებური გულის ღიღინით.

იმ მიწის ტრფობას რა დამიკარგავს,
სადაც ძვლებია მამა-პაპების,
სადაც სიცოცხლე გულ-მკერდს იქარგავს
ნაირ ბაღნარის იავარდებით?

სადაც მერცხალი, გულგანახარი,
თვალმაისობით მალხაზ მთიებს გავს,
სადაც დაერწა რუსთველს აკვანი
მარგალიტების ასამძივებლად!

ძალი რომ მქონდეს დაქვეითების
საკუთარ მუხლით ქვეყნად რონინის,
ასე ქარივით განა ვიქნები
შოთას წალკოტთან გამოქროლილი!?

აქ ნება-ნება გულის ტარებით
მოხეტიალეს ახლა მნახავდნენ
და აქ, ამ მიწის ყოველ მტკაველში,
ჩემ გულის ხაწილს გადავმარხავდი!

★

ინჟინერი ქაშაკაშვილი

ხალიბთა მოდგმის მეტალურგი ფოლადის ჯავშანს
უმზადებს ბებერ რუსთავის მკერდს, თავს დასტრიალებს,
რომ თემურლენგთა წარღვნის ცეცხლით განატიალ მკერდს
ველარ უმარჯვონ მტარვალებმა ვერაგი დაშნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ სადმე შედგა გამარჯვების ფრთის ლაღად გაშლა,
ის იქ გაჩნდება, იმ უბანში ხანძრად იალებს, —
ქაჯეთის ციხის ბჭესთან ლაშქარს ისე მიაგდებს,
როგორც სჩვევია ბრძოლის ველზე სტალინურ ლაშქარს.

რკინის და თუჯის სპასალარი გეგმავს იერიშს —
დღემარად ახალ შეტევის წინ ტარიელივით
ეთათბირება რუსთაველისთვის მებრძოლ რაინდებს:

აზრი სწყურია ძმადშეფიცულ ავთანდილების,
რომ სამარტენე ტანგოლიათ სახის ქმნილების
ხარაჩოებით ვარსკვლავებთან მალე ავიდეს.

★

მაღლაკის ტაშირზე

ყრმობისას ხშირად ამ მინდვრებზე შმაგი მარულის
სანახაობით დამიცლია ლხენის მათარა.
მინახავს მე აქ მხედართ შორის ნიავქარული
მერნით გაჭრილი ქარაბაკის ბიჭი პატარა.

პაწა ფალავნის გამარჯვების გამო დავლური
ჩამომივლია ამ ტაშირზე, როკვით დავმთვრალვარ...
მას შემდეგ ბევრი წელი დამრა ნიაღვარული,
ხანდაზმულობამ თმაში ვერცხლი შემომაპარა.

მაგრამ გულს მაინც სიყმაწვილის შერჩა ხალისი:
კვლავ ენატრება დაფრინავდეს ის აქ ფარვანად —
ყელს ეხვეოდეს ამ ტაშირის ახალ ფალავანს.

აქ ხომ ხვალ ან ზეგ რკინის ლურჯა ფაფარს გაიშლის:
სულ სხვა მარულის სტარტზე მისი ქარად ფრთის გაშლა
თმაში ჭაღარას გიშრის მკედით გადამიქარგავს.

★

დედა-ენა

შემოუნახავს ჩემს ნახმარ ჩანთას
ძველი ანბანი გოგებაშვილის.
ამ წიგნის გულში ისევ ჩანს ნათლად
ბავშვის ბუნება — იადგაშლილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფართო თაროზე წიგნთა გორებში
არ დალევია გულის ნადიმი...
ვხარობ: კვლავ ვნახე ჩემი გონების
გამთენებელი განთიადივით.

მე ამ ანბანმა ულრან ტევრიდან
გამომიყვანა ბავშვი უვნებლად,
როცა ავბედი ღამე დევნიდა
ქოხში ფეხადგმულ ნორჩის ბუნებას;

მზე შორეული მომიახლოვა,
დამიმეგობრა პირსავსე ბადრიც...
განშორებისას მზე მისახსოვრა,
გამხარებელი ია და ვარდის.

არ ამცდებოდა გადაშენება,
რომ „დედა-ენა“ ანოებულ კვარით
არ გამჩენოდა სულის მშვენებლად
და არ შემეღო „ბუნების კარი“.

მას შოთას გვერდით, წიგნთა გორებში,
ბინას მივუჩენ გულის ვარდივით.
რომ ახლო მყავდეს ჩემი გონების
გამთენებელი განთიადივით.

★

ნიბლია საფერფლეზე

ერთმა მეგობარმა გოგონამ მი'ახ-
სოვრა საფერფლე, რომლის ჯამის
ნაპირად დაყუჩული პატარა ფრთო-
სანი ნაღვლიანად დაჰყურებს სა-
ფერფლის ჯამს.

ნაღვლიანად ამ საფერფლის ნაპირას
დაყუჩულა ცეროდენა ნიბლია.
ამ საბრალოს ასე გულის სატირლად
ეკლის ვარდი მკერდზე ვინ დაუბნია!?

სევდიანად რად დაჰყურებს, ვიცოდე,
საფერფლის ჯამს ფერფლის ხვავით გულმდიდარს?
აუქშიო? რომ დავაფრთხო, ვიცოდებ —
მენანება ამოვაგდო ბუდიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც გული მაქვს — უბეს გავშლი სათბურად —
ოღონდ მითხრას რა დარდსა და ვარამს შლის;
გეფიცები — თავს დავუდებ სასთუნლად
ალალ გულის გრძნობით ნაგებ კარავში.

ჟამი ჟამს სცვლის და არ მიმხელს ხვაშიადს,
ნუთუ შესძლებს საიდუმლოს დამარხვას!?
ფერფლის ხვავზე ფიქრთა ფარა გაშლია,
რას აძოვებს ფარას ნეტავ მანახვა!

ეგებ, ავდრის დროს ღვარმა და ქვიშამა
დაუმარხა სატრფო — შხამი აგემა, —
და ამ ფერფლმა — წვის და დაგვის ნიშანმა —
მოაგონა დარდის კოშკის აგება;

ან, ეგების, ვრცელ სამყაროს შეცნობა
ცეროდენა ფრთოსანს ფიქრად ედება
და საბრალო თუ ეძლევა ოცნებას,
რომ გაიგოს ვარსკვლავიც თუ ბერდება!

★

ვაშლისხე

ჩემს გარემოში ვაშლის ხე ხარობს
ტანადმორჩილი, ლორთქორტოება.
ჯერ ნორჩია და ზრდას ისევ ჩქარობს,
მალე მოზრდილ ხეს გაეტოლება.

აპრილში, როცა ყვავილებს ფლიდა,
გულტურფა იყო მისი ვარდობა.
ვიჩქარი, ბარემ ისიც ვთქვა მინდა,
მზის გარდა გულს რომ არვის ანდობდა.

ახლა ჭაპანს სწევს ნორჩი ხე მშვიდად,
ნაყოფს ამწიფებს თვალის მომხიბლავს,
ვით ბერიკაცი მოზიდულ მშვილდად
ნაყოფის ზიდვით მხრებში მოხრილა.

მიწას დასცქერის... რას ფიქრობს ნეტავ,
ნამის პკურებით დანაბადები?
პასუხზე თუმცა ძუნწია მეტად,
მაინც გავუგე გულის ნადები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურმე სწყურია, რომ მალე მზისკენ
სთქვას გამარჯვებულ გულის დიდება
და მზეს შეჰფიცოს — აპრილში ისევ
ტოლებზე ადრე აყვავილდება.

★

უკვდავება

ერთ დროს, სიკვდილით სამუდამოდ თვალს რომ დავხურავ,
მე ამ ფიქრისთვის თავი ახლა არ დამიხრია...
ღრმადმოხუცებულს მეც სამარეს იქ გამითხრიან,
სახელოვანი წინაპრები სად დამარხულან.

ყველასი ხვედრი შავი მიწა მე არ მაშინებს —
გულდამშვიდებით ძირს გავიგებ სამარხს ბუმბულად,
თუ თავდაბალი მგოსნის გულის ხმით მობულბულე
ჩემი ჩონგურის ლარი დარჩა ისევ ხალხშივე.

თუ ჩემს სამარხთან ჩემმა ლექსმა თუნდაც ქამით-ქამ
ალალი გულის დამტკბარ ჰანგით სთქვა იავნანა,—
ეს შემოაფრენს ჩემს საფლავში ტურფა გარიჟრაჟს.

ლაქვარდებიდან აირხევა სუფთა მანანა...
მომნახავს ია, იადონიც... და უკვდავება
ჩემს ნაცვლად სიკვდილს შავ საფლავში გაუმკლავდება.

1941 — 48 წ.წ. ქუთაისი-თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორდე დგებუაძე

ამერიკული ნოველა

ქალაქ ჩიკაგოს მთავარი ფოსტის შენობის ერთ-ერთ ოთახში საწერ მაგიდას უჯდა ახალგაზრდა კაცი. წინ სხვადასხვა ფერის გახსნილი და გაუხსნელი კონვერტები ელაგა.

წერილებს რიგრიგობით კითხულობდა. ზოგიერთს ისევ სდებდა კონვერტში, ზოგს კი მეორე ოთახში გზავნიდა ფოტოასლის გადასაღებად.

კარი გაიღო და ხანშიშესულმა ფოსტისმოხელემ შემოსვლის ნებართვა ითხოვა.

ახალგაზრდა კაცმა თანხმობის ნიშნად უსიტყვოდ თავი დაუქნია და საქმიანობა განაგრძო.

— საეჭვო წერილია! — უთხრა ახალშემოსულმა, სქელი კონვერტი წინ დაუდო და გაბრუნდა.

ახალგაზრდა კაცმა ცალი თვალით გადახედა კონვერტს, სისქე ეუცხოვა და ფოლადის პატარა ჩხირთან ერთად წერილიც აიღო. ჩხირი უფერული სითხით სავსე ლარნაკში ჩაჰყო ცოტა ხნით, შემდეგ ამოიღო და კონვერტის საწებურში გააძვრინა. სუფთად გახსნა კონვერტი, წერილი მაგიდაზე გაშალა, კითხვას შეუდგა.

„ძვირფასო ძმაო პოლი! — ასე იწყებოდა წერილი, — ვიცი გაგიკვირდება ასეთი ვრცელი წერილის მიღება, ისიც ჩემგან, მაგრამ როცა ჩემს საგმირო ამბავს ამოიკითხავ კმაყოფილი დარჩები. საინტერესო ამბავი მინდა მოგითხრო. განა ყურმოკრული! არამედ ნამდვილი. დამიჯერე ნამდვილი, რომელსაც ვერცერთ გაზეთში ვერ ამოიკითხავ. ამ შემთხვევას საიდუმლოდ ინახავენ და მეც ნაბრძანები მაქვს, ამაზე ხმა არსად ამოვიღო. მაგრამ შენ რას დაგიმალავ, ჩემს გამზრდელ ძმას, როგორც ჟურნალისტს, ვიცი გაინტერესებს ასეთი ამბები, მაგრამ იცოდე გაზეთის ფურცლებზე არ სცადო ამ ამბის გამოტანა, თორემ დაწინაურების ნაცვლად (რასაც მოკლე ხანში მპირდებიან), შეიძლება სატუსაღოში მიჰკრან თავი.

შეძლებისდაგვარად, აგიწერ ამ ამბავს, შეიძლება ოდესმე გამოგადგეს. საინტერესოა, ჩვენებური, ნამდვილი ამერიკული ნოველაა.

მე, როგორც წინა წერილში გწერდი, ნიუ-იორკის შტატს არ მაშორებენ, ისევ ამ პატარა ქალაქ იუტიკაში ვმუშაობ. პოლიციელი ვარ. რა ვქნა? ომის შემდეგ ხომ იცი სამუშაოს თუ ეღირსა ადამიანი, თანამდებობას ვინ დაეძებს?

მეც, როგორც იქნა, შევეგუე ახალ სპეციალობას და უფროსების ყურადღება დავიმსახურე — უკვე ერთი წელია, რაც ლეიტენანტის ხარისხი მომაკუთვნეს. თუმცა წინა წერილში არ გწერდი ამ ამბავის გმირზე, მაგრამ დღემდი შენი ყურადღების ღირსად არ ვთვლიდი ასეთ წვრილფეხა ადამიანს. ანდა რა საინტერესოა ამერიკელისათვის, ისიც ისეთი დიდი ქალაქის მცხოვრებლისათვის, როგორიც ჩიკაგოა, ვიღაც მარტოხელა მძარცველი, რომელიც ხან ფერმერს შეუვარდება სახლში, ხან გზაში მიმავალ ვაჭარს გადაუდგება წინ და ხან კი ქალაქში ქურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დულად შემოიპარება და მყუდრო ოჯახს ააწიოკებს. ყველაფერი ეს ხომ წვრილმანია? წვრილმანია, იმ ამბებთან შედარებით, რაც ყოველდღე გვესმის. ერთი შეხედვით, თითქოს ამერიკაში რაღაც განსაკუთრებული ბოროტმოქმედთა შენაერთები მოქმედობენო. მართლაც ობივატელს უკვირს ისეთი სენსაციური ამბები, როგორიც მატარებლის თუ ზღვაში გემის გაძარცვაა, ჰაერში თვითმფრინავის იძულება, რომ დაბლა დაეშვას, ცეცხლგამძლე და ათასგვარი სანიშნო მოწყობილობებით შეიარაღებულ სალაროების ოსტატურად გახსნა და გაქურდვა. მაგრამ როცა გონების თვალით შეხედავ ამ ამბავს, რწმუნდები, რომ ყველაფერი ეს უფრო სპორტიულ ხასიათს ატარებს ვიდრე ბოროტმოქმედებისას. ხალხს თუ ყურს დაუგდებ, ათასგვარ უაზრო, მოჭორილ ამბებს გაიგონებ, თითქოს პოლიციას კავშირი ჰქონდეს ამ ბანდიტებთან. ალბათ ითვალისწინებენ იმას, რომ პოლიცია ხშირად შუამავლობას კისრულობს დაზარალებულსა და ბანდიტებს შორის (თუ გახსოვს, განსვენებულ ბიძას რომ პატარა ჯორჯია მოსტაცეს, პოლიციამ ხომ რაღაც ორ-სამ საათში გაიგო ბავშვის ადგილსამყოფელი? და ბიძას თუ ურჩიეს ჩქარა გაეღო შვილის გამოსასყიდი თანხა, განა ეს ცუდი ამბავია? თუ კი პოლიცია ცდილობს ამათუიმ საკითხის მშვიდობიან მოგვარებას, — საძრახისია?), ალბათ, ობივატელს ის აღელვებს, რომ ხშირად ასეთ ამბებს ადამიანის მსხვერპლი მოსდევს, მაგრამ განა, სპორტიული შეჯიბრებები ყოველთვის უმსხვერპლოდ შთავრდება? ასე რომ, ვეთანხმები ამერიკულ ანდაზას — ხალხს რომ უსმინო, სახედრის ყურები უნდა გებასო.

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ, იმედია, არ დამძრახავ.

მე იმ მარტოხელა მძარცველზე მინდა გიამბო, რომელმაც სამი წლის განმავლობაში ჩვენი ქალაქ იუტიკასი და მისი გარეუბნის მცხოვრებლები ააწიოკა.

ის, ვიღაც მაღალი, შავლაბადა წამოსხმული, შავი გრძელი წვერულვაშით არც მგზავრს ინდობდა, არც ფერმერს სოფელში, და არც ქალაქში შემოსვლას ერიდებოდა. მხოლოდ ორ სიტყვას ეტყოდა თავის მსხვერპლს „ჯუილისი ვარ“ — და ამით თავდებოდა ყველაფერი — მიჰქონდა ოქრო, ვერცხლი და ფულის ნიშნები.

სიტყვა „ჯუილისი“ შიშისზარს სცემდა მშვიდობიან მცხოვრებთ. ჩვენ ყოველგვარ ზომებს ვიღებდით. მეც მთელი მონდომებით დავეძებდი ამ მძარცველს. დავეძებდი, რადგან მისი საქციელი როგორც სხვებს, არც მე მომწონდა — მის ქმედობაში ნიშანწყალიც არ იყო სპორტიული გატაცებისა.

ჩვენი უფროსი მაიორი ვალტერ დევიდსი, მოუსვენრობდა. დღეღამეში სამი თუ ოთხი საათი ეძინა. არც თვითონ ისვენებდა და არც ჩვენ გვასვენებდა. როგორც თვითონ იტყოდა — გული. დაუავადმყოფა, ძარღვებში სისხლი გაუშრო და თმა გაუთეთრა ჯუილისმა. უფროსები უსაყვედურებდნენ მაიორ ვალტერს და თანამდებობიდან გადაყენებითაც კი ემუქრებოდნენ, ის კი ჩვენ, მაძებარივით დაგვარბენინებდა.

აგენტურას ახალახალ დავალებებს აძლევდა.

შარაგზებზე ჩასაფრებებს აწყობდა.

წვერიანი კაცი გამოჩნდებოდა თუ არა, მეთვალთვალეებს შეუსევდა — მაგრამ ამაოდ, ჯუილისი მიუგნებელი რჩებოდა.

ერთ საღამოს ვალტერ დევიდსის სამუშაო ოთახში ვიყავი და საპატიმროს საქმეს მოვახსენებდი უფროსს, როცა ერთმა მოხუცებულმა, დარბაისელმა ქალმა კარი შემოაღო და შემოსვლის ნებართვა ითხოვა.

მაიორმა ზრდილობიანად მიიღო მოხუცი და მოსვლის მიზეზი ჰკითხა.

— მე, განსვენებული ფერმერის, კარლ ჯეკობსონის ქვრივი გახლავართ. როგორც ვიცი, თქვენ ჩემს მეუღლეს იცნობდით, თუ გახსოვთ ჩვენს ფერმაში ყოფილხართ.

— როგორ არა! მახსოვს, მახსოვს,— მიუგო დარბაისლური სიდინჯით უფროსმა. — რით შემიძლია მოგემსახუროთ?

— მე, ჩემო კეთილო, ყველაფერი გავყიდე აქ, როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონებაც და ბოსტონში მივემგზავრები ჩემს ერთადერთ ქალიშვილთან — მასთან მინდა ვიყო სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში.

— რასაკვირველია, თქვენი ხნის ადამიანს მოვლა ჭირია...

ჩაურთო უფროსმა სიტყვა, ქალი კი განაგრძობდა:

— დღეს გავაფორმეთ მე და მყიდველმა ყიდვა-გაყიდვა და ნაღდი ფული ამაღამ მივიღე, ასე დაგვიანებით, ბანკში შეტანა ვერ მოვასწარი, — ქალმა ტყავის პატარა ჩანთას გადახედა, რომელსაც ორივე ხელით მაგრად ჩასჭიდებოდა.

— მიბრძანეთ, რაში გამოგადგებით?

— შინ წასვლას მარტო ვერ ვბედავ, ხუთი კილომეტრია და, რაც არ უნდა იყოს... თუმცა ორთვალას კარგი ცხენი უბია, მაგრამ...

— ჯუილისის გეშინიათ? — ჰკითხა ნაძალადევი ღიმილით დევიდმა, გაპარსულ სახეზე ხელი ჩამოისვა და თვალები ძირს დახარა.

— მე კი არა, მამაკაცებს ეშინიათ იმ წყეულის... დილით ახალი მეპატრონე უნდა მოვიდეს, რომ ფერმა ჩავაბარო და საღამოს მოვასწრო გამგზავრება.

— ადვილი სამსახურია, — მიუგო მოხუცს მაიორმა და მე მომიბრუნდა.— ლეიტენანტ ლუკასტა! თქვენ მიაცილებთ სახლამდი პატივცემულს და იქიდან შინ წახვალთ, დაისვენებთ, წუხელ არ გიძინიათ.

მე და ქვრივმა მშვიდობით დარჩენა ვუსურვეთ უფროსს და ოთახიდან გავედით.

ღამის პირველი საათი იყო, როცა ჯეკობსონის ფერმას მივადექით.

ცხენს თავლაში ადგილი მივუჩინეთ, საკვები მივეცით... სახლშიც შევყევი ქალს, სინათლე ავანთეთ და წასვლას ვაპირებდი, მაგრამ ამ დარბაისელმა და სათნო მოხუცმა არ გამიშვა. სუფრაზე ხილი და ვისკი ჩამოდგა, — ვახშამდი გაერთვეთო, — მითხრა და სამზარეულოში აფუსფუსდა.

თუმცა გვიან, მაგრამ მშვენიერი ვახშამი მომართვა დიასახლისმა.

მოხუცი თავისი ახალგაზრდობის მოგონებებში გაერთო.

საათმა სამჯერ ჩამოჰკრა.

ის იყო წასვლას ვაპირებდი, როცა კარებზე კაკუნი მოისმა.

გავინაბეთ.

კაკუნი განმეორდა.

— ვინა ხართ? — გაისმა ოთახში ქალის შიშნარევი ხმა.

— მოწყალეობას ვითხოვ, ღვთის გულისათვის მომხედეთ მშიერსა და ავადმყოფს.

ქალს სახეზე სიბრალული აღებეჭდა და უსიტყვოდ გავიდა მეორე ოთახში, კარის გასაღებად.

არ მომეწონა მათხოვრის უდროოდ სტუმრობა და იქვე კუთხეში განიერ თეჯირს ამოვეფარე.

კარი გაიღო.

ცოტა ხანი და მამაკაცის ბოხი ხმა მომესმა:

— ჯუილისი ვარ.

ქვრივი უსიტყვოდ შემობრუნდა ოთახში.

უკან მოჰყვებოდა შავლაბადა წამოსხმული გრძელწვერა მაღალი მამაკაცი.

ჯუილისი ჩემს გვერდით დადგა.

თეჯირს იქით სუნთქვაც კი ისმოდა მძარცველის.

დიასახლისმა ტყავის ჩანთა გაუწოდა მოძალადეს.

ძარღვებში სისხლი ადუღდა — გული უჩვეულოდ ამიფართხალდა. თვალწინ წარმომიდგა ჯილდო, დაწინაურება, სახელის მოხვეჭა და ხელი რევოლვერისაკენ წავიღე.

ჯუილისმა ჩანთა ჩამოართვა მოხუცს, გამართული დამბაჩა დაბლა დასწია და უნდა შებრუნებულიყო, მაგრამ ჩემმა რევოლვერმა იჭექა. გრძელწვერა უსულოდ დაემხო იატაკზე.

გვამი გადმოვატრიალე, გვერდზე მოქცეული თავის ჩემკენ შემობრუნება ვცადე და ნიკაპზე ხელი წავავლე, მაგრამ მოკლულის გრძელი წვერულვაში ხელში შემრჩა.

ვერც მე და ვერც დიასახლისმა ხმის ამოღება ვერ მოვახერხეთ, [illegible] ენით და განა გასაკვირია?

განა რომელს შეეძლო ჩვენ ორში ეფიქრნა, რომ — „ჯუილისი“ პოლიციის უფროსი ვალტერ დევიდი იქნებოდა

ამით ვათავებ, თუმცა გასაკვირი ამბავი არ არის, მაგრამ მაინც საინტერესოა. ჯერჯერობით საიდუმლოდ ვინახავთ ამ ამბავს. შედეგს დაწვრილებით მოგწერ.

მაგრად გართმევ ხელს, შენი ჯონი ლუკასტა.

1947 წელი.
20 მაისი.
ქ. „იუტიკა“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან ასათიანი

პაპარა ამბები ძველ პოეზიაზე

★

გულგული[1]

ერთხელ სხვიტორში, აკაკის სტუმრები ჰყავდა: ტასო მაჩაბელი, ნიცა წერეთელი, გიორგი წერეთელი. აივანზე ისხდნენ, საუბრობდნენ. აქვე იყვნენ აკაკის უფროსი ძმა დავითი და მისი მეუღლე მარიამი.

აკაკი კარგ გუნებაზე იყო. სერიოზულ საუბარს დროგამოშვებით საოხუნჯო ამბებით ამკობდა. სტუმრები მხიარულად იცინოდნენ.

გაზაფხულის საღამო იყო. ეზოში უამრავი ვარდი ჰყვაოდა, ჰაერი გაქეენთილი იყო საამო სურნელებით. უცებ მოისმა ბულბულის სტვენა. აკაკის საოცრად უყვარდა ბულბულის ხმა. ის გაირინდა, ყური მიუგდო. თითქოს აღარავინ არსებობდა ქვეყანაზე მისთვის, გატაცებით ისმენდა ფრინველის გალობას.

ოცნებაში წასულმა ჩუმი ხმით სთქვა:

— ნეტავ ერთი ბულბული დამანახვა!

ამ დროს საოცარი ამბავი მოხდა. მოულოდნელად აივანზე ჩიტი შემოფრთხიალდა და აკაკის ხუჭუჭ თმებში ჩაჯდა. ეს იყო ბულბული. აკაკიმ დააპირა ხელის წატანება, მაგრამ თავი შეიკავა, არ უნდოდა გაფრენილიყო მისი სტუმარი.

ყველანი განცვიფრებით შესცქეროდნენ ამ სურათს.

ბულბულმა ერთი დაიჭახჭახა, შეიფრთხიალა და გაფრინდა.

— აკაკი, ნატვრა, აგისრულდა, თავზე ბულბული, გაჯდაო, — მიაძახეს სტუმრებმა.

აკაკი სიხარულით ცას ეწია, არ იცოდა რა ექნა: ვინატრე და აკი ვნახე, მერე როგორ ვნახე — ზედ თავზე დამაფრინდაო!

გიორგი წერეთელმა იხუმრა: ახლა კი მჯერა, რომ ჰიპნოზი თურმე ჩიტებზეც მოქმედებსო.

„ცათა შინა“

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ქართველ მწერალმოღვაწეთა კომისია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაზე მუშაობდა.

ერთხელ აკაკი იმ დროს მივიდა კომისიის სხდომაზე, როდესაც არჩევდნენ რუსთაველის სტრიქონებს:

იგი ველი გაირბინეს, ჯოგი წინა
შემოისხეს,
დახოცეს და ამოწყვიტეს, ცათა ღმერთი
შეარისხეს.

კომისიის წევრთა შორის კამათი იყო გამართული. ერთი ნაწილი ამტკიცებდა, სიტყვა „ცათა“ გადამწერის დამახინჯებას წარმოადგენს, ცა ერთია და რუსთაველსაც ალბათ „ცასა“ ექნებოდაო. ასეც აპირებდნენ ტექს-

---

[1] ეს „პატარა ამბები“ ქართულ მემუარულ ლიტერატურაში არსებულ ცნობებისა და აგრეთვე ზეპირგადმოცემების ლიტერატურულ დამუშავებას წარმოადგენს. ამ გადმოცემათა ნაწილი პირველად ჩვენ მიერ არის ჩაწერილი. ამჟამად ვაქვეყნებთ ერთ ნაკვეთს ჩვენ მიერ დასაბეჭდად მომზადებული წიგნიდან.

ტის გასწორებას, მაგრამ ამ დროს აკაკი წამოდგა, სიტყვა ითხოვა და წამოიწყო ლოცვა:

„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“...

საბუთი უკვთესი აღარ შეიძლებოდა. რუსთაველის ტექსტში დარჩა „ცათა ღმერთი შეარისხეს“.

ქართული ბიბლია

ერთხელ აკაკის სხვიტორში ახალგაზრდა კაცი ეწვია. მგოსანი აივანზე იჯდა, წინ ქართული „დაბადება“ ჰქონდა გადაშლილი.

სტუმარი ათეისტად სთვლიდა თავს. გაკადნიერებულმა დამცინავი ღიმილით გადახედა წიგნს:

— რად გინდათ, ბატონო აკაკი, მაგას **რომ კითხულობთ, რა** სარგებლობა უნდა მოგცეთ მაგ ზღაპრებმა?

— ო, ჩემო შვილო, — უპასუხა აკაკიმ, — ვისაც სურს ქართული ენა ღრმად შეისწავლოს, ეს წიგნი უნდა იკითხოს ხშირად და ბეჯითად... თუმცა მარტო ეს არარის საკმარისი, — დასძინა მან მცირე დუმილის შემდეგ, — ამ მიზნით ხალხშიდაც უნდა იაროს, დააკვირდეს ხალხის ენას, ჩასწვდეს მის ბუნებას...

იონა მეუნარგიაზე

აკაკი გულწრფელ პატივს სცემდა იონა მეუნარგიას, როგორც ნიჭიერ ლიტერატორსა და ქართული მწერლობის ერთგულ მემატიანეს. მიუხედავად ამისა, იონა მაინც ხშირად ხდებოდა აკაკის გამქირდავი ენის მსხვერპლი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იონამ გამოაქვეყნა თავისი თვალსაჩინო ნაშრომი „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“.

ცნობილია, რომ გრიგოლ ორბელიანი გენერალი იყო, დაარ[illegible] იონას გენერლების [illegible] ამას არ დასჯერდა. ყოველ ცალკე შემთხვევაში აკაკი ცდილობდა ხაზი გაესვა ამ გარემოებისათვის.

იონა მეუნარგიას არც აქ უღალატნია მემატიანის მოწოდებისათვის და თავის სამახსოვრო წიგნში შეუტანია აკაკის რამდენიმე საოხუნჯო ნათქვამი.

აი, იონას ჩანაწერები:

„ახლო ნაცნობებთან სალამის დროს ხელის „პოდკოზირიოკ“ ვიცი. აკაკიმ თქვა: გენერლების ბიოგრაფიის წერის დროს ესეც უსწავლიაო“.

— „იონა ჩამოსულა ქალაქში.

— რომელ გენერალს ჩამოჰყვა თუ იცი, — ჰკითხა აკაკიმ დავ. ერისთავს.“

„გოგებაშვილი დიდხანს ჩემთან დადიოდა კლუბში.

— რა ვქნა, ამ გოგებაშვილს გენერლობა როდის მიუღიაო, — უთქვამს აკაკის.“

„დავით ერისთავის დაკრძალვაზე სიტყვა რომ ვთქვი, აკაკის უთქვამს: უგენერლოდ აქაც ვერ გააძლოო, — რადგან შიგ მოვიხსენიე გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები“.

ოარი ჰირი

„... მე ისე ავად ვიყავ, რომ კინაღამ მოვჰკვდი, მაგრამ როგორც კი გავისტუმრე ცოლი, მეორე დღესვე უაპერაციოდ გამისკდა ბზუკა, რომლითაც ვიტანჯებოდი და ამგვარად ერთ დროს გადაურჩი ორ ჰირს!“

აკაკის მეუღლე რუსის ქალი იყო. უმეტეს ნაწილად რუსეთში ცხოვრობდა, საქართველოში ზაფხულობით ჩამოდიოდა. თავისი მეუღლის ერთერთი ამგვარი გამგზავრების შემდეგ მიუ-

წერია აკაკის ეს სახუმარო სტრიქონები თავისი მეგობარი ქალის, ანასტასია ნიკოლაძისადმი.

ორი დავითი ერთ საფლავში

უფროსი ძმა დავითი რომ გადაეცვალა, აკაკიმ თავისი მეზობელი, სხვიტორელი გლეხი ბაგრატ ზაბახიძე გაგზავნა კვერეთში, საგვარეულო სასაფლაოზე, სამარხის გასათხრელად.

ბაგრატი წავიდა, საფლავის თხრას შეუდგა. ცოტა ხნის შემდეგ ძველ საფლავს წააწყდა. იქვე ქვაც იყო წარწერით.

საღამოს სხვიტორში დაბრუნდა, ეს ამბავი აკაკის მოახსენა. ის შეწუხდა. ეტყობოდა, რომელიღაც მის ახლობელ ნათესავს დაურღვიეს სამარადისო ძილი.

მეორე დღეს აკაკი თვითონ გაემგზავრა კვერეთს, დაათვალიერა საფლავი. იქ აკაკის მამის ძმა—დავით როსტომისძე აღმოჩნდა დამარხული. აკაკიმ თავისი ხელით დაალაგა ბიძის არეული ძვლები და ბრძანა, რადგან საფლავი უკვე გაჭრილი იყო, ბარემ ერთად დაემარხათ ბიძა-ძმისწულის ნეშტი.

ასეც მოიქცენ. დავითი დავითს დაასვენეს ზემოდან.

აკაკიმ საფლავის ქვას ეპიტაფიად წააწერა:

ორი დავით როსტომის-ძე,
ერთი ბიძა და ძმისწული,
ერთ საფლავში მოვიქეცით
წერეთლები დამარხული.
ალბათ თურმე ეგ ყოფილა
ცა და ქვეყნის ღვთის განგება,
და ორივეს ერთად გვითხრან
საუკუნო განსვენება.

მგოსნის ქონება

აკაკის ყოფილი მოურავი ბაგრატ ზაბახიძე საინტერესო ცნობას იძლევა მგოსნის შემოსავალზე სხვიტორის მამულიდან.

აი, რას ამბობს გიორგი:

აკაკის ჰყავდა ნაყმევი გლეხები, მაგრამ არასოდეს არაფერი გადუხდევინებია მათთვის.

სასახლე და ადგილ-მამული, რაც აკაკის ცხოვრებას შეადგენდა, მისი დის ანას სახელზე ითვლებოდა, რადგან, აკაკის სიტყვით რომ ვთქვათ, ის ყოველდღე გადასახლებას მოელოდა მეფის მთავრობისაგან, რის შემდეგ მის ადგილ-მამულს კონფისკაცია მოელოდა.

ჰქონდა ერთი პატარა აბანო სოფელ ჩიხაში. იჯარით იყო გაცემული სავანელ აბაშიძეზე. ამ აბანოს ორმოცი მანეთი შემოჰქონდა წლიურად.

კაკალი მოდიოდა ს. კვერეთიდან 60 კოდამდე.

სიმინდი ითესებოდა გაბუეთსა და გონჯისხევში. მოსავალი ზოგჯერ 300 ფუთს აღწევდა. ეს ძლივს ფარავდა სახლისა და მეურნეობის მოთხოვნილებას.

გონჯისხევში აკაკის ტყეც ჰქონდა, რომელიც იჭრებოდა და იყიდებოდა. წლიური შემოსავალი აქედან 500 მანეთს უდრიდა.

სასახლეს ჰყავდა ტყისმცველი, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ აკაკის რომელიმე გლეხისათვის ტყის მოჭრა დაეშალოს.

გლეხები

ერთხელ დროებით ვალდებული გლეხები, ჭიღლაძეები მივიდენ აკაკისთან სხვიტორში და სთხოვეს, თავი დაგვახსნევინეთო.

აკაკიმ უპასუხა: ჩემთვის ყველა თავდახსნილია, არავის არაფერს ვთხოვო.

გლეხებმა უთხრეს, მაგ სიტყვისათვის მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ ჩვენ გვინდა გულდამშვიდებული ვიყოთ, ამიტომ, თუ შეიძლება, საბუთი მოგვეცით რამე და რაც გნებავთ გადაგვახდევინეთო.

გლეხები პრაქტიკოსები იყვნენ და არა პოეტები. აკაკის გაეცინა:

— კარგი, თქვენ მხოლოდ საბუთის შედგენის საფასური მიეცით და მე თქვენგან არაფერს ვთხოულობ, თავისუფალი ხართო, — უთხრა.

ასე გათავისუფლდნენ ჭიღლაძეები.

საალდგომო ღორი

საღორედან გაუთავებელი, გულის გამაწვრილებელი ჭყვირილი ისმოდა. შეწუხდა აკაკი, აღარც ფიქრი, აღარც წერა არ შეიძლებოდა. აივანზე გადადგა, მოსამსახურეს გადასძახა:

— ნატალია, შე ქალო, აქაურობას რომ აქცევს ღორი, არ გესმით? რას დაგიმწყვდევიათ, გაუშვით, იაროს თავისთვის.

— ბატონო, როგორ გავუშვათ, მაგას საგანგებოდ ვასუქებთ, საალდგომოდ უნდა დავკლათ, — უპასუხა მოხუცმა ფარეშმა.

— საალდგომოდ. ერთი მაჩვენეთ როგორია?

ჩავიდა ეზოში, საღორეში შეიხედა.

დასაკლავმა ღორმა დინგი ასწია, შეღრუტუნა. აკაკიმ შეწუხებული სახით გადახედა ნატალიას:

— უიმე, ეს ღორი არ დაჰკლათ! იცი, ნატალია, რა ჰქნა ახლა მაგან — შემეხვეწა, არ დამკლათო!.. არაფრით მაგის დაკვლა არ შეიძლება!..

ხელი გაასავსავა, გაბრუნდა, წავიდა სახლისკენ.

რაღას გააწყობდნენ. გადარჩა ღორი დაკვლას.

თავიანი შიკრიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვიტორში აკაკის ერთი მეზობელი გლეხი ჰყავდა, გვარად იაკობაშვილი. ერთხელ, საღამოს, დაიბარა და სთხოვა: ხვალ დილით, ძალიან ადრე, ჭიათურაში უნდა გამეგზავნოო. „ბატონი ბრძანდებიო“, უპასუხა მეზობელმა.

მეორე დილას დიდხანს უცადა აკაკიმ, მაგრამ იაკობაშვილი არსად გამოჩნდა. ბოლოს, მოთმინება რომ გამოელია, ბიჭი გაუგზავნა, ამოდი ჩემთანო.

სადილობისას მოვიდა ის კაცი.

— სად იყავი, შე კაცო, აქამდე! — ჰკითხა აკაკიმ.

— ჭიათურაში გახლდით, თქვენ არ გამგზავნეთ?

— კი გაგგზავნე, მაგრამ რას გაბარებდი, არ უნდა გეკითხა? — გაეცინა აკაკის, — გზაზე არავინ შეგხვედრია?

— როგორ არა, სამი ღორი ბალახს სძოვდა...

— მერე, იმათ მაინც არ გკითხეს, რა საქმეზე მიდიხარო?..

იაკობაშვილმა ქეჩო მოიფხანა.

ის იყო და ის. აკაკის აღარაფერი დაუვალებია მისთვის.

ოჯოველა

აკაკი გაჯავრებული იყო. თბილისიდან სხვიტორში ახლად-დაბრუნებულს გაეგო, რომ მოჯამაგირეს, დათია ბოჭოიძეს, „მოურავობა“ დაეწყო და გლეხებისაგან გადასახადი მოეკრიბა.

— შენი ბრალია, ანა, — უსაყვედურებდა იგი თავის უფროს დას, — არ უნდა მიგეცა ნება, ან და, თუ შენს უკითხავად გააკეთა ეს საქმე, ჩემთვის შეგეტყობინებია, მე მოუვლიდი მაგას... ნატალია, დამიძახე ერთი დათიას, — გადასძახა აკაკიმ ფანჯრიდან.

— ახლავე, ჩემო ბატონო, — მოისმა ქვევიდან.

ცოტა ხნის შემდეგ კარები გაიღო და შემკრთალი დათია გამოჩნდა.

შეჭაღრებული იყო, სქელწარბიანი. შემპარავი გამოხედვა ჰქონდა, ცბიერი ღიმილი უკრთოდა თხელ ტუჩებში.

მრავალ წელს სასახლეში ნამსახური, მიჩვეული იყო აკაკის ნიადაგ გარეთ ყოფნას. ოჯახის საქმეს თავის ნებაზე ატრიალებდა. მოხუცი ანა აბარას შეუტყობდა გაქნილ მოსამსახურეს, რამდენი სიმინდი მოიწია, რამდენი ყურძენი დაკრიფა, რამდენი ჩაასხა ჭურებში? ახლა ესეც არ უკმარია დათიას, გადასახადის კრეფაც დაუწყია აკაკის ნაყმევ გლეხებისაგან...

... აკაკიმ მაგრად გაჯორა დათია, თუმცა საკსებით ვერ გაიმეტა წლობით ნამსახური და შეჩვეული მოხუცი. ბოლოს მაინც სილბო შეეტყო მის რისხვას: „ნუ შემომიჩნდი, დათია, ნუ შემაძულე ჩემს მშობლიურ ჭერქვეშ მოსვლა!“

დათიამ რაც შეეძლო, თავი იმართლა, გასაწყლდა, ცოლ-შვილი გაიწყვიტა, ხატი-რჯული იფიცა... აკაკი უკვე აღარ უგდებდა ყურს.

პაუზის შემდეგ მან ცერად გახედა დათიას და საყვედურით აღსავსე, ნელი, შთამგონებელი ხმით უთხრა: — გლეხი ხარ და გლეხის სიმწარეს ნუ დაივიწყებ. გახსოვდეს, მუშა რომ ოროველათი სამჯერ ძირს შემოუთოხნის სიმინდს, ის იმას უნდა დარჩეს, როგორც მისი ოფლით მონაგარი!

ნათლია

აკაკი ახალი ჩამოსული იყო სხვიტორში. მოსამსახურე, ნატალია მაჭარაშვილი მოისაკლისა. დას ანას ჰკითხა:

— ნეტა სად არის, მთელი დღე რომ არ სჩანს ჩვენი ნატალია?

— სოფელშია წასული, შვილიშვილის ნათლობა აქვს, ხვალამდე ვერ ჩამოვა, — უპასუხა ანამ.

— უჰ, შე ქალო, თუ ასე იყო, აქნამდე ვერ მითხარი? უსათუოდ უნდა წავიდე, მინდა დავესწრო ნათლობას.

— ნათლიად კი უნდოდი, მარა ვეღარ ეღირსა შენს ჩამოსვლას, გადაწყვიტა, სხვას მოანათლიოს და შენი სახელი დაარქვას.

— არა, უსათუოდ წავალ, დამიძახეთ დათიკოს (მოსამსახურე იყო).

დათიკოს უხმეს, მოვიდა:

— რას მიბრძანებ, ჩემო ბატონო?

— რას და, თუ კაცი ხარ, სასწრაფოდ გასწი სოფელში ნატალიასთან, უთხარი, შენი შვილიშვილის მონათვლა მინდა, მარა სოფელში, ამ აღმართზე ამოსვლა არ შემიძლია, აგერ მაცხოვრის ეკლესიაზე ჩამომგვარეთ ბავშვი-თქო.

დათიკო გაიქცა სოფელში..

რამდენიმე ხნის შემდეგ აკაკიც გაუდგა გზას ეკლესიისაკენ. იქ უკვე უცდიდენ გლეხები. ნატალია და მისი ქალი დესპინე, — ბავშვის დედა, — სიხარულით ცას ეწეოდნენ, აუხდათ ნატვრა: აკაკი ნათლავდა მათ ბავშვს, ბედნიერები იყვნენ!..

მღვდელი შეუდგა სამზადისს. დიაკონმა ემბაზი მოიტანა, ნელთბილი წყლით ნახევრამდე გაავსო.

— კი მარა, მარტო მე ვარ ნათლია? — იკითხა აკაკიმ, — სხვა ნათლიები სად არიან?

— ჩემო ბატონო, — მოახსენა ნატალიამ, — ნათლიად აგერ ბათლომე ჭიღლაძე გვყავდა შეგულებული, მარა ახლა უარზეა...

— რავა, ხომ არ უკადრისობს ჩემთან ერთად ბავშვის მონათვლას? — გაიღიმა აკაკიმ.

— რავა გეკადრებათ ჩემო ბატონო, — წამოდგა წინ ბათლომე, — მე რა ღირსვარ თქვენთან ერთად ბავშვი დავიკავო ხელში!..

— კაი შე კაცო, რას ამბობ, მოდი, ნუ გერიდება, როგორც ნათლიები, ამიერიდან ჩვენ ძმები ვიქნებით!..

ძლივს დაითანხმა აკაკიმ გაჯიუტებული ბათლომე. ჯერ თავისი სახელის დარქმევა უნდოდა, მაგრამ შემდეგ აზრი გამოიცვალა: გიორგი სჯობიაო.

... ნაშუადღევი იყო, როცა აკაკი წამოდგა ცაცხვის ჩრდილში გაშლილი ლურჯი სუფრიდან. დამრჩომებს მადლი მოახსენა და პატარა დათიკოს თანხლებით სხვიტორისკენ გზას გაუდგა.

დაღმართში ერთგან, ხის ძირას, დაისვენა; სერიდან ნიავმა მოუბერა და თან მოიტანა შეზარხოშებული გლეხების სიმღერის ხმა.

შვლის ნუკრი

ერთხელ აკაკის მოსამსახურე ნატალია მაჭარაშვილი ტყეში წავიდა ქალაკოდას (ფხალის) მოსაკრეფად; შვლის ნუკრს წააწყდა, ქვედა ტანი გაიხადა, თავზე გადააფარა, დაიჭირა და შინ წამოიყვანა.

აკაკი მაშინ არ იყო სხვიტორში.

ეს ამბავი სოფელმა გაიგო. უცნაური და საარაკო იყო ასეთი ნადირობა.

მეორე დღეს, დილით, განთიადზე, კაცი მოვიდა, თქვა; მე თავადმა დიმიტრი წერეთელმა გამომგზავნა, ჩემს ტყეში ნადირობის ნება ვინ მოგცა, რომ შველი დაგიჭერიაო, ახლავე ნუკრი გამომიგზავნე, თორემ შავს დღეს დაგაყენებო.

ნატალია მაგრად დაუნვდა:

— წადი და ასე უთხარი შენს ბატონს მობრძანდი და ბარაღი მიირთვი, რითაც მე ის შველი ვინადირე ნუკრს კი ვერ დაგანებებო!

კაცი გაწბილებული წავიდა. მაგრამ დიმიტრი წერეთელი ჯიუტი კაცი იყო, აგრე ადვილად არ დასთმობდა თავის უფლებებს. შვლის ნუკრი წაიყვანეს.

ჩქარა ამის შემდეგ აკაკი მობრუნდა სოფელში.

ნაწყენმა ნატალიამ ყველაფერი უამბო ბატონს. აკაკიმ ბევრი იცინა ნატალიას პასუხზე, ნუკრთან ერთად შენი იარაღიც უნდა გაგეგზავნა დიმიტრისათვისო.

მეორე დღეს ბიჭს დაუძახა:

წადი, დიმიტრი წერეთელს უთხარი, შენი ნახვა მომენატრა, მოდი, თან შენი ნუკრი მოიყვანე-თქო.

დიმიტრი მართლაც მოვიდა. მის ბიჭს ატატებული ნუკრი მოჰყავდა.

აკაკი ბავშვივით მიეხალისა ნადირს. პატარა ზარი და ეჟვნები შეამბევინა მისთვის კისერზე, ეთამაშებოდა, უკან დასდევდა ეზოში.

მეზობელს გაუმასპინძლდა. წასვლისას სთხოვა, ერთი დღით დაეტოვებინა მასთან ნუკრი. დავითი დასთანხმდა.

აკაკიმ გული იჯერა პატარა, უმწეო ნადირის ფერებით.

ერთი დღის შემდეგ, როცა ნუკრი მაგრად დადგა ფეხზე, აკაკიმ თავის მსახურს, დათია ბოჭოიძეს უხმო:

— წადი, ჩემო დათია, ეს ნუკრი პატრონს მიჰგვარე, თან უთხარი, კარგად მოუაროს, როცა გაიზრდება, ეზო შემოუღობოს, თავისთვის ითამაშოს ნადირმა.

გავიდა ხანი.

ერთხელ აკაკიმ იკითხა, როგორ არის ნეტა დიმიტრის შველიო.

— შველმა თქვენი ჭირი წაიღო, ბატონო, — მოახსენა დათიამ, აივნიდან გადამხტარა და დამტვრეულა...

მიხვდა აკაკი, რასაც ნიშნავდა შველის გადახტომა. წყენით ხელი ჩააქნია და ოთახში შევიდა.

კორბოულელი გლეხი

სოფელ კორბოულიდან ერთხელ ნაყმევი გლეხი ალექსი ბასილიძე მივიდა სხვიტორში, აკაკისთან. სამი ბათმანი პური მოეკიდა ზურგზე, ძღვნად მიუტანა.

აკაკიმ ჯერ მოიკითხა გლეხის ავანჩავანი, მისი ოჯახის ამბავი და ცხოვრების გარემოება, ბოლოს, როცა მისი მისვლის ნამდვილი მიზეზი გაიგო, წყენით ხელი ჩააქნია და უთხრა:

— შე დალოცვილო! ეგ პური ჩემთვის რომ არ მოგეტანა, წისქვილები აღარ იყო თქვენში, ვერ დაფქვი და ბავშვებს ვერ აჭამე?

აივნიდან ეზოში გადიხედა, მოსამსახურე დაინახა:

— ნატალია, — დაუძახა,—ერთი ეს სტუმარი წაიყვანე, პატივი ეცი, ქვიშხური დაალევიე, კარგი სადილი აჭამე!..

მოხუც ბასილიძეს კარგად გაუმასპინძლდნენ პალატში.

ნასამხრევს, როცა გლეხი წასასვლელად შეემზადა, მისი სავსე გუდა, აკაკის ბრძანებით, ისევ ზურგზე აჰკიდეს და უკან გაატანეს.

ᲐᲮᲐᲚ ᲮᲣᲪᲔᲡᲖᲔ

აკაკიმ გლეხკაცის შვილი აკურთხებინა მღვდლად. ერთხელ საჩხერელი ხუცესი ესტუმრა მგოსანს, მადლი მოახსენა:

— დიდი სიკეთე ჩაიდინე, ბატონო აჭაკი, გლეხისშვილი გზაზე დააყენე, მღვდლად აკურთხებინე!

მან ღიმილით უპასუხა:

— გაგეხარდათ განა, ერთი „მაშენიკიც“ რომ შემოგემატათ?

ᲜᲐᲭᲐᲠᲨᲘ

ერთ საღამოს აკაკი თავის მეზობელს ა. წერეთელს ესტუმრა საჩხერეში. ფართო აივანზე სტუმრებმა კარტი ითამაშეს, შემდეგ ივახშმეს. საუბარში დრო შეუმჩნევლად გავიდა. ღამით მასპინძლებმა აკაკი შინ აღარ გაუშვეს. ცალკე ოთახში დაუგეს, მოასვენეს.

დიასახლისმა ბავშვებს სასტიკად აუკრძალა აკაკის ოთახში შესვლა, რომ პოეტი არ შეეწუხებინათ. ეს მისთვის ძილი არ დაეფრთხოთ.

მაგრამ დილით ერთი ბავშვი მაინც შეიპარა მგოსნის ოთახში. აკაკის უკვე გამოეღვიძნა. მან ბავშვი მოიხმო, მოეფერა, მაგიდიდან ხაჭაპურის ნატეხი აიღო და შესთავაზა.

ბავშვი ნასიამოვნები წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდა და თავისი ძმა მოიყვანა. აკაკიმ იმასაც მიუალერსა და მისცა ხაჭაპური. ბავშვები წავიდნენ. მაგრამ პირველი ბავშვი კვლავ გამოჩნდა კარებში და აკაკის უთხრა: ბიძია, მე კიდო ერთი ძმა მყავს! — მართლაც, უკან მას პატარა ბიჭიკო მიჰყვებოდა.

აკაკიმ გულიანად გადიხარხარა ამაზე. ის კვლავ გაუმასპინძლდა ბავშვებს.

საუზმის დროს მან სიცილით უამბო მასპინძლებს იმ პროტექციის შესახებ, რომელიც მათმა უფროსმა პირმშომ გაუწია თავის უმცროს ძმებს. მერე სამივე ბავშვი მუხლებზე დაისვა და დიდხანს ართობდა მათ ლექსებითა და არაკებით.

ᲐᲠᲩᲕᲘ

ერთხელ სხვიტორელმა გლეხმა სანდრო არჩვაძემ და რამდენიმე მისმა მეზობელმა ტყეში ლამაზი არჩვი დაიჭირეს. გადასწყვიტეს საჩუქრად მიერთმიათ აკაკისათვის.

ასეც მოიქცნენ. ნასადილევი იყო, გლეხები რომ აკაკის ეზოში შევიდნენ. მოხუცი პოეტი სახლის წინ გამოსულიყო და სეირნობდა.

მიესალმენ, მოახსენეს: ეს არჩვი თქვენთვის მოგვირთმევია, ჩემო ბატონო.

აკაკიმ დიდი მადლობა გადაუხადა მეზობლებს. მიიწვია იქვე ხის ძირას.

დასხდნენ. იმუსაიფეს. საკმაო ხანმა განვლო საუბარში. ბოლოს სტუმრები ადგენ, წასვლა დააპირეს.

აკაკიმ არჩვს გადახედა. ის კვლავ მაგრად ეჭირა ხელში სანდროს.

— ეგ არჩვი, ჩემო სანდრო, აგერ ეზოში გაუშვი,—თქვა მან ღიმილით,— თუ სამჯერ მოიხედა უკან, მაშინ აღარსად წავა და თუ ერთხელ მეტად არ მოიხედა, — მაშინ კი აღარ დაბრუნდება, გაიქცევა ნამდვილად...

გლეხები მიხვდნენ, რასაც ნიშნავდა აკაკის სიტყვები. მათ კარგად იცოდნენ მისი კეთილი გულის ამბავი, იცოდნენ, რომ მას ადამიანის მსგავსად ეცოდებოდა ყოველი სულდგმული; ისიც იცოდნენ, თუ არჩვს გაუშვებდნენ ხელიდან, ის უკან აღარ დაბრუნდებოდა არასოდეს. მაგრამ რაღა გაეწყობოდა. ასე სურდა საყვარელ მოხუცს.

სანდრომ ხელი გაუშვა არჩვს. იმან ერთი ისკუპა განზე, წამით უკან მოიხედა და მერე ისეთი სისწრაფით მოჰკურცხლა ტყისკენ, რომ ერთი წუთის შემდეგ მისი ასავალ-დასავალი აღარ სჩანდა.

მელა

ერთხელ სხვიტორში, აკაკის საქათმეში, მელა შეპარულიყო. ქათმების კრიახსა და ქოთქოთზე მოსამსახურეები მიცვივდნენ, მელა მიიმწყვდიეს და დაიჭირეს. მოურავმა ივანე ცქიტიშვილმა და მოსამსახურემ დათია ბოჭოიძემ დაჭერილი მელა დიდის ამბით მიუყვანეს აკაკის:

— ა ბატონო, ეს შეჩვენებულია, რომ გაგვცალა დედლებისაგან! ჩვენი ქათმებით არის გასუქებული ეს ქურდბაცაცა!..

აკაკიმ ცერად გადახედა გაკოჭილ ნადირს, რომელიც შეშინებულ თვალებს აფახულებდა და დროგამოშვებით ღრენით აჩენდა თავის თეთრ წვეტიან კბილებს.

— რა უნდა უყოთ ახლა მაგას? — იკითხა აკაკიმ.

— რა და უნდა მოვკლათ, ბატონო, — უპასუხა მოურავმა.

— თუ გიყვარდეთ, არ მოკლათ, გაუშვით, — შეეხვეწა ორივეს აკაკი. საოცრად შეებრალა მელია.

— რავა შეიძლება, ბატონო, ამის გაშვება,—მოახსენა ბოჭოიძემ,—სულ გაგვცალა ქათმებიდან!..

— თქვენ ეგ საქათმე კარგად გააკეთეთ და თუ კიდევ წაიღოს ქათმები, მაშინ კი ნულარ გაუშვებთ ცოცხალს...

არავითარმა საბუთმა აღარ გასჭრა, არ მოეშვა აკაკი თავის მოურავსა და მოსამსახურეს. რაღას იზამდნენ. მიიყვანეს ღობესთან, გადაახტუნეს მელა.

დაფეთებულმა ნადირმა ტყისკენ მოუსვა.

იუბილეზე

აკაკის იუბილეს დროს, სცენაზე, პოეტის სავარძლის გვერდით, იაკობ გოგებაშვილი იჯდა. აკაკი მილოცვებს უსმენდა და დროდადრო თავის შთაბეჭდილებებს უზიარებდა იაკობს.

სხვა მრავალთა შორის აკაკის მიულოცა თავად-აზნაურთა წინამძღოლმა პავლე თუმანიშვილმაც. მან ქართული კარგად არ იცოდა. თავისი მისალოცი ადრესის კითხვა მან ასე დაიწყო: „ჩვენო სასიკადულო მგოსანო...“

რამდენიმე წინადადება წაიკითხა და შემდეგ ადრესის ტექსტი, კითხვის განსაგრძნობად, გადასცა თავის თანმხლებ დელეგაციის ერთ-ერთ წევრს.

აკაკიმ იაკობ გოგებაშვილს გადუჩურჩულა ღიმილით:

— გაიგონე, რა მითხრა პავლემ? — ჩვენო სასიკვდილო მგოსანოო!..

ვაჟა აკაკის იუბილეზე

აკაკის იუბილეს სხვიტორელ გლეხების დელეგაციაც დაესწრო. აქვე იყვნენ საჩხერის რაიონის სხვა წარმომადგენლებიც, მათ შორის მიხაკო მაჭავარიანი, — საჩხერის მიდამოებში ცნობილი კერძო ვექილი, ფრიად ენა მახვილი კაცი, განთქმული თამადა, — გარეგნობით მეტად წააგავდა ფალსტაფს.

დელეგატები სცენაზე ისხდნენ. ამ დროს შემოვიდა ვაჟა ფშაველა. თავისუფალი სკამი დაინახა და დაჯდა. გვერდით მჯდომმა სხვიტორელმა ზაქარია იაკობაშვილმა უკმეხად მიმართა:

— ადექი, შე კაცო, აქ მიხაკო მაჭავარიანი უნდა დავაჯინო!

ვაჟამ წყენით გადახედა თავის მეზობელს, მაგრამ თავი შეიკავა და ხმადაბლა, მორიდებით უპასუხა:

— ცოტა დამაცა, ორ სიტყვას ვეტყვი აკაკის და სულაც გაგშორდებით აქედან!

ახლო მსხდომთ იცვნეს პოეტი და შეწუხებულებმა ზაქარიას გადუჩურჩულეს:

— თავი დაანებე, ზაქარია, ეგ ვაჟა-ფშაველაა! — ბრძანდებოდეთ, ბატონო ბრძანდებოდეთ, — ხმა მაღლა მიმართეს მათ სახელოვან მგოსანს.

საწყალ ზაქარიას თავზარი დაეცა ამის გაგონებაზე. ვაჟას ლექსები და პოემები წაკითხული ჰქონდა, გულითადი პატივისმცემელი იყო მისი, მაგრამ სახით არ იცნობდა.

— დიდი ბოდიში, ჩემო ბატონო, — ძლივს წაილუღლუღა დარცხვენილმა, მერე ერთხანს მოუსვენრად იბორგა სკამზე, საქციელწამხდარი ვეღარ დამშვიდდა, ადგა და უხმოდ გაიპარა კულისებში.

გრძელცხვირიანები

აკაკის ბათუმელებმაც — მოუწყვეს საიუბილეო ზეიმი.

მატარებლით რომ ჩავიდა ბათუმში, სადგურზე მგოსანს ადგილობრივი საზოგადოების დელეგაცია შეხვდა: ერთი კაცი და ორი ქალი. სამივე დელეგატს გადამეტებულად გრძელი ცხვირები ჰქონდათ.

საიუბილეო საღამოზე სამივე ეს გრძელცხვირიანი აკაკის მახლობლად დაჯდა სცენაზე.

პოეტმა მათ რომ შეხედა, გვერდით მყოფ ბათუმელ ინტელიგენტს გადულაპარაკა ჩუმად:

— თქვე დალოცვილებო, ეს სამი ჯოჯო რომ ერთად შემაგებეთ სადგურზე, როგორ, ჩემი გაფრთხობა ხომ არ გქონიათ განზრახული?

ბროწეული

ერთხელ აკაკი ქუთაისიდან საჩხერეს მიემგზავრებოდა. მას თან მოურავი, კოტე აბდუშელიშვილი ახლდა.

ქუთაისის სადგურზე, მატარებლის გასვლამდე დარბაზში ისხდნენ, იცდიდნენ.

კოტემ თვალი მოჰკრა ორ გიმნაზიელს. ერთ მათგანს ხელში ორი დიდი ბროწეული ეჭირა. ყმაწვილები მორიდებით და თან დიდის ინტერესით იცქირებოდნენ აკაკისაკენ.

კოტემ ბროწეულის დანახვაზე დანანებით უთხრა აკაკის:

— რაც მე დღეს ბაზარში ბროწეული ვეძებე, ვერ ვიშოვე!..

ზარი დაირეკა. მგზავრები ადგენ და ბარგი-ბარხანით პერონზე გავიდნენ. აკაკი ნელის ნაბიჯით მივიდა მეორე კლასის ვაგონთან და შიგ შევიდა.

კუპეში აკაკის და მის მოურავს ერთი ახალგაზრდა, ბავშვიანი მანდილოსანი დახვდათ. სანდომიანი ქალი იყო.

ჩქარა ამავე კუპეს ის ორი გიმნაზიელიც მოადგა, სადგურის დარბაზში რომ ასეთი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდნენ მოხუც მგოსანს. ერთმა მათგანმა მოსლვისთანავე ერთი ბროწეული აკაკის მიართვა. მას, როგორც სჩანს, ძალიან იამა ძღვენი. გამოართვა და ჯიბეში ჩაიდვა. ბავშვს მადლობა უთხრა. ბროწეული მოზრდილი იყო. აკაკის ჯიბე გამოებერა.

თოთო ბავშვი ტიროდა. როგორც იქნა, ქალმა დააძინა იგი. აკაკის, როგორც ეტყობოდა, მოეწონა მანდილოსანი, რამდენჯერმე სცადა მასთან ლაპარაკი, მაგრამ ქალი მორიდებით და უხალისოდ უპასუხებდა. ვერ იქნა, საუბარი ვერ გაიბა მათ შორის. ასე შივიდნენ მგზავრები სადგურ შორაპანში.. აქ სხვა მატარებელში უნდა გადამჯდარიყო აკაკი. ვაგონიდან რომ გადიოდა, მიუბრუნდა ბროწეულიან მოწაფეს და ღიმილით უთხრა: „შენი ძღვენისთვის მადლობელი კი ვარ, მარა უნდა გითხრა, გლახა საქმე დამმართა ამ ბროწეულმა: ჩვენს ლამაზ თანამგზავრს, ალბათ, თიაქარიანი ვეგონე (გამობერილ ჯიბეზე დაიხედა) და ახლოსაც არა წამიკარა საუბარში!..

ქალთა მარაქაში

ერთხელ აკაკი, თავის რამდენიმე ნაცნობთან ერთად, ქართულ კლუბის ბაღში ვახშმობდა. სუფრას მანდილოსნებიც უსხდნენ.

ვახშმის გათავების შემდეგ, თანამესუფრე ყმაწვილმა კაცებმა მოხუც მგოსანს, ისევე, როგორც მანდილოსნებს, ფული არ გადაახდევინეს, თითონ გაისტუმრეს ნახარჯი.

აკაკიმ ხუმრობით ამოიხვნეშა:

— ეჰ, ამ დროსაც მოვესწარი — ქალთა მარაქაში გადამწერეთ!..

ჰონორარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი თავის ნაწერებს ხშირად აწოდებდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციას. ჟურნალიც, რასაკვირველია, უდიდესი სიამოვნებით ბეჭდავდა დიდი ქართველი მგოსნის თხზულებებს.

ერთხელ, ხელმოკლეობისა გამო, ჟურნალის რედაქტორმა ჰონორარის მიცემა ვერ მოუხერხა აკაკის. მან გადასწყვიტა, თავი შეეკავებინა პოეტის ნაწერების ბეჭდვისაგან. ფიქრობდა: სხვაგან დაბეჭდავს და ჰონორარს მაინც მისცემენო. სწორედ იმ ხანებში აკაკი ჩამოვიდა საჩხერიდან, „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაც მოინახულა.

— რატომ აღარაფერს მიბეჭდავ, იქნებ არ მოგწონს ჩემი ნაწერები, ჰა, იოსებ? — მიმართა მან ღიმილით ჟურნალის რედაქტორს.

— აბა რას ბრძანებთ, ჩემო ბატონო! — უპასუხა შეწუხებულმა იოსებ იმედაშვილმა, — თქვენს თხზულებას წუნს როგორ დავდებ, მაგრამ ჩემი საქმე რომ იცოდეთ...

და მან უამბო აკაკის თავისი ვაჭრებული მდგომარეობის შესახებ.

აკაკიმ დაუყვავა:

— არა, ფულისთვის ნუ შესწუხდები. შენ იმიტომ გაძლევ ნაწერებს, რომ ამ ერთად-ერთ ჟურნალს ხალხი ძალიან ეტანება და მინდა ხალხმა იკითხოს. ჰონორარისთვის ნუ მომერიდები, არაფერი მინდა შენგან!..

სესხი

ერთხელ აკაკი მივიდა „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში და რედაქტორს, ი. იმედაშვილს ფული სთხოვა:

— გროშები შემომაკლდა და ვრთი სამი [illegible]ეთი მიშოვე!..

იოსები შეწუხდა: ჯიბეში კაპიკი არ გააჩნდა, მაგრამ მაინც არაფერი შეიმჩნია, ახლავე მოგართმევთო, უთხრა მგოსანს, და გარეთ გავიდა ფულის საშოვნელად.

მიდის იოსები და თან ფიქრობს: აი, აკაკიმ პირდაპირ არ მომთხოვა ჰონორარი, მაგრამ სესხის სახით კი მაინც გადასწყვიტა თავისი ნაწერებისათვის რედაქციიდან ფულის მიღება...

როგორც იქნა, ისესხა სამი მანეთი, მოართვა აკაკის.

მოხუცმა მადლობა უთხრა და წავიდა.

რამდენიმე დღის შემდეგ აკაკი ისევ მივიდა რედაქციაში. ვაჟი, ალექსი, ახლდა. ჯიბიდან სამი მანეთი ამოიღო, გაუწოდა იოსებს:

— აჰა, შენი ვალი, უკაცრავად კი ვარ, დაგიგვიანე!..

იოსები უარზე იყო, არ იღებდა. აკაკიმ ძალად შეაჩეჩა ხელში. უთხრა:

— მთაწმინდაში მივდივართ, თუ გინდა შენც წამოდი ჩვენთან ერთად.

იოსები წაჰყვა. ეტლში ჩასხდნენ და წავიდნენ.

იოსებს გადაწყვეტილი ჰქონდა აკაკისათვის მცირე პატივი ეცა: ეტლის ფული გადაეხადნა. მაგრამ არც ეს გაუვიდა. მთაწმინდაში რომ ავიდნენ და იოსებმა ეტლის გასტუმრება მოიწადინა, აკაკიმ კატეგორიულად უბრძანა: არ გაბედო, შენ ჩემი დაპატიჟებული ხარ, მე უნდა გადავიხადოო. ასეც მოიქცა.

კიტა აბაშიძეზე

1912 წელს ქუთაისის კინო-თეატრ „რადიუმში“ აჩვენებდნენ ; ფილმს: „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“.

სურათის ჩვენებას ესწრებოდა თითონ აკაკიც.

მას, სხვათაშორის, ახლდა „სულიკოს“ სიმღერის გამომთქმელი, ვალინკა წერეთელი.

ხალხი ტაშისცემით შეხვდა კინოთეატრში მოსულ მოხუც მგოსანს. ასეთივე სიხარულით ადევნებდა იგი თვალს ფილმში ასახულ მგოსნის მოგზაურობას.

აკაკი მიუბრუნდა თავის მეგობარ ქალს და უთხრა:

— ხედავ, ვარინკა, ჭიათურაში კიტა რას მიშვება და აქ კი რა ამბავია?

იმ ხანებში აკაკი ნაწყენი იყო: სახელმწიფო სათათბიროში ასარჩევად ყუთი დაიდგა და გააშავეს. ამ ამბავს ის რატომღაც კიტა აბაშიძეს აბრალებდა, თუმცა ცნობილი კრიტიკოსი არაფერ შუაში იყო.

წარწერა წიგნზე

ერთხელ აკაკიმ თავის მეგობრების, ბეჟან და ნიცა წერეთლების ვაჟს, დათიკოს, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო აჩუქა („კონსპექტი საქართველოს ისტორიიდან. შედგენილი ა. ქუთათელაძისაგან. რვ. I, თბ., 1900 წ.).

პოეტმა ასეთი წარწერა გაუკეთა წიგნს:

„ჩემო დათიკო!
ვისაც თავისი სამშობლო არ უყვარს, არ შეუსწავლია და არ ითვალისწინებს, ის კაცი არ არის.

შენი ბიძია აკაკი“.

ეს წიგნი, პოეტის წარწერით, როგორც ძვირფასი რელიქვია, დღეს სხვიტორში, აკაკის სახელობის მუზეუმშია დაცული.

აკაკის სახლი

მოხუცმა ანიკო აბდუშელიშვილმა მითხრა ერთხელ სხვიტორში, აკაკის სახლზე:

— ჩემო ბატონო, ამ სახლს ბალავარი არა აქვს, პირდაპირ კლდეზეა ამოშენებული. მიწის ძვრის დროს ამ სოფელში ხის სახლებიც დაირღვა, აკაკის სახლს კი ერთი ბზარიც არ გასჩენია!"..

აკაკიც თავის სახლს ჰგავს. მისი შემოქმედება პირდაპირ ხალხის გულიდან მოდის, დროთა ცვლა ბზარს ვერ გაუჩენს.

წიგნის გამომცემელი.

წიგნების გამომცემელმა მიხ. გაჩეჩილაძემ კრებული „ჩანგი" გამოსცა. წიგნი აკაკის რჩეული ლექსებით იხსნებოდა. მათი საერთო რაოდენობა ფორმანახევარს უდრიდა. მაშინდელი კანონის ძალით, დაბეჭდილ ლექსების ახალ გამოცემის დროს, თუ მათი რაოდენობა ორ ფორმას არ აღემატებოდა, გამომცემელი ავტორს არაფერს უხდიდა.

როგორც სჩანს, არც მიხ. გაჩეჩილაძეს ჰქონდა გაზრახული აკაკისათვის ჰონორარის მიცემა.

თბილისში რომ ჩამოვიდა, აკაკიმ ნახა „ჩანგში" თავისი ლექსები. გაჩეჩილაძეს იცნობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთ მის ნაცნობს ჰკითხა:

— ეს გაჩეჩილაძე რომელია, თუ გიყვარდე, მაჩვენე, კარგი კრებული გამოუცია.

მიხ. გაჩეჩილაძეს უამბეს, აკაკიმ გიკითხაო. ის კარგად მიხვდა, რასაც ნიშნავდა მოხუცი მგოსნის მოკითხვა.

კრებულის ტირაჟი ჯერ კიდევ არ იყო გასაღებული, გაჩეჩილაძეს ფული არ გააჩნდა, ამიტომ ის ძალიან ერიდებოდა აკაკისთან შეხვედრას, ბოლოს, როგორც იქნა, შეაგროვა ასი მანეთი და როცა გაიგო, აკაკი ჩამოვიდა თბილისშიო, ეახლა მას სასტუმრო „ფრანციაში", ბერიას სახელობის ახლანდელ მოედანზე.

დილა იყო. მსახურმა უთხრა, აკაკის ჯერ კიდევ სძინავსო. მოიცადა. როცა გამოიღვიძა, მსახურმა მოახსენა მგოსანს, კაცი გიცდითო. მან იხმო მიმსვლელი.

აკაკი ხალისიანად შეხვდა გაჩეჩილაძეს. მან მოახსენა: „ბატონო აკაკი, თქვენი ლექსები დავბეჭდე და აი, ეს მცირე ჰონორარი, რაც შევძელი, მოგართვით. წიგნები ჯერ გაყიდული არა მაქვს, არც ვიცი, როდის გასაღდება, მაგრამ მე მაინც ვალდებული ვარ თქვენი ჰონორარი გადაგიხადოთ!"

აკაკიმ გამოჰკითხა გაჩეჩილაძეს გამოცემის ამბები, ბოლოს უთხრა:

— ეს ფული წაიღე, არ მჭირდება თქვენი ჰონორარი, თქვენ, როგორც ვხედავ, ისედაც ბევრი ხარჯი გაქვთ, და ეს თანხაც ზარალად დაგაწვებათ.

გაჩეჩილაძემ უარი თქვა ფულის უკან წაღებაზე, ქაღალდის ასმანეთიანი მაგიდაზე დადვა და მოწიწებით გამოეთხოვა რა მგოსანს, კარებისკენ შებრუნდა.

აკაკიმ მკაცრი კილოთი მიაძახა:

— მე შენ გეუბნები, წაიღე ეს ფული!

ეს ისეთი კატეგორიულობით იყო ნათქვამი, რომ გაჩეჩილაძე იძულებული იყო დამორჩილებოდა და აეღო მაგიდაზე დადებული ასმანეთიანი.

როცა აკაკის მარხავდნენ...

სამშობლოს გარეთ მყოფმა ქართველებმა განსაკუთრებული სიმწვავით განიცადეს დიდებული მგოსნის სიკვდილი. აკაკის ვაჟი ალექსი, რომელიც

შამის დამარხვის შემდეგ დაბრუნდა პეტერბურგს, იწერებოდა იქიდან:

„აქ, ყაზანის ტაძარში, მისი დამარხვის დღეს, ლეონიდემ ქართულად გადიხადა პანაშვიდი, გალობდა ორი გუნდი, ხალხი იყო უამრავი...“

ჩრდილოეთის სატახტო... რამდენი მოგონება იყო ამ ქალაქთან დაკავშირებული... აქ იყო მისი აღმზრდელი „ალმა მატერ“ — ძველი უნივერსიტეტი, აქ მან ჭაბუკ ილია ჭავჭავაძის მსგავსად დასდო ჰანიბალის ფიცი სამშობლოს სამსახურზე, აქ ის კითხულობდა პუშკინს და ჩერნიშევსკის, შექსპირსა და გოეთეს... აქ ის პირადად გაეცნო ტარას შევჩენკოს, აქედან ის გაფაციცებით ადევნებდა თვალს გარიბალდის გმირულ ბრძოლას იტალიის გათავისუფლებისათვის... აქ ის დაესწრო ნეკრასოვის დასაფლავებას, ნახა, როგორ შეაწყვეტინა ახალგაზრდობამ სიტყვა დოსტოევსკის, ძახილით, — რომ ნეკრასოვი უფრო მაღლა დგას პუშკინზე, ნახა, როგორ გამოვიდა სიტყვით ახალგაზრდა სტუდენტი პლეხანოვი, რომელსაც მაშინ არ იცნობდა... ყველაფერი ეს დიდი ხნის წინათ იყო... სულ ბოლოს კი, რაღაც ორიოდე წლის წინათ, ის, უკვე მოხუცი, უკანასკნელად ესტუმრა ამ დიდებულ ქალაქს. და მაშინ რუსეთის სატახტომ თბილი და გულწრფელი შეხვედრა მოუწყო საქართველოს მოხუც ბულბულს...

ახლაც, როდესაც სამშობლოსათვის, შრომით დაქანცულ პოეტის ნეშტს თბილისში მთაწმინდის მიწა იბარებდა, პეტერბურგის ძველი ტაძრის თაღებში გაისმა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი „სულთათანა“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3. მაჭავარიანი

ომისგამჩაღებლები ისტორიის სამსჯავროს წინაშე

სამ წელზე მეტმა განვლო რაც დიდი სამამულო ომი დამთავრდა. ომის მძვინვარე ქარიშხალმა გადაიარა. სრულიად გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელსაც იჩენენ ხალხები ომის გამჩაღებელთა ნამდვილი ვინაობის გამოსარკვევად. ხალხებს სურთ გაიგონ, როგორ მზადდებოდა მეორე მსოფლიო ომი, ვინ არიან და სად არიან დამნაშავენი. ეს დაინტერესება არ ატარებს განყენებულ ისტორიულ ხასიათს. ხალხებს სულ ახლო წარსულის ისტორიული ამბები იმიტომ აინტერესებთ, რომ ომისგამჩაღებელი ახლაც ბევრია მსოფლიოში; ისინი ზოგ სახელმწიფოთა მთავრობებში მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობენ და გულმოდგინედ ემზადებიან ახალი ავანტიურებისათვის. მაშასადამე, ამ ინტერესს განვლილი დღეებისადმი მწვავე თანადროული ხასიათი აქვს.

ცნობილია ის დიდი საიდუმლოება, რომლითაც მოცულია ომების მზადება. ვ. ი. ლენინი ჩვენს დელეგაციას, რომელიც ჰაგის კონფერენციაზე მიემგზავრებოდა, მთავარ ამოცანად უსახავდა ამ საიდუმლოების ახსნას. „უნდა ავუხსნათ ხალხს რეალური ვითარება იმისა, თუ რამდენად დიდია საიდუმლოება, რომელშიაც ომი წარმოიშვება“... „უნდა ავუხსნათ ხალხს მთელი კონკრეტულობით ერთხელ და კიდევ ერთხელ, თუ როგორი იყო საქმის ვითარება უკანასკნელი ომის დროს და რატომ არ შეიძლებოდა იგი სხვანაირად ყოფილიყო“.[1]

ხალხებს სურთ გაერკვნენ ამ საიდუმლოებაში, რათა გაითვალისწინონ წარსულის გამოცდილება, იბრძოლონ მტკიცე მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის, იმპერიალისტური რეაქციის იმ ძალთა წინააღმდეგ, რომლებიც ახლაც ქმნიან ბლოკებსა და კავშირებს თავის აგრესიულ ზრახვათა განსახორციელებლად. როგორც ეს წარსულშიც ხდებოდა, გამრავლდა სხვადასხვა ვერსია მეორე მსოფლიო ომის წარმოშობის შესახებ. ცნობილია ის დავა, რომელმაც წლების მანძილზე გასტანა იმის გამო, თუ ვინ იყო პირველი იმპერიალისტური ომის გამჩაღებელი. გერმანელები ომის გაჩაღებას ფრანგებს და ინგლისელებს აბრალებდნენ, ისინი კი, პირიქით, გერმანელებს. ვერსალის ხელშეკრულების ე. წ. პრეამბულის, შესავალი ნაწილის პრინციპული საკითხი სწორედ ეს იყო. გერმანელმა ისტორიკოსებმა, მემუარისტებმა, სხვადასხვა ბანაკის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა წლები მოანდომეს გერმანიის რეაბილიტაციას. არანაკლები ენერგიით იღვწოდნენ ფრანგი, ინგლისელი და ამერიკელი მეცნიერნი და პოლიტიკოსები, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ლუდენდორფი, ბიულოვი, ერთი მხრიდან და ლოიდ-ჯორჯი, კლემანსო, ტარდიე, ჩერჩილი და ბევრნი სხვა-

[1] ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. XVII გვ. 372. მესამე რუს. გამოც.

ნი ფრანგულ-ინგლისური ბანაკიდან. და მიუხედავად ამ ზღვა მასალისა, ბევრი რამ ახლაც ჩამარხულია ინგლისის ფორეინ ოფისისა და პარიზის კე დორსეის საიდუმლოებით მოცულ სეიფებში.

უკვე მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტურმა წრეებმა თავიანთი ვერსია შეთხზეს ამ ომის წარმოშობის შესახებ. ისინი მაშინვე ცდილობდნენ მოეხსნათ პასუხისმგებლობა, მიეჩქმალათ თავიანთი ნამდვილი როლი, კერძოდ — დაემალათ ის აქტიური პოლიტიკური და განსაკუთრებით კი ის უდიდესი ეკონომიური მხარდაჭერა, რომელიც მათ გერმანიის ფაშიზმს აღმოუჩინეს. ჯერ კიდევ ნიურნბერგის პროცესმა გამოააშკარავა გერმანელ ფაშისტ აგრესორთა როლი მეორე მსოფლიო ომის გაჩაღების საქმეში. ამ პროცესმა გამოააშკარავა „ბარბაროსას გეგმის“, „მწვანე საქმის“ და სხვა მრავალი დოკუმენტის საიდუმლოება, სადაც დამუშავებული იყო გერმანელ ფაშისტ დამპყრობელთა ფართო გეგმები და ის მეთოდები, რომელთა საშუალებითაც უნდა განხორციელებულიყო ეს ავაზაკური ზრახვები. ჯერ კიდევ ნიურნბერგში მეღავნდებოდა ის კავშირი, რომელიც გაბმული იყო გერმანელ ფაშისტთა და იმპერიალისტური ბანაკის ზოგიერთ სახელმწიფოთა გარკვეულ წრეებს შორის, კავშირი, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა გერმანიის აგრესიაში. მაგრამ ნიურნბერგის პროცესის დროს არ მოხერხდა ამ კავშირის სრული გამოაშკარავება. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ მასალის უამრავი ნაწილი, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხელისუფალთ ჩაუვარდა ხელში და გასაგებია მათ არ გამოიჩინეს დიდი ენთუზიაზმი ამ მასალების გამომზეურების საქმეში.

როგორც ცნობილია, იმპერიალისტურ ბანაკში გარკვეულმა წრეებმა ისტერიული კამპანია გაშალეს ახალი ომის გასაჩაღებლად, და ვინაიდან მოწინავე კაცობრიობას, რომელიც საყოველთაო მშვიდობიანობისათვის იბრძვის, სათავეში საბჭოთა კავშირი უდგას, მათ პირველ რიგში ჩვენი სამშობლოს დისკრედიტაცია მოინდომეს და შეეცადნენ შეერყიათ ის უდიდესი, ავტორიტეტი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ ომის დროს და ომის შემდეგ მოიპოვა. ხოლო რადგან ისინი სიმართლით ფონს ვერ გავიდნენ, ყალბისმქნელობას მოჰკიდეს ხელი. იანვრის დამლევს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა სამინისტრომ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა თანხმობით და თანამშრომლობით გამოაქვეყნა ტენდენციურად შეკოწიწებული დოკუმენტები, რომლებიც გერმანელ-ფაშისტ დიპლომატ მოხელეთა ჩანაწერებსა და დღიურებს შეიცავდნენ. სენსაციისმოყვარულ ამერიკელებს ეს დოკუმენტები საიდუმლოებით მოცული სათაურით შესთავაზეს: „ნაცისტთა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა 1939 — 1941 წლებში“. ისტორიულ ცნობაში „ისტორიის ფალსიფიკატორები“ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროშ ნათელჰყო ამ დოკუმენტების ნამდვილი ღირებულება. ყველასთვის აშკარა გახდა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის ეს ნახელარი ჭორისა და ცილისწამების გარდა არაფერს შეიცავდა. ამ ჭეშმარიტების აღიარება დასჭირდათ იმპერიალისტური ბანაკის პუბლიცისტებსაც. ამერიკელი ჟურნალისტი უოლტერ ლიპმანი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ უკეთესი იქნებოდაო სახელმწიფო დეპარტამენტს გამოეჩინა „მეტი სიბრძნე“ და „ამერიკის ხმას“ ჰქონოდა „მეტი ჭკუა და გამოცდილება“. ლიპმანს, რასაკვირველია, ისტო-

რიის ფალსიფიკაცია კი არ აწუხებს, არამედ ის, რომ, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფო დეპარტამენტმა „ცუდი პროპაგანდის კლასიკური მაგალითი“ გვიჩვენა. მანვე აღნიშნა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის პუბლიკაცია „შეიცავს მხოლოდ ნაცისტურ დოკუმენტებს და არც ერთი საკუთარი თავის პატივისმცემელი ისტორიკოსი არ იფიქრებს დაამყაროს თავისი მსჯელობა დოკუმენტებზე, რომლებიც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამბებს მხოლოდ ცალმხრივად აშუქებენ“. ასევე აკრიტიკებს სახელმწიფო დეპარტამენტს ამერიკული გაზეთი „პ. მ“. გაზეთი იძულებულია აღიაროს, რომ ჰიტლერი არარაობას წარმოადგენდა „ამერიკული დოლარების წვიმის გარეშე, რომელმაც გაანაყოფიერა ჰიტლერული გერმანიის მძიმე მრეწველობა“, რომ ის არარაობა იქნებოდა „უჩემბერლენოდ და მიუნხენის პაქტის გარეშე“. „ჩიკაგო სან ენდ ტაიმსის“ მიმომხილველმა 16 თებერვალს დაახასიათა სახელმწიფო დეპარტამენტის გამოცემა, როგორც ცდა — „რედაქცია გაუკეთდეს ისტორიას პროპაგანდის მიზნით“. მან აღნიშნა, რომ 2 მილიონი დოკუმენტიდან, რომლებიც ნადავლად ჩაუვარდა ხელში ამერიკელ ხელისუფალთ, მათ გამოაქვეყნეს მხოლოდ 260. იგი წერს: „ამერიკელი ოფიციალური პირები კერძო საუბარში აღიარებენ, რომ ნაცისტური საგარეო საქმეთა სამინისტროს დოკუმენტთა სრული პუბლიკაცია მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა ინგლისს და საფრანგეთს“. ქვევით ჩვენ დავინახავთ, რომ ეს მიმომხილველი მართალს ამბობს. „ჩიკაგო სან ენდ ტაიმსი“ მოუწოდებს სახელმწიფო დეპარტამენტს „შესწყვიტოს ისტორიაში შესწორებათა შეტანის ცდები“. ცხადია, რომ ამ პუბლიკაციაში ჩვენ საქმე გვაქვს შესწორებასთან კი არა, არამედ უხეშ ფალსიფიკაციასა და ჭორთან. „ნიუ იორკ ჰერალდ ტრიბუნს“ მხოლოდ ისღა დარჩენია აღიაროს, რომ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს დოკუმენტებში უეჭველად არის „სიმართლის ნაწილიო“. ინგლისელი და ფრანგი ჟურნალისტები იმპერიალისტური პრესის ბანაკიდან სრულიად დაიბნენ. გაზეთმა „მონდმა“ აღარ იცოდა რა ეთქვა და ყალბი სასოწარკვეთილებით შენიშნავდა: „რისკენ მიისწრაფვიან ამ ქაღალდის ომს რომ აწარმოებენო“? „ფრანს პრესი“, საფრანგეთის მთავრობის ეს ნახევრად ოფიციოზი, აღნიშნავდა, რომ „სახელმწიფო დეპარტამენტს არ გაუწევია ფრანგებთან კონსულტაცია, როდესაც ამ დოკუმენტებს აქვეყნებდაო“. ინგლისურ „ტაიმსსაც“ არავითარი არგუმენტი არა აქვს, რომ რაიმე სთქვას საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს წინააღმდეგ და ამართლებს თავის ოკეანისიქითა მოკავშირეებს, იმით, რომ „ისინი მოქმედებდნენ მეტისმეტი აღგზნებულობის პირობებშიო“. ხოლო აღგზნებულობა ვერ არის მაინცდამაინც დადებითად დამახასიათებელი თვისება საგარეო საქმეთა გამგებელთათვის. ალბათ, ამ „აღგზნებულობით“ ახსნის „ტაიმსი“ მომავალში, ტრუმენისა და მარშალის სისტემატურ მარცხს, რომელიც მათ განიცადეს საგარეო პოლიტიკის ასპარეზზე ამ უკანასკნელ ხანში, განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხების გარკვევისას და პალესტინის პრობლემის მოგვარებაში.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობამ ინგლისელ მმართველ წრეებშიც სრული დაბნეულობა შეიტანა. ერთხანს ბევრი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ამერიკელებმა მათ დაუკითხავად გამოაქვეყნეს დოკუმენტები. მაგრამ ინგლისის საგარეო საქმე-

თა სამინისტროს წარმომადგენელი იძულებული იყო ბოდიში მოეხადა, როდესაც მას გაახსენეს, რომ ბევინმა 1948 წლის 4 თებერვალს ჩერჩილის შეკითხვაზე უპასუხა, ამერიკელები ინგლისელების თანხმობით აქვეყნებდნენ დოკუმენტებსო. 1945 წელს საბჭოთა მთავრობამ მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობას ერთობლივ დაემუშავებინათ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მასალები. მაშინ ამერიკელებმა, ინგლისელებმა და ფრანგებმა უარყვეს ჩვენი მთავრობის ეს წინადადება. საბჭოთა საინფორმაციო ცნობის გამოქვეყნების შემდეგ ბევინმა პარლამენტში განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადება, გარდა იმისა, რომ ის „არადროული იყო“, მიუღებელი იყო აგრეთვე იმის გამოც, რომ ეს ფორეინ ოფისის არქივში უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლების დაშვების უჩვეულო პრეცენდენტს ქმნიდაო, თუმცა აშკარაა, რომ ჩვენი მთავრობა ფორეინ ოფისის არქივებში დაშვებას კი არ მოითხოვდა, არამედ ნადავლი მასალის ერთობლივ დამუშავებას. ბევინს ყოველივე ამის მოტანა მისთვის დასჭირდა, რომ არავითარი ლოგიკური არგუმენტი არ გააჩნდა დაერღვია „ცნობის“ ურყევი და უტყუარი მასალები. როგორც ეტყობა, ბევინი ისევე „აღგზნებული“ იყო, როგორც მისი ამერიკელი კოლეგები. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მთელი პროგრესული კაცობრიობა მიესალმა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობას. დადებითი შეფასება მისცა ამ ცნობას სპეციალურ განცხადებაში „საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეგობრობის ნაციონალურმა საბჭომ“. განცხადებაში ნათქვამია: „მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირი, მიუხედავად იმისა, რომ ნეიტრალური იყო, აიძულებდა გერმანიას შეებოჭა მრავალი არმია აღმოსავლეთის საზღვრებზე და ავიაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, ჩვენ ვგზავნიდით რკინას იაპონიაში და გერმანულ-ამერიკულ კარტელურ შეთანხმებათა საშუალებით ვამარაგებდით ნაცისტებს უახლესი მეცნიერული ფორმულებით სინთეტიკური ბენზინის, კაუჩუკის და სხვა მნიშვნელოვანი სამხედრო მასალების საწარმოებლად. ჩვენ ხელსაყრელ ვაჭრობას ვაწარმოებდით ფაშისტურ იტალიასთან, ვუგზავნიდით ბენზინს, ნავთს, საჭურველს და სხვა მნიშვნელოვან მასალას ფაშისტ ფრანკოს, რომელიც ყოველივე ამას თავის მეგობრებს, ღერძის სახელმწიფოებს გადასცემდა“.

აღმოსავლეთის ფრონტის არსებობაზე ჯერ კიდევ სამამულო ომის დაწყებამდე ჩერჩილიც ლაპარაკობდა; ისიც იძულებული იყო ეღიარებინა, რომ თუმცა გერმანია-საბჭოთა კავშირი ომის მდგომარეობაში არ იმყოფებიან, მაგრამ გერმანიას აღმოსავლეთის საზღვრებზე ისეთი ძლიერი სახელმწიფოს არმიები ეგულება, რომ ეს ხელს უშლის მას უფრო აქტიური სამხედრო ოპერაციები აწარმოოს დასავლეთის ფრონტზე და კერძოდ რეალურად იფიქროს ბრიტანეთის კუნძულებზე შემოსევაზეო. და მართლაც, ამ აღმოსავლეთის ფრონტმა გადაარჩინა ბრიტანეთი გერმანელთა შესევისაგან 1940 წელს. ნიურენბერგის პროცესზე გამოაშკარავდა, რომ 1940 წლის ბოლოს ჰიტლერმა უკუაგდო ინგლისში შესევის გეგმა, „ზღვის ლომის“ გეგმა შეცვლილი იყო „ბარბაროსას გეგმით“. რით უნდა ავხსნათ ჰიტლერის მთავარსარდლობის სტრატეგიული გეგმების ასეთი კარდინალური ცვლილება? რასაკვირველია, იმ გარემოებით, რომ მათ აღმოსავლეთის საზღვრებზე ეგულებოდათ ძლიერი საბჭოთა სახელმწიფო და მისი შეიარაღებული ძალები.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობაში ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა მთავრობის განკარგულებაშია დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტაცია, რომელიც საბჭოთა ჯარებმა ხელთ იგდეს ჰიტლერული გერმანიის განადგურებისას და რომელთა გამოქვეყნება დაგვეხმარება სწორად გავაშუქოთ ჰიტლერული აგრესიისა და მეორე მსოფლიო ომის მომზადებისა და განვითარების ნამდვილი მიმდინარეობა... საიდუმლო დოკუმენტები, რომლებიც ამ საკითხს შეეხება, უახლოეს ხანაში გამოქვეყნდებაო.[1]

ამ რამოდენიმე ხნის წინათ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა „მეორე მსოფლიო ომის წინახნის დოკუმენტებისა და მასალების“ პირველი და მეორე ტომი. კრებულები შეიცავს დოკუმენტებს და მასალებს, რომლებიც შეეხება 1937 წლის ნოემბრიდან მოყოლებული — 1939 წლის ჩათვლით მომხდარ საერთაშორისო საქმეებს. ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის და საფრანგეთის მთავრობები წავიდნენ დოკუმენტების სეპარატულ გამოცემაზე საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გარეშე, საბჭოთა მთავრობამაც კანონიერად ჩათვალა თავის მხრივ გამოაქვეყნოს ის საიდუმლო მასალები, რომლებიც ნადავლის სახით ხელში ჩაუვარდათ საბჭოთა ჯარებს ბერლინში შესვლის შემდეგ. კრებულებში, რომლებიც ამ მასალათა პუბლიკაციის მხოლოდ ორ ტომს შეიცავს, მოთავსებულია ჩანაწერები ჰიტლერის, რიბენტროპის და გერმანიის მთავრობის სხვა წარმომადგენელთა საუბრებისა უცხოელ პოლიტიკურ წარმომადგენლებთან, მოხსენებანი და სხვა დოკუმენტები, რომლებიც შეეხება იმ მოლაპარაკებას, რასაც გერმანიის მთავრობა უცხო მთავრობებთან აწარმოებდა. გარდა ამისა კრებულებში შეტანილია სხვა დოკუმენტებიც, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ ამ ტომებში მოთავსებულ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის დოკუმენტებთან.

ამრიგად, კრებულებს არ ახასიათებს ცალმხრიობა და მათში მოყვანილი გერმანული დოკუმენტები შევსებულია სხვა დოკუმენტაციით. რომელიც მრავალმხრივ აშუქებს საკითხებს. აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ეგრეთწოდებული კრებული მხოლოდ გერმანულ დოკუმენტებს შეიცავს და ისიც მეტწილად გერმანელ მოხელეთა მემუარებს და საუბართა ჩანაწერს. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ინიციატივა დოკუმენტების სეპარატული გამოქვეყნებისა მარტო იმით კი არ აიხსნება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული ხელმძღვანელი წრეები ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებას ცდილობენ, არამედ იმითაც, რომ ამერიკული ვერსიით, შეერთებული შტატები თითქოს არ ღებულობდა უშუალო მონაწილეობას მეორე მსოფლიო ომის წარმოშობის საქმეში: „ჩვენ განზე ვიდექით, ამიტომ დოკუმენტთა პუბლიკაცია ჩვენ ავტორიტეტს უშუალოდ არ შებღალავსო“. თუ რამდენად

[1] ისტორიის ფალსიფიკატორები, (ისტორიული ცნობა) გამომცემლობა „კომუნისტი“, გვ. 7 — 8.

ყალბია ეს პოზიცია, ჯერ კიდევ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობაში იყო მხილებული. ამ ცნობის პირველ თავში „როგორ დაიწყო გერმანიის აგრესიის მომზადება“ დიდი მასალა იყო წარმოდგენილი, რომელიც ააშკარავებდა ამერიკული ტრესტებისა და მონოპოლიების როლს გერმანიის შეიარაღების საქმეში და მეორე მსოფლიო ომის სამზადისში. მაგრამ ამერიკის მონოპოლიების და ტრესტების მარტო ეკონომიურ პოლიტიკაში როდია საქმე. სწორედ შეერთებულ შტატების კონგრესმა 1935 წელს მიიღო კანონი ნეიტრალიტეტის შესახებ, რომელშიაც ფაქტიურად პირველად იყო ჩამოყალიბებული „ჩაურევლობის პოლიტიკის“ პრინციპები. ნეიტრალიტეტის კანონი შემდეგ გაფართოებული და გავრცობილი იყო. ეს მოხდა ესპანეთში სამოქალაქო ომის დროს. უნდა ითქვას, რომ ჩემბერლენი და დალადიე მხოლოდ ბაძავდნენ „ჩაურევლობის პოლიტიკაში“ თავის ამერიკელ რეაქციონერ მასწავლებლებს.

მართლაც, როგორ მოხდა, რომ 1914 — 1918 წლებში დამარცხებული გერმანია ფენიქსებრ განახლებული აღდგა და 1939 წელს შესძლო ახალი ომის გაჩაღება? 1918 წლის ვერსალის ხელშეკრულების ძალით გერმანიამ დაკარგა 13 პროცენტი თავის ომამდელი ტერიტორიისა და 10 პროცენტი მოსახლეობისა. მან დაკარგა სახნავი მიწის 14,6 პროცენტი; დაკარგულ ტერიტორიაზე მოიპოვებოდა 74,5 პროცენტი რკინის მადნისა. 68 პროცენტი თუთიასი, 26 პროცენტი ნახშირისა, გერმანიას ჩამოართვეს ელზასი. ამას მოჰყვა მსოფლიო მონოპოლიის დაკარგვა პოტაშის წარმოების დარგში; გერმანიას საფეიქრო მრეწველობის თითქმის ნახევარი დაეკარგა. გერმანია დარჩა სამხედრო და ნაწილობრივ სავაჭრო ფლოტის გარეშე. მან გამარჯვებულთ გადასცა ათასი ორთქლმავალი, ათიათასობით რკინიგზის ვაგონები. გერმანიამ დაკარგა უმეტესი ნაწილი თავისი კაპიტალისა, რომელიც მან ინვესტირებული ჰქონდა სხვადასხვა ქვეყანაში. მისი კოლონიები გამარჯვებულებმა წაიღეს. მას უნდა გადაეხადა უზარმაზარი რეპარაციები. მიუხედავად ყოველივე ამისა, გერმანიის ექსპორტი 1927 წელს უკვე ომამდე არსებულ დონეზე ავიდა, ხოლო 1929 წელს 34 პროცენტით გადააჭარბა 1913 წლის ექსპორტის დონეს. რით აიხსნება ყოველივე ეს? პირველ რიგში, ამერიკის მონოპოლიების პოლიტიკით. პირველი სესხი, რომელიც გერმანიას ეგრეთწოდებულ დაუესის გეგმით მიიღო, 200 მილიონ დოლარს უდრიდა. საერთოდ გერმანიამ 1924 წლიდან 1928 წლამდე სესხად მიიღო 18 მილიარდი ოქროს მარკა, 1931 წლისათვის კი ეს სესხი 25 მილიარდ ოქროს მარკამდე ავიდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეგრეთწოდებული „მარშალის გეგმის“ მიხედვით, რომელმაც თითქოს პოლიტიკურად და ეკონომიურად უნდა აღადგინოს 16 ევროპული სახელმწიფო და „გადაარჩინოს ისინი კომუნიზმისაგან“, ამერიკის შეერთებული შტატებისაგან თექვსმეტი თვის მანძილზე მიიღებენ მხოლოდ 5 მილიარდ დოლარამდე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯერჯერობით ეს ლიტონი დაპირებაა; რეალურად „ევროპის მარშალის გეგმის ქვეყნებს ამხანად მხოლოდ რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის ნაყარნუყარი საქონელი გამოუგზავნეს. ჩვენ აქ არ ვეხებით „მარშალის გეგმის“ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მხარეს: ამ „გეგმამ“ მარტო ევროპა კი არ უნდა გადაარჩინოს, არამედ პირველ რიგში თვით შეერთებული შტატები უნდა იხსნას ულმობელი ეკონომიური კრიზისისაგან. მაგრამ შეერთებულმა შტატებმა 5 მილიარდი დოლარის საქონელიც რომ შემოზიდოს ევროპაში, კრი-

ზისისაგან თავს მაინც ვერ იხსნის, 5 მილიარდი დოლარის საქონელი უმნიშვნელო რამ არის შეერთებული შტატების ჭარბად დაგროვებულ საქონლის მარაგში. შეერთებულ შტატებს რომ შესძლებოდა 30 ან 40 მილიარდი დოლარის საქონლის გამოზიდვა, ამ შემთხვევაში, შესაძლებელია მათ დროებით მაინც გადაეწიათ ეკონომიური კრიზისის დაწყების ვადები. ხოლო სად შეუძლია გაღატაკებულ ევროპას და გაჩანაგებულ მრავალ ქვეყანას აზიაში შთანთქოს 20 — 40 მილიარდ დოლარის საქონელი? ცხადია, რომ „მარშალის გეგმა“ ვერც ევროპას და მით უმეტეს ვერც შეერთებულ შტატებს ვერ გადაარჩენს ეკონომიური კრიზისისაგან.

თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი გერმანული მონოპოლია და კარტელები, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებაში, დაკავშირებული იყვნენ საკარტელო შეთანხმებებით ამერიკულ კორპორაციებთან. „დიუპონ-დე-ნემური“, „სტანდარდ-ოილ“, „ჯენერალ-ელექტრიკ“, „ჯენერალ მოტორს“ და ბევრი სხვა კორპორაცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული გერმანულ მონოპოლიებთან. „სტანდარდ-ოილ ოფ ნიუ-ჯერსი“ ჯერ კიდევ 1927 წელს დაუკავშირდა გერმანულ კონცერნს „ი. გ. ფარბენინდუსტრის“, მელონის ალუმინის კომპანიაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული „ი. გ. ფარბენინდუსტრ“-ისთან, „ჯენერალ ელექტრიკ“-ის „ვესტინგაუზ და ალის ჩალმერს“ — ფირმები, რომლებიც მორგანს, მელონსა და როკფელერს ეკუთვნოდნენ, დიდი ხნის მოკავშირენი იყვნენ გერმანიის ელექტროტექნიკური ტრესტების—„აეგ“-ის, „სიმენს-შუკერტ“-ის და „სიმენს ჰალსკე“-სი. კარტელური შეთანხმებით იყვნენ დაკავშირებული კარლ ცეისი და ამერიკული ფირმა „ბაუშ ენდ ლომბი“. ეს შეთანხმება ითვალისწინებდა სამხედრო ოპტიკის წარმოებას, მაგალითად, პერისკოპებს წყალქვეშა ნავებისათვის. ამერიკელების დახმარებით კრუპის კონცერნმა შესძლო გერმანიის ტერიტორიის გარეშე შეექმნა საიდუმლო ლაბორატორიები შეიარაღების ახალი ტიპების დასამუშავებლად.

საავიაციო ფირმებმა ასეთივე ქარხანა-ლაბორატორიები შექმნეს ჰოლანდიაში, შვეიცარიაში, ესპანეთში. გერმანელ კონცერნებს დიდი შესაძლებლობა ჰქონდათ თავისი ფილიალების შექმნისათვის თვით შეერთებულ შტატებში.

ამერიკის საავტომობილო ტრესტებმა შეუქმნეს მატერიალური ბაზა გერმანიის ჯარის მოტორიზაციას. ჰიტლერის დიქტატურის დროს გერმანიაში არსებობდა ამერიკული ავტომობილური კონცერნების „ჯენერალ მოტორს“-ისა და ფორდის ფილიალები. „ჯენერალ მოტორს“-ს ეკუთვნოდა ცნობილი ავტომობილური ფირმა „ადამ ოპელი“. „ჯენერალ მოტორსის“ კომპანიის თავმჯდომარე ალფრედ პ. სტოუნი 1939 წლის 6 აპრილს სწერდა ერთერთ აქციონერს:

„ჯენერალ მოტორსი, საერთაშორისო ორგანიზაციაა... მრავალი წლის წინათ კომპანიამ დიდი თანხა დააბანდა ადამ ოპელის საქციონერო საზოგადოების წარმოებებში... კომპანია კონტროლს უწევს გერმანიის საავტომობილო წარმოების თითქმის 50 პროცენტს“. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ეს კარტელური შეთანხმებანი არ დარღვეულა მას შემდეგაც, რაც შეერთებულმა შტატებმა ომი გამოუცხადეს გერმანიას. სხვათა შორის, აღსანიშნავია ერთი ფაქტი. ცნობილია, რომ ამერიკის ავიაცია გააფთრებით ბომბავდა ომის დროს რურის სამრეწველო რაიონს, კერძოდ ქალაქ კელნის მიდამოებს. ომის შემდეგ გამოირკვა, რომ კელნის ახლოს მდებარე ფორდის

ქარხანა სრულიად ხელუხლებელი დარჩა და ომის დროს შეუწყვეტლად ამარაგებდა ჰიტლერულ არმიას მოტორებითა და ავტომანქანებით, ეს ქარხანა ომის დამთავრების პირველ დღესავე შეუდგა მოტორებითა და მანქანებით ამერიკის და ინგლისის საოკუპაციო ჯარების მომარაგებას. ამერიკულმა მონოპოლიებმა ახალი ძალ-ღონე შემატეს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დასუსტებულ გერმანულ ტრესტებს, კონცერნებსა და კარტელებს, და ამით ხელი შეუწყვეს გერმანიის ფაშიზაციას.

კრუპმა, შახტმა და გერმანიის კაპიტალის გაერთიანებათა სხვა ხელმძღვანელებმა ჯერ მოამზადეს ნიადაგი გერმანიის ფაშიზაციისათვის და შემდეგ ხელისუფლება გადააბარეს ჰიტლერს. 1931 წელს შახტმა შეერთებულ შტატებში იმოგზაურა, ის უოლ-სტრიტის გამგებლებს სთხოვდა, რომ მათ მხარი დაეჭირათ ჰიტლერისათვის. ამერიკელი ბანკირები 1931 — 1932 წ. წ. ბერლინში ჩამოვიდნენ. ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ „ხელისუფლების სტაბილიზაციას". აქ შემხვედრი გეგმები მოქმედებდნენ. შახტი შეერთებულ შტატებში და ამერიკელი ბანკირები გერმანიაში ერთს საქმეს აკეთებდნენ, ხელს უწყობდნენ ჰიტლერის გაბატონებას და მაშასადამე მეორე მსოფლიო ომის საწინდრებს ქმნიდნენ. მკითხველმა კარგად იცის, რა მოჰყვა ყოველივე ამას. ძნელი გასარჩევია გერმანული თუ ამერიკულია საბანკო კონცერნი შრედერი. ამერიკულ შრედერებთან ინგლისში დაკავშირებული იყო ინგლისის ბანკი და ინგლის-ირანული ნავთის კომპანია. ცნობილია ამასთან, რომ ამერიკელ შრედერებთან დაკავშირებულია ჯონ-ფოსტერ-დალესი, განთქმული რეაქციონერი და ამჟამად მარშალის პირველი მრჩეველთაგანი. ცნობილია აგრეთვე რომ ეს დალესი საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდა გერმანელებთან 1943 წელს, რომელსაც ჩვენი ხალხი სისხლისმღვრელ ბრძოლებს ეწეოდა გერმანელ-ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ. იგი 1943 წლის დასაწყისში შეხვდა ჟენევაში გრაფ მაქს გოგენლოეს. ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდა ამერიკელი დიპლომატი გარისონი. სწორედ დალესმა განუცხადა გოგენლოეს, რომ ის თანახმაა დაუტოვოს გერმანიას ავსტრია, რომ ის „დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს ჩეხოსლოვაკიის საკითხს" და რომ ის „საერთოდ თანახმაა" დიდი გერმანიის „არსებობისა". დალესი შემდეგ გადავიდა „ებრაულ საკითხზე" და ფაქტიურად გაამართლა ჰიტლერელთა შხეცობანი ებრაელთა წინააღმდეგ. დალესმა უთხრა გოგენლოეს, რომ „შუა ევროპის კეთილგანწყობილ მოსახლისათვის სრულიად შეუწყნარებელი იქნება ფიქრიც კი იმაზე, რომ ებრაელები კვლავ ოდესმე დაბრუნდებიანო". აი ეს დალესია, ახლა რომ წარმართავს შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მრავალ ასპექტს. გერმანიის დამარცხების შემდეგ ამერიკულ ჯარების მთავარსარდლის მრჩევლად ეკონომიურ საკითხებში დანიშნული იყო გენერალი დრაიპერი, საბანკო კონცერნის „დილონ რიდ ენდ კომპანი"-ს ვიცე-პრეზიდენტი. ეს ხომ ის საბანკო კონცერნია, რომელიც უშუალოდ იყო დაკავშირებული გერმანულ ბანკებთან. შეერთებული შტატების ტრუმენის მთავრობის თავდაცვის მინისტრი ფორესტოლი ამ საბანკო კონცერნის ერთ-ერთი დირექტორია. ცნობილი ავერელ ჰარიმანი, ყოფილი ელჩი საბჭოთა კავშირში, ახლა რომ ახალი მსოფლიო ომის გამჩაღებელთა შორის პირველ რიგში დგას, დაკავშირებული იყო კონცერნ „ჰარიმან ბრაუნ ბრაზერს" და „ჰარიმან ენდ კომპანი"-ს საშუალებით კუნ-ლებეს-ბანკთან. ეს

ბანკი კი ვარბურგების შემწეობით ახლო იდგა ჰამბურგის ძლიერ და ყოვლის შემძლე ფინანსიურ წრეებთან. ალბათ უნდა დავუჯეროთ შეერთებული შტატების გენერალური პროკურორის თანაშემწეს არნოლდს, რომელმაც შტატ ილინოისში 1942 წლის 3 ივნისს თავის სიტყვაში სთქვა „ვიწრო ჯგუფი ამერიკელ ბიზნესმენებისა, რომლებიც საერთაშორისო შეთანხმებათა მონაწილენი არიან, ფიქრობს, რომ ომი მხოლოდ დროებით შესწყვეტს საქმიან დამოკიდებულებას ძლიერ გერმანიასთან. ის დარწმუნებულია, რომ როდესაც ომი დამთავრდება, დაიწყება ძველი თამაში... მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გააგრძელოს თავისი საქმიანობა მძლავრ გერმანიასთან ომის შემდეგაც“. ყოველივე ამის შემდეგ შეუძლებელია იმაზე ლაპარაკი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული იმპერიალისტური ჯგუფები გერმანული აგრესიის მომზადების უშუალო მონაწილენი არ ყოფილიყვნენ. კიდევ მეტი, მათი ხელისშეწყობის გარეშე გერმანიის ფაშიზმი ვერასოდეს ვერ დაიწყებდა მეორე მსოფლიო ომს. დალესებმა, ჰუვერებმა, მორგანებმა, როკფელერებმა, დიუპონებმა ფეხზე დააყენეს გერმანიის მძიმე ინდუსტრია — ეს საფუძველი მისი სამხედრო ძლიერებისა. განა ახლაც არ სურთ იგივე განიმეორონ? დალესი ახლაც ხომ ზრუნავს რურის აღდგენისათვის, — რომელიც, თურმე, „ევროპის“ ეკონომიური ცხოვრების ნორმალიზაციის ერთადერთი საწინდარია“. გერმანიის იმპერიალისტების ორგზის დამარცხების შემდეგ ამერიკული მონოპოლიები კვლავ იწყებენ ძველ თამაშს. მათ უკვე შეიმუშავეს გერმანიის იმპერიალიზმის აღდგენის გეგმა. შარშან ზაფხულში კონიუკტურულ გამოკვლევათა ბერლინის ინსტიტუტის დირექტორმა დოქტორმა ფრიდეხსბურგმა განსაზღვრა გერმანიის ეკონომიკის აღსადგენად საჭირო თანხა. მისი გამოანგარიშებით, საჭიროა 5 — 6 მილიარდი დოლარი. ეს ზუსტად ის თანხაა, რომელიც უოლსტრიტმა მისცა გერმანიას პირველ ომში დამარცხების შემდეგ.

აღგზნებულმა ამერიკელმა დიპლომატებმა, ალბათ, ვერ გაითვალისწინეს, როდესაც თავის ნაყარნუყარ დოკუმენტებს აკოწიწებდნენ, რომ ეს ფაქტები ცნობილია. ცხადზე უცხადესია, შეერთებულ შტატებს რომ არ დაეფინანსებინათ გერმანიის მრეწველობა, შეუძლებელი იქნებოდა მეორე მსოფლიო ომი, რომელიც თითქმის ექვს წელს გაგრძელდა და მილიონობით მსხვერპლი შეიწირა. ამ დებულების ცხადად მაჩვენებელ მასალებს სახელმწიფო დეპარტამენტი, რასაკვირველია, შორს გადამალავდა. რამდენიმე ხნის წინათ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მაკდერმოტმა აშკარად განაცხადა „ვაშინგტოს პოსტის“ წარმომადგენელთან საუბრის დროს, რომ მთელი რიგი დოკუმენტები არ იქნება გამოქვეყნებულიო. ჩვენთვის აშკარაა, თუ რა დოკუმენტები აქვს მხედველობაში მაკდერმოტს.

რა შედეგი მოჰყვა გერმანიის ეკონომიური ძლიერების აღდგენას? 1935 წლის მარტში ჰიტლერმა უკუაგდო ვერსალის ხელშეკრულების მეხუთე კარი, რომელიც დამარცხებული გერმანიის განიარაღებას გულისხმობდა და გამოაცხადა მუდმივი გერმანული ჯარის აღდგენა 36 დივიზიის შემადგენლობით. რით უპასუხა, მაგალითად, ინგლისმა ვერსალის ხელშეკრულების ცალმხრივ დარღვევას და ისიც ასეთ გადამწყვეტი მნიშვნელობის სფეროში? წაყრუებით. 1935 წლის 18 ივნისს ინგლისმა ხელი მოაწერა სეპარატიულ საზღვაო ხელშეკრულებას გერმანიასთან და მას თანხმობა მისცა გერმანიის ფლოტის გადიდებაზე.

1936 წლის 7 მარტს გერმანიის ჯარებმა დაიკავეს რაინის დემილიტარიზებული ზონა, მაგრამ რჩებოდა ლოკარნოს პაქტი, რომელიც კატეგორიულად კრძალავდა რაინის ზონის გამაგრებას. ეს პაქტიც დაარღვია ჰიტლერმა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების ყოველგვარი ეფექტური პროტესტის გარეშე. ფრანგებმა თითქოს მოინდომეს ჰიტლერის მადის შეკვეცა და საბჭოთა კავშირთან დასდეს ურთიერთ დახმარების პაქტი. ეს მოხდა 1935 წლის 2 მაისს. ცნობილია, თუ რა ბედი ეწია ამ პაქტს. საფრანგეთის მთავრობამ ყოველი ღონე იხმარა, რომ პაქტი არ ყოფილიყო რატიფიცირებული პარლამენტისა და სენატის მიერ. მაშინდელი საფრანგეთის ელჩი ბერლინში ფრანსუა პონსე ახლახან გამოქვეყნებულ მემუარებში აღნიშნავს: „ჰიტლერმა გაიგო, რომ ინგლისის მთავრობა მაინცდამაინც დადებითად არ უყურებს საფრანგეთისა და ბოლშევიკური რუსეთის დაახლოებას და მან იცოდა, რომ ამ მხრიდან მას დახმარებას გაუწევენ". იგივე პონსე მოგვითხრობს, რომ 21 ნოემბერს (1935 წ.) მან ინახულა ჰიტლერი და უთხრა მას, პაქტში ნავარაუდევიც კი არ არის გერმანიის გამღრიცხვა ან მისი გარემოცვაო". რა აზრი ჰქონდა ამის შემდეგ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთდახმარების პაქტს? გათამამებული ჰიტლერი ახალახალ აგრესიულ ნაბიჯებს დგამს. ის რჩება რაინის დემილიტარიზებულ ზონაში, ამაგრებს მას და სამი წლის შემდეგ სწორედ რაინიდან უტევს საფრანგეთსა და ბელგიას. როდესაც ჰიტლერი რაინის ზონაში შევიდა, საფრანგეთსა და ინგლისში გაისმოდა ხმები, რომლებიც მოუწოდებდნენ ძალადობაზე ძალითვე ეპასუხნათ და ეგრძნობინებინათ ჰიტლერისათვის, რომ, თუ საჭირო იქნება, სამხედრო მოქმედებასაც მიმართავენ. საფრანგეთის ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი ერრე მანდელი კატეგორიულად მოითხოვდა [illegible] ძინისტრ საროსაგან აქტიურ მოქმედებას გერმანიის წინააღმდეგ. ამ აქტიურ პოლიტიკას წინააღუდგნენ გენერლები და პირველ რიგში გენერალური შტაბის უფროსი გამელენი. გენერალი დიუვალი „ჟურნალ დე დებაში" წერდა: „ჩვენ (ე. ი. ფრანგებს — ვ. მ.) გვყავს მხოლოდ 26 დივიზია, გერმანელებს კი 1936 წლის ბოლოს 36 დივიზია ეყოლებათო". მართლა, ასე ძლიერი იყო გერმანია, რომ ფრანგებს არ შეეძლოთ წინააღდგომოდნენ რაინის ზონის მილიტარიზაციას? მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამოქვეყნებული მასალები ყოველგვარ ეჭვს აქარწყლებს ამ მხრივ. მდგომარეობა სულ საწინააღმდეგო იყო. ჰიტლერის პოლიტიკა წმინდა წყლის ავანტიურას წარმოადგენდა. აი რას მოგვითხრობს ამის შესახებ ჰიტლერთან ახლომდგომი გენერალი ბლომბერგი: „ჰიტლერმა 1936 წლის თებერვალს მე მითხრა რაინის ზონის ოკუპაციის შესახებ: „მე შევშფოთდი. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ საფრანგეთი არ მოგვცემდა რაინის ზონის რეოკუპაციის შესაძლებლობას და სამხედრო ზომებით უპასუხებდა მას. ამავე აზრისა იყვნენ რედერი და გერინგი. მაგრამ ფიურერმა დაგვარწმუნა, საფრანგეთი არ გამოვაო, და თუ მართლაც თქვენი შიში გამართლდება და მდგომარეობა სახიფათო შეიქმნება, მე მანქანას უკანა სვლაზე გადავიყვან და რაინს აქეთ დავიხევო". იმდროინდელი გერმანიის მდგომარეობის შესახებ გენერალი იოდლი ნიურენბერგის პროცესზე ასე ამბობდა: „ჩვენ იმ მოთამაშის მდგომარეობაში ვიყავით, რომელიც უკანასკნელ კარტს ჩამოდის. გერმანიის არმია მაშინ თავისი სისუსტის მაქსიმალურ მომენტს აღწევდაო". გენერალი ბლომბერგი დასძენს: „არმია მეტად სუსტი იყო, მას არ შეეძლო ეფიქრა

ავიაციის რაიმე მხარდაჭერაზე. ერთადერთი თვითმფრინავი, რომელსაც ბომბის თან წაღება შეეძლო, იყო „იუნკერს 52“, მაგრამ ის მეტად ნელმავალი იყო“.

ამასვე ამოწმებს სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცემულ „მეორე მსოფლიო ომის წინახანის დოკუმენტები და მასალები“-ს მეორე ტომში მოთავსებული გერმანიის პარიზელი ელჩის გრაფ ველჩეკის წერილები გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ნეირატთან: „მე არ ვიცი, — სწერს ის ნეირატს 1936 წლის 26 დეკემბერს, — რამდენ ხანს გავუძლებთ და სანამდე შეიძლება გავუძლოთ ჩვენ პირისპირ მდგომ დიდ მსოფლიო სახელმწიფოებს შეიარაღების საქმეში შეჯიბრების მხრით. გერმანიას აკლია ვალიუტა და ნედლეული. ეს ნაკლი თანდათან გამომჟღავნდება და ამის შესახებ გაიგებენ ჩვენი მოწინააღმდეგენი“.

ელჩი რჩევას აძლევს ნეირატს „დიდი ტაქტიკური შეცდომა იქნებოდა არ დაგვეწყო მოლაპარაკება დროულად“-ო. ის განაგრძობს: „დრო ჩვენს სასარგებლოდ როდი მოქმედებს, რადგან ჩვენი და მოწინააღმდეგეთა შესაძლებლობანი შეიარაღების საქმეში თანდათან გამომჟღავნდება, და ჩვენს სასარგებლოდ კი არა, პირუკუ, ჩვენ საწინააღმდეგოდ“. ასეთ პირობებში ჰიტლერისათვის სასწაულებრივი ხასიათი ჰქონდა ბლუმისა და დელბოსის წინადადებას მოლაპარაკების დაწყების შესახებ ნაცისტურ გერმანიისათვის ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შესახებ.

„საფრანგეთ-გერმანიის დაახლოების პირობებში საფრანგეთ-რუსეთის ხელშეკრულება დაყვანილი იქნება რაპალოს ხელშეკრულების მნიშვნელობამდე. ეს გამოთქმა დელბოსმა იხმარა ჩვენი უკანასკნელი საუბრის დროს“— სწერს ვალჩეკი ბერლინში.

პარიზელი ელჩი განაგრძობს: „მე არაერთგზის გატყობინებდით, რომ ფრანგები, მიუხედავად — იმისა, რომ მათ მრავალჯერ იგემეს სილა, მაინც თანახმა არიან მოლაპარაკება აწარმოონ, რომ როგორმე მიაღწიონ ურთიერთგაგებას. ის გარემოება, რომ ისინი სილის მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ არ სთანხმდებოდნენ მეტად კარგ პირობებზე, ფსიქოლოგიურად გასაგებია. ახლა მდგომარეობა გამოიცვალა. ფიურერი კი არ უწვდის ხელს, არამედ ფრანგები გვიწვდიან ხელს ურთიერთობისათვის. სილანაჭამი იმას მიმართავს, ვინც მას სილა გააწნა“. ველჩეკი ურჩევს ნეირატს მიიღონ ლეონ ბლუმის წინადადება. ის ხაზს უსვამს: „ღირსშესანიშნავია ის ფაქტი, რომ შეთანხმების შესახებ წინადადება სახალხო ფრონტის მთავრობისაგან და ებრაელი პრემიერისაგან მოდის. ამის გამო მას თავს დაესხმიან მემარცხენეები, რომელთაც სურთ ბლუმისა და დელბოსის დემარში მათ ჩამოსაყენებლად გამოიყენონ. ჩვენი ინტერესია შევუნარჩუნოთ ხელისუფლება ამ ორ საღად მოაზროვნე პირს“. ყოველივე ამით გათამამებული ჰიტლერი თავხედობდა. როგორც ფრანგი ავტორი რაიმონ კარტიე სასწარკვეთილებით შენიშნავს, „რომ გამოჩენილიყო ერთი ფრანგული ასეული საზღვაო ბოძთან, ავტომატურად მოხდებოდა გერმანელების უკანდახევა და, შესაძლებელია, ჰიტლერის დაცემაც“.

მაგრამ ჰიტლერი, როგორც ეს შემდეგ არა ერთხელ მოხდა, სწორედ მათ გადაარჩინეს, ვინც ხელს უწყობდა მის აგრესიას.

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ახლად გამოქვეყნებული „დოკუმენტებისა და მასალების პირველი და მეორე ტომი შეეხება მიუნხენის გამცემლობის წელს, 1938 წელს, ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის

ძიტაცებას და იმ დახმარებას, რომელსაც დასავლეთის სახელმწიფოები უწევდნენ გერმანიას ამ ავაზაკურ საქმეებში. ჰიტლერი არა მარტო გერმანელი ფინანსიური მაგნატებისა და მონოპოლისტების კრეატურა იყო; დასავლეთის კაპიტალისტური ქვეყნების, პირველ რიგში ინგლისელი მმართველი წრეების, სიმპათიები მისდამი ახლა უკვე გამოაშკარავებულია. 1937 წლიდან ინგლისის მთავრობას სათავეში ჩაუდგა ნევილ ჩემბერლენი. მისი მთავარი ზრახვა იყო ფაშისტურ გერმანიასთან კავშირის დამყარება. კერძო წერილებში, რომლებსაც იგი თავისი ოჯახის წევრებს, კერძოდ დებს უგზავნიდა, ის არაერთგზის აღნიშნავს, რომ მას ევროპის საქმეების მოწყობის „საკუთარი გეგმა“ აქვს, რომ ამ გეგმის „რეალიზაციის შედეგი შორს გასცილდება თანამედროვე კრიზისის ფარგლებს და სრულ გადატრიალებას მოახდენს საერთაშორისო მდგომარეობაში“. რა სასწაულებრივი გეგმა დაებადა ნევილ ჩემბერლენს? გამოქვეყნებული დოკუმენტები სრულ პასუხს იძლევიან ამაზე.

ჯერ კიდევ 1937 წლის ნოემბერში ინგლისის მთავრობამ სპეციალური მისიით გაგზავნა ბერლინში ლორდ ჰალიფაქსი, მაშინ უსორტფელო მინისტრი, მომავალში კი საგარეო საქმეთა მინისტრი. ჰალიფაქსი შეხვდა ჰიტლერს. მან მას განუცხადა, რომ „იგი (ლორდ ჰალიფაქსი) და ინგლისის მთავრობის სხვა წევრები გამსჭვალულნი არიან შეგნებით, რომ ფიურერმა ბევრ რამეს მიაღწია არა მარტო თვით გერმანიაში, არამედ გერმანიაში კომუნიზმის მოსპობის შედეგად მან გზა გადაუღობა კომუნიზმს დასავლეთ ევროპაში, და ამიტომ გერმანია სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს დასავლეთის ბასტიონად ბოლშევიზმის წინააღმდეგ“. ეს იმდენად აშკარა განცხადებაა, რომ კომენტარი აქ ზედმეტია. ჩემბერლენის „ახალი გეგმის“ პირველი საწინდარი, როგორც ეტყობა, იმაში მდგომარეობდა, რომ ჰიტლერი გამოეცხადებინა პირველ ნომრად კომუნიზმთან ბრძოლის საქმისათვის მობილიზებულ ძალებში. ჰალიფაქსი განაგრძობს: „ინგლისის პრემიერ-მინისტრი იმ აზრისაა, რომ არსებობს სრული შესაძლებლობა მოიძებნოს გადაწყვეტილება აზრთა აშკარა გაცვლა-გამოცვლის გზით“. არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ჰიტლერმა უპასუხა, „რომ ოთხ დიდ სახელმწიფოს შორის შეთანხმების მიღწევა მას ადვილ საქმედ მიაჩნია“. ამ შემთხვევაში ჰიტლერი არ ცდებოდა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ამ ოთხი დიდი სახელმწიფოს“ სათავეში მაშინ იმყოფებოდნენ ჰიტლერი, მუსოლინი, ჩემბერლენი და ხან დალადიე, ხან ფლანდენი, ხან ბლუმი. ჩემბერლენს ეშვი არ ეპარებოდა, თუ ვის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული ეს შეთანხმება. ჰალიფაქსს არ სჭირდებოდა დროს დაკარგვა რათა, ეს ჰიტლერისათვის განემარტა. მას, ალბათ, კარგად ახსოვდა ჰიტლერის აღსარება: „ჩვენ იქიდან ვიწყებთ, რაზედაც ექვსი საუკუნის წინათ შევჩერდით. ჩვენ ვაჩერებთ გერმანელთა მუდმივ მისწრაფებას სამხრეთისა და დასავლეთ ევროპისაკენ და შევცქერით აღმოსავლეთის მიწებს“. ეს ხომ ის დედაბოძი იყო, რაზედაც აშენებდა ჩემბერლენი თავის გეგმას. მთავარი ამოცანა ის იყო, რომ გერმანიის აგრესია აღმოსავლეთისაკენ მიეგზავნებიათ. მით უმეტეს, რომ ჰიტლერი თვითონ აცხადებდა იქვე: „ჩვენ ხელს ვიღებთ ომამდელი დროის კოლონიურ და საგაჭრო პოლიტიკაზე და გადავდივართ მომავლის ტერიტორიალურ პოლიტიკაზე“. ჩემბერლენისთვის მთავარი სწორედ ის იყო, რომ მის კოლონიურ

იმპერიას ჰიტლერი თითქოს ხელს არ ახლებდა, თუ როგორ ატყუებდა აქ ჰიტლერი ინგლისელებს, ამაზე ქვევით გვექნება საუბარი. ამჟამად ჰალიფაქსისათვის წინაპირობა მოცემული იყო, კოლონიებს ჰიტლერი ხელს არ ჰკიდებსო. რას წარმოადგენდა ჰიტლერის „მომავლის ტერიტორიული პოლიტიკა?“ ჩვენ პირველ რიგში შეგვიძლია ვიფიქროთ მხოლოდ რუსეთზე და მის ხელქვეით მოსაზღვრე სახელმწიფოებზე“. თუ ვინმე დასწამებდა ჰიტლერს, რომ იგი თაღლითობს, როდესაც ერთი მხრივ ბისმარკის ლანდს ეთაყვანება და მეორე მხრით ყურს არ უგდებს მის რჩევას, რუსეთს თავი დაანებეთო, მას მზა პასუხი ჰქონდა: ეს ბისმარკის კონიუნქტურული მოსაზრება იყო, ახლა სხვა ვითარებაა. ახლა ბედი რუსეთისაკენ გვიჩვენებს გზასო. თუ რა ბედი ეწია მას, ახლა ყველამ იცის, მაგრამ მაშინ ჩემბერლენ-ჰალიფაქსი, კონსერვატორთა და ლეიბორისტთა მნიშვნელოვანი ჯგუფი დარწმუნებული იყო, რომ გერმანიის აგრესიის მიმართულება უკვე განსაზღვრულია. საქმე მაინც არც ისე უბრალოდ გამოიყურებოდა. პრინციპი განსაზღვრული იყო, მაგრამ მის განხორციელებას ისეთი რეალობა ეღობებოდა, რომლის დაძლევა იყო საჭირო. ჰიტლერი იწყებს ვაჭრობას. ის უჩივის ჰალიფაქსს: „ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ ინგლისსა და საფრანგეთში ვერ შერიგებიან იმას, რომ გერმანია, რომელიც ვესტფალის ზავის შემდეგ 250 წლის მანძილზე მხოლოდ თეორიული ცნება იყო და მეტი არაფერი, უკანასკნელი 50 წლის მანძილზე რეალობად იქცა“. პარტნიორები შეუდგნენ ერთმანეთის პოზიციის მოსინჯვას. ჰიტლერი პირდაპირ აღნიშნავდა და ჰალიფაქს მისთვის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია, რომ „ინგლისსა და გერმანიას შორის არსებითად მხოლოდ ერთი უთანხმოებაა — კოლონიური საკითხი“. მაგრამ ეს კოლონიური საკითხი ხომ იხსნებოდა დღის წესრიგიდან და ჰიტლერს ხელს უწყობდნენ აღმოსავლეთისაკენ მისწრაფებაში. ჰალიფაქსის და ჰიტლერის ეს საუბარი აქამდე სრულიად უცნობი იყო. ცნობილი იყო მხოლოდ, რომ ჰალიფაქსი 1937 წლის ნოემბერში ბერლინში ჩავიდა გერინგის მიერ მოწყობილ სანადირო გამოფენაზე. მის საიდუმლო მისიაზე გარდა ჰენდერსონის — ბერლინში ინგლისის ელჩის — მიკიბულ-მოკიბული განცხადებისა, მსოფლიომ არაფერი იცოდა.

როგორ უნდა დაწყებულიყო და პირველ რიგში საითკენ უნდა წარმართულიყო ეს აგრესია? ამის შესახებ ჰალიფაქსმა პირდაპირ უთხრა ჰიტლერს: „ყველა საკითხი შეეხება ევროპული წესრიგის ცვლილებებს, რომელიც ადრე თუ გვიან, ალბათ მოხდება“. რომელი ევროპული წესრიგი უნდა დარღვეულიყო? დანციგი, ავსტრია, ჩეხო-სლოვაკია — აი აგრესიის პირველი მსხვერპლი. ჰალიფაქსმა აღნიშნა: ინგლისი დაინტერესებულია მხოლოდ იმით, რომ ეს ცვლილებები მშვიდობიანი ევოლუციის გზით წარიმართოსო. თუ რას ნიშნავს მშვიდობიანი გზა ამ შემთხვევაში, ეს ყველასათვის გასაგები უნდა იყოს: ინგლისი აქეზებდა ჰიტლერს ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, დანციგის მიტაცებისაკენ. რა გასაკვირველია, თუ ამის შემდეგ ჰიტლერი შეუდგა ამ „ახალი გეგმის“ განხორციელებას. აღნიშნული საუბარი 1937 წლის ნოემბერში წარმოებდა. ჰიტლერთან მოლაპარაკება განაგრძო ინგლისის ელჩმა ბერლინში ჰენდერსონმა. მოლაპარაკება იმ ხაზით მიმდინარეობდა, როგორც ის ჰალიფაქსმა დაიწყო; ამ დროისათვის ე. ი. 1938 წლის დასაწყისში, ჰალიფაქსი უკვე

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, იყო და ჰენდერსონი, რასაკვირველია, ძის დირექტივებს ასრულებდა. ინგლისელებისაგან გათამამებული ჰიტლერი უკვე არ მალავს, რომ მისი უახლოესი აძოცანა „ანშლუსი", ე. ი. ავსტრიის შემოერთებაა. დირკსენი, გერმანიის ლონდონელი ელჩი, ცოტა უფრო მოგვიანებით 1938 წლის გაზაფხულზე, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჩემბერლენ-ჰალიფაქსის მთავრობისათვის „პირველი და მთავარი იყო და არის ტოტალიტარულ სახელმწიფოებთან შეთანხმება". აქამდე გაბატონებული იყო აზრი, თითქოს ინგლისმა არაფერი გააკეთა იმისათვის, რათა ხელი შეეშალა გერმანიისათვის ავსტრიის მიტაცების საქმეში. დოკუმენტების გამოქვეყნების შედეგად ირკვევა, რომ აქ ხელის შეშლაში კი არ იყო საქმე, არამედ ინგლისის მთავრობამ წინასწარი თანხმობა მისცა ჰიტლერს ანშლუსზე. ავსტრიის მიტაცებამ მეტად შეაშფოთა საზოგადოებრივი აზრი მთელ მსოფლიოში. ხალხები გრძნობდნენ, რომ ჰიტლერის ავანტიურ ზრახვებს საზღვარი არა აქვს. მალე ღრუბელი ჩამოწვა ჩეხო-სლოვაკიაზე. ინგლისის მთავრობა თავისი პოლიტიკით აქეზებს მიმტაცებელს. დირკსენი იწერება ლონდონიდან ბერლინში: „ინგლისის მთავრობა გერმანიის მიმართ იჩენს მაქსიმუმ გაგებიანობას..... ის მიუახლოვდა გერმანიის მოთხოვნის მთავარი პუნქტების გაგებას, რომელიც გამოიხატება ევროპის ბედის გადაწყვეტის საქმეებიდან საბჭოთა კავშირის თავიდან მოცილებაში". აქ თითქმის უკვე ყველაფერია ნათქვამი. და ასეთი ცნობის მიღების შემდეგ სრულიად აშკარაა, როგორ უნდა ემოქმედნა ჰიტლერს. ინგლისელებს ერთი მიზანი ჰქონდათ, — ხელი აეღებინებინათ ჰიტლერისათვის კოლონიებზე და გაეერთებინათ „ევროპა ურუსეთოდ". საქმე საბოლოოდ იმით გათავდა, რომ ფაშისტური გერმანიის ჯარები 1938 წლის 12 მარტს ავსტრიაში შეიჭრნენ. დაიწყო ჰიტლერის აგრესიის ახალი ხანა. საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნდა, რომ დაუყოვნებლივ ყოფილიყო მიღებული გადამწყვეტი ზომები აგრესიის დასაწყისშივე მოსასპობად. მაგრამ საბჭოთა კავშირის თაოსნობას უმოქმედოდ შეხვდნენ. აღნიშნული დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ სრულიად აშკარა ხდება ამ უმოქმედობის მიზეზი. საბჭოთა კავშირი წინადადებას იძლეოდა მოეწვიათ ევროპული ქვეყნების კონფერენცია, რათა აღკვეთილ ყოფილიყო აგრესია. ინგლისელებმა პასუხად განაცხადეს, რომ ასეთი კონფერენცია დადებით გავლენას ვერ მოახდენს ევროპაში მშვიდობიანობის პერსპექტივებზეო. აღსანიშნავია ის თვალთმაქცობა და გაიძვერული პირმოთნეობა, რომელსაც ჰალიფაქსი მიმართავდა მაშინ. იგი საყოველთაოდ ავრცელებდა ხმებს, თითქოს მეტად მკვახედ ელაპარაკა რიბენტროპს და პროტესტიც კი განუცხადა მას ავსტრიაში გერმანიის ჯარების შესვლის გამო. ჰალიფაქსის ეს განცხადება თავიდან ბოლომდე სიცრუეა. „დოკუმენტებსა და მასალებში" მთლიანად არის გამოქვეყნებული საუბარი, რომელიც ტელეფონით აწარმოვეს რიბენტროპმა და გერინგმა. რიბენტროპი 1938 წ. 13 მარტს ატყობინებდა გერინგს. „ჩემი მოლაპარაკება აქ დამთავრებულია. ჩემბერლენისაგან მე მშვენიერი შთაბეჭდილება დამრჩა... მე არ მინდა ტელეფონით გავიმეორო, მაგრამ ჩემი შთაბეჭდილება ასეთია, რომ ჩემბერლენს სურს ჩვენთან შეთანხმება". ეს საუბარი 13 მარტს წარმოებდა. 14 მარტს ჩემბერლენი პალატაში გამოვიდა და ვითომ ჰკიცხავდა

ჰიტლერს ავსტრიის ამბების გამო. რა ფასი ჰქონდა ამ გაკიცხვას? ეს გაკიცხვა სრული თვალთმაქცობა იყო. როგორც ახლა ირკვევა, სწორედ ამ დროს, გერმანიის ელჩი ლონდონში დირკსენი მოლაპარაკებას აწარმოებდა ჰიტლერისა ან გერინგის ინგლისში ჩასვლის შესახებ. დირკსენი ატყობინებს ბერლინში: „ინგლისის მთავრობა ცოცხლად მიესალმა ფელდმარშლის ჩამოსვლის აზრს. ჰალიფაქსი ისე შორს წავიდა, რომ მითხრა; ჩემი ცხოვრების საუკეთესო ჟამი მაშინ დადგება, როდესაც ფიურერი ინგლისის მეფის გვერდით ჩაივლის მელზე (ქუჩაა ლონდონში. ვ. მ.) ოფიციალური ვიზიტის დროს ლონდონშიო“. თუ ჰიტლერი და გერინგი ლონდონს არ ეწვივნენ, ეს ინგლისის მთავრობის მეოხებით კი არ მოხდა, არამედ ინგლისის მმართველი წრეები შეუშინდნენ საზოგადოებრივ აზრს, რომლის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა ავსტრიის მიტაცების შემდეგ.

ავსტრიის დაპყრობა დამთავრდა. ჰიტლერი და გერინგი არწმუნებდნენ მსოფლიოს, რომ არავითარი სხვა ტერიტორიული პრეტენზიები მათ აღარ ჰქონდათ და ამიერიდან მშვიდობა და სათნოება დამყარდებოდა მსოფლიოში. ამავე დროს კი მზადდებოდა გაცილებით უფრო მზაკვრული, აქამდე გაუგონარი და არნახული ძალმომრეობა. დღის წესრიგში დადგა ჩეხო-სლოვაკიის შიტაცება. წინა საუკუნეებში არაერთგზისი ყაჩაღური თავდასხმების შედეგად საკუთრივ ჩეხურ მიწაწყალზე სუდეტის ოლქში მოიკალათეს გერმანელებმა. ჩეხიის ამ მიდამოებში, რომელიც უშუალოდ გერმანიას ესაზღვრება, გაჩნდა კომპაქტური გერმანული მოსახლეობა. სუდეტების სტრატეგიული მნიშვნელობა ჩეხიის დამოუკიდებელი არსებობისათვის არ შეიძლება ჯეროვნად არ იქნეს შეფასებული. სუდეტები მთაგორიანი ადგილია. იგი წარმოადგენს ბუნებრივ ზღუდეს, რომელიც აღმართულია ჩეხიის საზღვრებზე და იცავს ამ პატარა და გმირულ ხალხს გერმანელთა თავდასხმისაგან. 1914 — 1918 წლების ომის დამთავრების შემდეგ ფრანგების უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით ამ მთაგორიან ადგილებში გაშენებული იყო ძლიერი თავდაცვითი ნაგებობანი. ყველასათვის აშკარა იყო, რომ თუ ჩეხო-სლოვაკია დაკარგავდა სუდეტებს, შისი დამოუკიდებლად არსებობის საკითხი თითქმის გადაწყვეტილი იქნებოდა, რადგან ამგვარი ბუნებრივი საზღვარი ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკას მეტი არ გააჩნდა. სწორედ სუდეტის ოლქს დაუმიზნა პირველ რიგში ჰიტლერმა. გერმანიის სახელმწიფოს სათავეში ჩადგომისთანავე ჰიტლერმა ხელი მიჰყო სუდეტის ოლქში „მეხუთე კოლონის“ მოწყობას და მცირე დროის მანძილზე ჩამოაყალიბა იქ ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობა გენლეინის მეთაურობით. ჩეხოსლოვაკიის შთანთქმის გეგმა ასეთი იყო: სუდეტელ გერმანელებს უნდა გამოეწვიათ ჩეხო-სლოვაკიის ფარგლებში გართულებანი სხვადასხვა პროვოკაციული მოთხოვნებით და ასეთ პირობებში გერმანია ჩაერეოდა. ჰიტლერმა ეს გარკვევით განუცხადა 1938 წლის 3 მარტს ბრიტანეთის ელჩს ჰენდერსონს: „თუ ჩეხო-სლოვაკიაში იფეთქებს (ე. ი. თუ სუდეტელი გერმანელები გამოვლენო. ვ. მ.), მაშინ გერმანია ნეიტრალური არ დარჩება და იმოქმედებს ელვის სისწრაფით“ და კიდევ: „თუ გერმანელებს ცენტრალურ ევროპაში კვლავ დათურგნავენ... გერმანია უნდა ჩაერიოს და ის ჩაერევა“-ო.

ეს ხომ სრულიად გარკვეული, ყოველგვარ დიპლომატიურ მიკიბულ-მოკიბულებას მოკლებული განცხადე-

ბა იყო. ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ჰენდერსონს და ინგლისის მთავრობას, რომელსაც მან ამ საუბრის შესახებ შეატყობინა, ვერ გაეგო იმ განცხადების ხასიათი. რით უპასუხეს ჰიტლერის აგრესიის ამ ახალ პროგრამას საფრანგეთის ან დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა? ისევ წაყრუებით.

1938 წლის 4 მარტს ჩეხო-სლოვაკიის პარიზელი ელჩი ოსუსკი ატყობინებს თავის მინისტრს პრაღაში კროფტას, რომ ფრანგები უკვე ცდილობენ თავიდან მოიშორონ ჩეხოსლოვაკიისა და საფრანგეთის ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ. ამ შემთხვევაში საფრანგეთი ინგლისის პოლიტიკის კალაპოტით მიიმართებოდა. საფრანგეთის რესპუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ჟ. ბონეს მემუარებიდან,[1] რომელიც ამას წინათ გამოვიდა, და ავსებს, ერთი მხრივ, ჩემბერლენის მემუარებს და, მეორე მხრივ, „დოკუმენტებსა და მასალებში“ გამოქვეყნებულ ცნობებს, აშკარა ხდება, რომ ჩემბერლენმა გარკვეულად აგრძნობინა ჰიტლერს, რომ ინგლისი არ დაიცავდა ჩეხო-სლოვაკიას და არ აიღებდა თავის თავზე პასუხისმგებლობას ხელი შეეშალა გერმახიისათვის ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის მოსპობაში. ასეთი იყო ჩემბერლენის „ახალი გეგმა“. გერმანიის აგრესიის აღკვეთა შეიძლებოდა მხოლოდ კოლექტიური უშიშროების პრინციპების დაცვითა და განხორციელებით. ამაზე მიუთითებდა საბჭოთა კავშირის მთავრობა. კოლექტიური უშიშროების საფუძველს წარმოადგენდნენ ის ხელშეკრულებანი, რომელნიც დასდო საბჭოთა მთავრობამ ჩეხო-სლოვაკიასთან და საფრანგეთთან ურთიერთ დახმარების შესახებ აგრესიის წინააღმდეგ. მაგრამ, როგორც ეს გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა, ფრანგები—საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ხელშეკრულებას „პირობითად“ თვლიდნენ. ამის შესახებ აშკარად უთხრა ჟ. ბონემ პოლონეთის ელჩს ლუკასევიჩს. ასეთ პირობებში ჩეხო-სლოვაკია განწირული აღმოჩნდა. ჩეხო-სლოვაკია გადაიქცა ინგლის-გერმანიის ინტერესთა თამაშის ობიექტად. ჩემბერლენის დემარშები გერმანიის პოლიტიკის წინააღმდეგ მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა: მას სურდა ჰიტლერისათვის მიეცა ჩეხო-სლოვაკია და სამაგიეროდ მისგან საჭირო დათმობები მიეღო კოლონიურ თუ სხვა საკითხებში. ჰიტლერი კი აპირებდა ჩეხო-სლოვაკიის დაპყრობას ყოველგვარი დათმობის გარეშე. საბოლოო ანგარიშში, როგორც ეს უკვე ცნობილია, ინგლისმა ყოველგვარი პირობების გარეშე დაუთმო ჰიტლერს ჩეხო-სლოვაკია. ამას ადასტურებს ხსენებულ კრებულში გამოქვეყნებული მრავალი მასალა. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მიუნხენამდე ჩემბერლენი ორჯერ ეწვია ჰიტლერს; ერთხელ ბერხტესჰადენში 1938 წლის 15 სექტემბერს, მეორედ—გოდესბერგში, სადაც ის ჰიტლერთან ერთად აზუსტებდა ჩეხო-სლოვაკიის მიტაცების პროცედურას. ორივე შემთხვევაში ჩემბერლენი ილუზიას ქმნიდა, თითქოს მშვიდობიანობისათვის იბრძოდა, სინამდვილეში კი, როგორც გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა, მზადდებოდა ჰიტლერისათვის ჩეხო-სლოვაკიის გადაცემა. ჩეხოსლოვაკებს ჩემბერლენმა და დალადიემ კატეგორიული წინადადება მისცეს დაეთმოთ გერმანელებისათვის სუდეტები. საბჭოთა მთავრობამ 1938 წლის 20 სექტემბერს განაცხადა, რომ ის შეასრულებს ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ საბჭოთა კავშირისა და ჩეხო-სლოვაკიის ურთიერთ-

[1] G. Bonnet „De Washington au Quai d'orsay annex 1.

დახმარების პაქტიდან. ჩვენი ქვეყანა ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელსაც სურდა პირნათლად შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულებანი. ჩეხო-სლოვაკიის მთავრობა ერთხანს წინააღუდგა ინგლისისა და საფრანგეთის წინადადებას, მაგრამ შემდეგ დათმობაზე წავიდა და იძულებული გახდა ჰიტლერელები სუდეტის ოლქში შეეშვა. გერმანიაში კარგად ესმოდათ ჰიტლერის პოლიტიკის სრული ავანტურიზმი. ინგლისსა და საფრანგეთს რომ მართლა წინააღმდეგობა გაეწიათ ჰიტლერისათვის, ის ვერ გაბედავდა ვერც ავსტრიისა და მით უმეტეს ვერც სუდეტის ოლქის მიტაცებას. ამის შესახებ აშკარად განაცხადეს იოდლმა და კეიტელმა ნიურენბერგის პროცესზე. გენერალმა იოდლმა სთქვა: „ფიურერი, უეჭველია, არ მიმართავდა სამხედრო მოქმედებას ჩეხო-სლოვაკიის წინააღმდეგ, რომ მას წინასწარ გათვალისწინებული ჰქონოდა ინგლისისა და საფრანგეთის ჩარევა“; ფელდმარშალი კეიტელი ამბობდა: „მე ერთში ვარ დარწმუნებული; გოდესბერგისა და მიუნხენის შემდეგ პოლიტიკური მდგომარეობა ჩვენთვის ხელსაყრელი რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ვერასოდეს ვერ შევიჭრებოდით ჩეხოსლოვაკიაში. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, დალადიესა და ჩემბერლენს, რომ მიუნხენში ეთქვათ ჩვენ გამოვალთო, ჩვენ არაეითარ შემთხვევაში არ მივმართავდით სამხედრო მოქმედებას. ჩვენ არ გვყავდა ძალები, რომ გადაგველახა ჩეხო-სლოვაკიის გამაგრებული ხაზი, არ გვყავდა ჯარები დასავლეთის საზღვარზე“. გერმანიის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი გალდერი კატეგორიულად ამბობდა: „ჩვენი სტრატეგიული გაშლა ჩეხო-სლოვაკიის წინააღმდეგ სხვა არ იყო, თუ არა დიდი ბლეფი“.

მიუნხენის კაპიტულაციის ამბავი საყოველთაოდ ცნობილია. ცნობილია, რომ დალადიე და ჩემბერლენი ყველაფერში დაეთანხმნენ ჰიტლერს და. მის დამქაშს მუსოლინის. პირდაპირ გაკვირვებას იწვევებს ის მლიქვნელობა, რაც განსაკუთრებით დალადიემ გამოიჩინა ჰიტლერისა და მუსოლინის მიმარ. დალადიეს დიდად არც ჩემბერლენი ჩამოუვარდებოდა. ცნობილია ის უხეშობა რაც გამოიჩინეს ინგლისელებმა და ფრანგებმა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელთა მიმართ, რომლებსაც არც კი მიაღებინეს მონაწილეობა იმ მოლაპარაკებაში, სადაც წყდებოდა მათი სამშობლოს ბედი. გუბერტ მასარიკი, ჩეხო-სლოვაკიის დელეგაციის წევრი, ასე აღწერს მათ მიუნხენში ჩასვლას: „აეროდრომიდან ჩვენ საპოლიციო ავტომობილით გესტაპოს თანამშრომლების თანხლებით მიგვიყვანეს ოტელ „რეგინაში“... 12.30 წ. ჩვენ წაგვიყვანეს კონფერენციის დარბაზში, სადაც თავი მოიყარეს ბ-ნ ნევილ ჩემბერლენმა, ბ-ნ დალადიემ, სერ გორაცი ვილსონმა და მე... ჩემბერლენმა აგვიხსნა, რომ საქმე შეეხება უკვე მიღებული გეგმის განხორციელებას... ჩვენ აგვიხსნეს მეტად უხეშ ფორმაში და ისიც ფრანგებმა, რომ განაჩენი უაპელაციოა და არ არსებობს საშუალება მასში შესწორების შეტანისა... ჩემბერლენი არ ფარავდა თავის დაღლილობას“. ის სისტემატურად ამთქნარებდა, ვიდრე ჩეხებს ამ უმაგალითო განაჩენს უკითხავდნენ. დალადიე კი აჩქარებდა და ნერვიულად გაიძახოდა, რომ ის „არ მოითმენს არავითარ დაბრკოლებას ჩეხოსლოვაკთაგან“. დალადიეს ამ მოქმედებამ არ შეუშალა ხელი საფრანგეთის ელჩს ჩეხო-სლოვაკიაში დელაკრუას საზიზღარი ცინიზმით განეცხადებინა პრაღაში, რომ გადაწყვეტილება მიუნხენში — „ჩვენი წინააღმდეგობით იყო მიღებული“ და, დალადიე ამის გამო „თავის ღრმა სინანულს გამოსთქვამსო“. დიპლომატიამ იცის

თვალთმაქცობის არა ერთი და ორი მაგალითი, მაგრამ ასეთი რამ, ცოტა ყოფილა; ჩეხო-სლოვაკიას მიუნხენში დაუწესეს ახალი საზღვრები და თითქოს გარანტიაც მისცეს, რომ ეს საზღვრები ხელუხლებელი იქნებოდა. მაგრამ რად ღირდა ეს გარანტია! არ გასულა სულ ექვსი თვე და 1939 წლის 15 მარტს ჰიტლერულმა ჯარებმა ჩეხო-სლოვაკიის სრული ოკუპაცია მოახდინეს. ასე დამთავრდა მიუნხენის გამცემლობა.

მიუნხენის მოლაპარაკების დროს ჰიტლერის მდგომარეობა გერმანიაში მეტად სახიფათო იყო. „შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ჩემბერლენმა ჰიტლერი დაღუპვას გადაარჩინა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მიუნხენის მოლაპარაკება ჰიტლერისა და რეიხსვერის გენერალიტეტის ბრძოლის გამწვავებულ პერიოდს დაემთხვა. გალდერის მეთაურობით მოქმედმა გენერლებმა გადაწყვიტეს ჰიტლერის დაპატიმრება, როგორც კი ის ნიურენბერგიდან დაბრუნდებოდა. აი რა სთქვა ამ ამბების შესახებ გალდერმა ნიურენბერგის პროცესზე: „ჩვენ გადავწყვიტეთ თავი დაგვეხსნა ჰიტლერისაგან... შეთქმულების ინიციატორი გენერალი ბეკი იყო... ბერლინის გარნიზონის უფროსმა განაცხადა, რომ ის აამხედრებს ჯარებს და დაატუსაღებს ჰიტლერს, როგორც კი ის დაბრუნდება ბერლინში. თათბირი კიდევ გრძელდებოდა. როდესაც რადიო განუწყვეტლივ აწვდიდა ცნობებს კრიზისის მსვლელობის შესახებ. ჩვენ გავიგეთ, რომ პრემიერ-მინისტრმა ნევილ ჩემბერლენმა ითხოვა ჰიტლერთან შეხვედრა და უკვე გამოფრინდა ბერხტესგადენში. ამ ცნობამ გადააყირავა ჩვენი გეგმები. მან მოსპო წარმატების მატერიალური წინამძღვრები, რამდენადაც ჰიტლერი, იმის მაგივრად, რომ ბერლინში ჩამოსულიყო, ბერხტესგადენში გაემგზავრა ჩემბერლენის მიხვედრებად. გარდა ამისა, მან მოსპო ფსიქოლოგიური წინამძღვრებიც: ჩვენთვის ადვილი იყო დაგვეტუსაღებია ადამიანი, რომელიც გონებადაკარგული ვარდებოდა ომის უფსკრულში, მაგრამ ჩვენთვის შეუძლებელი იყო დატუსაღება იმისა, ვინც მშვიდობიან მოლაპარაკებას აწარმოებდა. ჩვენ გადავწყვიტეთ ყველაფერი გადაგვედო, მაგრამ პრესტიჟმა, რომელიც მიუნხენის წყალობით ჰიტლერმა მოიპოვა, გაამაგრა მისი მდგომარეობა“.

იცოდა თუ არა რაიმე ჩემბერლენმა ამ შეთქმულების შესახებ? ფრანგი პუბლიცისტი ძელეპი სტატიაში „სიმართლე მიუნხენზე“, რომელიც გამოქვეყნებული იყო ჟურნალ „იუროპის“ 1947 წლის № 22-ში, მოგვითხრობს, „როდესაც ჩემბერლენი მიუნხენში გასაფრენად თვითმფრინავში ჯდებოდა, ის გენერალთა შეთქმულების კურსში იყო. ამ უკანასკნელებმა, რომლებმაც ინგლისის თამაშისა არაფერი იცოდნენ, საჭიროდ ჩათვალეს გაეფრთხილებიათ ინგლისის მმართველები, რომ ისინი მზად არიან თავიდან მოიშორონ ჰიტლერი. გენერლები ფიქრობდნენ, რომ ამით ისინი განამტკიცებენ ინგლისის პოზიციას“... ინგლისის პრემიერმა მშვენივრად იცოდა, რომ ადამიანი, ვისთანაც ის მიემგზავრება... შანტაჟისტია, რომელსაც საკუთარი გენერლები უცდიან, რათა დაატუსაღონ“.

რით უნდა აიხსნას ინგლისის მმართველი წრეების ეს, ერთი შეხედვით, საკვირველი პოლიტიკა? არსი ამ პოლიტიკისა გამოამჟღავნა ამხანაგმა სტალინმა ჯერ კიდევ 1939 წლის მარტში საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე; „გერმანელებს მისცეს ჩეხო-სლოვაკიის რაიონები, როგორც საფასური ვალდებულებისა — აეტე-

ხათ ომი საბჭოთა კავშირთან".[1] ჩემბერლენი თანმიმდევრობით ახორციელებდა თავის „ახალ გეგმას", ჰიტლერული აგრესიის აღმოსავლეთისაკენ წასამართავად, რათა საბოლოო ანგარიშით გერმანია საბჭოთა კავშირთან ომში ჩაბმულიყო, იმ დროს უინსტონ ჩერჩილი ოპოზიციაში ედგა ნ. ჩემბერლენს, მაგრამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკას ისიც იზიარებდა. უ. ჩერჩილი 1938 წლის 14 ივლისს შეხვდა დანციგელი ფაშისტების მეთაურ ფერსტერს, რომელიც ჰიტლერის ნდობით აღჭურვილ პირად იყო ცნობილი. ჩერჩილს ეს საუბარი ჩაუწერია. ჩერჩილმა განუცხადა ფერსტერს: „მე არ ვარ წინააღმდეგი გერმანიის სიძლიერისა და ინგლისელთა უმეტესობას სურს, რომ გერმანიამ დაიკავოს თავისი ადგილი, როგორც ერთერთმა ორ ან სამ ხელმძღვანელ დიდ სახელმწიფოს შორის".[2] როგორც ეტყობა, ამ გადამწყვეტი მნიშვნელობის პუნქტში ჩემბერლენსა და ჩერჩილს შორის დიდი განსხვავება არ ყოფილა. რისთვის იყო საჭირო ძლიერი გერმანია? რასაკვირველია, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სხვა აბა რისთვის სჭირდებოდათ ინგლისის მმართველ წრეებს გერმანიის ძლიერება? ისინი კარგა ხანია აღარ სთვლიდნენ საფრანგეთს იმდენად ძლიერ სახელმწიფოდ, რომ კონტინენტზე თანასწორობისათვის გერმანიის სიძლიერეზე ეზრუნათ. განა ბევრად განსხვავდება ჩერჩილის ეს კონცეპცია მისი ეხლანდელი პოზიციიდან „გაერთიანებული ევროპის" შექმნის შესახებ სადაც ძლიერ გერმანიას თავისი ადგილი უნდა ეჭიროს. „გაერთიანებული ევროპის" სამზადისის კონფერენციაზე, რომელიც ამას წინათ ჩერჩილის მეთაურობით ჰაგაში მიმდინარეობდა, ფრანგ სოციალისტებსა და ინგლისელ ლეიბორისტებთან ერთად, განა გერმანელი რეაქციონერებიც არ იღებდნენ მონაწილეობას?

ასეთი თანამიმდევრობით ხორციელდებოდა ჩემბერლენის გეგმა. ჰიტლერს მისცეს ჩეხო-სლოვაკია. 1939 წლის 30 სექტემბერს ჩემბერლენმა ჰიტლერთან არსებითად ახალი ხელშეკრულება დადო, რომელიც ურთიერთ თავდაუსხმელობის პაქტს წარმოადგენდა. ასეთივე ხელშეკრულება, ორი თვის მოგვიანებით, ჰიტლერმა საფრანგეთსაც დაუდო, ეს იყო ბონე-რიბენტროპის დეკლარაცია. რა მიზანს ასახავდა ჩემბერლენ-ჰიტლერისა და ბონე-რიბენტროპის დეკლარაციები? ერთადერთ მიზანს, თავიდან აეცილებინათ ჰიტლერის აგრესია, წარემართათ ის კვლავ აღმოსავლეთისაკენ, ამ შემთხვევაში პოლონეთისა და, რაც გადამწყვეტი და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო მათთვის, საბჭოთა კავშირისაკენ. ეს იყო ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა გენერალური ხაზი მიუნხენამდე და მიუნხენის შემდეგ. პოლონელი ელჩი ლონდონში ედვარდ რაჩინსკი სწერს თავის ბერლინელ კოლეგას იუზეფ ლიპსკის: „განხეთქილება ევროპის აღმოსავლეთში, რომელიც ამა თუ იმ ფორმით გერმანიას და რუსეთს უქადის კონფლიქტში ჩაბმას... აქ ყველგან და შეგნებულად მიაჩნიათ „ნაკლებ ბოროტებად"; შემდეგ: „ჩემბერლენის დამოკიდებულება საბჭოებთან რჩება ცივი... ჭეშმარიტება ისაა, რომ პრემიერი ოფიციალურად გაურბის ხმა აიმაღლოს გერმანიის აღმოსავლეთისაკენ მისწრაფების წინააღმდეგ". ასეთ პირობებში გასაგებია რაჩინსკის განცხადება, რომ „წარმოიშვა საგანგებო მდგომარეობა და პესიმისტური შეფასებანი პოლონეთის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ".

[1] ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები, 1939 წ. ქართ. გამოც. გვ. 709.

[2] „მეორე მსოფლიო ომის წინა ხანის დოკუმენტები და მასალები" რუს. გამ. გვ. 162.

რაჩინსკი ამ წერილში ლაპარაკობს, ინგლისში არსებულ დამარცხების სასარგებლო („პორაჟენჩესკული") განწყობილებათა შესახებ. და მართლაც გაუთავებელ დათმობათა პოლიტიკას სხვა რა უნდა გამოეწვია, თუ არა დამარცხების ფსიქოლოგია და განწყობილება. ამ განწყობილებებთან ერთად ინგლისსა და საფრანგეთში იზრდება აღშფოთება მთავრობის უმოქმედობით. 1939 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში ინგლისმა და საფრანგეთმა დაიწყეს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან, ჰიტლერული აგრესიის აღკვეთის მიზნით. რამდენად სერიოზული ხასიათისა იყო ეს მოლაპარაკებანი ჩვენ ქვევით დავინახავთ, როცა მის სხვადასხვა სტადიას განვიხილავთ. 1939 წლის 15 აპრილს ინგლისი და საფრანგეთი, რომლებიც ამ დროისათვის დაკავშირებული არიან რუმინეთთან და პოლონეთთან სათანადო ხელშეკრულებით, წინადადებას აძლევენ საბჭოთა მთავრობას დაეხმაროს ამ ქვეყნებს გერმანიის აგრესიის შემთხვევაში. მაგრამ ეს წინადადება არ ითვალისწინებს დასავლეთ ქვეყნების დახმარებას იმ შემთხვევაში, თუ გერმანია თავს დაესხმება საბჭოთა კავშირს. როგორ შეიძლებოდა ასეთი წინადადება მიეღო ჩვენ მთავრობას. მოლაპარაკება ჭიანურდება იმ აშკარა მიზნით, რომ გზა ხსნილი იყოს ჰიტლერთან საბოლოო შეთანხმებისათვის. ჰიტლერი პოლონელ დიპლომატთა და სხვა წყაროთა საშუალებით ამ მოლაპარაკების კურსშია. მოლაპარაკების გაჭიანურება აღელვებს საზოგადოებრივ აზრს. ღრმად მოხუცებული ლოიდ-ჯორჯი გამოდის თემთა პალატაში და სასტიკად ჰკიცხავს ჩემბერლენის მთავრობას. ის ამბობს: „უკვე რამდენიმე თვეა, რაც რუსეთმა შემოგვთავაზა შეთანხმება. რამდენიმე თვეა, რაც ჩვენ ამ ნაბიჯზე ცხენს კბილებს ვუსინჯავთ. ... კამპანია რუსეთის არმიის, მისი რესურსების, მისი პოტენციალის, მისი ხელმძღვანელების კომპრომენტაციისა. რუსეთის ავიაცია საუკეთესოა მსოფლიოში, რუსებს გააჩნიათ მეტად ძლიერი სატანკო ძალები. და ყველაფერს ამას სთავაზობენ მოკავშირეებს, თუ მათთან, როგორც თანასწორუფლებიანებთან, აწარმოებთ მოლაპარაკებას. რატომ არ ხდება ეს?"

გამაფრთხილებელ ხმებს ყური არავინ ათხოვა. 1934 წლის 27 მაისს ინგლისელები თითქოს დათმობაზე მიდიან. როგორია ეს დათმობა? ისინი თანახმა არიან თავის მხრიდანაც დაეხმარონ რუსეთს იმ შემთხვევაში, თუ გერმანია თავს დაესხმება პოლონეთს, რუმინეთს, საბერძნეთს, თურქეთს და ბელგიას; მაგრამ თუ გერმანია თავს დაესხმის ფინეთს, ლატვიას, ლიტვას, ესტონეთს, მაშინ ინგლისი და საფრანგეთი არავითარ ვალდებულებას არ კისრულობენ. ლატვიის, ესტონეთისა და ფინეთის მთავრობები ინსპირირებული დეკლარაციით გამოდიან, სადაც კატეგორიულად უკუაგდებენ ცდას, რომ მათ გარანტია მისცენ გერმანული აგრესიის წინააღმდეგ. ამრიგად გერმანიას ეპატიჟებოდნენ შესეოდა საბჭოთა კავშირს ფინეთიდან, ესტონეთიდან, ლატვიიდან. ამასობაში ესტონეთისა და ლატვიის ფაშისტური მთავრობები თავდაუსხმელობის პაქტს დებენ ჰიტლერულ გერმანიასთან. გერმანიის გენერალური შტაბის უფროსი გალდერი ესტონეთსა და ლატვიაში მიემგზავრება და იქ მისი ხელმძღვანე-

ლობით ფორტიფიკაციებს აგებენ. ამავე დროს ინგლისელი გენერალი სერ უოლტერ კირკი ფინეთს მიემგზავრება და იქ ყოველ ზომებს ხმარობს, რათა დაარწმუნოს ფინეთის მმართველი წრეები არავითარ დათმობაზე არ წავიდნენ, არ დასდონ რუსეთთან ისეთი ხელშეკრულება, რომელსაც შეეძლოს რაიმე გართულება გამოიწვიოს გერმანიასთან.

1939 წლის 25 ივლისს ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები საზოგადო აზრის ზეგავლენით იძულებული არიან თავი დაანებონ ლიტონ ლაპარაკს და შეუდგნენ საქმეს. ამ მთავრობებმა გადაწყვიტეს სამხედრო მისიების გაგზავნა მოსკოვში. დრო არ ითმენს, მისიები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ საქმეს, მაგრამ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები არ ჩქარობენ, ამ მისიებს მოსკოვს თვითმფრინავებით კი არ გზავნიან, არამედ ნელმავალი გემით, და ისინი ძლივს ჩამოდიან მოსკოვში 17 დღის შემდეგ. რა ხალხი გამოაგზავნეს ასეთი ისტორიულ მნიშვნელობის მოლაპარაკების საწარმოებლად? მეორეხარისხოვანი სამხედრო პირები, რომელთაც არავითარი დოკუმენტიც არ გააჩნდათ, რომ ხელი მოეწერათ რაიმე შეთანხმებაზე. ასე იყო თუ ისე, მისიები მოსკოვში იყვნენ და საბჭოთა კავშირის სამხედრო მისია მოითხოვდა ერთადერთ რეალურ გარანტიას ეფექტური სამხედრო მოქმედებისათვის ფაშისტური გერმანიის ახალი აგრესიის პირობებში; მისია მოითხოვდა, რომ საბჭოთა ჯარები გაეშვათ პოლონეთისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკის ტერიტორიით. ამას კატეგორიულად წინააღუდგნენ ინგლისელები, ფრანგები და მათ მიერ ინსპირირებული პოლონელები. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბეკი იხმობს საფრანგეთის ელჩს ნოელს და ატყობინებს მას: „ეს ჩვენთვის პრინციპის საკითხია. ჩვენ არა გვაქვს და არც გვინდა ვიქონიოთ რაიმე სამხედრო შეთანხმება საბჭოთა კავშირთან. ჩვენ არავის და არავითარ ფორმაში არ ვაძლევთ უფლებას იმსჯელონ ჩვენი ტერიტორიის უცხო ქვეყნის ჯარებისათვის გამოყენების შესახებ“. ცხადია, რომ საფრანგეთის, ინგლისისა და პოლონეთის მთავრობები მიზნად ისახავდნენ მოლაპარაკების ჩაშლას. თუმცა ეს ისტორიული ფაქტი უკვე კარგა ხანია გამოაშკარავებულია, დალადიემ აქაც სცადა უხეშად მოეტყუებინა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი. დალადიემ 1946 წლის 18 ივლისს საფრანგეთის დამფუძნებელ კრებაში განაცხადა, თითქოს მან, 1939 წლის 21 აგვისტოს გამოიძახა პოლონეთის ელჩი პარიზში ლუკასევიჩი და უთხრა მას: „თუ პოლონეთი გაჯიუტდება თავის ბრმა პოლიტიკაში, საფრანგეთი იძულებული იქნება გადახედოს პოლონეთთან დადებულ საკავშირო ხელშეკრულებას. მე ვუთხარი ელჩს, თუ თქვენ ნაშუადღევს გამოცხადდებით და მემატყობინებთ, რომ პოლონეთი ძველ პოზიციაზე დგას, მე მოვიწვევ კაბინეტს და დავსვამ საკითხს საფრანგეთ-პოლონეთის კავშირის შესახებ. წინააღმდეგ, თუ თქვენ უარს იტყვით ოპოზიციაზე, საქმის სისწრაფის გამო, მე ტელეგრაფით დავავალდებულებ გენერალ დუმანკს საფრანგეთის სახელით ხელი მოაწეროს სამხედრო კონვენციას“. გამოდის, რომ დალადიე მართლაც აპირებდა გარკვეულ ნაბიჯების გადადგმას ჰიტლერის აგრესიის წინააღმდეგ. ეს მეტად საკვირველი ნაბიჯი იქნებოდა მიუნხენელი დალადიესათვის. მაგრამ აქ გასაკვირი არაფერია. ეს ამბავი თავიდან ბოლომდე თვით დალადიეს მიერ არის შეთხზული. ლუკასევიჩმა 1946 წლის 9 დეკემბერს „ძენიკ პოლსკი ი ძენიკ ჟოლნეზა“-ში განაცხადა; „ასეთი ან ამის

მსგავსი საუბარი არასოდეს არ წარმოებულა პრემიერ დალადიესა და ჩემს შორისო".

ცნობილია, რომ ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება ჩაიფუშა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა პოზიციის გამო. რით იყო გამოწვეული ეს პოზიცია? „საქმე ის არის რომ" სსრ კავშირთან აშკარა მოლაპარაკებასთან ერთად ინგლისელები ფარულ მოლაპარაკებას ეწეოდნენ გერმანიასთან და ამ უკანასკნელ მოლაპარაკებას ისინი გაცილებით უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ".[1]

ამ მოლაპარაკების შესახებ ვრცლად არის მოთხრობილი ფართოდ გავრცელებულ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობაში „ისტორიის ფალსიფიკატორები" და ჩვენ მასზე აქ არ შევჩერდებით. მოვიყვანთ მხოლოდ ახალ მასალებს, რომლებიც გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს „მეორე მსოფლიო ომის წინახანის დოკუმენტებისა და მასალების" მეორე ტომში. ინგლისთან, როგორც ცნობილია, მოლაპარაკებას აწარმოებდა ვინმე ვოლტატი. ვოლტატი შეხვდა ინგლისის საგარეო ვაჭრობის მინისტრს ჰადსონს. გერმანიის ლონდონელი ელჩი დირკსენი გადმოგვცემს, „ამ საუბრის დროს ჰადსონმა განავითარა მეტად შორს მიმავალი გეგმები ინგლის-გერმანიის თანამშრომლობისა არსებული და ახლად აღმოჩენილი მსოფლიო ბაზრების ექსპლოატაციის მიზნით. მსოფლიოში არსებობს კიდევ სამი დიდი სფერო, სადაც გერმანიასა და ინგლისს შეუძლიათ თავისი ძალების გამოყენება. სახელდობრ: ინგლისის იმპერია, ჩინეთი და რუსეთი". არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს მოლაპარაკება მაშინ წარმოებდა, როდესაც მოსკოვში ინგლის-საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის სამხედრო მოლაპარაკებას ჰქონდა ადგილი. ჰორაციო ვილსონმა, ცნობილმა ინგლისელმა დიპლომატიურმა მოხელემ, ვოლტატს აგრძნობინა, რომ ჰადსონის ამ გეგმებს ჩემბერლენიც იზიარებს.

მოლაპარაკება ლონდონში გრძელდებოდა. მას აწარმოებდნენ გერმანიის მხრიდან კორდტი, გერმანიის საელჩოს მრჩეველი ლონდონში, და ინგლისის მხრიდან, ლეიბორისტული პარტიის წევრი ჩარლზ-როდენ ბაკსტონი. შეთანხმების პუნქტები ასეთი უნდა ყოფილიყო: „1. გერმანია იძლევა გარანტიას, რომ არ ჩაერევა ბრიტანეთის იმპერიის საქმეებში. 2. დიდი ბრიტანეთი კისრულობს მთლიანად პატივი სცეს გერმანიის ინტერესებს აღმოსავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპაში... დიდი ბრიტანეთი იმოქმედებს იმ მიმართულებით, რომ საფრანგეთმა გაწყვიტოს კავშირი საბჭოთა კავშირთან და უარყოს თავისი კავშირი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასთან. 3. დიდი ბრიტანეთი კისრულობს შეწყვიტოს ამჟამად წარმოებული მოლაპარაკება პაქტის შესახებ საბჭოთა კავშირთან". გამოირკვა, წერს დირკსენი, რომ თუ ხელშეკრულება დაიდება, „ინგლისის საგარანტიო პოლიტიკა ლიკვიდირებული იქნება", რომ „ინგლისი უარს იტყვის თავის საგარანტიო ვალდებულებებზე პოლონეთის, თურქეთისა და სხვათა მიმართ".

ცნობილია რაც მოხდა ამის შემდეგ: მოსკოვის მოლაპარაკება ჩაიშალა: 1939 წლის 1 სექტემბერს ჰიტლერი თავს დაესხა პოლონეთს.

დიდ ბრიტანეთს სურდა, რომ საბჭოთა კავშირი სრულ იზოლაციაში მომხვდარიყო, რათა ჰიტლერი უფრო აჩქარებით დასხმოდა მას თავს. დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების ასეთი პოლიტიკის გამო, საბჭოთა მთავრობა იძულებული გახ-

[1] ისტორიის ფალსიფიკატორები. (ისტორიული ცნობა) გამომცემლობა „კომუნისტი" გვ. 52.

და მიეღო გერმანიის წინადადება პაქტის დადების შესახებ.

ჰიტლერული გერმანიის პოლონეთზე თავდასხმის შემდეგ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები იძულებულნი გახდნენ კონფლიქტში ჩარეულიყვნენ. ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას. მაგრამ ცნობილია, რომ ეს ომი, ჰიტლერული გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმამდე, მეტად თავისებურ ხასიათს ატარებდა. ის ისტორიაში შევიდა როგორც „საკვირველი ომი". ომი ოფიციალურად 1939 წ. 1 სექტემბერს გამოცხადდა და რვა თვის მანძილზე, სამხედრო მოქმედება პატრულების დაზვერვასა და უმნიშვნელო საავიაციო თავდასხმებს არ გასცილებია. ამ „საკვირველ ომსაც" თავისი ახსნა აქვს. ამ ომის დროსაც ინგლისელები და ფრანგები არ ჰკარგავდნენ იმედს, რომ როგორმე მოახერხებდნენ გერმანიასთან შეთანხმებას და ჩააბამენ მას საბჭოთა კავშირთან ომში. ომის საშუალებით მათ სურდათ დაესუსტებინათ საბჭოთა კავშირი და მასთან ერთად გერმანიაც. ამის შესახებ აშკარად განაცხადა ტრუმენმა, რომელიც იმ დროს გავლენიანი სენატორი იყო: „გერმანელებმა და რუსებმა ხოცონ ერთმანეთი და ჩვენ იმათ მოვეხმარებით, ვინც დასუსტდება". ეს განცხადება მართალია 1941 წელს იყო გამოქვეყნებული, მაგრამ ის ზუსტად განსაზღვრავდა კაპიტალისტური ქვეყნების პოლიტიკას. ეს პოლიტიკა თავის დროზე გენიალურად იყო მხილებული საბჭოთა კავშირის ხალხების დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მიერ. გერმანიასთან პაქტის დადების მიუხედავად, საბჭოთა კავშირის მთავრობას კარგად ესმოდა, რომ ჰიტლერი საბოლოო ანგარიშში მაინც თავს დაესხმის ჩვენს ქვეყანას და ამიტომ ჩვენი მთავრობა ყოველგვარ ზომას ღებულობდა, რომ რაც შეიძლება მოკლე ვადაში განემტკიცებინა საბჭოთა კავშირის თავდაცვითი უნარიანობა. საბჭოთა კავშირი გადამწყვეტ ზომებს ღებულობდა თავისი დასავლეთის საზღვრების გამაგრებისათვის. ჩვენმა მთავრობამ ააგო თავდაცვითი ხაზი ბელორუსიისა და უკრაინის დასავლეთ მიწაწყალზე. საბჭოთა მთავრობამ ხელი მოაწერა ბალტიისპირეთის სახელმწიფოებთან ურთიერთდახმარების პაქტებს. ამრიგად, თუ დასავლეთის საზღვარზე უშიშროების საქმე ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იყო, ჩვენი სამშობლოს ჩრდილოეთის საზღვარი მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ფინეთის მთავრობამ მრავალგზის უარყო საბჭოთა კავშირის წინადადებანი ურთიერთდახმარების პაქტის დადების შესახებ და თავისი გერმანელი პატრონების უშუალო კარნახით ომი გააჩაღა საბჭოთა კავშირთან. ინგლისის, საფრანგეთისა და შეერთებული შტატების მთავრობებმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ყოველგვარ პროვოკაციებს მიმართეს, ფინეთთან ომის დროს, თუმცა ყოველ ჭკუამყოფელი ადამიანისათვის აშკარა უნდა ყოფილიყო, რომ საბჭოთა კავშირის ძლიერება ასუსტებდა გერმანიას, რომელსაც ოფიციალურად თითქოს ეომებოდნენ ინგლისი და საფრანგეთი. ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეები უბრალო პროვოკაციებს როდი სჯერდებოდნენ. გენერალი გამელენი თავის მემუარებში მოგვითხრობს, რომ საფრანგეთმა გაუგზავნა ფინეთს 400 თვითმფრინავი, აქედან 100 ფრანგული (დალადიე ამ ციფრს აზუსტებს და 175 ცალს ასახელებს), 900 ქვემეხი, 5 ათასი ტყვიამფრქვევი — 200 ათასი ტანკსაწინააღმდეგო თოფი ფინეთმა ინგლისიდან მიიღო. ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც ინგლისი და

საფრანგეთი თავის უმოქმედობას დასავლეთის ფრონტზე, გერმანიის წინააღმდეგ, ნაწილობრივ საჭურვლის უქონლობით ხსნიდნენ.

ფრანგული გაზეთი „აკსიონი“ ირონიულად შენიშნავდა, 1940 წელს ზამთარში „მანერგეიმის მეთხილამურეები უკეთ იყვნენ შეიარაღებული და ჩაცმული, ვიდრე ჩვენი ჯარისკაცები, იმ გაზაფხულზე, როდესაც ნაცისტური ჯარები საფრანგეთს შემოესივნენ“. ფრანგები მარტო საჭურვლისა და ტანსაცმელის გაგზავნით როდი დაკმაყოფილდნენ, ისინი გაფაციცებით ამზადებდნენ ასიათასიან საექსპედიციო კორპუსს, რომელსაც ფინეთის მხარეზე უნდა ებრძოლა. ფინეთის კაპიტულაციამ შეუშალა ხელი საფრანგეთის მთავრობის აქ მზაკვრულ განზრახვას. „ფინეთის წინააღმდეგობა უეცრად შეწყდა 12 მარტს, სწორედ იმ მომენტში, როდესაც ჩვენი მხრით ვაპირებდით გაგვეგზავნა ფინლიანდიაში ბომბდამშენების ჯგუფი“, — სწერს გამელენი. ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები ემზადებოდნენ ომისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გამელენს თავის მემუარებში მოჰყავს გენერალ ვეიგანის წერილი, რომელიც მას 1940 წლის იანვარში მიუღია. ვეიგანი, რომელმაც შემდეგ შეცვალა გამელენი მთავარსარდლის პოსტზე, 1940 წლის დამდეგს სარდლობდა ფრანგულ ჯარებს სირიაში. იგი წერს: „ჩემი მხრიდან მე მთავარ საქმედ მიმაჩნია კისერი მოვტეხოთ საბჭოთა კავშირს ფინეთში და სხვა ადგილსაც“. ვეიგანი განაგრძობს „ერთგვარი მაშველი ძალით და 200 თვითმფრინავით მე დავიკავებდი კავკასიას და რუსეთში ისე შევიჭრებოდი, როგორც „დანა კარაქში“. ბაქოზე და ბათუმზე თავდასხმის გეგმას გამელენი ჯერ ადრე 1939 წელს ამუშავებდა. ფრანგ მფრინავებს კელნის, ესენის და დიუსელდორფის კი არა, ბათომისა და ბაქოს დასაბომბავად გზავნიდნენ. ორი თვის შემდეგ 1940 წლის 3 ივნისს, გერმანელები უკვე ბომბავდნენ პარიზს, რენოსა და სიტროენის ქარხნებს.

ასეთი იყო საფრანგეთისა და ინგლისის მმართველი წრეების სიბეცითა და ვერაგობით აღსავსე პოლიტიკა. მაგრამ ამ მმართველი წრეების ჭკუამოკლე პოლიტიკას თავისი ლოგიკური დასასრული მოჰყვა. გაჩაღდა აქამდე არნახული მაშტაბის მსოფლიო ომი. მეორე ფრონტის დაყოვნება, გერმანიასთან სეპარატიული ზავის დადების ცდა 1943 წელს, ფაქტობრივად ამ ძველი პოლიტიკის გაგრძელება იყო. მაგრამ ამ პოლიტიკამ სრული მარცხი განიცადა. ფაშისტური გერმანია განადგურებული იქნა ძლევამოსილი საბჭოთა ჯარების მოქმედებით, რომელთაც გენიალური მხედართმთავარი დიდი სტალინი ხელმძღვანელობდა. საბჭოთა კავშირი ომიდან დაუძლურებული კი არა, ბევრად უფრო ძლიერი გამოვიდა. დიდი ბრიტანეთი, და განსაკუთრებით კი საფრანგეთი მეორე მსოფლიო ომის შედეგად დასუსტდნენ. სხვისთვის დაგებულ მახეში თვითონ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები გაებნენ.

ომის გამჩაღებელნი ახლა ისტორიის სამსჯავროს წინაშე დგანან.

ვაი მათ, ვინც არ გაითვალისწინებს წარსულის ამბებს. ისტორია სასტიკად სჯის ყველას, ვინც დაჟინებით უარყოფს მის გაკვეთილებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პანფელეიმონ ბერაძე

ჰეგზამეტრის გენეზისისათვის

არცერთი საკითხი ძველ ბერძნული კულტურისა არ არის ისე შეუსწავლელი, როგორც საკითხი მეტრიკისა. გარდა ბერძნული მეტრიკისა, ჩვენ ცოდნის ყოველ დარგში მოგვეპოება სათანადო ცნობები, რის გამო „ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს არცერთი ცნობილი ბერძენი არ დაინტერესებულა მეტრიკის საკითხებითო", სჩივის პ. მაასი.[1]

თუ ეს საყვედური რამდენადმე გადაჭარბებულად შეიძლება ეჩვენოს ადამიანს, ყოველ შემთხვევაში, უძველესი ლექსის — ბერძნული ჰეგზამეტრის მიმართ იგი სავსებით სამართლიანია. ბერძნული ჰეგზამეტრის შესწავლის საქმე მეტრიკის დანარჩენ საკითხთა შორის ყველას ჩამორჩება და ამ შემთხვევაში შეიძლება მოვიგონოთ ისევ იმავე მაასის ნათქვამი: „ანტიკური მეცნიერება მეტრიკაზე წარმოგვიდგენს ზერელე აღწერას, მექანიკურ კლასიფიკაციასა და უნაყოფო სპეკულაციას[2]."

საქმის ასეთ ვითარებას თავისი მიზეზი აქვს; მართლაც ძველი ბერძნული მეტრიკის მეცნიერება შედარებით გვიან წარმოიშვა, იგი დაიწყო იმ დროს, როდესაც ჰომეროსიდან ოთხ საუკუნეზე მეტი იყო გასული. ამიტომაც ბუნებრივია, რომ მკვლევარს, რაც უნდა დიდი ნიჭი და მეცადინეობა გამოეჩინა, მაინც ვერ შესძლებდა ბერძნული ჰეგზამეტრის სასიმღერო ფორმის აღდგენასა და მის შესახებ მეცნიერულად დასაბუთებული აზრის შემუშავებას. ცნობილია, რომ უკვე ჰომეროსის დროიდან საგმირო სიმღერების სიმღერით შესრულების წესი რეციტაციით იცვლება. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ ჰომეროსის პოემების „ილიადასი" და „ოდისეას" მიმართვანი—მუზებისადმი ორ სხვადასხვა სიტყვითაა ცნობილი. პირველ შემთხვევაში — ἄειδε მიმღერე, ხოლო მეორე შემთხვევაში ἔννεπε — მიამბე. ჰომეროსი უკანასკნელი აედია, მის შემდეგ რაფსოდები გამოდიან. ცნობილია, რომ აედები — მღერიან, ხოლო რაფსოდები რეციტაციის წესით ასრულებენ საგმირო პოემებს. და აი სწორედ ამ მიზეზის გამო, იმის გამო, რომ ლექსის სიმღერის წესით შესრულება თანდათანობით დაივიწყეს, შეუძლებელი გახდებოდა მკვლევარისათვის ჰეგზამეტრის სასიმღერო ფორმის გათვალისწინება. მით უმეტეს თუ გავიხსენებთ, რომ ბერძნული მეტრიკის საკითხების კვლევა ჩ. წ. აღრიცხვამდე მეოთხე საუკუნიდან იწყება. და ამ დროისათვის არა თუ ჰეგზამეტრის სასიმღერო ფორმა, ბერძნული ლირიკის ზოგიერთი დარგიც კი იმდენად იყო მივიწყებული და სახეშეცვლილი, რომ მეცნიერი მოკლებუ-

---

[1] P. Maas, Griechische Metrik-Einleitung in die Altertumswissenschaft, Gercke-Norden, I ნაწილი, 7 რვეული. 1923, გვ. 2).

[2] იქვე.

ლი იქნებოდა საშუალებას სწორი წარმოდგენა შეემუშავებინა ამ საკითხების შესახებ.

ამიტომაც არის, რომ მეტრიკა ძველებს ნაკლებად შესწავლილი დარჩათ. საკითხის მეცნიერული შესწავლა მოითხოვდა ცოცხალ დაკვირვების მასალის—კვლევითი ობიექტის—შესაფერის მდგომარეობას, ხოლო ასეთი მასალა ხელთ არ ექნებოდა ჰომეროსის დროიდან ოთხი-ხუთი საუკუნით დაშორებულ მკვლევარს.

ჰეგზამეტრის შესწავლის საკითხთა შორის ყველაზე უძნელეს საკითხად ითვლება მისი წარმოშობა, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი დაწერილა და თქმულა. ბერგკის (Th. Bergk Uber die ältesten Versmass d. griechen, Freiburg. 1854—Kleine Schriften II გვ. 342 და შემდეგი), უზენერის (Usener, Altgriechische Versbau, 1887, გვ. 87 და შემდეგი), ალენისა (Allen Fr. über die Ursprung des homerischen Versmasses-Zeitschrift für vergleihende Spruchvorcshung BXXIV, 1879, გვ. 567 და შემდეგი) და სხვათა მრავალთა ცდის მიუხედავად ჯერჯერობით დასავლეთ ევროპის მეცნიერებაში კითხვა ჰეგზამეტრის წარმოშობის შესახებ ღიად შეიძლება ჩაითვალოს. დასახელებულ პირთა შრომებში წამოყენებული მოსაზრებანი ჰეგზამეტრის წარმოშობის საკითხისათვის მეტად ადვილად იყო უკუგდებული.

ცნობილი ფრანგი მეცნიერის მეიესა[1] და გერმანელი მეცნიერის კ. მაისტერის შეხედულების თანახმად ბერძნული ჰეგზამეტრი არ უნდა იყოს ინდოევროპული წარმოშობისა. მაისტერი პირდაპირ აცხადებს:

„როდია გამორიცხული შესაძლებლობა იმისა, რომ ეოლიელებმა ან იონიელებმა თავისი ლექსისა და თქმულებათა ხელოვნება გადმოიღეს ერთ-ერთ იმ ხალხთაგან, რომლებთანაც ისინი ურთიერთობაში მოხვდნენ მათი საბერძნეთში შესვლის დროს, ისევე როგორც ყოველივე ეს გვიან ლათინელებში გადავიდა“.[1] ქვემოთ იგივე ავტორი მიუთითებს მცირე აზიის იმ ხალხებზე, რომელთაგან ბერძნებს შეეძლო გადმოეღოთ ლექსის ეს ფორმა. „ჩვენ უნდა დაუშვათ აგრეთვე იმის შესაძლებლობა, რომ ბერძნული ჰეგზამეტრი საბოლოო ანგარიშში ეყრდნობა ფრიგიულ ან ლიკიურ ლექსს, ან არსებითად რომელისამე მსგავსი ლექსის სავსებით იდენტურია“.[2]

ეს აზრი უფრო საყურადღებოა, და მართლაც ახლა, როდესაც ამ საკითხის კვლევას საკმაო ისტორია აქვს, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ განსაკუთრებით დასაწყისს პერიოდში ბერძნები განიცდიდნენ მეზობლების უშუალო გავლენას. და აი ამ წანამძღვარის საფუძველზე შეიძლება წამოვაყენოთ დებულებანი ბერძნული ჰეგზამეტრის წყაროს შესახებ:

1. არსებობს მითი ფრიგიელთა მეფეს — მიდასის შესახებ. ამ მითის მიხედვით ტრადიცია მას მიაწერს საბერძნეთში ექვსლეროიან ფლეიტის — ეგრეთ წოდებული პანის ფლეიტის—შეტანას. ვინკლერისა[3] და სეისის[4] შეხედულების მიხედვით ეს მიდასი არის მოსხების მეფე მიტა. ასეთივე აზრი-

[1] Meillet A, Les origines indo-européenes des mètres grecs, 1923, გვ. 73.

[1] K. Meister, Die homerische Kunstsprache-Preisschrift gekrönt und herausgegeben von der fürstlich-jablonowskischen Gesellschaft zu Leipzig, XLVIII, 1921, გვ. 58.

[2] იქვე, გვ. 231.

[3] Winckler, Altorientalische Vorschungen II Reihe, I, 3 1898 — 1900, გვ. 137.

[4] Sayce A. H. Hittite and Moscho-Hittite-Revue Hittite et Asianique, I, F. 1, 1930, Paris, გვ. 5.

საა ამ საკითხის შესახებ ი. ჯავახიშვილიც.[1]

ცნობილია, რომ მოსხები ითვლებიან უძველეს ქართველთა ტომად. საქართველოს ისტორიის ახლახანგამოსულ სახელმძღვანელოში ნათქვამია: „ჩვენი წელთაღრიცხვის წინ მეორე ათასი წლის დასაწყისისათვის წინააზიის მკვიდრ ხალხთაგან ცნობილი იყვნენ ხეთები და სუბარები. ხეთები და სუბარები ქართველთა წინაპრები არიან. ხალხთა ამ გვარ-ტომობას ჩვენ ვუწოდებთ ხეთურ-იბერულს ვინაიდან მისი მთავარი წარმომადგენლებია: მცირე აზიაში — ხეთები, ევროპაში — იბერები, მესოპოტამიიდან კავკასიამდე — იბერ-სუბარები“.

და აი სწორედ მოსხები, რომლებიც ხეთების ჯგუფში შედიოდნენ, არის სწორედ ის ტომი, საიდანაც საბერძნეთში პანის ფლეიტა—ექვსღეროიანი სალამური შეუტანიათ.

2. პანის ფლეიტა დღევანდლამდე შენახულია მარტოოდენ საქართველოს მთიან ადგილებში.

სტეშენკო-კუფტინას საფუძვლიან გამოკვლევაში წარმოდგენილია მეტად საყურადღებო ცნობები ამ უძველესი ინსტრუმენტის შესახებ, რომელიც მოპოებულია ამ საკრავის შენახვისა და დაცვის ადგილას — გურჩასა და სამეგრელოში.

თავის შრომის წინასიტყვაობაში ავტორს კარგადა აქვს გათვალისწინებული მის მიერ დამუშავებული საკითხის მნიშვნელობა, იგი სწერს:

„მე კმაყოფილი დავრჩები თუ ჩემს მიერ გამოქვეყნებული მასალა და მასთან დაკავშირებული საკითხები აღძრავენ ინტერესს თვით ინსტრუმენტისადმი და იმ ქვეყნისადმი, რომელსაც იგი აქამდე შემოუნახავს“.[1]

მართლაცდა დაუფასებელია ის მასალა, რომელიც წარმოდგენილია ამ ნაშრომში ჩვენი საკითხის—ჰეგზამეტრის საკითხის — კვლევისათვის.

ეჭვს გარეშეა, რომ ეს საკრავი უძველესია და იგი დღევანდლამდე დაცულია ჩვენში, სადაც ყოველთვის დიდი ყურადღებით ინახავს ხალხი ძველთაგან გადმოცემულ ტრადიციას, ხალხური ხელოვნების ყოველ დარგში. მართლაც მრავალღეროვან სალამურის არსებობა ხალხთა კულტურაში მეტად დამახასიათებელი გარემოებაა და საერთოდ მისი უძველესობის მაჩვენებელია. იმის მაჩვენებელია, რომ მას შეუნარჩუნებია პირველადი განვითარების ნიშნები, რომლის ძირებსაც მატრიარქატის პრიმიტიულ სტადიებამდე მივყევართ.[2]

ამ საკრავის შესწავლისა და მისი ბუნების დამახასიათებელ თავისებურებათა გამოვლინებისას ავტორს ყურადღება მიუპყრია იმ გარემოებისათვის, რომ პანის ფლეიტას ექვსი ღერო მოეპოება. „შესაძლებელია, რომ ციფრი 6, რაიც ახასიათებს აგრეთვე სვანურ ექვსსიმიან არფას-ჩანგს, საძიებელი იყოს ხალხის რომელიღაც ასტროლოგიურ წარმოდგენაში, რადგან ესეოდენ დაკანონებული ციფრი უნდა ემყარებოდეს ხალხის წარმოდგენაში არსებულ რომელიღაც წანამძღვრებს“.[3]

3. საქართველოში შენახულია ექვსღეროიანი პანის ფლეიტა — სოინარი, ლარჭემი. ამ საკრავმა დღევანდლამდე შეინარჩუნა ერთი უძველესი ჰანგი ექვსიმუხლის ზომისა. როგორც სტეშენკო-კუფტინას გამოკვლევიდან სჩანს, „თემა—გამოსავალ b-დან-ges—

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. 1913 წ., გვ. 37 — 38.

[1] სტეშენკო-კუფტინა, პანის ფლეიტა, 1936 წ. საქ. მუზეუმის გამოცემა, 1936 წ., თბილისი, წინასიტყვაობა, გვ. XVI.

[2] იქვე, გვ. 7.

[3] სტეშენკო-კუფტინა—იქვე, გვ. 22.

ექვსმუხლიან დაქტილურ ზომით ხასიათდება (ხაზი ჩემია. პ. ბ.). თავდაპირველი ექვსმუხლიანი დაქტილური აგებულება კი ამ რიტმულ სტრუქტურის არქაულობას ამჟღავნებს".

ამრიგად ირკვევა: 1) ხალხური მუსიკის მასალა უდავოდ ადასტურებს, რომ ექვსლეროიანი სალამურის, პანის ფლეიტის ან ლარჭემის—სოინარის სამშობლო საქართველოა; ა) — ფლეიტის ლეროების რაოდენობა დამყარებულია ქართულ რელიგიურ შეხედულებებზე და ბ) — ჩვენებურ ექვსლეროიან სალამურზე სრულდება არქაული ჰანგი ექვსმუხლიანი დაქტილური ფორმისა.

მაგრამ საქმე ამით არ თავდება. ქართული ლექსის შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საშუალება გვეძლევა ლექსშიაც დავინახოთ მრავალი ისეთი რამ, რაც სრულიად ნათელს ჰფენს ჩვენს მიერ წამოყენებულ კითხვას.

4. ხევსურეთსა და სვანეთში დღემდე შენახულია საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების უძველესი ფორმები. მიუვალ მთებში მცხოვრებმა ხევსურებმა და სვანებმა დღევანდლამდე შემოინახეს უძველესი ტრადიციები: „სვანებისა და სხვა ქართველ მთიელთა თემი წარმოგვიდგენს ჩვენ იმის სანიმუშო სურათს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო საერთოდ ყველა ქართველი ტომების საზოგადოებრივი წყობა იმ დრომდე, სანამ წარმოიშვა კლასები და სახელმწიფო".[1]

ამრიგად სავსებით ბუნებრივია, რომ ძველ საზოგადოებრივ ფორმებთან ერთად სვანებმა და ხევსურებმა შეინარჩუნეს აგრეთვე ხელოვნების უძველესი ფორმები.

მართლაცდა, როგორც ხევსურულმა, აგრეთვე სვანურმა ხალხურმა შემოქმედებამ დღევანდლამდე მოიტანა უძველესი სასიმღერო ლექსის ფორმა, იმ დროინდელი სახე ლექსისა, რომელსაც იგი სრულდებოდა მარტოოდენ სიმღერით, რადგან სხვაგვარი წესი შესრულებისა იმ უძველეს ხანაში არ არსებობდა. ამიტომ, არ უნდა იყოს საკვირველი, რომ გარითმული ლექსების გვერდით ჩვენ მოგვეპოვება ხევსურეთსა და სვანეთში აგრეთვე ურითმო სასიმღერო ლექსებიც. და აი სწორედ ეს ლექსები არის ის უძვირფასესი მასალა, რომლის საშუალებით შეგვიძლია ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევის დროს სათანადო დასკვნის მიღება.

5. დღემდე მოღწეული ხევსურული ლექსის უძველესი ფორმა წარმოადგენს „ცოცხალი სიძველის" იშვიათ ნიმუშს. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის შესახებ, რომ ხევსურული „მთიბლურის" სახით უძველესი ლექსის ფორმაა დაცული. ამ მოსაზრებას ადასტურებს ა. შანიძის მიერ ხევსურული ხალხური სიტყვიერების კრებულის წინასიტყვაობაში „მთიბლურზე" გამოთქმული შეხედულება:

„ყოველ შემთხვევაში ასეთ სიმღერებში უნდა გვქონდეს ერთ-ერთი ნიმუში უძველესი ქართული ლექსისა, რაც ფრიად და ფრიად მნიშვნელოვანია ქართული მეტრიკის ისტორიისათვის".[1]

ამ სახის ლექსის სიძველის დასამტკიცებლად ა. შანიძეს მოჰყავს სხვათა შორის ის საბუთიც, რომ ეს ლექსი იმღერება.

ხევსურულ „მთიბლურ" ლექსში არ არის დაცული მარცვალთა გარკვეული რაოდენობა, ლექსის თითოეულ ნახევარში შეიძლება იყოს 8 — 9 მარცვალი, ხოლო ტერფთა რაოდენობა თითოეულ ნახევარში სამი იქნება. ამრი-

[1] საქართველოს ისტორია, გვ. 13.

[1] ა. შანიძე, „ხალხური პოეზია", ხევსურული. 1931 წ., წინასიტყვაობა, გვ. 22.

გად, „მთიბლური“ ექვსტერფიანი ლექსია, რომელიც უმთავრესად სამმარცვლიან ტერფისაგან შესდგება. მთიბლურს არ გააჩნია რითმა, მაგალითად:

გველი:

უქმი იძახა დათვიამაა:
მარიენობა შემოვიდაოო.
დასალეებსა ყმაწვილებსაა
გველი წყალჩია მეეყოლაო.
თორმეტი სულის ჯალაფისი
ერთყმაწვილ დარჩა აკავანსაოო.[1]

როგორც სჩანს მოყვანილი ლექსიდან — იგი შესდგება უმთავრესად სამმარცვლიანი დაქტილური ტერფებისაგან. ლექსი ორ ნაწილს შეიცავს, თითოეულ ნაწილში სამი ტერფია.

ამრიგად, ირკვევა, რომ ქართული ხალხური ლექსის აქამდე დაცული უძველესი ფორმა დაქტილური-ჰეგზამეტრულია.

მაგრამ „მთიბლურის“ ანალიზი არ შეიძლება მარტოოდენ ნათქვამით დასრულდეს. „მთიბლური“ იმღერება. მისი სასიმღერო ფორმა ექვსტაქტიანი-დაქტილურია. უნდა აღინიშნოს, რომ ხევსურული „მთიბლური“, „ხმით ნატირალი“ და „მგზავრული“ თანაბარ ხასიათისა და მუსიკალური ფორმის სიმღერებს წარმოადგენს. ეს გარემოება კიდევ ზედმეტ საბუთს გვაძლევს, რომ ამ სახის სიმღერები ხალხური შემოქმედების უძველეს ნიმუშებად მივიჩნიოთ. სამივე შემთხვევაში სიმღერა იწყება მაღალი ნოტით და შემდეგ ეშვება ქვემოთ დაცურებისგლისანდოს წესით.

როგორც ირკვევა კომპოზიტორ გრ. ჩხიკვაძის მიერ თავაზიანად მოწოდებულ ხელთნაწერ შენიშვნებიდან, ხევსურული მუსიკალური ფოლკლორის

[1] ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 290.

შესახებ „ხევსურული სიმღერები ხასიათდება მეტად მარტივი ფაქტურით და პრიმიტიულობით. რიტმის მიხედვით ისინი შეიძლება გაიყოს ორ ჯგუფად. ერთ ჯგუფს ახასიათებს კვადრატობა (უმეტესად ორტაქტიანობა) და მეორე ჯგუფს სამტაქტიანობა“. სწორედ ამ უკანასკნელ ჯგუფს განეკუთვნება ჩვენს მიერ განხილული დაქტილური ხასიათის ექვსტაქტიანი სიმღერები.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ხევსურული ლექსი „მთიბლური“, „ხმით ნატირალი“ და „მგზავრული“ წარმოადგენს სიმღერა-ლექსის უძველეს ფორმას. იგი შესდგება ექვსი ტერფისაგან და თითოეული ტერფი ძირითადად დაქტილურია. დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ის გარმოება, რომ ამ ლექსის სასიმღერო ფორმა დაქტილური, ექვსტაქტიანია.

6. სვანური ხალხური სიმღერებიც აგრეთვე ინარჩუნებენ ჩვენი წარსული მუსიკალური კულტურის უძველეს ტრადიციებს, რადგან სვანეთშიაც დღემდე დაცულია ძველი საზოგადოებრივი ყოფის გადანაშთები. უნდა აღინიშნოს, რომ ხევსურეთის მუსიკალურ ფოლკლორისაგან განსხვავებით განვითარების დონე სვანური სიმღერებისა გაცილებით მაღალია.

სვანურ პოეზიაშიაც მოიპოება ურითმო სასიმღერო ლექსები. ხევსურულის მსგავსად ისინიც, მაგალითად სვანური „ლილე“, ექვსტერფიანი ლექსის საფუძველზეა გამართული. ეჭვი არ უნდა იყოს, რომ „ლილე“ უძველესი წარმართული ხანის სარწმუნოებრივი სიმღერაა. იგი გამართულია ექვს ტაქტად, თითოეული ტაქტი ანაპესტია.[1]

[1] ზ. ფალიაშვილი, ქართული ხალხური სიმღერების კრებული, 1909, ტფ., ქართული ფილ. საზოგადოების გამოცემა, გვ. 45.

რაც შეეხება მეორე აგრეთვე რიტუალურ სიმღერას „ზარს“,[1] ისიც ექვს ტაქტს შეიცავს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ზოგი ტაქტი დაქტილურია, ზოგიც ანაპესტს წარმოადგენს. აღნიშნული გარემოება ფრიად საინტერესო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგან ცნობილია, რომ ანაპესტი შებრუნებულ დაქტილს წარმოადგენს. დაქტილის სამი მარცვლიდან პირველი გრძელი მარცვალია, ორი დანარჩენი მოკლეა, ანაპესტს, ან როგორც ბერძნულ მეტრიკაში უწოდებენ, ანტიდაქტილს შებრუნებით—პირველი ორი მარცვალი მოკლე აქვს, უკანასკნელი გრძელია. ასე რომ ეს შენაცვლება დაქტილისა ანაპესტად ისევე კანონზომიერი მოვლენა უნდა იყოს ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში, როგორც ბერძნულისათვის სავსებით კანონზომიერია ქორეს იამბად შეცვლა.

ამრიგად, სვანურ სიმღერა-ლექსსაც შეუნარჩუნებია ექვსტაქტიანი დაქტილური ხასიათი.

7. მაგრამ სიმღერისა და ლექსის გარდა შეგვიძლიან ხალხური შემოქმედების კიდევ სხვა დარგის მიხედვითაც შევძლოთ დავადასტუროთ ჩვენს მიერ არჩეული კვლევის გზის სისწორე. ქართული ქორეოგრაფიაც, რომელიც ასე მჭიდრო კავშირშია სიმღერასთან, წარმოგვიდგენს კიდევ ახალ და უტყუარ საბუთს ქართული რიტმის დაქტილური ბუნების შესახებ.

ქართული ხალხური ცეკვის ძირითადი რიტმული ერთეული ზუსტად დაქტილურია. ქართული ქორეოგრაფიის ცნობილი მცოდნის დ. ჯავრიშვილის მიერ შედგენილი სქემების მიხედვით „მხედრულის“, „საცეკვაოსა“ და „ლეკურის“ ძირითადი რიტმი ასეა გამოხატული — ᲡᲡ გრძელი ხაზით აღინიშნება პირველი ნაბიჯი და ორი მოკლე ხაზით ორი პატარა სწრაფად გადადგმული ნაბიჯები. მარჯვენა ფეხი ასრულებს პირველ გრძელ ნაბიჯს და მას მოსდევს ორი მოკლე ნაბიჯი შესრულებული ჯერ მარცხენა, შემდეგ მარჯვენა ფეხის მიერ. სხვაგვარად ქართული ცეკვის ძირითადი რიტმული სქემა ასე შეიძლებოდა ყოფილიყო გადმოცემული Ꞁ Ꞁ Ꞁ ერთი მეოთხედი, ხოლო ორი დანარჩენი მერვედები.

ამრიგად ირკვევა, რომ როგორც ლექსი, ისე სიმღერა, ისე ცეკვა ქართული ხალხური ხელოვნებისა ამჟღავნებს ძირითად, მისთვის დამახასიათებელ წამყვან რიტმულ ბუნებას — დ ა ქ ტ ი ლ უ რ ბუნებას.

8. ცნობილია, რომ ბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრი ადრე უკუგდებულ იქნა, იამბო — ტროქაულ რიტმმა დაჩრდილა დაქტილურ-ანაპესტური რიტმი. ბერძნულ დაქტილურ ჰეგზამეტრს შემდგომი განვითარება არ ღირსებია, იგი დაივიწყეს. ასე რომ უკვე VI საუკუნის დასაწყისიდან ჩვენ წელთაღრიცხვით საგმირო პოემებიც კი იამბიკური ტრიმეტრის ზომით იწერება.

საკითხავია, რა ბედი ეწვია ქართულ ექვსტერფიან ლექსს, განაგრძობდა იგი შემდეგ არსებობას, თუ დავიწყებას მიეცა და არ გაცილებია ჩვენს მიერ აღნიშნულ ქართველ მთიელთა, ხევსურთა და სვანთა ფარგლებს?

უნდა აღინიშნოს, რომ ექვსტერფიანი დაქტილური ურითმო ლექსის განვითარება არ შეჩერებულა ერთ დონეზე. თვით ხევსურეთსა და სვანეთში ურითმო ექვსტერფიან ლექსთა გვერდით არსებობს გარითმული ექვსტერფიანი ლექსიც.

ურითმო ექვსტერფიანი დაქტილური ლექსიდან მივიღეთ დაბალი ან

[1] იქვე, გვ. 38—39.

გრძელშაირის ლექსი. ეს ლექსი ექვსტერფიანია, დაქტილურია და ამ საზომით არის დაწერილი რუსთაველის პოემის უმეტესი ნაწილი. და ეს ლექსი ოთხტერფიან შაირის ლექსთან ერთად წარმოადგენს ქართული მეტრიკის ძირითად ფორმას.

9. ექვსტერფიანი შაირი, რომელიც წარმოადგენს ჩვენ მიერ განხილულ ურითმო ექვსტერფიანი დაქტილური სიმღერა-ლექსის შემდგომ განვითარებას, შესდგება ორი ნახევარისაგან. თითოეულ ნახევარში ორი სამმარცვლიანი და ერთი ორმარცვლიანი ტერფია. ლექსის თითოეული ნახევარი უეჭველად სამმარცვლიანი ტერფით უნდა მთავრდებოდეს. რაც შეეხება იმ ერთ ორმარცვლიან ტერფს, რომელიც თითოეულ ნახევარშია მოთავსებული, მან შეიძლება გადაინაცვლოს ან პირველ ან მეორე ადგილზე. ორმარცვლიან ტერფის ასეთ გადანაცვლების შედეგად ლექსის რიტმის ცვალებადობაც მოჰყვება ხოლმე. ორმარცვლიან ტერფის გადანაცვლებით გამოწვეული რიტმული ცვალებადობა იმავე როლს ასრულებს, რასაც ბერძნულ ჰეგზამეტრში ასრულებს დაქტილების სპონდეებად შენაცვლება. ჩვენს ნაშრომში „რუსთველის ლექსის რიტმი“ [1] ნაჩვენები იყო, თუ როგორი ხელოვნებით იყენებს რუსთაველი ექვსტერფიანი ლექსის რიტმულ მრავალფეროვნებას, გამოწვეულს ორმარცვლიან და სამმარცვლიან ტერფთა ადგილის გადანაცვლებით.

ამრიგად, გრძელშაირის ლექსში, ორმარცვლიან და სამმარცვლიან ტერფთა ადგილის გადანაცვლება ასრულებს იმავე როლს, რასაც ბერძნულ ჰეგზამეტრში დაქტილების სპონდეებად შეცვლა.

[1] იხ. რუსთაველის კრებული, რუსთაველის ინსტიტუტის გამოცემა, კ. კეკელიძის და პ. ინგოროყვას რედ., გვ. 215 — 240.

10. თუ ქართული ჰეგზამეტრის დასასრული ლექსის ყოველ ნაწილში დაქტილური უნდა იყოს, რადგან ქართული ენის ბუნებას სწორედ ასეთი ვითარება შეეფერება, ბერძნული ჰეგზამეტრის როგორც ცეზურა, ისე დასასრული სრულიად საწინააღმდეგო სურათს წარმოგვიდგენს.

ცნობილია, რომ ბერძნულ ჰეგზამეტრს ორი მთავარი ცეზურა გააჩნია — ვაჟური და ქალური. აღსანიშნავია, რომ პირველიცა და მეორეც არ სცილდება მესამე ტერფის ფარგალს. პირველ მათგანს ბერძენი მეტრიკოსები პენთემიმერესს — ხუთნახევრიანს — უწოდებენ და იგი მოდის მესამე ტერფის პირველ გრძელ მარცვალზე.

1 2 3 } 4 5 6
— ◡◡ — ◡◡ — ◡◡ — ◡◡ — ◡◡ — ◡

რაც შეეხება მეორე ცეზურას, მას ეწოდება „ტომე კატა ტრიტონ ტროქაიონ“, — ე. ი. ცეზურა მესამე ტროქეს შემდეგ.

1 2 3 } 4 5 6
— ◡◡ — ◡◡ — } ◡◡ — ◡◡ — ◡◡ — ◡

თუ სწორია ის დებულება, რომ დაქტილური ჰეგზამეტრი დაქტილური უნდა იყოს, რადგან საგულისხმოა, რომ იგი დაქტილური ლექსის საფუძველზეა აგებული, მაშინ რით უნდა აიხსნას ბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრის ასეთი ლტოლვა დაქტილისაგან. მართლაცდა, სწორედ იქ, სადაც შეჩერებაა და ამ შეჩერების ადგილას უნდა გამოვლინდეს ხომ ლექსის ნამდვილი ბუნება, სწორედ ამ გადამწყვეტ მომენტში ბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრი გაურბის დაქტილს, რადგან ვაჟური ცეზურა — პენთემიმერესი გამოავლინებს იამბს, ხოლო ქალური ცეზურა გამოავლინებს, როგორც ეს თვით ამ ცეზურას ბერძნული სახელწოდებიდან სჩანს — ტომე კატა ტრიტონ ტროქაიონ — ტროქეს.

ბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრის დაქტილისაგან თავის დაღწევის ტენდენცია ნათლად იჩენს თავს ლექსის დასასრულს და ეს გასაგებიცაა: ყველგან, სადაც შესვენებაა, იქნება იგი ჰეგზამეტრის სტრიქონისა, თუ მისი შუა ნაწილის დამთავრებით გამოწვეული, ყველგან ბერძენი პოეტები ხანგრძლივი ტრადიციის შედეგად ათავისუფლებენ ჰეგზამეტრს დაქტილისაგან და ამიტომაც არის, რომ ბერძნული ჰეგზამეტრის ბოლო ტერფი, როგორც წესი ა რ ა დ ა ქ ტ ი ლ უ რ ი ა. ისიც ორმარცვლიანი ტერფით გვექნება გაფორმებული, ქორეს ან სპონდეს სახით. ამ გარემოებას თვით ბერძნულ მეტრიკაში შემუშავებული ტერძინიც ადასტურებს. ბოლო ტერფს კატალექტიკურს — შეკვეცილს უწოდებენ ხოლმე.

თუ ბერძნული ჰეგზამეტრი ასე გაურბის დაქტილს, ქართული გრძელშაირის ლექსი, შექმნილი უძველესი ქართული დაქტილური ჰეგზამეტრის საფუძველზე, დაქტილისადმი ერთგულებას ბოლომდე ინარჩუნებს.

ცნობილია, რომ გრძელშაირის ლექსმა თუ კი შეცვალა სადმე დაქტილი, აოავითარ შემთხვევაში ასეთი შეცვლა არც ლექსის დასასრულსა და არც ლექსის ცეზურის ადგილს არ შეხებია. გრძელშაირის ლექსი მუდამ დაქტილურ კლაუზულას შეიცავს:

a-323/323 რომელმან შექმნა ს ა მ ყ ა რ ო / ძალითა მით ძლ ი ე რ ი თ ა
b-323/233 ჩვენ კაცთა მოგვცა ქ ვ ე ყ ა ნ ა / გვაქვს უთვალავი ფ ე რ ი თ ა
c-233/323 თამარს ვაქებდეთ მ ე ფ ე ს ა / სისხლისა ცრემლდათხ ე უ ლ ი
d-233/233 იყო არაბეთს რ ო ს ტ ე ვ ა ნ / მეფე ღვთისაგან ს ვ ი ა ნ ი

როგორც სქემის მიხედვით სჩანს, გრძელშაირის ლექსის ცეზურის ადგილი და დასასრული სამმარცვლიანი დაქტილური ტერფითაა გაფორმებული.

ამრიგად, ირკვევა, რომ ბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრი დაქტილს გაურბის და თავისი ენის ბუნებისათვის შესაფერ სალექსო ფორმაში — იამბო-ქორულ ფორმაში — ჰპოვებს თავის გამოსავალს, ხოლო ქართული დაქტილური ჰეგზამეტრის მიხედვით შექმნილი ლექსი გრძელი შაირისა საკუთარ ბუნებას ბოლომდე შეინარჩუნებს და დაქტილურ დასასრულისადმი ერთგულებს ბოლომდე იცავს.

ზემონათქვამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთადერთი უძველესი ფორმა დაქტილური ჰეგზამეტრისა დაცული ყოფილა ჩვენში მუსიკალური ინსტრუმენტის შესრულებისა, სიმღერისა და ლექსის სახით.

ამრიგად, ირკვევა შემდეგი დებულებანი:

I. უძველეს ქართველთა ტომის — მოსხების მეფე მიტა ითვლება იმ პიროვნებად, რომელსაც ტრადიცია საბერძნეთში პანის ფლეიტის შეტანას მიაწერს.

II. პანის ფლეიტა დღევანდლამდე დაცულია მხოლოდ და მხოლოდ ჩვენში — სამეგრელოსა და გურიაში.

III. პანის ფლეიტამ აქამდე შეინარჩუნა ჩვენში ექვსტაქტიანი დაქტილური ფორმა ერთ-ერთი ჰანგისა.

IV. როგორც ხევსურულმა, ისე სვანურმა ხალხურმა პოეზიამ დღემდე დაიცვა უძველესი სახეობა სიმღერა-ლექსისა.

V. ხევსურული სიმღერა-ლექსი შესდგება ექვსი ტერფისაგან, თითოეული ტერფი წარმოადგენს უმთავრესად დაქტილს. ლექსი იყოფა ორ ნაწილად, თითოეულ ნაწილში სამ-სამი ტერფია.

VI. ასეთივე ხასიათისაა სვანური ხალხური სიმღერა, ისიც ექვსი ტერფისაგან შესდგება ლექსის ტერფისა და სიმღერის ტაქტის სრული თანხვედრის ვითარებაში. სვანური სიმღერა-ლექსი დაქტილურ-ანაპესტური ხასიათისაა.

VII. ქართული ქორეოგრაფიაც ამ-ეღავნებს დაქტილურ ბუნებას. ყველა ქართული ცეკვის ძირითადი რიტმული ელემენტი დაქტილური რიტმია.

VIII. ბერძნული ჰეგზამეტრი დავიწ-ყებული იქმნა და შემდეგ შეიცვალა ბერძნული მეტრიკისათვის უფრო შესაფერ საზომით. ქართულმა ჰეგზამეტრმა კი ჰპოვა თავისი ახალი სახე გარითმული ექვსტერფიანი შაირის ფორმით.

IX. ბერძნული და ქართული ექვსტერფიანი ლექსი ცეზურის მიხედვით შუაზე იყოფა. გრძელშაირში ორმარცვლიან და სამმარცვლიან ტერფის გადანაცვლება იმავე როლს ასრულებს, რასაც ბერძნულ ჰეგზამეტრში დაქტილების სპონდეებად შეცვლა.

X. თუ ბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრი ცეზურისა და ლექსის დასასრულში გაურბის დექტილს და მისთვის შესაფერ ტერფს ორმარცვლიან ტერფს იყენებს, როგორც ცეზურისა ისე დასასრულისას, ქართული დაქტილური ჰეგზამეტრიცა და იმის მიხედვით შექმნილი გრძელშაირის ლექსი, ბოლომდე დაქტილის ერთგული რჩება. გრძელშაირის კლაუზულა მარად დაქტილურია.

ასეთნაირად გამოდის, რომ ძველი ბერძნული სალექსო ფორმის წარმოშობა შესაძლებელია ახსნილ იქმნას უძველესი ქართული ლექსის მიხედვით. უნდა ჩაითვალოს, რომ ბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრი, რომლითაც იწერებოდა საგმირო ხანის პოემები, გადმოღებულია მცირე აზიაში მცხოვრებ იმ უძველეს ქართველ ტომებისაგან, რომელთანაც ბერძნები მჭიდრო კულტურულ ურთიერთობაში იყვნენ და ლექსის გარდა არა მცირედით ყოფილან მათგან დავალებულნი, როგორც სახვით ხელოვნებისა, ისე თქმულებათა სესხების მხრივაც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

★

არჩილ ჩაჩიბაია — „მოთხრობები"

სამამულო ომის თემატიკა ნამდვილ ხორცშესხმასა და მხატვრულ განსხეულებას ომის შემდგომ მწერლობაში პოულობს. იგი სულ ახალი და სულ აქტუალურია, ამოუწურავი და ვრცელია. იგი ორიგინალურად და მთელი სისავსით მხოლოდ ახლა მუშავდება. ამ აზრს ნათლად ადასტურებს უკანასკნელი პერიოდის ქართული საბჭოთა პროზა.

ის ნაწარმოებნი, რომლებიც ომის ქარცეცხლიან დღეებში იწერებოდნენ, გარკვეული მიზეზების გამო სქემატიურობის იერს ატარებენ. ამ ნაკლს ვერც არჩილ ჩაჩიბაია ასცდა თავის შემოქმედებაში.

სარეცენზიო წიგნში მოთავსებული ნაწარმოებები ერთის გარდა სამამულო ომის თემატიკას ეხებიან. ავტორი თითქმის ორი ათეული წელია რაც ლიტერატურაში მუშაობს. ამიტომ ეს წიგნი მისი სათანადო გამოცდილებისა და მისი მხატვრული მომწიფების შესახებ უნდა ლაპარაკობდეს, მაგრამ ამის თქმა გადაჭრით შეუძლებელია.

კრებულში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „ჰაშიმბაის სიმღერა" და „ბუთულა". ეს ორი მოთხრობა, შედარებით სხვებთან, მხატვრულად უფრო გამართული და უფრო დამუშავებულია. „ჰაშიმბაის სიმღერას" გმირები: ჰაშიმბაი რაზუმბაევი, მარშან შარაშიძე, დევეთგერ ჩართოლანი და გიულარი,— მიმზიდველი და ადვილად დასამახსოვრებელი ტიპებია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰაშიმბაის კოლორიტული სახე. ჰაშიმბაი ნამდვილი ვაჟკაცია. მას გიულარი უყვარს, მაგრამ მის სიყვარულზე მაღლა სამშობლოსა და ქვეყნის სიყვარულს აყენებს. მისი ბრძოლებისა და ცხოვრების შინაარსიანი გზა, მისი სიმღერასავით ვაჟკაცური და მგრძნობიარეა. სიხარულს, მწუხარებას, ტანჯვას და გამარჯვებას იგი აკინივით სიმღერით გადმოგვცემს.

ჰაშიმბაი, მარშანი, დევეთგერი და გიულარი,— ეს ოთხი შესანიშნავი ადამიანი, ოთხივე სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელნი, თავიანთი მტკიცე მეგობრობით და შეხმატკბილებული ხასიათებით, რომლებიც ხელიხელ ჩაკიდებულნი იბრძოდნენ უმაღლესი სარდლობის დავალების შესასრულებლად,— ნამდვილად წარმოადგენენ ხალხთა სტალინური მეგობრობის გამოხატულებას.

მწერლის მიზანია, გვიჩვენოს (სამამულო ომის ფონზე), ხალხთა მეგობრობის ურღვევი და ცხოველმყოფელი იდეა. ეს მიზანი ამ მოთხრობაში მიღწეულია. ამას ნათელყოფს მარშან შარაშიძის ნამდვილი გმირობა და ზეადამიანური მოთმინების უნარი, გაუძლოს ყოველგვარ გაჭირვებას და რადაც არ უნდა დაუჯდეს გადაარჩინოს უზბეკელი ვაჟკაცი, ჰაშიმბაი, უეჭველი დაღუპვისაგან. ამასვე ცხადყოფს აზერბაიჯანელი პატრიოტი ქალის, გიულარის მოქმედება მეტად დაძაბული მდგომარეობის დროს.

ჰაშიმბაის, მარშანის და გიულარის სახით ჩვენ ვხედავთ რეალისტურად დახატულ ადამიანებს. ეს მოთხრობა ლირიკული, გრძნობიერი მოთხრობაა.

თუმცა სხვა თემაზე და სხვა მასალებზეა აგებული მისი მეორე მოთხრობა „ბუთულა", მაგრამ იგი თავისი ლირიკული განწყობით, ხასიათების მოცემით, პეიზაჟების დახატვით და მხატვრული დონით ძალიან ახლოს დგას „ჰაშიმბაის სიმღერასთან".

მოთხრობა „ბუთულას" თემა წითელი არმიის ცხოვრებიდან არის აღებული. ამ მოთხრობაში ხაზგასმულად არის ნაჩვენები, თუ რა უდიდესი გარდამქნელი ძალის შემცველია წითელი არმიის ცხოვრება, თუ როგორ ზრდის იგი ადამიანებს კომუნისტურად და როგორ იჭედება და იწრთობა ახალგაზრდობა საბჭოთა ქვეყნის სიყვარულით.

მწერალმა მთიელი ჭაბუკის ბუთულას გარდაქმნის შინაგანი პროცესი და მისი ხასიათის, როგორც ახალი ადამიანის ხასიათის, ფორმირება კარგად გვიჩვენა. წითელი არმია ყოველგვარ სიძნელეს იმორჩილებს. ამიტომაცაა, რომ

ბუთულამ ერთის მხრივ, როგორც წითელ არმიაში გამოწრთობილმა ადამიანმა, პირველობა დაამყარა ყაზბეგის მწვერვალზე ლაშქრობისას, სადაც დადგმული იქნა სტალინის ბიუსტი. ეს ფაქტი ცნობილი ფაქტია და მწერალმა კარგად გამოიყენა ბუთულას რთული სახის დახატვისას. ასევე კარგად არის მოცემული ის კონფლიქტი, რომელიც არსებობს ბუთულასა და ქერძალაბს შორის, მზექალას გამო. ქერძალაბის სახე, თუმცა მკრთალად, მაგრამ მაინც თვალსაჩინოდ არის დახატული.

საერთოდ ეს მოთხრობა ინტერესით იკითხება. ასევე ინტერესით იკითხება: მოთხრობა: „ძვლები“.

რაც შეეხება მის სხვა მოთხრობებს, როგორიცაა „მხედარი“, „მე ისევ შევსცქერი მზეს“, „შეხვედრა“ და „უშიშარი“ — მართალია ისინი ყველა აქტუალურ თემაზე არიან აგებულნი, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი თავიანთი სიუჟეტური განვითარებით, შემთხვევითს, ხელოვნურსა და სქემატიურ ხასიათს ატარებენ, — ვერ ახდენენ მკითხველზე ისეთს შთაბეჭდილებას, როგორიც განგვაცდევინეს ჩვენ ზემოთ განხილულმა მოთხრობებმა.

საერთოდ ეს მოთხრობები დამძიმებულია რიტორიკით, უაზრო ფრაზებით, უმიზნო შედარებებით და ეპიტეტებით. მწერალი სიტყვების კორიანტელს აყენებს. ბუნების საშინელებისა და მრისხანების აღწერას, საჭიროა თუ არა ის ამა თუ იმ ტიპის ხასიათის გახსნისათვის, მაინც ნაძალადევად და არაბუნებრივად აქსოვს ნაწარმოებში. ა. ჩაჩიბაიას წერის მანერა და სტილი შეშფოთებული ადამიანის ხმასა და ლაპარაკს ჰგავს. მისი წერის მანერა და სტილი ნამეტნავად დაძაბულია, ზედმეტად დაჭიმულია და არაბუნებრივი.

მკითხველი, როცა ამ მოთხრობებს კითხულობს, თავისუფლად ვერ გრძნობს თავს, ზედმეტად შეწუხებულია და ზედმეტად ატანს თავს ძალას, რომ გაერკვეს მწერლის მიერ ხელოვნურად შექმნილ სიტუაციებში და გარემოში: ასეთი მეთოდით დაწერილ მოთხრობებში აზრი იკარგება, შინაარსი ინისლება, ბუნდოვანდება და ყურს აყრუებს უაზრო სიტყვების რახარუხი. მწერალი უსარგებლოდ აწვალებს სიტყვებს. ამ სტილით დაწერილ მოთხრობებში ადამიანები, ყალბი, რიტორიული ენით ლაპარაკობენ. თავის თავს ადიდებენ და ურბელი ფეხის ნაბიჯზე გაიძახიან: „ქართველო გმირო!.. აღელვებული ზღვის ლურჯო ტალღებო, ცას მიბჯენილო გოლიათო მთებო, მზის ცრემლები თოვლის ფიფქებად რომ შეყინვია შენს მწვერვალებს“... „სამშობლოვ ჩემო, როგორ მწყურია ვეალერსებოდე შენს წალკოტს, შენს გულზვიად მთებს, შენს ზღვებს და ტბებს, სადაც ჩაუნერგიათ ჩემთვის სამშობლოსადმი სიყვარული და თავგანწირვა“. და ასე გამუდმებით მსჯელობენ, ქადაგებენ და ლაპარაკობენ მოთხრობის გმირები თავიანთ თავზე. უფრო შეტიც, ასე მსჯელობს დაჭრილი მაშინ, როცა სისხლიდან იცლება. ეს არ არის ბუნებრივი. არც ერთი პატრიოტი არ გაჰყვირის, მე გმირი ვარ, მე პატრიოტი ვარო; მათზე სხვები ამბობენ, უკეთ, მათს შესახებ მათივე საქმენი ლაპარაკობენ.

სხვათა შორის ამგვარი ნაკლისაგან არც ის მოთხრობებია სავსებით დაზღვეული, რომელიც ჩვენ ზემოთ დადებითად შევაფასეთ.

დიდი რუსი კრიტიკოსი, ბელინსკი სასტიკად დასცინოდა იმ მწერლებს, რომელთა „აზრს მართავს სიტყვები და არა აზრი სიტყვებს“.

გენიოსი კრიტიკოსის ეს ბრწყინვალე მოსაზრება დღესაც ინარჩუნებს თავის ძალას და იგი პირდაპირ ეხება იმ მწერლებს, რომლებიც სიტყვების კორიანტელსა და ქარბუქში აზრჩობენ ნათელ აზრსა და შინაარსს.

ეს მოსაზრება ეხება არჩილ ჩაჩიბაიას შემოქმედებასაც.

ცხადია, საქმე არა სიტყვების დაძაბულობასა და მის წაღმაუკუღმა შემობრუნებაშია, — არამედ ბუნებრივს, თავისუფალს, ჰარმონიულსა და მუსიკალურ განლაგებაში. ამგვარად შექმნილ ფრაზებში ნაწარმოების აზრი და შინაარსი უფრო ნათელი და უფრო საზრისიანია.

ა. ჩაჩიბაიას სიტყვის სისადავისა და ფრაზის დახვეწილობისაკენ ამ ბოლო დროს საგრძნობი პროგრესი ეტყობა, მან თავისი ნაკლი საბოლოოდ უნდა დასძლიოს.

ს. წვერავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

★

დ. შენგელაია — „მოთხრობები", საბლიტგამი. 1948 წ.

დემნა შენგელაიას მოთხრობების სარეცენზიო წიგნი შეიცავს სხვადასხვა დროს დაწერილს 11 მოთხრობას. ეს მოთხრობები წიგნში დალაგებულია ქრონოლოგიური და თემატიური წესების დარღვევით. მკითხველის ორიენტირებისათვის გაცილებით უმჯობესი იქნებოდა, მოთხრობები დაელაგებიათ დაწერის თარიღების მიხედვით.

დემნა შენგელაია, როგორც შემოქმედი, ეკუთვნის საბჭოთა ეპოქას. საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლისა და მშენებლობის წლებში მის მიერ ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან ოსტატობითაა შესრულებული რამდენიმე ფართო მხატვრული ტილო. მწერლის ენა ყოველთვის ზუსტია და მხატვრული სამკაულებით მდიდარი. მისი შემოქმედებითი თემატიკა მრავალფეროვანია. მისი ნაწარმოების ფონად თუ სამეგრელოა აღებული, აქ ავტორი უფრო ძლიერს და სრულყოფილ მხატვრულ სურათებს ქმნის, იგი ღრმად წვდება ჩვენი ქვეყნის ამ კუთხის როგორც ბუნებას, ისე ადამიანებს. ამ ფონზე მისთვის ყველაფერი ნაცნობი და მახლობელია, მან კარგად იცის ამ კუთხის წარსული და აწმყო, ძველი ადათ-ჩვეულებები და ახლანდელი ყოფაცხოვრება, ხალხური თქმულებები, ზეპირსიტყვაობა.

მაგრამ ავტორს ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეების ფონზედაც კარგად ეხერხება სუეტის გაშლა-განვითარება. ასეთი ნაწარმოებებია: „შუღლი" (ფშავ-ხევსურეთი), „ქორდედალა" (გურია), „მოლოდინი" (ქართლი), „მეოთხე ძმა" (უკრაინა) და სხვა.

სარეცენზიო წიგნის პირველ მოთხრობაში („მოლოდინი") ასახულია ერთი საღამოს სურათი და მისი სუეტური კვანძი ერთობ მარტივია. ფრონტზემყოფის დედის ზრუნვა და შრომა, ცოლის ფიქრი და მოლოდინი, მოლოდინი ქმრიდან ამბის მიღებისა, მოლოდინი შვილის დაბადებისა, ცოლის დაფიქრება გუშინდელ დღეზე, წარმოდგენა ხვალინდელი დღისა, ერთგვარ ბურუსში ყოფნა და ამ ბურუსიდან გამორკვევა და ცხოვრებისა და შრომისაკენ მიბრუნება იმის ნათელი წარმოდგენით, რომ ქმარი ომში მისი და მისი კერის დასაცავადაა წასული. სურათი თავისთავად ლამაზად არის დახატული, მაგრამ მკითხველს ერთგვარად დაუმთავრებელი ნაწარმოების შთაბეჭდილება რჩება.

„ქორდედალა" მხატვრული ნარკვევი უფრო, ვიდრე მოთხრობა. მასში ძალიან ცოცხლად და ნიჭიერად ასახულია ომამდელი გურული კომკავშირლების ცხოვრება. ავტორის დაკვირვებული თვალი კარგად სვვრეტს კომკავშირლებში რამდენიმე მშვენიერ სახეს. ანდღულაძეს და ქორდედალას მთავარი დამახასიათებელი თვისებები რამდენიმე შტრიხში დიდი მხატვრული სისრულით არის გამოქანდაკებული. მათი მშვენიერი სახე დიდხანს რჩება მკითხველს მეხსიერებაში. ავტორმა ამ პატარა მოთხრობაში კარგად გვიჩვენა აგრეთვე განახლებული და აღორძინებული გურიის სახე, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მისი გარდაქმნა და წალკოტად გადაქცევა. ღარდა-ღრეებსა, მერეებსა და კაპანებში, სადაც ღამით ტურების კივილი ცად ადიოდა, ამჟამად მოსჩანს თუნუქით დახურული ჩაის ქარხნის კორპუსები, ყაზარმები, ბანაკები, სადაც მისულა ხალხი სამუშაოდ ყოველ კუთხიდან.

„მოთხრობა „ტაია" დემნა შენგელაიას ერთერთი ადრინდელი ნაწარმოებია და გვისახავს საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, მეგრელი ხალხის ბედნიერი და საამური ცხოვრების სურათს. ტაია კუნთებმაგარი მეგრელი გლეხია და მას თავის წარსულ ცხოვრებაში ბევრი საშინელება და უბედურება უნახავს. ნაწარმოებში ტაიას წარსული და აწმყო ცხოვრების სახით ნაჩვენებია მთელი ცხოვრების უმწეობა — სიდუხჭირე და ახალი ცხოვრების სიდიადე. ეს ამბები გაჟღეთებულია მხატვრული დამაჯერებლობით და ზომიერებით. ნაწარმოების კითხვის დროს მკითხველს ხიბლავს სამეგრელოს მდიდარი ბუნების სურნელება და იგრძნობა ახალი ცხოვრების მშენებელი ხალხის მაჯისცემა. ტაიას ლაპარაკის კოლორიტი მთელი თავისი ნიუანსებით წმინდა მეგრულია და მკითხველის წინაშე კარგად გამოქანდაკებულია მეგრელი ადამიანის დასამახსოვრებელი სახე.

მოთხრობა „შუღლი" ფშავხევსურების ცხოვრებიდან სისხლისაღების დაძლევისა და კოლექტივის დაარსების თემაზე დაწერილი ნაწარმოებია. სოფლის ორ ბანაკად გაყოფა, მათ შორის შენიღბული და აშკარა ბრძოლა და ამბებისა და მოვლენების განვითარება არ სწარმოებს სავსებით დამაჯერებლად. იგრძნობა სქემატურობა და მოვლენების განვითარების წიგნური დაგეგმვა. სუსტი და ზერელეა მთელი რიგი სახეები. შედარებით უფრო სრულად არის გამოქანდაკებული ბერდიას სახე. მისი შვილები ხირჩლა და ალუდა სტატისტებია და აკლიათ თავისი ეპოქის ხორც-

სავსება. ეს ნაწარმოები თავისი დროისათვის (1932 წ.) ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენამატი იყო და მწერლის შემოქმედებითი ზრდის თვალსაჩინო მაჩვენებელი, თუმცა მწერალი კიდევ უფრო წინ წავიდა და ეს პერიოდიც უკან ჩამოიტოვა.

ასეთივე ნაწარმოებებია „თებერვალი“ და „პორტი“ რომლებიც კიდევ უფრო ადრე არიან დაწერილი. (1925—28 წ. წ.) და რომლებშიც ასახულია მენშევიკური ხელისუფლების უმწეობა, გარყვნილება, გამყიდველობა, ინგლისელების აღვირაშვებული თარეში, რუსეთის ფრონტების შორეული გამოძახილები და სხვ. სატირისა და იუმორის ელემენტები აძლიერებენ ამ ნაწარმოებთა მხატვრულ ეფექტიანობას. ეს ნაწარმოებები ოქტომბრის რევოლუციის თანამგზავრობის პერიოდისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწარმოებები იყვნენ.

სარეცენზიო წიგნის ცენტრალურ ადგილს იკავებს ორი ნაწარმოები „მერხეული“ და „მეოთხე ძმა“. ორივე სამამულო ომის თემაზეა დაწერილი. მერხეული ეს დიდი ბელადის, სტალინის თანამებრძოლის ქართველი ხალხის საყვარელი შვილის ლავრენტი ბერიას სამშობლო სოფელია. მოთხრობაში აღწერილია სამამულო ომის მეტად კრიტიკულ მომენტში ამხანაგ ბერიას ამ სოფელში ჩამოსვლის და კავკასიის დაცვის ამაღელვებელი სურათები. ავტორი მკითხველს უშუალოდ არ ახედებს ამ დიადი ხელმძღვანელობის სინამდვილეში, ეს ამბები ნაწარმოებში ჩამოშვებული ფარდის იქით ხდება, თუმცა მკითხველი მას კარგად გრძნობს; მეორე მხრივ, მეთევზე ყმაწვილებთან და პეპუსთან შეხვედრა და სიტყვაძვირი მონოლოგი დიდი მხატვრული ზომიერებით, მაღალი ოსტატობით და ძლიერი ექსპრესიით არის დაწერილი, ამიტომაც ნაწარმოები შეუნელებელი ინტერესით იკითხება.

მოთხრობა „მეოთხე ძმა“ უკრაინის ველებზე წარმოებული სამამულო ომის ერთერთ უბანს ასახავს თავისი ტრაგიკული ფინალით. ნაწარმოებში დამაჯერებლად და მაღალი მხატვრული ოსტატობით ნაჩვენებია საბჭოთა ადამიანების ნების სიმტკიცე, გაუტეხელობა, შეუპოვრობა და, რაც მთავარია, ურყევი რწმენა გამარჯვებისა.

სარეცენზიო კრებულში დაბეჭდილია აგრეთვე ავტორის საკმაოდ ცნობილი ნაწარმოები „ბაშკადიკლარ“, „ხილთა ქება“ და „შემოქმედი“. ამ უკანასკნელ ნაწარმოებში ასახულია შოთა რუსთაველის ეპოქა და დაწერილია მისი საიუბილეო დღეებისათვის. „ბაშკადიკლარი“ დოკუმენტური ნაწარმოებია კავკასიის ომების ეპოქიდან, ილია ორბელიანის და სხვა ისტორიული პირთა მონაწილეობით.

დემნა შენგელაიას ნაწარმოებებს ახასიათებს გამართული ეპიური თხრობა, იგინი შემკული არიან მშვენიერი მხატვრული სახეებით და შედარებებით, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ძველი სკოლების გავლენისაგან ჯერ კიდევ სავსებით ვერ განთავისუფლებულან. მაგალითად, სახეები და შედარებები: „ეს ტყვიისფერი ცაც გამხმარ ყავარივით მოიღრიცა და სადგურს აფრაკად გადმოსცქეროდა“ („თებერვალი“), ანდა — „კალეწკარის ცხვირი აფრაკი ცისათვის შეეშვირა“ — (იქვე), „ზღვა უზარმაზარი მუცელივით იდო ცისა და მიწას შუა“ („პორტი“) და სხვა, ნასესხებია სიმბოლიზმის მხატვრული არსენალიდან, ანდა შექმნილია მისი გავლენით. ზოგიერთი შედარებები ცარიელი და უშინაარსოა და მკითხველში არავითარ წარმოდგენას და ემოციას არ იწვევენ. ასეთებია: „ქერით სავსე ტოპრაკივით დაეცა ტალახში“ („თებერვალი“), „მზეც უზარმაზარ ბაიასავით ეკიდა... ცაში“ („მერხეული“), „ქალებივით მოკრძალებით იდგნენ“ (იქვე), „მუცელივით გახსნილ უძირო ტრიუმში“ („პორტი“), „დაეშვა ვაებით დაგორებული ძაღლივით“ (იქვე) და სხვა მრავალი. ავტორი უნდა ერიდოს ისეთ ბანალურ გამოთქმებსაც, როგორიც არის „ძაღლი პატრონს ვერ იცნობდა“ („პორტი“), მაგრამ ეს ნაკლი უმთავრესად ადრინდელ მოთხრობებს ახასიათებს და უკანასკნელი პერიოდის ნაწარმოებებში დაძლეულია.

მიუხედავად მოთხრობების არეულად დალაგებისა სარეცენზიო მოთხრობათა კრებული ავტორის თანდათანობითი შემოქმედებითი ზრდის მაჩვენებელია და დიდი ინტერესითაც იკითხება.

ბ. ბ.

ფასი 8 მან.

29
КНИЖНАЯ ПАЛАТА
1.12

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ